ბესარიონ ზოიძე

სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა

უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში

DER VERSUCH DIE PRAKTISCHE EXISTENZ DES RECHTS ZU VERSTEHEN

Vor allem aus menschenrechtlicher Perspektive

Bessarion Soidse

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბესარიონ ზოიძე

სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა

უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში

ესეები

BESSARION SOIDSE

Der Versuch die praktische Existenz des Rechts zu verstehen

vor allem aus menschenrechtlicher Perspektive

Essays

Tbilissi
2013

ბესარიონ ზოიძე

სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა

უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში

ესეები

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

რედაქტორი **გიორგი ხუბუა**
თსუ სრული პროფესორი

© თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013
© Verlag der Staatlichen Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi, 2013

ISBN 978-9941-13-298-8

სარჩევი

წინათქმა 5

რისი იმედი უნდა ჰქონდეს ადამიანს 9

მართლწესრიგის იდეალიზაციის ნაკლი
(სამართლებრივი პოზიტივიზმის გამო)..... 15

სამართლის სივრციდან ამოვარდნილი უფლება 17

სამართლის „სიცოცხლის“ შესახებ 19

სამართალი, როგორც უარყოფის უარყოფა 21

ეთიკური და სამართლებრივი ვალდებულების
გამიჯვნა (კანტის გამო)..... 23

სანივთო უფლების კავშირი სავალდებულობასთან..... 25

ჩემგან გარეგანის თვისება ჩემთან მიმართებით
(კანტის გამო) 27

პიროვნებისა და სახელმწიფოს მიმართება 29

ზოგადად სამართლის შეგრძნების შესახებ..... 32

სამართლის შეგრძნება მის მოქმედებაში 34

სამართლის განცდა სისტემებში 36

სამართლებრივი ცინიზმი 38

სამართლებრივი ფეტიშიზმი 40

სამართლებრივი ნიჰილიზმი..... 43

სამართლებრივი პატიოსნება 46

ისევ სამართლის შეგრძნების შესახებ
(იუმის შთაბეჭდილებების გამო) 48

ფორმისა და შინაარსის მიმართება სამართალში..... 51

კვლავ უფლების ლეგიტიმურობის შესახებ 53

ისევ სამართლის, როგორც ჩემგან გარეგანის,
შესახებ 55
თავისუფლება კანონის ფარგლებში (კანტის გამო) 57
სამართლის განხორციელების მიზეზშედეგობრივი
სივრცე 59
სამართლის სუბიექტი, როგორც ბუნებითი სუბიექტი 61
მოქმედების კავშირი სუბიექტთან
(წინას გაგრძელება) 63
ისევ ეთიკისა და მასთან სამართლის სუბიექტის
მიმართების შესახებ 65
სამართლის ეგზისტენციური სუბიექტის შესახებ 67
ისევ ინდივიდი, როგორც სამართლის წყარო და
მისი პრიორიტეტი საზოგადოებასთან..... 70
სამართლის აბსოლუტური იდეის ჩემთან შინაგანი
კავშირის შესახებ (ჰეგელის გამო) 73
უფლების განხორციელების შესახებ ეთიკასთან
კავშირში 76
სხვისი უფლებისადმი დამოკიდებულების შესახებ 78
სამართლის, როგორც იძულებითი წესრიგის,
შესახებ (კელზენის გამო) 81
კვლავ ნორმის მოქმედების შესახებ (კელზენის გამო) 83
ცნობიერისა და არაცნობიერის მიმართება
სამართალში (ფროიდთან დაკავშირებით) 85
სამართლისა და მისი სუბიექტის არსობის შენარჩუნების
შესახებ (ეგზისტენციალიზმთან კავშირში)..... 87
ადამიანი სამართლის აბსოლუტური იდეის
მეურვეობის ქვეშ 90

კვლავ ჩემი და შენი უფლებების
ურთიერთგანპირობებულობა და ერთად აღქმა 93
კვლავ იძულების ორბუნებოვნების შესახებ
სამართალში 95
უფლების მართლწესრიგთან ერთად აღქმა 98
იძულების მიმართება თავისუფლების საყოველთაო
კანონთან (კანტის გამო) 101
სამართლის მეტაფიზიკური ხასიათის მიმართება მის
ეროვნულობასთან (კანტისა და ჰეგელის გამო)..... 104
სამართლებრივ სიკეთეთა მიზეზშედეგობრივი
კავშირები 107
კვლავ სამართლის ეროვნულობისა და
ზეეროვნულობის შესახებ კულტურულ ფასეულობათა
ჭრილში 110
გონისა და ნების მომენტი კანონმდებლობაში
(პოზიტივიზმის კრიტიკა ჰაიეკის გავლენით) 113
ინტერესთა მიმართება სამართალში
(იერინგიდან გამომდინარე)..... 116
ისევ სამართლის წმინდა თეორიის შესახებ გონისა
და ნების ჭრილში..... 119
სამართალში მარადიული ფასეულობების ჩვენგან
დამოუკიდებლობის შესახებ..... 122
კვლავ შინაგანი და გარეგანი ვალდებულების
ურთიერთმიმართების შესახებ უპირველესად
რელიგიურ მოვალეობათა ჭრილში 125
ნორმათა ურთიერთმიმართება და მიძინებული
ნორმების გამოღვიძება ახალი ნორმის
ჩანაცვლებით 128

პოზიტიური სამართალი, როგორც მართლწესრიგის
საფუძველი და მისი ურთიერთობა სტიქიურ
სამართლებრივ წესრიგთან (ისევ ჰაიეკის გამო)..... 130
სამართლებრივი კულტურის შესახებ ლეგალურ და
არალეგალურ მართლწესრიგებთან კავშირში..... 133
არსისა და არარსის მიმართება სამართალთან
(არეოპაგიტიკული ნაწერების გავლენით სიკეთისა
და ბოროტების ჭრილში)..... 136
კვლავ არსში არსებული არარსი, როგორც
აუცილებლობა (სამართალთან კავშირში)..... 139
კერძო და საჯარო სამართლის მიმართების შესახებ
ინტერესთა დაბალანსების კუთხით
(რადბრუხის გამო)..... 142
შესრულებისა და ვალდებულების მიმართება
სამართლებრივი და ეთიკური კუთხით..... 145
სამართალთან იძულების გაუცხოების შესახებ.
ასევე სამართალში „შოკური თერაპიის“ შესახებ..... 147
სამართლებრივი ვალდებულების ინსტინქტებამდე
დაყვანა (სპენსერის გამო)..... 150
უფლების არსებობის გარემო
(ინტერესი უფლებაში)..... 154
მატერიალური და პროცესუალური უფლების
ურთიერთდამოკიდებულების შესახებ
(პროცესუალურის მატერიალურით
განპირობებულობა)..... 156
უფლების მოვალეობად ტრანსფორმაცია და
პირიქით..... 161
სამართლებრივი ტვირთების გადანაწილება
სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის..... 163

სამართლის როლი ჩემი ინდივიდუალობის
შენარჩუნებაში 165
კვლავ სამართლის კოსმოპოლიტური და ეროვნული
ხასიათის მიმართების შესახებ 169
პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების შესახებ 171
მომეტებული პასუხისმგებლობის შესახებ
სამართალში 173
სიკეთე მართლწესრიგის ფარგლებში 175
კვლავ ეთიკური ვალდებულებით სამართლის ბოჭვის
შესახებ 177
სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება და
სახელმწიფოებრივი მართლშეგნება 179
უფლებათა ერთმანეთთან მიმართების თაობაზე
(მიწაზე უცხოელის უფლებებთან დაკავშირებით) 183
სამართლებრივი ექსპერიმენტის შესახებ სამართლის
არსობასთან დაკავშირებით 185
ჩემი შინაგანი და გარეგანი „მეს“ ურთიერთობა 187
მოქალაქისა და ადამიანის უფლებების მიმართების
შესახებ 189
ისევ ჩემი შინაგანი და გარეგანი „მეს“ კავშირზე
ხელისუფლების პასუხისმგებლობის კუთხით 191
ნორმატიული აქტის „უხილავი“ მიზნების შესახებ
(მიწის არაეკონომიკურ ფუნქციასთან კავშირში) 193
ისევ სამართლისა და ეთიკის კავშირის შესახებ 195
სამართლის ცალმხრივი მეტაფიზიკური ხედვის
შედეგები მოქალაქეობასთან დაკავშირებით 198
ჩემი სხვებთან ურთიერთობა, როგორც ფასეულობა და
ჩემი უფლებრივი სახის განმსაზღვრელი..... 200

ისევ უფლების პრაგმატისტული განცდის შესახებ.....202
ისევ ეთიკურის მიმართება არაეთიკურთან და
სამართალთან.....204
ისევ ჩემი და ჩვენი უფლებების მიმართების შესახებ.....207
სახელმწიფო, როგორც ჩემი თავისუფლების იარაღი 209
უუფლებობისადმი შეგუების ნეგატიური შედეგები
(იერინგის გამო) 211
ქმედების (ნების გამოვლენის) იძულების შესახებ.....213
სამართლის მიმართება სამართლიანობასთან 217
ჩემი შენთან ურთიერთობა, როგორც თქვენთან
ურთიერთობა და, პირიქით, ჩემი თქვენთან
ურთიერთობა, როგორც შენთან ურთიერთობა 219
სამართლებრივი პოზიტივიზმი 221
რამდენად შესაძლებელია სანივთო უფლება იყოს
სხვებთან თანამფლობელობაში
(კანტის მოსაზრებასთან დაკავშირებით) 222
სანივთო უფლების აბსოლუტურობა 224
ნივთზე მიბმული უფლების შესახებ 226
უფლებისა და სუბიექტის კავშირურთიერთობა.....228
კვლავ რობინზონის „უფლებრივი მდგომარეობის“
შესახებ 230
პოზიტიური სამართლის მოქმედების ფარგლების
ანუ მოწესრიგებული ადამიანისა და მიმტევებელი
სახელმწიფოს შესახებ 233

Inhaltsverzeichnis

Vorwort 7

Welche Hoffnung sollte ein Mensch haben
(ein einführendes Essay).....9

Der Nachteil der Idealisierung der Rechtsordnung
(wegen Rechtspositivismus).....15

Das aus dem Rechtsraum entnommene Recht 17

Über „das Leben“ des Rechtes 19

Das Recht als Ablehnung der Ablehnung 21

Die Unterscheidung von ethischen und rechtlichen Pflichten
(wegen Kant) 23

Die Beziehung des dinglichen Rechts mit der Verbindlichkeit?.... 25

Das von außen auf mich Einwirkende (wegen Kant) 27

Der Zusamenhang zwischen Staat und Individuum 29

Allgemeines zum Rechtsgefühl.....32

Das Rechtsempfinden während seiner Handlung 34

Das Rechtsgefühl im Gesamtsystem 36

Rechtlicher Zynismus 38

Rechtlicher Fetischismus 40

Rechtlicher Nihilismus 43

Rechtliche Ehrlichkeit 46

Noch einmal zum Rechtsgefühl (wegen Hume) 48

Der Zusammenhang zwischen Form und Inhalt im Recht 51

Noch einmal zur Rechtslegitimität 53

Noch einmal zum Recht, als etwas Äußeres 55

Die Freiheit im Rahmen des Gesetzes (wegen Kant) 57

Der kausale Raum der Rechtsverwirklichung 59

Das Rechtssubjekt als natürliches Subjekt 61

Der Zusammenhang zwischen Subjekt und Handlung
(Fortsetzung) 63

Der Zusammenhang zwischen Ethik und
den Rechtssubjekten 65

Über das existenziale Rechtssubjekt 67

Das Individuum als Quelle des Rechtes und seine Priorität
in der Gesellschaft 70

Über die innere Verbindung zwischen der absoluten Idee
des Rechts und mir (wegen Hegel) 73

Die Verwirklichung des Rechtes im Hinblick auf die Ethik 76

Über das Verhältnis zu dem Recht des Anderen 78

Über das Recht als zwingende Ordnung (wegen Kelsen) 81

Noch einmal zur Wirkung der Norm (wegen Kelsen) 83

Das Verhältnis zwischen dem Bewusstsein und
dem Unbewusstsein im Recht (in Bezug auf Freud) 85

Über die Wahrung des Rechtes und Rechtssubjektes
(im Zusammenhang mit Existentialismus) 87

Der Mensch unter der Pflegschaft der Idee
des Rechstabsolutismus 90

Noch einmal zur gegenseitigen Bestimmung und
Wahrnehmung als Ganze von meinen und deinen Rechte 93

Noch einmal zur Zweiseitigkeit des Rechtes als zwingende
Ordnung 95

Die Wahrnehmung des Rechtes im Zusammenhang mit der Rechtsordnung 98

Die Beziehung zwischen dem Zwang und dem universellen Gesetz der Freiheit (wegen Kant) 101

Die metaphysische Natur des Rechtes im Zusammenhang mit der Nationalität (wegen der Ansicht Kants und Hegels) 104

Der Kausalzusammenhang zwischen den Rechtsgütern 107

Noch einmal zur Nationalität und Übernationalität des Rechts im Kontext der kulturellen Werte 110

Die Vernunft- und Willenselemente in der Gesetzgebung (Kritik am Positivismus unter dem Einfluss von Hayek) 113

Der Zusammenhang verschiedener Interessen im Recht (Jhering) 116

Wieder über die reine Theorie im Kontext der Vernunft und des Willens 119

Über die von den Menschen unabhängigen ewigen Werte des Rechts 122

Noch einmal zur Beziehung zwischen inneren und äußeren Verpflichtungen vor allem im Kontext religiöser Pflichten 125

Die Beziehung zwischen den Normen und die Wiederbelebung einer „eingeschlafenen“ Norm durch die Schaffung einer neuen Norm 128

Positives Recht als Voraussetzung der Rechtsordnung im Zusammenhang mit der spontanen Ordnung (noch einmal wegen Hayek) 130

Über die Rechtskultur im Zusammenhang mit legaler und illegaler Rechtsordnung 133

Das Sein und das Nicht-Sein in Beziehung zum Recht
(Unter dem Einfluss der Areopagitischen Schriften
im Kontext von Gut und Böse) 136

Noch einmal zum im Sein existierende Nicht-Sein als eine
Notwendigkeit (in Verbindung mit dem Recht) 139

Über öffentliche und private Interessen im Kontext
der Gleichgewicht (wegen Radbruch) 142

Der Zusammenhang von Pflichten und Erfüllung
im Rahmen von Recht und Ethik 145

Über die Entfremdung des Zwangs vom Recht.
Auch über die „Schocktherapie“ im Recht 147

Von rechtlichen Pflichten bis zu Instinkten (wegen Spenser) 150

Das Umfeld der Rechtsexistenz (Interesse im Recht) 154

Über den Zusammenhang von materiellem- und prozessualem
Recht 156

Umwandlung eines Rechts in eine Verpflichtung
und umgekehrt 161

Aufteilung der rechtlichen Lasten zwischen dem Staat
und einem Individuum 163

Die Rolle des Rechts bei der Erhaltung meiner eigenen
Individualität 165

Noch einmal zur kosmopolitischen und nationalen Natur
des Rechtes 169

Über Verantwortungsgesellschaft 171

Die übertriebene Verantwortung im Recht 173

Individuelle Güte im Rahmen der Rechtsordnung 175

Über die Bindung des Rechtes durch die ethische Pflichten 177

Die Freiheit des Bürgerlichen Verkehrs und
das Rechtsbewusstsein 179

Über den Zusammenhang von Rechten (in Verbindung mit dem Recht von Ausländern, Boden zu kaufen) 183

Über das rechtliche Experiment mit die Existenz des Rechts 185

Die Korrelation meines inneren und äußeren „Ich“ 187

Der Zusammenhang von Menschen- und Bürgerrechten 189

Noch einmal zu meinem inneren und äußeren „Ich“ aus dem Blickwinkel des Gebotes der Verantwortung 191

Über die „unsichtbaren“ Ziele des Normativaktes (im Zusammenhang mit der nichtwirtschaftlichen Funktion des Bodens) 193

Noch einmal zum Zusammenhang zwischen Ethik und dem Recht 195

Die Auswirkungen des einseitigen metaphysischen Blicks über Staatsbürgerschaft im Recht 198

Meine Beziehung zu anderen als ein Wert und eine Determinante meines rechtlichen Wesens 200

Noch einmal zur pragmatischen Sicht des Rechtes 202

Noch einmal zur Korrelation zwischen ethischem und unethischem und Recht 204

Noch einmal zum Verhältnis zwischen „meinen“ und „unseren“ Rechten 207

Der Staat als das Instrument meiner Freiheit 209

Die negativen Auswirkungen der Duldung der Rechtlosigkeit (wegen Jhering) 211

Der Zwang zur Handlung (Willenserklärung) 213

Der Zusammenhang von Recht und Gerechtigkeit 217

Meine Beziehung mit einem Menschen als meine Beziehung mit allen Menschen und umgekehrt, meine Beziehung

mit allen Menschen, als meine Beziehung
mit einem Menschen 219

Der Rechtspositivismus 221

Wie kann das dingliche Recht auf gemeinsamen Besitz
mit anderen zusammen ausgeübt werden
(nach der Ansicht Kants) 222

Dingliches Recht als ein absolutes Recht 224

Über das an die Sache gebundene Recht 226

Der Zusammenhang zwischen dem recht und dem Subjekt 228

Noch einmal zum rechtlichen Zustand des Robinson 230

Die Grenzen des positiven Rechtes - Rechtschaffener Mensch
und barmherziger Staat 233

წინათქმა

ქართველი მკითხველი არ არის განებივრებული სამართლის ფილოსოფიური ასპექტების კვლევით. ბატონ ბესარიონ ზოიძის ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული იურიდიული, და არამარტო იურიდიული, სამეცნიერო ლიტერატურისათვის. ზოგადად, მეცნიერისათვის დამახასიათებელი აზროვნების დედუქციური სტილი წიგნში კარგად არის შერწყმული სამართლის პრაქტიკულ ფუნქციებთან. სამართლის მეტაფიზიკური ასპექტების კვლევისას ძირითადი აქცენტი გადატანილია სწორედ მის პრაქტიკულ ყოფიერებაზე. ამ მიდგომის წარმატებით განხორციელებაში ავტორს უდავოდ დაეხმარა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის პრაქტიკული გამოცდილება.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამართლის მრავალრიცხოვან ფილოსოფიურ მიმდინარეობებში მან შეძლო მთავარი ორიენტირების და აქცენტების გამოკვეთა. ნაშრომში ძალუმად იკვეთება ერთი ძირითადი ხაზი – სამართლის ცენტრში უნდა იდგეს ადამიანი. ავტორი ცდილობს გაანეიტრალოს სამართლის დეჰუმანიზაციის თანამედროვე ტენდენციები. ნაშრომის მთავარი თემაა ადამიანი სამართალში. წინამდებარე წიგნი მთლიანად სამართლის ანთროპოცენტრისტული იდეით არის გამსჭვალული.

ავტორი სამართლის ფილოსოფიის ურთულეს თემებზე საუბრობს ფართო მკითხველისათვის გასაგებ ენაზე. ნაშრომის ენა არ არის „მშრალი“, მით უფრო, დოგმატური. ავტორი არ ესწრაფვის უაღრესად კომპლექსური თემების გამარტივებას.

ამავე დროს, მისი ენა თავისუფალია ყოველგვარი ზედმეტი და ხელოვნური კონსტრუქციებისაგან.

ბატონ ბესარიონ ზოიძის გამოკვლევა ეძებს პასუხს სამართლის და, ზოგადად, ადამიანთა სოციალური თანაცხოვრების ფუძემდებლურ საკითხებზე. ამავე დროს, ის განგვაწყობს, დავსვათ ახალი კითხვები და არ ვიყოთ უკვე არსებული პასუხების უკრიტიკო ზეგავლენის ქვეშ. ალბათ, სწორედ ეს არის ნაშრომის მთავარი ღირსება. წინამდებარე ნაშრომი ნათელი დასტურია იმისა, რომ „სწორი თეორია ყველაზე პრაქტიკულია“.

რედაქტორი გიორგი ხუბუა,

ბამბერგი (გერმანია),
2013 წლის მაისი

Vorwort

Das vorliegende Buch von Herrn Bessarion Soidse ist ein wichtiger Beitrag für die georgische juristische, wie auch nicht-juristische wissenschaftliche Literatur. Es werden Einblicke in die Forschung philosophischer Aspekte des Rechts gegeben, an die der georgische Leser nicht gewöhnt ist.

In diesem Buch ist wissenschaftliches deduktives Denken sehr gut mit der praktischen Funktion des Rechts kombiniert. Bei der Erforschung der metaphysischen Aspekte des Rechts sind die Hauptakzente auf den praktischen Teil fokussiert. Diese erfolgreiche Kombination resultiert nicht zuletzt durch die langjährige Erfahrung des Verfassers als Verfassungsrichter.

Dem Autor ist es hervorragend gelungen die höchst komplizierten Themen in einer für den Leser verständlichen Sprache darzustellen. Soidses Sprache ist weder „trocken“ noch nominalistisch und zudem frei von künstlichen und überflüssigen juristischen Konstruktionen.

Die Essays geben Antwort auf grundlegende Probleme des Rechts und andere Formen sozialen Zusammenlebens. Dabei geben die Untersuchungen des Autors Anregungen für die selbstkritische Reflexion der immer bedeutender werdenden Funktion des Rechts. Das Buch motiviert neue Fragen zu stellen und unkritisch ausgesuchte Antworten zu vermeiden. Das vorliegende Buch ist ein gelungenes Beispiel dafür, dass „die richtige Theorie am praktischsten“ ist.

Redaktor Giorgi Khubua,
im Mai 2013,
Bamberg

რისი იმედი უნდა ჰქონდეს ადამიანს

შესავალი ესე

იმანუელ კანტი სვამს ასეთ კითხვას: გარდა საკუთარი თავისა, რისი იმედი უნდა ჰქონდეს ადამიანს? პასუხი შემდეგია: მას უნდა ჰქონდეს საზოგადოების, სოციალური ინსტიტუტებისა და სამართლის იმედი. ესე იგი, ჩემი არსებობის განმსაზღვრელი პირველ რიგში ჩემი უნარები და შესაძლებლობებია, რომელთა განხორციელება მის გარეთ არსებულ ღირებულებებზეა დამოკიდებული. შეიძლება ჰქონდეს მოწაფეს მარტო საკუთარი თავის იმედი, თუკი მასწავლებელი იქნება არაობიექტური? ცხადია, არა! ჩვენი წარმატების იმედი ჩვენს გარეთაა, მაგრამ, რაც ჩვენს გარეთაა, ისიც ჩვენზეა დამოკიდებული.

უპირველეს ყოვლისა, ასეთია სამოქალაქო საზოგადოება. მას ღირსეული ადამიანები ქმნიან, რომელთაც სწამთ ასეთ საზოგადოებაში არსებობის აუცილებლობა. სამოქალაქო საზოგადოება მაღალი ეთიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებაა, რომელიც ასეთივე ადამიანებისაგან შედგება. ესაა მაღალი ღირებულებების მქონე საზოგადოება, რომელიც აცნობიერებს იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რომ ყოველი ადამიანის კეთილდღეობა მხოლოდ აქაა შესაძლებელი. ასეთ საზოგადოებაში ჩემი ინდივიდუალური უფლებრივი სტატუსი ორგანულადაა დაკავშირებული ამ საზოგადოების უფლებრივ მდგომარეობასთან. მე ვიცი, რომ ჩემი უფლება ვერ იარსებებს შენი და ჩვენი უფლების გარეშე. ამიტომაც მე, როგორც მესაკუთრე, პატივს ვცემ როგორც შენს, ისე ჩვენს საკუთრებას.

ჩემი საკუთრება იმიტომაა ჩემი, რომ ის საკუთრებითი წესრიგის შედეგია. ეს წესრიგი კი იცნობს შენსა და ჩვენს საკუთრებას, რომელთან მიმართებითაც ჩნდება ჩემი საკუთრება. ესე იგი, გამოდის, რომ ჩვენი უფლებები მიზეზ-შედეგობრივადაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

სამოქალაქო საზოგადოება საზოგადოების თვისებრივი განვითარების შედეგია, მაღალი მართლშეგნების მქონე ადამიანთა ბუნებრივი ერთობაა. ამ საზოგადოების წევრებისთვის მისაღებია სიკეთეთა ისეთი ობიექტური წესრიგი, რომლის მიზანიცაა მისი თითოეული წევრის კეთილდღეობა. სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებს აერთიანებს. მათთვის სახელმწიფო საშუალებაა ადამიანის, როგორც მიზნის, სასარგებლოდ. სახელმწიფო თითოეულ ადამიანში მთელ საზოგადოებას ხედავს და მისი ხმა მთელი საზოგადოების ხმად აღიქმება. სამოქალაქო საზოგადოებაში მოხსნილია საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთგაუცხოება, რაც დღემდე ჩვენს ისტორიულ ტკივილად რჩება. სამოქალაქო საზოგადოება მაღალი კულტურის მქონე საზოგადოებაა, რაც სამართლისადმი პატივისცემაში ვლინდება. მოკლედ, სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოში ინტერესთა მშვიდობიანი თანაარსებობის, სიკეთეთა დაბალანსებული წესრიგის, თანასწორობისა და სამართლიანობის მაღალი შეგნების მქონე ადამიანთა საზოგადოებაა. აქ „ჩემი“, როგორც ღირებულება, განპირობებულია „შენის“, როგორც ღირებულებასთან, მიმართებით. მე ვარსებობ მხოლოდ შენ გვერდით, შენთან ერთად. თქვენ გარეშე მე არარა ვარ, როგორც ამას ამტკიცებდა კირკეგორი, რომელმაც თავად გამოსცადა საზოგადოებისაგან განდგომის ტკივილი და მოგვიწოდა, ეს არ გაგვეკეთებინა.

მაგრამ, იბადება კითხვა: როგორია ამ საზოგადოების ორგანიზაციული ფორმა, სადაც შეიძლება მისი ნამდვილი სახე დავინახოთ? როგორც კანტი გვეუბნება, ასეთია სოციალური ინსტიტუტები. სამოქალაქო საზოგადოებისა და შესაბამისი ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესი ერთიანი და განუყოფელია. შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ინსტიტუტი ქმნის სამოქალაქო საზოგადოებას ანდა, პირიქით, საზოგადოება – ინსტიტუტს. ეს პროცესი ერთად მიმდინარეობს, თუმცა, შეცდომა არ

იქნება, ვაღიაროთ ინსტიტუტების პრიორიტეტი. ინსტიტუტები სამოქალაქო საზოგადოებაში შებოჭილია ფასეულობათა ობიექტური წესრიგით, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი. ვინაიდან ნებისმიერი ინსტიტუტის მიზანი ადამიანია და არა თავად ინსტიტუტი, ეს გვავალდებულებს, თავიდან ავიცდინოთ ღირებულებათა ადგილმონაცვლეობა. ინსტიტუციური რეფორმის პროცესში ჩრდილში არ უნდა დარჩეს ადამიანი და თავი არ უნდა ვიმართლოთ იმით, რომ ეს ინსტიტუტები მას შექმნის შემდეგ მოემსახურებიან. კარგად ორგანიზებული (მოწყობილი) ინსტიტუციური საზოგადოება სამოქალაქო საზოგადოებაა, ორივე ერთად კი – სახელმწიფო. მაშასადამე, ინსტიტუტები სამოქალაქო საზოგადოების არსებობის ფორმაცაა და ინტერესთა რეალიზაციის საშუალებაც.

სამართლიანი სასამართლოს გარეშე წარმოუდგენელია სამოქალაქო საზოგადოება. სადაც უფლების დაცვა ეჭვის ქვეშ დგება, იქ არც სამოქალაქო სზოგადოებაა და არც სასამართლო, როგორც ინსტიტუტი. პირველ რიგში, აუცილებელია, ინსტიტუციის დამოუკიდებლობა, შემდგომ, ინტერესების, ღირებულებებისა და მათი მიღწევის გზების სწორად განსაზღვრა. სამართლებრივი სახელმწიფო იმთავითვე გვავალდებულებს, თავიდან ავიცდინოთ მანკიერი, კომუნისტური პრინციპი: მიზანი ამართლებს საშუალებას. პირიქით, როგორც ჰეგელი ამტკიცებდა, საშუალება უნდა იყოს მიზნის ღირსების შესაფერისი. მაშასადამე, საშუალება უნდა იყოს ყველაზე რბილი და უმტკივნეულო ადამიანისათვის. დიდი რეფორმების განხორციელების პროცესში ხშირად ვკითხულობთ, როგორ მოვიქცეთ. აქაც გვმართებს უარი ვთქვათ „შოკურ თერაპიაზე“ და ადამიანებისათვის გონივრული და ასატანი ტკივილების დაშვებით შევქმნათ სოციალური ინსტიტუტები. ამით ჩვენ ავიცდენთ ინსტიტუტებისა და ადამიანების ერთმანეთისაგან გაუცხოებას და შევძლებთ მათ მშვიდობიან თანაარსებობას. წამალი, რომელიც პაციენტმა ერთ კვირაში უნდა მიიღოს, მისთვის მძიმე შედეგებით დასრულდება, თუ იგი ერთ დღეში მიიღებს მას. ინსტიტუციურ რეფორმას ადამიანი შემზადებული უნდა შეხვდეს და იგრძნოს მისი განხორციელების აუცილებლობა. სოციალურ ინსტიტუტებში იგულისხმება ყველა ის ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოს მექა-

ნიზმს ქმნის, ეს იქნება თავისუფალი გაერთიანებანი თუ საჯარო დაწესებულებანი. ამ ინსტიტუტების მეშვეობით ვგრძნობთ, რომ ვართ დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. ამიტომაც ვამბობთ, რომ ინსტიტუტი ჩვენი ორგანიზაციის, მართვისა და თვითრეალიზაციის საშუალებაა. შეუძლებელია, გყავდეს განათლებული ახალგაზრდობა განახლებული დაწესებულებების გარეშე, სადაც შესაძლებელი იქნება ჩვენი ეპოქისა და ცხოვრების წესის ადეკვატური განათლების მიღება. ჩვენ ვერ ვიქნებით მარტო საკუთარი თავის იმედზე, უნდა გვქონდეს ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებითი წესრიგის იმედი. ეს წესრიგი კი ვლინდება ჩვენი საზოგადოების ინსტიტუციურ მოწყობაში.

შემდეგი ფაქტორი, რომლის იმედიც უნდა გვქონდეს, ესაა სამართალი. სამართალი ის საძირკველია, რაზედაც სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური ინსტიტუტებია აგებული. სამართალი მათი დამაკავშირებელი ხიდია. საკმარისია, ამ ორგანულ ერთიანობას გამოვაცალოთ სამართალი და მისგან აღარაფერი დარჩება.

სამართლის იმედი რომ გქონდეს, აუცილებელია, ის თავად წარმოადგენდეს ფასეულობას. ფასეულია სამართალი, რომელიც თვისებრივადაა უნარიანი, იყოს მოწინავე სამართლებრივი ოჯახების სრულფასოვანი წევრი. ჩვენს სინამდვილეში ასეთია ევროპული სამართალი. პატარა საქართველო უკვე ოცი წელია ისწრაფვის, თვალი გაუსწოროს სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს და სამართალთა ჰარმონიზაციის პროცესის ცენტრში მოექცეს. ამ ხნის განმავლობაში ქართული სამართალი არსებითად შეიცვალა და დაუახლოვდა ევროპულს. მაგრამ ეს სინამდვილის ერთი მხარეა და მას სამართლის პოზიტიური ყოფიერება ჰქვია. ამის გაკეთება შეუძლიათ იმ ხალხებსაც, რომელთაც არავითარი ისტორიული შემხებლობა არა აქვთ იმ სამართალთან, რომელთა გადმოღებასაც ისინი ახდენენ. სამართლის იმედად ყოფნა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ჩვენ სამართლისადმი პატივისცემით ვართ განწყობილი და მას ვემორჩილებით. ამისათვის კი აუცილებელია მაღალი მართლშეგნება, როგორც სამართლებრივი კულტურის ხერხემალი. ამ დამოკიდებულების გარეშე არ არსებობს არც სამოქალაქო

საზოგადოება და არც დემოკრატიული სოციალური ინსტიტუტები. მიუხედავად იმისა, რომ ყველა თანაბრად ვართ ვალდებული, ვმოქმედებდეთ სამართლით განსაზღვრულ ფარგლებში, ხელისუფლებას, როგორც პოზიტიური სამართლის შემოქმედსა და დარაჯს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია. სამართლის მეურვეობას მოკლებული ადამიანები თავშესაფარს ეკლესიაში ეძებენ და ამით ემიჯნებიან სახელმწიფოს. სამართლის იმედად ყოფნა, იუსტინიანეს ინსტიტუციების თანახმად, შესაძლებელია, როცა სამართლებრივი დანაწესებისადმი ისეთი დამოკიდებულებაა, როგორიცაა პატიოსნად ცხოვრება, სხვისთვის ზიანის არმიყენება, თითოეულისათვის თავისის მიზღვევა. ეს უკანასკნელი მოგვიწოდებს, მოვიქცეთ სამართლიანად, ვინაიდან სამართლიანობაა ყოველგვარი უფლების მინიჭების წყარო. მაშასადამე, მე მაქვს სამართლის იმედი, რომელიც ფასეულია და პრაქტიკულად ქმედუნარიანია. სამართლებრივი სახელმწიფოს ღერძი სწორედ ასეთი სამართალია.

აღნიშნული ფასეულობების გავლენამ შთამაგონა, სპონტანურად, ყოველგვარი წინასწარი დაგეგმვის გარეშე, მეწერა ესეები, რომელსაც მე ვთავაზობ მკითხველს, განსაკუთრებით კი – ჩვენს ახალგაზრდობას. მუდამ ერთი კითხვა მიტრიალებდა თავში, როგორ ვერ შევძელით, რომ შეგვექმნა ჩვენი ისტორიის ღირსების შესაფერისი სახელმწიფო. მრავალ მიზეზთა შორის, მე ბევრჯერ დამისახელებია ინტერესთა ღირებულებითი კონფლიქტი საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. დიდად სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოიხსნა ურთიერთგაუცხოების მომენტი, რომელიც ცალკეულ ადამიანსა და სახელმწიფოს შორის არსებობს. ამის მიზეზი კი, ერთიცაა და მეორეც. ნებისმიერი კონფლიქტის შემთხვევაში ისინი ერთიმეორის მიმართ იშვერენ ხელებს. სანამ ჩვენი წარუმატებლობის მიზეზებს მხოლოდ ჩვენს გარეთ მოვძებნით, მანამ ეს გაუცხოება არასოდეს არ მოიხსნება. მაგრამ, ვის ხელშიც მეტი ძალაუფლებაა, მას მეტი ვალდებულებაც აკისრია, დაძლიოს ეს გაუცხოება და, მაშასადამე, მასში უფრო მეტია ამის მიზეზი, ვიდრე ჩემში.

როცა ჩვენ, ყველა ვართ სახელმწიფოს ინტერესის საგანი, მაშინ სახელმწიფოსაც აღარ აქვს ჩვენით მანიპულირების სურვილი. ამიტომაც, ჩემი ნაწერების ცენტრშია ადამიანი, როგორც

უმაღლესი ფასეულობა, რომლის გარშემოც ტრიალებს „უფლებრივი სამყარო“. მე მინდოდა, მეჩვენებინა ამ მოძრაობის ბუნება და ხელი შემეწყო ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებისათვის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არა მაქვს პრეტენზია სამართლის ფილოსოფოსობაზე. მე მხოლოდ ის გადმოვეცი, რაც ცხოვრებამ დამანახა. ამიტომაც, ბუნებრივია, არ ვარ დაზღვეული შეცდომებისაგან შეფასებებში.

ხელნაწერი ჩემმა კოლეგებმა და მეგობრებმა რამდენჯერმე გადაიკითხეს და ამით სასარგებლო დახმარება გამიწიეს. ამიტომაც მე მინდა, ამისათვის გულწრფელი მადლობა გადავუხადო მათ, კერძოდ, პროფესორებს: **გიორგი ხუბუას, ლადო ჭანტურიას, ირაკლი ბურდულს, თამარ ზარანდიას**, ასევე, ფილოსოფოსს, პროფესორ **მურად შონიასა** და ქალბატონ **ნინო თოლორაიას**. ამასთანავე, მინდა მადლობა ვუთხრა და ხაზგასმით აღვნიშნო ის წვლილი, რომელიც ამ წიგნის გამოსაცემად მომზადებაში შეიტანა კერძო სამართლის ნიჭიერმა დოქტორანტმა **დემეტრე ეგნატაშვილმა**.

დასასრულ, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეუღლეს, **ნატო ნიჟარაძეს**, რომლის მოთმინებისა და ხელშეწყობის გარეშე ვერც ერთი ჩემი ნაშრომი ვერ შეიქმნებოდა.

მართლწესრიგის იდეალიზაციის ნაკლი (სამართლებრივი პოზიტივიზმის გამო)

სამართლებრივი პოზიტივიზმი ყოველივეს, რაც იურიდიული ფორმით არსებობს, მართლწესრიგს მიაწერს. ეს წესრიგი კი ნორმათა წესრიგია. უფლებასაც მართლწესრიგის ქმნილებად მიიჩნევენ. ჩემი აზრით, ეს მიდგომა გადაჭარბებულია. არსებობს ისეთი უფლებები, რომელსაც მართლწესრიგი ვერ შექმნის. ასეთია ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებიც ჩვენ გაგვაჩნია ჩვენი ადამიანურობის გამო. ამიტომაც, ისინი ადამიანის ბუნებითი უფლებებია. მე ერთხელ ასეთი გამოთქმა ვიხმარე ამის გადმოსაცემად: ადამიანი უფლებაა. ეს მართლაც ასეა. ჩამოაშორეთ ადამიანს ძირითადი უფლებები და ხელში შეგრჩებათ მხოლოდ მოაზროვნე ცხოველი. ეს ისეთი უფლებებია, რომლებიც სამართლის ნორმებში აისახებიან მხოლოდ გარანტიების სახით. დაუშვებელია ამ მიმართებაში მართლწესრიგისა და ადამიანის, როგორც სუბიექტის, ერთმანეთისგან გაუცხოება. ისე არ უნდა გამოვიდეს, თითქოს ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებობს მართლწესრიგის სამყარო და ადამიანები აქედან იღებენ სამართლებრივი სიკეთეებით სარგებლობის უფლებას. ადამიანი, როგორც სამართლის სუბიექტი, ძირითადი უფლებების მატარებელი სუბიექტია. ყოველი კონკრეტული უფლებრივი მდგომარეობა იმ უფლების რეალური გამოხატულებაა, რომელიც გააჩნია ყოველ ადამიანს. მართლწესრიგის ადამიანთან დაპირისპირება ადამიანის სამართალსუბიექტობას საფრთხეს შეუქმნის. კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანი სწორედ მარ-

თლწესრიგზე დამოკიდებულ სუბიექტად განიხილებოდა და არა, პირიქით, მართლწესრიგი ადამიანზე დამოკიდებულად. საკმარისია მართლწესრიგი დავსვათ ღირებულებათა სათავეში, რომ ნებისმიერი ადამიანის არსებობა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება. ღირებულებათა იერარქიის სათავეში ადამიანი დგას, მაგრამ იგი დგას მართლწესრიგზე, რომელიც მისთვის საშუალებაა და არა მიზანი. მიზანი კეთილდღეობაა ყველა ადამიანისა. სამართლებრივი პოზიტივიზმის საფრთხე ამ მიმართებითაც შეიძლება გამოვლინდეს. მართალია, ადამიანი ქმნის მართლწესრიგს, მაგრამ იგი მასვე ემორჩილება. ამდენად, მცდარია აზრი, რომ ადამიანი, როგორც სუბიექტი, მართლწესრიგის ქმნილებაა. იურიდიული პირის მიმართ ეს შესაძლებელია.

ამასთან ერთად, უნდა ვაღიაროთ უფლებათა ისეთი წრეც, რომელიც მართლაც მართლწესრიგის ნაყოფია და რომლითაც შეიძლება ყველა ადამიანი არ სარგებლობდეს.

3.02.2012

სამართლის სივრციდან ამოვარდნილი უფლება

როდის ირღვევა უფლება? მარტოოდენ მაშინ, როცა კანონმდებელი უსამართლოდ ანაწილებს სიკეთეებს და ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას მის გარეშე ტოვებს. მაგალითად, ერთნაირ მდგომარეობაში მყოფ პირთაგან, ერთს უნიშნავს პენსიას, მეორეს კი – არა. როგორც წესი, დისკრიმინაციაზე მაშინ ლაპარაკობენ, როცა სიკეთე, რომელიც უფლების შინაარსი ხდება, ქმედუნარიანია, ე.ი. შესაძლებელია მისი არსებობა უფლების სახით. ბუნებრივია, დისკრიმინაციაში მყოფი სუბიექტის სწრაფვაა თვითონაც შეიძინოს აღნიშნული უფლება და გაუთანაბრდეს თავის სწორს. მაგრამ, რა ხდება მაშინ, როცა კანონმდებელი ისეთი უფლებით აღჭურავს ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას, რომელიც ვერ თავსდება უფლებათა ღირებულებით წესრიგში? ამის მაგალითად მეჩვენება კანონის ნორმა, რომელიც მოსამართლეთა გარკვეულ კატეგორიას სამოსამართლეო ვადის დამთავრებამდე არსებული ხელფასით უზრუნველყოფის გარანტიას აძლევს, თუ იგი სამსახურის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ ნებაყოფლობით უარს იტყვის მოსამართლეობაზე. რა შეუძლია ასეთ შემთხვევაში მოითხოვოს „დისკრიმინირებულმა“ მოსამართლემ? ფორმალური თვალსაზრისით, მასაც შეუძლია იმავე მდგომარეობაში ჩაყენება მოითხოვოს. ეს რომ გააკეთოს, მან უნდა გაარკვიოს, რამდენად ქმედუნარიანია აღნიშნული უფლება. ე.ი. უნდა გაარკვიოს, პასუხობს თუ არა ის უფლების ხასიათს. მოსამართლე, რომელიც კარგად გრძნობს სამართალს, აუცილებლად ჩათვლის ასეთ უფლებას უფლებრივი ცნობიერები-

დან გაუცხოებულად. შესაბამისად, ის ვერ მოითხოვს იმას, რაც სამართალთან დაპირისპირებაშია, რასაც არა აქვს უფლების სახე. საამისოდ არაა საკმარისი, რომ კანონმდებლის ნების ქმნილებაა აღნიშნული ნორმა. როგორც ბევრჯერ უთქვამთ თავად მოსამართლეებს, კანონი კანონისადმი წაყენებულ მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. კანტის ტერმინს მოვიშველიებ და ვიტყვი, რომ ადამიანს სამართლებრივი ღირსება (სინდისი) არ მისცემს ნებას, მანაც იმ მდგომარეობაში ჩაყენება მოითხოვოს, რაშიც მისი კოლეგა იმყოფება. ასეთი უფლებები მართალია კანონითაა დადგენილი, მაგრამ თავად კანონები ვერ პასუხობენ სამართლის მოთხოვნებს. კანონმდებლისათვის კი შემაკავებელი სამართალია. სამართალი კანონზე და კანონმდებელზე მაღლა დგას. ერთადერთი სამართლით შეიძლება შეიბოჭოს კანონმდებელი. მბოჭავი სუბიექტი ჩემს გარეთ უნდა იყოს. მართალია, არც თვითბოჭვა არაა უცხო, მაგრამ ადამიანს ყოველთვის შეუძლია თავის თავს მოერიოს და საკუთარი ნება უარყოს. იძულება, რომელიც გარედან მოდის, ძნელად დასაძლევია. სამართალი სწორედ ასეთი იძულებაა. ის აქცევს ადამიანს ნორმატიული ნების სუბიექტად. კანონმდებლის მიერ მიღებული კანონიც მის გარეთაა. მაგრამ, აქ სხვა მდგომარეობა გვაქვს. სუბიექტი ქმნის იმას, რაც მის გარეთაა. მაგრამ, სუბიექტის გარეთ არის ისეთი ნორმატიული სამყარო, რომელიც მას უპირისპირდება და რომლითაც იგი შებოჭილია. მაინც, რა უნდა მოიმოქმედოს მოსამართლემ, რომელიც თვლის, რომ ასეთი უფლება არ არის არსებობის ღირსი და საფრთხეს უქმნის თვით დისკრიმინაციულ ურთიერთობას? ეს უკანასკნელი მაინც შესაძლებელი ურთიერთობაა. ასეთ შემთხვევაში მოსამართლის უფლება ილახება იმით, რომ ერთი კატეგორიის ადამიანებისათვის უფლება სამართლის სრული იგნორირებით ჩნდება, სხვებისთვის ეს შესაძლებელია მხოლოდ სამართლის ფარგლებში; ერთი რჩება სამართლებრივი სივრცის გარეთ, მეორე – მის შიგნით. მოთხოვნა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი – ყველას უფლების წყაროს წარმოადგენდეს სამართალი.

25.01.2012

სამართლის „სიცოცხლის“ შესახებ

მუდამ ერთი კითხვა გვიტრიალებს თავში: – სამართალი იდეალურია თუ მატერიალური და რა მიმართება უნდა იყოს მათ შორის? ის ხომ სინამდვილის კატეგორიაა და არსებობს არა მარტო იდეა, არამედ ამ იდეის მატერიალური გამოვლინება. სამართლის არსებობის მთელი პროცესი ასე წარმომიდგენია: ჯერ ადამიანის გონებაში ჩნდება იდეა ნორმატიული სინამდვილის შესახებ. ეს იდეა ხან მკაცრად მეტაფიზიკურია და სამართლის საერთო სულიდან მომდინარეობს, როგორც ადამიანთა მოდგმისათვის დამახასიათებელი ბუნებითი თვისება და არის იდეა, რომელიც ამა თუ იმ ხალხის კონკრეტული ცხოვრებისეული რეალობიდან მომდინარეობს. იდეა, როგორი სახისაც არ უნდა იყოს, ვერ გახდება ქმედუნარიანი, თუ ის პოზიტიურ სამართალში არ დაბინავდება. პოზიტიური სამართალი ცნობიერებაში არსებული იდეის მატერიალური გაფორმებაა და მისი ძალის აღიარებაა. მაგრამ აქ არ მთავრდება სამართლის ფორმირების პროცესი. ნორმატიულ აქტებში გამოსახული სამართალი ჯერ კიდევ არაა სამართალი მისი ჭეშმარიტი გაგებით. ნორმატიული ჭურჭელი შეიძლება სამართლის საუკეთესო ნორმებით გავავსოთ, მაგრამ, თუ მისი პრაქტიკული განხორციელება არ მოხდა, ის ვერ იქნება სამართალი. ნორმის სიცოცხლის განმსაზღვრელი ფაქტორი მისი მოქმედებაა. ის, რაც არ მოქმედებს, არც არსებობს, ვინაიდან ყოველივე არსებული მოქმედიცაა. აქ უკვე მთლიანად იშლება ზღვარი იდეათა სამყაროსა და მატერიალურ სამყაროს შორის. ნორმატიული აქტი ხდება სამართლის იდეის ფიქტიური გამოხატულება, მისი აჩრდილი (როგორც პლატონი ამტკიცებ-

და იდეისა და გრძნობადი სამყაროს მიმართებისას). სამართალი მოძრაობაა, ვინაიდან ყოველივე ცოცხალი მოძრავიცაა და იგი მუდამ მიედინება. ნორმა, რომელიც არ მოქმედებს, შეიძლება შევადაროთ ცოცხალი ორგანიზმების იმ ფიტულებს, რომლებიც ანატომიის კაბინეტებშია გამოფენილი. ეს ჰგავს იმ „ადამიანს“, რომელიც უფალმა ტალახისგან გამოძერწა, მაგრამ ჯერ სული არ შთაუბერავს. სულის მიცემის შემდეგ ტალახის ფიგურა ადამიანად იქცევა და სიცოცხლის გამოვლენას იწყებს. სამართლის სული მისი პრაქტიკული მოქმედებაა. უმჯობესია ნორმა საერთოდ არ შეიქმნას, ვიდრე მან არ იმოქმედოს, ვინაიდან ნორმის უსიცოცხლობა თავად ნორმის უარყოფაა. უარყოფაც ორგვარია: ერთი, როცა თავიდანვე ქმედუუნაროდ იბადება და როგორადაც არ უნდა შთაბერო მას სული, ის არ ამოქმედდება. ეს იმიტომ, რომ ის არაა ტალახით ისე გამოძერწილი, როგორც უფალმა გამოძერწა ადამიანი. სული შეიძლება შთაბერო იმას, ვინც მიიღებს მას და, მაშასადამე, ვისთვისაცაა ის განკუთვნილი. არ შეიძლება ადამიანის სული შთაბერო ისეთ სხეულს, რომელიც ვერ იქნება ადამიანი. ასეთი ნორმები უსულო ნორმებია და ცხოვრებისგან გაუცხოებული. ეს კი შეიძლება იყოს კანონმდებლის უპასუხისმგებლობის ან შეგნებული მოქმედების შედეგი; მეორე შემთხვევაში ნორმა მზადაა მოძრაობისათვის (მოქმედებისათვის), მაგრამ მისი გამოყენების პროცესში ის აწყდება მის უარმყოფელ საპირისპირო ნორმებს, რომლებიც დაბრკოლებად იქცევა ამ გზაზე. ბუნებაში ყოველთვის არსებობს ერთი ნორმის საპირისპირო ნორმა. პოზიტიური სამართლის ნორმის ასპარეზი იქაა, სადაც ნაკლები შესაძლებლობებია ასეთი ნორმების არსებობისა. ეს შეიძლება შევადაროთ სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლას. სიკეთე და ბოროტება შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე არაპოზიტიური სამართლის ნორმა. თუმცა, ვამბობთ, რომ პოზიტიური სამართლის ნორმა სიკეთეა და ამ პრეზუმფციას ჩვენი საერთო ნორმატიული ნება უდევს საფუძვლად. ასეთი ნება არაპოზიტიურ სამართალშიცაა, მაგრამ აქ აღნიშნული პრეზუმფცია ვერ იარსებებს. საკმარისია დავუშვათ ის, რომ წაიშლება ზღვარი პოზიტიურ და არაპოზიტიურ სამართალს შორის. ისინი ერთმანეთს აწონასწორებენ.

11.02.2012

სამართალი, როგორც უარყოფის უარყოფა

სამართლის ქმნადობის მთელი პროცესი უარყოფის უარყოფაა. უარყოფის პირველადი დანაწესით მიიღწევა ყოველივე უწესრიგოსა და უსამართლოსაგან ჩვენი დისტანცირება. ნაყოფი ასეთი უარყოფისა წესრიგი და სამართლიანობაა. მაგრამ, რადგანაც ეს უკანასკნელნიც შეფასებითი კატეგორიებია და თავის თავში შეიძლება შეიცავდნენ იმას, რისი უარყოფის შედეგებსაც წარმოადგენენ, ეს სინამდვილე გვაიძულებს მოვახდინოთ უარყოფის უარყოფა და ასე ჩავეძიოთ იმის დანახვას, რაც შემდგომ ნაკლებად ექვემდებარება ამ კანონს. ეს პროცესი შეიძლება შევადაროთ ადამიანის ორგანიზმს, რომელიც მუდმივ მკურნალობას და განახლებას (ცვლილებას) განიცდის. ყოველივე ამას ყველაზე სრულყოფილად ესწრაფვის სამართლებრივი ეგზისტენციალიზმი, რომელშიც მე ვხედავ საგანთა ჭეშმარიტი ბუნების შემეცნების გზას. ასეთი მიდგომის საფუძველზე ჩვენ მოგვიწევს უარყოფის გზით სიარული. ის, რაც უარყოფით დაფუძნდა, უარყოფითვე უნდა განმტკიცდეს. სამართლებრივი სინამდვილეც მუდმივ გაწმენდას საჭიროებს. შეიძლება ეს არც იყოს გაწმენდა და შეიძლება წარმოადგენდეს სიკეთეთა ცხოვრების წესს. ნუ ვიფიქრებთ, რომ უარყოფის უარყოფის მუდმივი პროცესით ჩვენ სამართალს უარვყოფთ. პირიქით, ესაა ნამდვილი სამართლის ძიების მუდმივი პროცესი, რისი მიზანიცაა ის, რომ სამართალი მუდმივად სიცოცხლისუნარიანი, ცხოვრებისაგან გაუცხოებას მოკლებული იყოს. მე ერთხელ ვთქვი, რომ სამართალს ლაპარაკი რომ შეეძლოს, თვითონ შესთხოვდა ადამი-

ანს უარყოფას. ეს იმიტომ, რომ არ შეიძლება ამქვეყნად უფლის გარდა რაიმეს ჰქონდეს აბსოლუტურობის პრეტენზია. მკრეხელობა იქნება და საკუთარი თავის უარყოფა, ადამიანი ასეთი პრეტენზიით მოვიდეს. ეს იქნება ცხოვრების დინების გაყინვა. არ შეიძლება დიდ მდინარეს ხედავდე და ვერ ამჩნევდე იმ ნაკადულებს, რომლებითაც ივსება ეს მდინარე. უარყოფის უარყოფა კი გვაძლევს ამ ნაკადულების დანახვის შესაძლებლობას, რითაც კიდევ უფრო სრულყოფილად შეიმეცნება თავად დიდი მდინარე. კანონმდებელი თვითონაც უნდა გრძნობდეს ამას. მაგრამ, საუკეთესო ადგილი მისი დანახვისა, ესაა ყოველდღიური პრაქტიკა, როცა პოზიტიურ სამართალს შეხვედრა უწევს სხვადასხვა აზრისა და იდეის მქონე ადამიანებთან, სხვადასხვა შემთხვევასთან, გრძნობებთან. ნამდვილი სამართალი ისაა, რომელიც ამ გარემოებებს სწორად შეაფასებს. სამართლის ენა თავად ადამიანია. ვინც იყენებს სამართალს და ამისი ფორმალური უფლებამოსილება გააჩნია (მოსამართლე), მან უნდა შეძლოს არა მარტო დიდი მდინარის ტალღებში ცურვა, არამედ პატარა შენაკადებში შესვლაც და იქიდან შემეცნება ცურვის ხელოვნებისა.

14.02.2012

ეთიკური და სამართლებრივი ვალდებულების გამიჯვნა (კანტის გამო)

კანტი ერთმანეთისგან მიჯნავს სამართლებრივ და ეთიკურ ვალდებულებას. სამართლებრივი ვალდებულება ჩემგან გარეგანია, ეთიკური კი – შინაგანი. ეს ნიშნავს იმას, რომ სუბიექტს სამართლის ხმა გარედან ჩაესმის, ეთიკისა კი – სუბიექტის შინაგანი ხმაა. ერთიც და მეორეც სუბიექტს ავალდებულებს. როცა სამართლებრივ ვალდებულებას ეთიკური ვალდებულების შეგნებაც ემატება, ეს ქმნის მისი მშვიდობიანი შესრულების გარანტიას. თუმცა, ვალდებულება იძულების დახმარებით მაშინაც სრულდება, როცა სუბიექტი ფიქრობს, რომ იგი არაა სამართლებრივად ვალდებული. ეთიკური ვალდებულება ადამიანის პიროვნულობასთანაა დაკავშირებული. მე შეიძლება სამართლებრივად ვერ მაიძულონ შესრულება, მაგრამ ეთიკურად მაინც ვალდებული ვრჩები. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს სამართლებრივ ვალდებულებას, მაგრამ რჩება ეთიკური ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობა მხოლოდ ეთიკური შეფასების საგანია. ეთიკური ვალდებულების სამართლებრივი ვალდებულებით „დატვირთვაც“ შეიძლება. საჩუქრის უკან გამოთხოვის მაგალითს მოვიშველიებ. მისი დაბრუნების ვალდებულება ეთიკურიცაა და სამართლებრივიც. სამართლებრივი ნორმა რომ არ არსებობდეს, მაინც იარსებებდა ეთიკური ნორმა. ზოგიერთ ეთიკურ ნორმაში იმდენად ძლიერია შესრულების შინაგანი იძულება, რომ ის გარეგანი იძულების ეფექტსაც იწვევს ყოველგვარი საკანონმდებლო ნორმის გარეშე. იმდენად ძლიე-

რია ეთიკური „აფეთქების“ ეს გარეგანი ეფექტი, რომ ის ხდება არაპოზიტიური სამართლის ნორმის წყარო. ამიტომაც, კონკრეტული კანონის ნორმის არარსებობის პირობებში, სწორად უნდა ჩაითვალოს საჩუქრის უკან გამოთხოვა უმადური დასაჩუქრებულისაგან. აქ ის შემთხვევაა, როცა ჩემი შინაგანი ვერ ეტევა ჩემში, ჩემ გარეთაც გამოდის და ქმნის შესრულების ორჯერადი იძულების მდგომარეობას. ჩემ თავს მართავს შინაგანი იძულება, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ ჩემ გარშემო ქმნის იძულების სამართლებრივ სარტყელს ყოველგვარი საკანონმდებლო შემოქმედების გარეშე. ამ დროს ეთიკური ვალდებულება ეხვევა სამართლებრივ სამოსელში, რომლის შემეცნება სამოსამართლეო სამართლის საქმეა.

14.02.2012

სანივთო უფლების კავშირი სავალდებულობასთან

როგორ გავიგოთ პირის ურთიერთობა ნივთთან, არის კი ეს სამართლებრივი ურთიერთობა? ნივთი ხომ ობიექტია და არა სუბიექტი. სამართლებრივი ურთიერთობა ყოველთვის გულისხმობს სუბიექტთა შორის ურთიერთობას. ნების აქტის გარეშე არ არსებობს ეს ურთიერთობა. უფლებები ამ ურთიერთობის შიგნითაა. აღიარებული აზრია, რომ სანივთო უფლება ნივთთან დაკავშირებული უფლებაა. მაშასადამე, მასში მოიაზრება ის ქმედებანი, რაც შეიძლება მე განვახორციელო მოცემული ნივთის მიმართ. ნივთი უფლების წყალობით ექცევა ჩემი ძალაუფლების ქვეშ. როცა ვამბობთ, რომ აქ სახეზეა პირის ნივთთან ურთიერთობა, ეს არაა თავისი ტრადიციული გაგებით სამართლებრივი ურთიერთობა. ესაა სამართლებრივი ურთიერთობით განპირობებული უფლებრივი მდგომარეობა. აქ სამართლებრივი ურთიერთობა შეუძლებელია, ვინაიდან ნივთის მიმართ ვერ გამოვიყენებთ სავალდებულობის ელემენტს, როგორც ამას ამტკიცებს კანტი. სავალდებულობა პირთა შორის ურთიერთობისათვისაა დამახასიათებელი. აქაც კანტი მას განიხილავს არა რელატიურობის კონტექსტში, არამედ აბსტრაქტულობის ჭრილში. კერძოდ, სავალდებულობა ყველას ეხება ჩემთან მიმართებაში. ეს უკვე სამართლებრივი ურთიერთობაა, კერძოდ, აბსოლუტური. გამოდის, რომ აქაა ის სიკეთე, რომლის გამოც უნდა დამყარდეს ეს ურთიერთობა. ასეთი სანივთო უფლებაა. ისევ კანტის იდეებიდან თუ ამოვალთ, ეს იქნება ყველას მხრიდან ჩემი უფლების აღიარება. რახან ჩვენ ყველამ ვაღიარეთ თქვენი უფლება, მა-

შასადამე, ჩვენ ყველა ვალდებული ვართ პატივი ვცეთ მას, რაც გამოიხატება თავშეკავების ვალდებულების განხორციელებაში. სწორედ აქაა სავალდებულობის ელემენტი დამარხული. მე რომ გამაჩნია საკუთრების უფლება, ეს ჩემი ბუნებითი მდგომარეობაა. ყველა სხვას მის მიმართ მხოლოდ თავშეკავების ვალდებულება ეკისრება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ, თუ ჩვენ თავს შევიკავებთ, საკუთრების უფლების განხორციელება მოხდება. ასე, ცხადია, არაა. მესაკუთრემ ნივთთან მიმართებით რაიმე ქმედებები რომ განახორციელოს, ყოველთვის არაა საჭირო სხვა პირებთან ამ მიზნით რელატიური ურთიერთობის დამყარება. მაგალითად, ასე მოვიხმართ პირადი დანიშნულების ნივთებს, მაგრამ, თუ გადავწყვეტთ მის გაყიდვას, აქ უკვე საჭირო იქნება ურთიერთობის დამყარება. მოკლედ, საკუთრების უფლება ორივე შესაძლებლობას მოიცავს და ისინი რომ განხორციელდეს, ყველა ეს ვალდებულებაა საჭირო.

15.02.2012

ჩემგან გარეგანის თვისება ჩემთან მიმართებით (კანტის გამო)

როცა ვამტკიცებთ, რომ სამართალი ჩვენს გარეთაა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენსა და მას შორის გაუცხოებაა. რადგანაც „ჩვენ“ გულისხმობს ორგანიზებულ კოლექტიურ სუბიექტსა და ნებას, რომლის შიგნითაც არსებობს ყოველი ინდივიდუალური სუბიექტი და ინდივიდუალური ნება, ის, რაც ჩვენს გარეთაა, ჩვენი ხდება ჩვენგან გამიჯნულ მდგომარეობაში. სამართალი ვერ გახდება ჩვენი, თუ ის ჩვენთან ჩვენგან გაუცხოებული სახით მოვა. მაშასადამე, სამართალი უნდა შეეწყოს ჩვენი ცხოვრების წესს. ეს ნიშნავს იმასაც, რომ ჩვენ უნდა მოვერგოთ სამართლით განპირობებულ ცხოვრებას. ვინაიდან სამართალი გარეგანია და აუცილებელი ტვირთია ყოველი სუბიექტისათვის, ის ისეთი უნდა იყოს, რომ ადამიანმა შეძლოს მისი ტარება. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როცა ადამიანი და სამართალი ერთად მიაბიჯებენ ცხოვრების გზაზე და თუ სადმე გაუჭირდება ადამიანს, სამართალი გამწევი ძალის ფუნქციას შეასრულებს. ეს ისეთი მოძრაობაა, როცა არც ადამიანი უნდა ჩამორჩეს სამართალს და არც სამართალი ადამიანს. ადამიანი სამართალს ვერ გაუსწრებს, სამართალმა კი შეიძლება გაუსწროს ადამიანს. ეს წინსწრება ისეთი უნდა იყოს, რომ ამით ის გზას უნათებდეს ადამიანს, რაც მაშინ ხდება, როცა ადამიანიც და სამართალიც ერთ დროში მოძრაობენ, ანდა, ახალი დროის კარიბჭესთან მიმდგარი ადამიანი ახალ დროში გადაჰყავს სამართალს. საკმარისია სამართალი დროში დაშორდეს ადამიანს, რომ ადამიანი დარჩება

მარტოსული ქაოსის წინაშე. როცა ვამბობთ, რომ სამართალი ჩვენი გარეგანია, ეს ნიშნავს იმას, რომ სამართალი, „ადამიანთა მიზიდულობის“ კანონის საფუძველზე, გონივრულ დისტანციაზეა ჩვენთან. საკმარისია დაიკარგოს დისტანციის შეგრძნება, რომ ის ვეღარც გარეგანი იქნება და გადაიქცევა ღირებულებითი ელემენტებისგან დაცლილ უხეშ ძალად. ეს უკვე ადამიანის მიტოვებაა სამართლისგან, სამართლის წართმევაა. ეს სინამდვილე შთაგვაგონებს, რომ სამართლის ქმნადობისას გვქონდეს როგორც დროის შეგრძნება, ისე სუბიექტის მზაობა მიიღოს სამართალი (მისთვის დამახასიათებელი თვისებებით, რაშიც იძულების ელემენტიცაა). მაშასადამე, სამართალი, რაც ჩემს გარეთაა, ჩემი შესაძლებლობებითაა დეტერმინირებული. ამ ფაქტორის უგულებელყოფა გამოიწვევს ჩემსა და ჩემს გარეგანს შორის გაუცხოებას. გაუცხოების შედეგი კი იქნება უწესრიგობა. სამართლის მიზანი ხომ მშვიდობაა, როგორც ამას ამტკიცებდა იერინგი. რაგინდ თავმომწონე და კეთილი მიზანიც არ უნდა არსებობდეს, სამართალსა და ადამიანს შორის არსებული ჰარმონიის დარღვევა არ შეიძლება. როგორც ხე ვერ გაიხარებს უვარგის ნიადაგში, ისე სამართალი ვერ ისამართლებს იმ ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც არაა საამისოდ მზად. როცა დგინდება რაიმე ახალი წესი, ამ მიმართების გათვალისწინება აუცილებელია. კანონმდებელი კარგად უნდა გრძნობდეს დროსა და სივრცეს, ვინაიდან, როგორც პოზიტივისტები ამტკიცებენ, ყოველი სამართლებრივი ნორმა აღნიშნული გარემოებების პროდუქტია. ამდენად, ჩვენგან გარეგან მოვლენას მხოლოდ მაშინ აქვს არსებობის უფლება, როცა ის შეესაბამება ჩვენს ბუნებას, ვინაიდან ის ჩვენთვის იქმნება. ამდენად, სამართალი – ესაა: ჩვენგან გამომდინარე, ჩვენგან გარეგანი, ჩვენთვის არსებული, ჩვენი ბუნების შესატყვისი სიკეთე.

16.02.2012

პიროვნებისა და სახელმწიფოს მიმართება

ადამიანს მუდამ აწუხებდა ერთი კომიკური კითხვა: სახელმწიფოა უმაღლესი ღირებულება თუ თვითონ? ამას მოჰყვება მეორე კითხვა: – არსებობს კი სახელმწიფო ადამიანის გარეშე? ცხადია, არა. მაშასადამე, სახელმწიფო ადამიანებმა შექმნეს თავიანთი კეთილდღეობისათვის. ე.ი., სახელმწიფო ყოფილა საშუალება ადამიანის ხელში. მაგრამ, მარტო ეს ფუნქცია არა აქვს სახელმწიფოს. სახელმწიფო ადამიანთა ორგანიზაციის ფორმაა, რომელშიც ადამიანი თავის თავს ავლენს როგორც მოწესრიგებული, ცხოვრების გარკვეულ წესს დაქვემდებარებული სუბიექტი. სახელმწიფო თითოეული ადამიანის თავისუფლებას ზღუდავს, კანტის სიტყვებით, თავისუფლების საყოველთაო კანონით. ეს კანონი სახელმწიფოს შექმნით დგინდება და ადამიანთა ნებისმიერი მოქმედების საზომი ხდება. თავისუფლების შეზღუდვაში ვლინდება ადამიანური მოქმედების ნამდვილი თავისუფლება. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ადამიანი, როგორც სამართლის სუბიექტი, სწორედ ასეთი თავისუფლების პირობებში ჩნდება. ისევ კანტის ფილოსოფიაზე დაყრდნობით ვიტყვი, რომ ეს თავსდება ურთიერთმხრივი იძულების ფარგლებში. ჩემი შეზღუდვა თქვენი იძულების გამოვლინებაა, თქვენი შეზღუდვა კი ჩემი იძულების გამოვლინებაა. ორმხრივი იძულების კანტისეული საყოველთაო კანონის მოქმედების სივრცეში ვიმყოფებით ნებისმიერი ადამიანი. ასეთი კანონი შეიძლება მოქმედებდეს სახელმწიფოში. წინარესახელმწიფოებრივ ხანაშიც იყო მისი გამოვლინებანი, რომლებიც ემყარებოდა საზოგადოებაში გაბატონებულ წეს-ჩვეულებებს. ისევ დასმულ კითხვას ვუბრუნდე-

ბი – რომელია უმაღლესი ღირებულება? თუ არ ვცდები, ჰეგელს უთქვამს, რომ ასეთია სახელმწიფო. თუმცა, რენესანსიდან მოკიდებული განმანათლებლებით დამთავრებული, ადამიანია წინა პლანზე წამოწეული. ყოველივე, რაც ჩემ გარშემო არსებობს, ჩემთვის საშუალებანია ჩემი თავის შესაცნობად. სახელმწიფოც საშუალებაა და მის შუაგულში დგას ადამიანი. მთელი ეს მანქანა არსებობს იმისთვის, რომ ადამიანს შეუქმნას თავისი ადამიანურობის გამოვლენის ასპარეზი. სახელმწიფო არ უნდა გავიგოთ, როგორც მდინარის გაღმა არსებული დაწესებულება. სახელმწიფო ჩვენთან ერთადაა და თუ სახელმწიფო რაიმეს გვაიძულებს, ეს თვითიძულებაცაა. ეს აზრი ანგრევს ცალკეული ადამიანის წარმოდგენას იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო პიროვნებასთან დაპირისპირებული დაწესებულებაა. სახელმწიფო ჩვენთან ერთადაა მთელი მისი მექანიზმით, როგორც რეპრესიული ორგანოებით, ისე საზოგადოებრივი ინსტიტუტებით. ამიტომაცაა, რომ ნაკლებად შესაძლებელია მისი დაპირისპირება ჩვენთან. თუ ეს მოხდება, გამოდის, რომ ის, რასაც ჩვენ სახელმწიფოს ვუწოდებთ, აღარაა სახელმწიფო, ვინაიდან ის დაშორებულა ცალკეულ ადამიანს. ასეთ ვითარებაში სახელმწიფომ შეიძლება ადამიანებს თავს მოახვიოს ისეთი სამართალი, რაც არცაა სამართალი თავისი ჭეშმარიტი გაგებით. ამ დროს ადამიანები იქცევიან სახელმწიფოს ნების ინსტრუმენტებად, მისი ბოროტი ზრახვების შესრულების იარაღად.

ყოველივე ეს მაძლევს იმის იმედს, რომ სახელმწიფო მოვიაზრო ჩემგან გაუცხოებამოკლებულ დაწესებულებად. თუ ადგილი აქვს გაუცხოებას, ესეც საკუთარ თავთან გაუცხოება იქნება, ვინაიდან არ შეიძლება ჩემთან დაპირისპირებად მივიჩნიო ის, რაც ჩემ მიერაა შექმნილი და რომლის ნებაც ჩემი ნებაა. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, არც ესაა გამორიცხული და ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო არ იქნება სახელმწიფოს ნიშნის მატარებელი. მე არ მინდა იმის თქმა, რომ სახელმწიფო პიროვნებაში შთანთქმულია და მას ვერ მოვიაზრებთ დამოუკიდებელ სუბიექტად. არის ჩემგან გამიჯნული სუბიექტი, როგორც კანტი იტყოდა, ჩემგან გარეგანი, მაგრამ ის ჩემთვის არსებობს და მე მის გარეშე ვერ ვიქნები ის, რაც ვარ. მაშასადამე, სახელმწიფო მონაწილეობს ჩემს ფორმირებაში. ეს ასეცაა. ნუ წარმოვიდგენთ, რომ ჩვენ დავასრულეთ სრულყოფის პროცესი და სახელმწიფოს

ვქმნით მხოლოდ სიკეთეთა გადანაწილების მიზნით. ეს პროცესი ასეთია: ადამიანი ქმნის სახელმწიფოს, სახელმწიფო – პიროვნებას. სახელმწიფო ადამიანის ხელში საშუალებაა თვითრეალიზაციისა. სახელმწიფო ადამიანებს ასწავლის როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური თანაცხოვრების წესებს, იმას, თუ როგორ უნდა შეუთავსონ ადამიანებმა საკუთარი „მე“ ყველას – „ჩვენს“. აი, აქ მოქმედებს თანაზომიერების მარადიული კანონი. ის წააგავს ადამიანის გაწონასწორებულ წნევას, რაც ჯანმრთელობის აუცილებელი ნიშანია. ადამიანი წნევის მოშლასაც უძლებს, მაგრამ მას ყოველთვის ტკივილები და განცდები ახლავს. როცა წნევათა შორის დიდი სხვაობაა, ეს საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს. იგივე შედეგს იწვევს წნევათა დაახლოებაც. ასეა სახელმწიფოშიც. როცა კერძო და საჯარო ინტერესთა წონასწორობა ირღვევა ორივე მიმართულებით, კერძოდ, როცა ეს ინტერესები შორდებიან ერთმანეთს, ან ძალზედ უახლოვდებიან, ამას შედეგად მოსდევს ინტერესთა აფეთქება და, შესაბამისად, სახელმწიფო და ადამიანები საფრთხის ქვეშ ვარდებიან.

როგორც ითქვა, სახელმწიფო, რომელიც მაღალი ღირებულებების მატარებელია, თვითონ წარმოადგენს ადამიანთა კულტურული განვითარების საშუალებას და მათი ღირებულებითი კვების იარაღს. როგორც დედა კვებავს თავის მცირეწლოვან შვილს, ისე კვებავს სახელმწიფო იმ ადამიანებს, რომლებიც ამას საჭიროებენ. გარდა ამისა, სახელმწიფო სამართლის ძალით ადამიანებს აჩვევს მოწესრიგებული ცხოვრების აუცილებლობას და ბევრი სხვა სიკეთე მოაქვს. მოკლედ, დემოკრატიული სახელმწიფო ადამიანთა კარგი აღმზრდელია. ის მაშინ შეასრულებს ამ ფუნქციას, როცა მორალურადაა უფლებამოსილი ამაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო თვითონ იქნება მაგალითი იმ ქცევებისა, რასაც ის ადამიანებს სთავაზობს. ქურდიც დაინტერესებულია, რომ მისი შვილი პატიოსანი გამოვიდეს, მაგრამ ამას იგი ისე ვერ მიაღწევს, როგორც პატიოსანი ადამიანის შვილი. მაშასადამე, სახელმწიფო ფასეულობაა, მაგრამ არა უმაღლესი. ის, რაც ადამიანის გარეთაა, არაფერი არაა მასზე მეტი. ერთადერთი, რაც ადამიანს აღემატება, მის გარეთაცაა და მასშიცაა, ესაა უფალი ღმერთი.

17-18.02.2012

ზოგადად სამართლის შეგრძნების შესახებ

სამართლის შეგრძნება სამართლის შემეცნების აუცილებელი პირობაა. შეგრძნების გზით ადამიანი სამართალს განიცდის სიკეთედ. არ არსებობს სინამდვილე, რომელიც არ შეიგრძნობა. იდეათა სამყაროსაც მე შეგრძნებებით ვაცნობიერებ. გონება სინამდვილის წარმოსახვის უნარს მაძლევს. ამ სინამდვილის შეგრძნებით კი ხდება მისი განცდა და ამგვარად წარმოსახვა. მშრალი, აბსოლუტური გონით შეუძლებელია სინამდვილის სურათის შემეცნება. გავხედოთ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ფაქტებს. როცა ჩვენ სამართლის იდეის ამა თუ იმ შემთხვევაზე ვსაუბრობთ, მას ვხედავთ არა მარტო როგორც ნორმატიულ-აქსიომატურ მოცემულობას, არამედ, იმავდროულად, ვგრძნობთ მას, პრაქტიკული გონიერების კუთხით ვიმეცნებთ. ეს კი სამართლის შეგრძნებაა. გონებით მოვლენის ჭვრეტა ყველა შემთხვევაში ამ მოვლენის შეგრძნებით სრულდება. ცხადია, ყველა სინამდვილის ასე წარმოდგენა შეუძლებელია. მაგალითად, მათემატიკურ ჭეშმარიტებას, რომ ორჯერ ორი ოთხია, არავითარი შეგრძნება არ ახლავს. სოციალური მოვლენები კი შეგრძნებებით აღიქმება. მაგალითად, როცა კერძო სამართალში ლექციას ვკითხულობ, წინ წარმომიდგება ცხოვრება, სამოქალაქო ბრუნვა, მისი მონაწილეები და ამ ურთიერთობის მთელი მდინარება. მე მას ისევე შევიგრძნობ, როგორც მატერიალური სამყაროს მოვლენებს. ჩემთვის ერთმანეთისგან არ განსხვავდება იმ მდინარის შეგრძნება, რომელსაც მე მის ნაპირთან დგომით შევიგრძნობ, სამოქალაქო ბრუნვის შეგრძნებისგან, რომელსაც ამ მდინარის ანალოგიურად

წარმოვიდგენ. მდინარის წარმოსახვას მასში მობანავე ადამიანების წარმოსახვა მოჰყვება თან, როცა სამოქალაქო ბრუნვის მდინარეში მე უფლებებისა და მოვალეობების დინებას ვხედავ. როგორც ნაპირიდან შემიძლია შევცურო ამ მდინარეში და გონითი შემეცნებიდან პირდაპირ გადავეშვა ემპირიულ-ნატურალისტური შეგრძნების სივრცეში, ასევე შემიძლია უშუალოდ შევიდე სამოქალაქო ურთიერთობებში და წარმოსახვითი შეგრძნებებით მოცემულ რეალობას მივცე ნატურალისტური ელფერი. ამგვარად, ნებისმიერ საგანზე ჭეშმარიტი ცოდნის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ გონებით წარმოსახული საგნის შეგრძნებით. მე ეს მსჯელობა იმისთვის დამჭირდა, რომ ვაჩვენო სამართლის ფასეულობის განცდა. მაშასადამე, სამართალი, როგორც ფასეულობა, მე უნდა განვიცადო მანამდე, ვიდრე განკერძოებულად ჩემთან მიმართებით მოხდება მისი გაცნობიერება. როგორც ჯანსაღ, ეკოლოგიურად სუფთა ჟანგბადს შევიგრძნობ, ასე უნდა ვგრძნობდე სამართლის ფასეულობით მდგომარეობას. შეცდომა იქნება იმისი თქმა, რომ ჩვენ ქვეყანაში არსებულ სამართალს მხოლოდ გონებით ვხედავთ. ჩვენ მას შევიგრძნობთ ისევე, როგორც სითბოსა და სივრცეს.

18.02.2012

სამართლის შეგრძნება მის მოქმედებაში

ახლა, რაც შეეხება სამართლის შეგრძნების იმ სტადიას, რომელსაც ჩვენ ვეძახით ცდას, იგივე მის რეალურ მოქმედებას. აქ სხვა მდგომარეობა გვაქვს. შემეცნების პროცესში წინა პლანზე დგება სამართლის მატერიალისტური მხარე. შესაბამისად, სამართალი, რომელიც საზოგადოდ იდეის ან პოზიტიური სამართლის სახითაა, იწყებს რეალურ მოქმედებას და მისგან გამომდინარე შედეგებით აისახება ჩვენს ცნობიერებაში. მე მახსენდება სასამართლო პროცესები, როცა დაინტერესებული მხარეები ან ოვაციებითა და ტაშით ხვდებოდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ანდა მწუხარებითა და ცრემლით. ორივე შემთხვევაში ადამიანები სამართალს გრძნობდნენ, როგორც რეალურად მოქმედ ძალას, რომელსაც შეეძლო ცხოვრებაში ცვლილებების შეტანა. აქ ისეთი სიტუაციაა, როცა გონითი და გრძნობითი მომენტები ერთ ორგანიზმად იკვრება და ადამიანთა ცხოვრების მმართველი ხდება. არ არის აუცილებელი, რომ ამის განსაცდელად თითოეულმა ადამიანმა უშუალოდ გამოსცადოს სამართლის მოქმედების ძალა. საკმარისია, ყველა გრძნობდეს, რომ სამართალი გაქვავებულ მდგომარეობაში კი არ არის, არამედ ცოცხალი ორგანიზმივით მოქმედებს. წყლის გემოს ვერ გაიგებ, თუ თვითონ არ დალიე წყალი, მაგრამ სამართლის ძალის შეგრძნება მაშინაც შეგიძლია, როცა შენმა ახლობელმა იწვნია მისი ეფექტი. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც სამართალი, რომელიც, კანტის აზრით, ჩემი გარეგანია, ყველაზე მეტად მიახლოვდება და ჩემი, როგორც სამართლის სუბიექტის, არსებობის ფაქტორი

ხდება. ის, მართალია, ვერ შეიჭრება ჩვენს შინაგან სუბსტანციაში, რომელსაც პიროვნულობა ჰქვია, მაგრამ მისი დაცვის გარანტი ხდება. ამას ნებისმიერ შემთხვევაში აქვს ადგილი. მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენ სამართალი სილას გაგვაწნის თუ მოგვეფერება და საჩუქრით დაგვაჯილდოვებს. ორივე შემთხვევაში, იმის მიუხედავად, ეთიკურად როგორ აღვიქვამთ მას, ჩვენ ვგრძნობთ სამართლის ცხოველმყოფელობას. ჩვენ მას აღარ აღვიქვამთ, როგორც უსულო საგანს, სამართალი ჩვენ თვალწინ წარმოჩნდება, როგორც არსების მსგავსი მოვლენა, რომელსაც ვერავინ ვერ იმორჩილებს, თვითონ კი მბრძანებლობს ყველაზე. ჩვენთან მისი გნოსეოლოგიური კავშირი არ გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ ვმართავთ მას. მშობელი, რომელიც აჩენს შვილს, მით უფრო კარგავს მასზე ძალაუფლებას, რაც უფრო იზრდება შვილი. მაგრამ, თავიდანვეა მოცემული აქსიომა, რომ შვილი მშობლებისგან თავისუფალია. ასევეა სამართლის ვითარებაშიც. ჩვენ კი არ გვემორჩილება სამართალი, არამედ ჩვენ ვემორჩილებით მას. აქ ვლინდება სამართლის უმაღლესი ღირებულებითი მომენტი. ამ საკითხზე ბევრჯრ გვექნება საუბარი. ახლა ისევ მოვუბრუნდეთ სამართლის შეგრძნებას. როგორც ვთქვით, მას ის ადამიანიც შეიგრძნობს, რომელმაც პროცესი წააგო. ამ შემთხვევაში სამართლის შეგრძნება არ არის დამოკიდებული, მე მას ვაღიარებ, ვცნობ თუ არა, მთავარია, რომ მე განვიცადე მისი ძალა. აღიარებაზე რომ იყოს დამოკიდებული, მაშინ ის, რასაც არ ვაღიარებ, არც იქნება სამართალი. თუ ასე შევხედავ საკითხს, მაშინ იმისი უარყოფაც მომიწევს, რომ მე ვარ გარკვეული საზოგადოების წევრი. სანამ აქ ვდგავარ, მე სხვაგვარად არ ძალმიძს. აქ ყოფნა მე მავალდებულებს ვაღიარო სამართლის ძალა. ზემოთ აღვნიშნე, რომ ეთიკურად ვერავინ მაიძულებს ვაღიარო ეს ვალდებულება, მაგრამ სამართლებრივად ეს იძულება აუცდენელია. შეიძლება რაიმეს მე შინაგანად არ ვაღიარებდე, მაგრამ მაინც ვასრულებდე იმიტომ, რომ სხვების წინაშე ვარ ვალდებული ასე მოვიქცე. მოკლედ, პრაქტიკა, როგორც საერთო სამართალში იტყვიან, ესაა სამართლის ჭეშმარიტი შემეცნების წყარო.

19.02.2012

სამართლის განცდა სისტემებში

განსხვავებულია სამართლის განცდის ხარისხი ევროპულსა და საერთო სამართალში. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ყალიბდება ამ სისტემებში სამართალი. მე არ ვეხები სამართლის იდეალურ მდგომარეობას, რომელიც ყველა სისტემაშია და აბსოლუტური იდეის სახით არსებობს. საინტერესოა იმ სამართლის წარმომავლობა, რომელთა ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან ადამიანები ყოველდღიურად. ერთ შემთხვევაში სამართალს პარლამენტები ქმნიან და როგორც სანერგეში გამოყვანილ მცენარეებს, სათანადო ადგილს მიუჩენენ. ზოგი ნერგი გაიხარებს, ცხადია, ზოგი – არა, რაშიც მნიშვნელოვანია ნიადაგის, კლიმატის და სხვა აგროპირობების სწორად შერჩევა. ასევეა კანონმდებლობაში. კანონი ვერ გაიხარებს, თუ ის დროის, პირობების, ურთიერთობებისა და სუბიექტებისგან გაუცხოებული იქნება. შეიძლება ზომიერმა ძალდატანებამ მოგვცეს სათანადო ეფექტი, მაგრამ, უფრო მნიშვნელოვანია გაუცხოების მომენტს არ ჰქონდეს ადგილი. პოზიტიური სამართლის ნაკლი ყველაზე მეტად თავს იჩენს დაბალი საკანონმდებლო კულტურის პირობებში, სამართლისადმი ფეტიშისტური მიდგომის შემთხვევაში. დაბალი საკანონმდებლო ტრადიციების ქვეყნებში ადვილი შესაძლებელია, რომ კანონმდებლობა გაუცხოებული იყოს ცხოვრებისაგან. აქ ურთიერთუარყოფის კანონი მოქმედებს. კერძოდ, კანონმდებლობა უარყოფს ცხოვრებას, თავის მხრივ, ცხოვრება უარყოფს კანონმდებლობას. ამის შედეგი კი უწესრიგობა და ანარქიაა. ადვილი შესაძლებელია, რომ კანონმდებელი ეცადოს,

ცხოვრება ძალდატანებით შეაგუოს, მოარგოს კანონმდებლობას. არც ამას გამოვრიცხავთ ცალკეულ შემთხვევებში (ზემოთ გვქონდა ამაზე საუბარი). მოკლედ, პოზიტიური სამართლის პირობებში ცხოვრება შეიძლება გახდეს უაზრო ექსპერიმენტის ობიექტი. ეს რომ არ მოხდეს, პოზიტივისტი სამართლის ნორმას ცხოვრებაში უნდა ხედავდეს. ამ შემთხვევაში სამართლის შეგრძნება მართლაც ისეთი იქნება, როგორც ჩემთვის შექმნილი ჩემგან გარეგანი სიკეთისა.

სხვაგვარადაა საქმე პრეცედენტებში. აქ იშვიათად იყენებენ კანონმდებლის სანერგეში გამოყვანილ ნერგებს. სამართალი ყოველდღიური ცხოვრებისეული პრაქტიკის შედეგია. ის სიცოცხლისუნარიანია, ვინაიდან გამოყენებას ექვემდებარება ის ნორმები, რომლებიც ყველაზე ჯანსაღად გამოიყურებიან და ყველაზე ადეკვატურად ასახავენ ცხოვრების ფილოსოფიას. ამიტომაცაა, რომ რამდენიმე საუკუნის პრეცედენტები ახლაც სამოქმედო სამართალს წარმოადგენენ საერთო სამართალში. ასეთი სამართლის შეგრძნება უფრო ძლიერია, ვინაიდან ასეთი გარეგანი ყველაზე ახლოსაა ჩემთან. მე არ მინდა ისე გამომივიდეს, რომ პოზიტივიზმის უარყოფას ვაპირებდე, მაგრამ მხარდასაჭერია ისეთი სამართალი, რომელიც შეხამებული იქნება პრეცედენტებთან. თანამედროვე მიდგომებიც აქეთკენაა მიმართული. სამართალი და ცხოვრება ერთმანეთის განმსაზღვრელ ფაქტორებად გვევლინებიან.

19.02.2012

სამართლებრივი ცინიზმი

ამჯერად მინდა შევეხო საკითხს, რომელსაც მე ვუწოდებ სამართლებრივ ცინიზმს. მის სუბიექტს წარმოადგენს არა კერძო პირი, არამედ საჯარო დაწესებულება. ცინიზმი გულისხმობს ადამიანური ღირებულებებისადმი აგდებულ დამოკიდებულებას, იმ ღირებულებებისადმი, რაც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს. ესაა სამართლისადმი გაუცხოებული დამოკიდებულება. კერძოდ, სამართლად ისეთი ჩემგან გარეგანი მიიჩნევა, რომელიც შეუძლებელია ჩემთვის რაიმე ფასეულობას წარმოადგენდეს. ერთ შემთხვევაში ხდება სინამდვილის ისეთი ფორმით გამოხატვა, თითქოს ის რაიმე ფასეულობას წარმოადგენდეს. ეს იმ შემთხვევას მაგონებს, როცა ფიზიკურად უშნო ადამიანს გვაცნობენ, როგორც სილამაზით აღსავსეს. ის, რაც ჩემთვის ზიანის მომტანია, წარმოჩენილია, როგორც სარგებლის მომტანი, რაც ბოროტებაა, სიკეთედაა მიჩნეული. თუ ყოველივე ამას ჩვენ ვუწოდებთ სამართალს და კანონმდებლის ენაზე ის სამართალია, მაშინ გამოდის, რომ ის, რაც ჩემი გარეგანია, ჩემთან დაპირისპირებაში ყოფილა და ჩემს თავს ეწინააღმდეგება. გამოდის, რომ ასეთი „სამართალი“ გაუცხოებაშია ჩემს შინაგანთან, რაც ჩემი პიროვნულობის, ადამიანურობის გამომხატველია. სამართლებრივი ცინიზმი იწვევს ადამიანის ამოგდებას ფასეულობათა სისტემიდან და ფასეულობად მიიჩნევს იმას, რასაც სინამდვილეში ვერ უნდა ეგუებოდეს სამართალი. ეკლესიურ ენაზე რომ ვთქვათ, სამართალი ამ შემთხვევაში ეშმაკეული დაავადებითაა შეპყრობილი, მისი ნიღბის გამოყენებით სურს მოგვევლინოს, ვითომ

სამართალი იყოს. მაგრამ ადამიანებს სულაც არ აინტერესებთ ნიღაბი. ჩვენთვის მთავარია ამ ნიღაბს ამოფარებული საგანი. გამოდის, რომ ამ შემთხვევაში გაუცხოება ყოფილა ფორმასა და შინაარსს შორის. ეს კი სამართლის უარყოფის თვალთმაქცური გამოვლინებაა. ხშირად ასეთ ფორმაში სამართალი იღებს სიმბოლურ ხასიათს, რაც რეალურად არავითარ ეფექტს არ იძლევა. სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა ნორმატიული აქტის შინაარსი იმდენად დავიწროებულია, რომ მას ვეღარ ვუწოდებთ უფლების დამდგენ აქტს. მაგალითად, კანონი პენსიონერებს აძლევდა ელექტროენერგიით სარგებლობის ისეთ შეღავათს, რომლითაც ერთი ნათურის განათებას თუ შეძლებდა ადამიანი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებით, რაც შესაბამის ვებგვერდზე იყო განთავსებული, სტუდენტთა გამოცდების დამკვირვებელს, ვინც ამის სურვილს გამოთქვამდა, მიეცემოდა დღეში 5 ლარი (რაც მხოლოდ მგზავრობის ხარჯს ფარავს). სამართლებრივი ცინიზმი უპირისპირდება უფლებას. ის უფლების უარყოფაა და ამ უარყოფის ყველაზე დამცინავი გზა. ის უფლებას ფიტულის სახეს აძლევს და მას მაინც უფლების სახედ წარმოგვიჩენს. ყველაზე ამაზრზენი ის არის, რომ ცინიკოსს კარგად ესმის ამის შესახებ და უსირცხვილოდ აკეთებს მას. მისი ადრესატების ნაწილიც უსირცხვილოდ იღებს მას, მიუხედავად იმისა, კარგად იციან, რომ მათ დასცინიან. იბადება კითხვა, რატომ იქცევა ასე ადრესატი, რა ძალა აიძულებს ასე მოიქცეს? როგორც ჩანს, აქ ორი ფაქტორი მოქმედებს. მან იცის, რომ, თუ ცინიკოსის თანამონაწილე, თანამზრახველი გახდება, შეიძლება ამის სანაცვლოდ მართლა გახდეს რაიმე უფლების შემძენი, ან, კიდევ, ამას აკეთებს იმის გამო, რომ არ დაკარგოს შეძენილი უფლებები, რაც შეიძლება მის დაპირისპირებას მოყვეს. მოკლედ, ერთი უფლების შეძენის მოტივით იტანს სამართლებრივ ცინიზმს, მეორე კი – მისი დაკარგვის შიშით.

მაშასადამე, გამოდის, რომ სამართლებრივი ცინიზმი ადამიანის უფლებების არა უბრალოდ დარღვევაა, არამედ მისი აბუჩად აგდებაა. სხვა სიტყვებით, ის მორწმუნეთათვის ათეიზმის პროპაგანდაა.

22.02.2012

სამართლებრივი ფეტიშიზმი

ახლა გვინდა ვისაუბროთ სამართლებრივი ფეტიშიზმის შესახებ. ის სამართლის უარყოფის თავისებური გამოვლენაა. ესაა სამართალში არარეალური ძალის დანახვა და მისი დისტანცირება სუბიექტისგან. სამართლებრივი ფეტიშიზმი სამართალს განიხილავს ჩემგან დამოუკიდებლად. მართალია, სამართალი ჩემგან გარეგანია, მაგრამ ის უჩემოდ არ არსებობს. ჩვენ რომ არ ვიყოთ, ბუნების კანონები მაინც იარსებებენ, მაგრამ ჩვენ გარეშე სამართალი ვერ იარსებებს. სამართლის სიცოცხლე და ქმედუნარიანობა ჩვენზეა დამოკიდებული. ფეტიშიზმის ვითარებაში სამართალი წარმოდგენილია ჩვენგან ავტონომიურად სიცოცხლისუნარიან და შედეგუნარიან სიკეთედ. მისი ნაკლი ის არის, რომ სამართალი წყდება იმ გარემოსა და პირობებს, რომელშიც ის არსებობს. ეს გამოიხატება იმაში, რომ ის მოდის ყოვლისშემძლე ძალის პრეტენზიით, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ცხოვრება. სამართლის სუბიექტის აქტიურობის მომენტი, მისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, მეორე პლანზე იწევს. კანონმდებლის ხედვა ასე შეიძლება წარმოვსახოთ: მისი აზრით, ყოველი პრობლემა, რომელიც ცხოვრებაში გაჩნდება, ნორმატიული არასრულყოფილების ბრალია. საკმარისია მივიღოთ კანონი, რომ ცხოვრება ჩადგება კალაპოტში. ფეტიშიზმი გაუცხოებას იწვევს ამ მიმართულებით. ის უცხოვდება სამართლის სუბიექტთან, რომლის გარეშე არ არსებობს სამართალი. როგორც აღვნიშნე, მართალია, სამართალი ჩემი გარეგანია, მაგრამ აქ ჩვენ შორის წონასწორობა არსებობს „ღირებულებითი

მოზიდულობის კანონის“ სახით. მიზიდულობის ველი სწორედ ის დისტანციაა, რომელიც არსებობს ჩემსა და სამართალს შორის. თუ ეს დისტანცია დაირღვევა იმ მიმართულებით, რომ სამართალი დაგვშორდება თითოეულ ჩვენგანს, ჩვენ დავრჩებით მის გარეშე და ეს შესაძლებელია მრავალი სახით. ერთ-ერთი ის იქნება, რომ სამართლად მოგვევლინება მის ნიღაბს ამოფარებული ანტისამართალი. ასეთ შემთხვევაში ადამიანები აღმოვჩნდებით მისი აგრესიის მსხვერპლი და როგორც მქონდა ამაზე საუბარი, ეს იქნება სამართლის რეალურ შინაარსს გამოცლილი ძალა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ჩემს პიროვნულობას და მაქცევს სათამაშო საგნად, ვის ხელშიც ის აღმოჩნდება. ესაა სამართლის უარყოფა, მისი შინაარსის ტრანსფორმაცია. მაგრამ, რა ხდება, როცა სამართალი აღნიშნულ დისტანციას არღვევს და მე მიახლოვდება? ესეც სამართლის უარყოფის თავისებური ფორმაა. ეს სიახლოვე საფრთხეს მიქმნის მე. როგორც მზის სიახლოვე (თუ ეს შესაძლებელია) დედამიწას საფრთხის მეტს არაფერს უქადის, ასეთივე შედეგის მომტანია სამართლის ჩემთან დაახლოება. ვინაიდან ის ჩემგან გარეგანია, ჩემ გარეთ უნდა დარჩეს. არ შეიძლება მე ვიქცე სამართლებრივ სუბიექტად. მე ვარ სამართლის სუბიექტი და არა სამართლებრივი სუბიექტი. თუ ეს მოხდება, მაშინ ჩემი პიროვნულობაც ისე უნდა აეწყოს, როგორც ამას სამართალი მოითხოვს. ამით ჩემგან გამოიდევნება ჩემი პიროვნულობისათვის დამახასიათებელი ფასეულობანი და ამ გზით მათი მოკვდინება მოხდება. სამართალი იქნება ჩემში, მე კი – სამართალში. მე დავემსგავსები ნორმატიული აქტების კრებულს იმ განსხვავებით, რომ გავხდები სამართლის ცოცხალი მატარებელი. მაშასადამე, ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა დავიცვათ მიზიდულობის კანონი, რომელსაც მე „ღირებულებათი მიზიდულობის კანონი“ ვუწოდე. დაბოლოს, ნებისმიერი მიმართულებით წონასწორობის დარღვევა სამართლის უარყოფაა. სამართალი, რომელიც მსგავსი პრეტენზიით მოვა ცხოვრებაში, ამით თავისთავს უარყოფს, ვინაიდან ის უარყოფს იმას, რომლის გარშემოც ტრიალებს. როგორც დედამიწა ტრიალებს მზის გარშემო, ასე ტრიალებს ჩვენ გარშემო სამართალი და მას მხოლოდ მაშინ შეუძლია გაგვათბოს, როცა დაცული იქნება აღნიშნული კანონი. სამართლებრივი ფეტიშიზმი სამართლის ძალმოსილების გადა-

ჭარბებული შეფასებაა, რაც მაშინვე გამოჩნდება, როცა სამართალი მსგავსი პრეტენზიით მოვა ცხოვრებაში. როგორც მცენარე ვერ გაიხარებს და ვერ მოისხამს ნაყოფს, თუ არ მოვუარეთ მას, ასევეა სამართალიც. ჩემ გარეშე ის ნაყოფს ვერ გამოიღებს და ცხოვრებაში ვერ დაიკავებს იმ ადგილს, რა ადგილიც უკავია სხვა ღირებულებებსა და ფაქტებს.

23.02.2012

სამართლებრივი ნიჰილიზმი

ახლა ვისაუბროთ სამართლებრივი ფეტიშიზმის საპირისპირო მოვლენაზე, რასაც სამართლებრივი ნიჰილიზმი ჰქვია. ესაა სამართლის უარყოფის თავისებური გზა, როცა სამართალი ღირებულებითი კიბის დაბალ საფეხურზეა. მოკლედ, სამართალს დაკარგული აქვს ის ფასი, რაც მას უნდა გააჩნდეს სამოქალაქო საზოგადოებაში. სამართლის ადგილს იკავებს ნორმები, რომელთაც ვერ ექნებათ სამართლად გამოხატვის პრეტენზია. ასეთი იყო კომუნისტური სამართალი, რომელიც პარტიის პოლიტიკის ინსტრუმენტს წარმოადგენდა. სამართალი ჩაყენებული იყო კომიკურ მდგომარეობაში და საზოგადოებას არ ჰქონდა მისი იმედი. სამართლებრივი ნიჰილიზმის დროს, სამართლისადმი უიმედო დამოკიდებულება ვლინდება როგორც მოქალაქის, ისე სახელმწიფოს მხრიდან. მოქალაქე სამართალს არ აღიქვამს, როგორც უფლება-მოვალეობებით გაწონასწორებულ რეალობას. მოქალაქე აგდებულად ეკიდება როგორც საკუთარ, ისე სხვათა უფლებებს და ამით სამართლებრივ უსაფრთხოებას უპირისპირდება. მისი დამოკიდებულების წყაროა თავად სახელმწიფოს დამოკიდებულება სამართლისადმი. სახელმწიფო სამართალს აღიქვამს, როგორც ძალადობის იარაღს და არა როგორც ფასეულობას, რითაც თვითონაცაა შებოჭილი. ამას სახელმწიფო ავლენს როგორც ნორმატიული საქმიანობის პროცესში, ისე მართლმსაჯულების განხორციელებისას. სამართლის ნორმის ღირებულებით საზომს (როგორიცაა: დემოკრატიულ საზოგა-

დოებაში გაბატონებული პრინციპები, სამართლის მეტ-ნაკ-ლებად მარადიული იდეები) არავითარი ანგარიში არ ეწევა და სამართლად მიიჩნევა ის, რასაც სახელმწიფო (კანონმდებელი) მოისურვებს. აქ ჩანს სამართლის გარე სამყაროსაგან ტოტალუ-რი გაუცხოება და მისი როლისა და ფუნქციის უარყოფა. და, მა-ინც, ჩნდება კითხვა: ნუთუ არსებობს ისეთი საზოგადოება, სა-დაც სამართალი არ წარმოადგენს მისი ორგანიზმის შემკვრელ ფასეულობას? არსებობს კი სახელმწიფო სამართლის გარეშე? ყველა ასეთ პასუხს გასცემს ამ კითხვას: არ არსებობს! სწორი მიდგომაა, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა გავლენას ახ-დენს სამართალი სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე. აქ ისეთი მიმართებით არ უნდა შევხედოთ ამ მოვლენას, როგორი მიმარ-თებაცაა მატერიალური სამყაროს საგნებსა და ადამიანს შორის. ადამიანები ქმნიან ნივთებს, მაგრამ ნივთები ვერ ახდენენ ადა-მიანის ადამიანურობაზე, მის პიროვნულობაზე ძლიერ გავლე-ნას. პიროვნულობის მიმართ შეხედულებები არსებითად იგივეა, რაც ძველ მოაზროვნეებს გააჩნდათ, მიუხედავად იმისა, რომ არსებითად შეიცვალა ნივთების სამყარო. ნივთები ადამიანები-სათვის ყოველთვის საშუალება იყო და არა მათი პიროვნულო-ბის განმსაზღვრელი. ადამიანის მთელი ცხოვრება ნივთებთან კავშირში ხორციელდება, ეს იქნება „სხეულებრივი“ თუ „უსხე-ულო“ ნივთები, მაგრამ ყოველივე ეს შორს დგას მისი პიროვნუ-ლობისაგან.

სამართალი სრულიად სხვა განზომილებაა. ის, მართალია, ჩემგან გარეგანია ისევე, როგორც ნივთი, მაგრამ ეს ისეთი ფა-სეულობაა, რომელიც გავლენას ახდენს ჩემი პიროვნულობის ჩამოყალიბებაზე. მე, როგორც ღირებულებითი სუბიექტი, ჩემს პიროვნულობას სხვებთან მიმართებით ვაცნობიერებ და ვავ-ლენ. ამ მიმართებაში სამართალი გვევლინება, როგორც ჩემი სხვებთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელო-ვანი გარემოება. სხვებთან ურთიერთობის გარეშე არც ჩემი პი-როვნულობა არსებობს. ეს ურთიერთობა არ გულისხმობს ჩემს აქტიურ ურთიერთობას. რადგანაც ვარ საზოგადოების წევრი, მაშასადამე, ამ საზოგადოებასთან ვარ ურთიერთობაში. სულაც

რომ გავემიჯნო საზოგადოებას და ცალკე კუნძულზე დავსახ-ლდე, ამ კავშირს მაინც ვერ გავექცევი, ვინაიდან მე ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფოს (საზოგადოების) შიგნით დავრჩები. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ სამართლებრივი ნიჰილიზმი – ეს არ არის იმის უარყოფა, რაც ჩემგან გარეთაა. ნიჰილიზმი ჩემ გარეთ არსებულის უარყოფით ჩემი უარყოფაა, მაშასადამე, თვითუარყოფაა.

24.02.2012

სამართლებრივი პატიოსნება

კანტს აქვს ასეთი გამოთქმა: „სამართლებრივი პატიოსნება“. ცოტა უცნაურად ჟღერს: პატიოსნება ხომ ეთიკური კატეგორიაა? მაგრამ ის შეიძლება იქცეს იურიდიულ მოვალეობად. უპირველესად, ეს ნიშნავს საკუთარი ღირსების განცდას, ღირსეულად ცხოვრებას. ეს კი, ისევ კანტის აზრით, გულისხმობს იმას, რომ მე უნდა ვიყო სხვებისთვის მიზანი და არა მარტო საშუალება. ამ უკანასკნელს ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ ჩემს პიროვნულობას უნდა აფუძნებდეს ჩემი მიზნად აღქმა და არა საშუალებად. ყოველივე ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანი წარმოადგენდეს სამოქალაქო ცხოვრების სრულფასოვან და ღირებულ სუბიექტს. მე მხოლოდ მაშინ ვარ სუბიექტი, როცა სხვებს ვავალდებულებ. სუბიექტი ღირებულებითი მდგომარეობაა, რომლის არსებობა დაკავშირებულია უფლებრივ ჯავშანზე, რასაც შეესაბამება გარშემომყოფთა მოვალეობანი. თუ სხვებს ვავალდებულებ, მაშასადამე, ვარსებობ; მაშასადამე, ჩემით შეიძლება სხვები შეიბოჭონ; მაშასადამე, მე სხვებისთვის უფლებრივი სუბიექტი ვარ. ყოველივე ეს კი ხდება მაშინ, როცა მე სამართლებრივი პატიოსნების თვისება გამაჩნია. ამ ვითარებაში მე ვხდები სხვებისთვის ანგარიშგასაწევი ძალა. გამოდის, რომ ერთი და იგივე მოვალეობა მრავალ ფორმაში შეიძლება გამოვლინდეს. მათ შორის ერთია ეთიკური და მეორე — სამართლებრივი. იქ, სადაც საზოგადოება ეთიკის იმედზეა, ეს მორალური საზოგადოებაა და სამართალი გაუცხოებულია მისგან. სადაც

კი საზოგადოება სამართლის იმედზეა, იქ მოვალეს აიძულებენ სამართლებრივი იძულებით, ვინაიდან, ეთიკურისგან განსხვავებით, თვითიძულების ძალა აქ ნაკლებ ეფექტურია. იძულება მაშინაა ეფექტური, როცა ის გარეგანია სუბიექტისათვის და სუბიექტი მას ვერ გაექცევა. ეთიკური იძულება შინაგანია და ის რაც ჩემშია, ჩემი ბატონობის ქვეშაა და ჩემით იმართება.

25.02.2012

ისევ სამართლის შეგრძნების შესახებ (იუმის შთაბეჭდილებების გამო)

კვლავ სამართლის შეგრძნებაზე მინდა ვისაუბრო. იუმის გაცნობამ დამარწმუნა, რომ სამართალქმნადობის ძარღვი გამოცდილებაა. ის შეიძლება რამდენიმე კუთხით განვიხილოთ. ერთ შემთხვევაში პრაქტიკა წარმოადგენს გამოცდილების საძირკველს. მარტივად ეს მაშინაა, როცა კონკრეტული სამართლებრივი ნორმის გამოყენება ხდება პრაქტიკაში და დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე ჩნდება სამართლის სრულყოფის სავარაუდო მონახაზები. ამ შემთხვევაში ახალი სამართლებრივი რეალობის წყარო ხდება პრაქტიკა. მაშასადამე, ეს ის შემთხვევაა, როცა სამართალი ფუძნდება თავისივე თავის უარყოფით, რაც მისთვის ბუნებრივი მდგომარეობაა. აქ მნიშვნელოვანია კანონმდებლის მზაობა, დროულად აუბას მხარი გამოცდილებით გამოწვეულ წინადადებებს. გამოცდილება თავის მხრივ ორგვარ დამოკიდებულებაშია პოზიტიურ სამართალთან. ერთ შემთხვევაში გამოცდილება აჩვენებს, რომ სამართლის ნორმა „დაბერდა“ და ის მხარს ვეღარ უბამს ცხოვრებისეულ გამოწვევებს; სხვა დროს კი, გამოცდილებიდან ჩნდება, რომ სამართლის ნორმა თავიდანვეა გაუცხოებული ცხოვრებასთან, მასთან პრაქტიკის პირველი შემხებლობისთანავე ცხადი ხდება, რომ სამართლის ნორმა ვერ აკმაყოფილებს ნორმობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და თავიდანვეა მკვდრად შობილი. შეიძლება ყოველგვარი პრაქტიკული შეგრძნების გარეშეც ცხადი ყოფილიყო ეს, მაგრამ პრაქტიკაში გამოყენების გარეშე შეუძლებელია მისი

უარყოფა. სამართლის ნორმა უფლებამოსილია პრაქტიკულ გამოყენებაზე, ვიდრე კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციების სხეულში არ განთავსდება (თუ ამას შეძლებს ის). მანამდე ის მხოლოდ აზრის, ნორმატიული აზრის სახით არსებობს. სამართლის ნორმის გამოცდილებასთან ზიარება სხვაგვარადაცაა შესაძლებელი. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს კანონმდებელი რაიმეს იგონებს და შემდეგ ცდის მას პრაქტიკაში. შეიძლება მოცემულ ადგილას არ იყოს ნორმის პრაქტიკული გამოყენების მაგალითები, მაგრამ მას სხვა ხალხებში ჰქონდეს გამოცდილება. ქართული კანონმდებლობის შემოწმების ასპარეზი თავდაპირველად ძირითადად იყო ევროპული სასამართლო პრაქტიკა. ამით იმისი თქმა გვინდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ნორმას წინ უსწრებს გამოცდილება, რომელიც საზოგადო, საყოველთაო ხასიათისაა. ამ აზრს ამაგრებს სამართლის ნორმათა მოქმედება არაპოზიტიურ ფორმაში. აქ ნორმაც და შესაბამისი პრაქტიკაც პოზიტიური სამართლისაგან განზეა. ასეთი პრაქტიკა კანონმდებელს აიძულებს არაპოზიტიურ სამართალს მისცეს პოზიტიური სამართლის სახე. მაშასადამე, ჩნდება ნორმა, რომელიც არსებობდა მანამდეც და მოქმედებდა კიდეც. ე.ი. ცხოვრება, როგორც ასეთი და არა პოზიტიური სამართლით მოწესრიგებული ცხოვრება, ხდება კანონმდებლის შთაგონების წყარო. ასეთი ნორმები სტიქიურად, ბუნებრივად გაჩენილი ნორმებია და ყველაზე კარგად ასახავენ მოწესრიგებულ ურთიერთობებს. მაშასადამე, გამოდის, რომ როგორიც არ უნდა იყოს სამართალი — პოზიტიური თუ პრეცედენტული, ყველას საფუძველი გამოცდილებაა. ე.ი. პოზიტიური სამართლის წყაროც პრეცედენტები ყოფილა: თუმცა, საერთო ხაზში შეიძლება ეჭვი შევიტანოთ. ჯერ ხომ იყო სიტყვა და შემდეგ საქმე, მაგრამ, ეს სიტყვა ვერ იქნებოდა, თუ არ იქნებოდა იმ სინამდვილის გონითი წარმოსახვა, რასაც ეს სიტყვა მოიაზრებს. წარმოსახვა კი ნებისმიერ შემთხვევაში სამართლის მოქმედების წარმოსახვაა, მისი სიცოცხლისუნარიანობის შეგრძნებაა. მოკლედ, თავდაპირველად ნორმაც და მისი მოქმედების სურათიც გონების ფარგლებში ექცევა. ამიტომაც ვამტკიცებდი მე ადრე, რომ სამართალი უნდა შეიგრძნო. მაშასადამე, თუ ეს ასეა, გამოდის, რომ კანონმდებელი წარმოსახვას, ან გამოცდილებას ემყარება, როდესაც საკანონ-

მდებლო ნორმას ქმნის. მათი ძალაუნარიანობის და, საერთოდ, ნორმობის შემოწმება მაინც კონკრეტულ პრაქტიკაში ხდება. ამდენად, კონკრეტული ფაქტებისა და რეალობების გარეშე სამართალი გამოფიტულ არსებას მიაგავს. იუმი მართალი იყო, როცა ამტკიცებდა, რომ ცეცხლს უნდა მისცემოდა ყოველი მსჯელობა, რომელიც არ ემყარებოდა აღნიშნულ გარემოებებს. ყოველივე ეს გასათვალისწინებელია სამართლის სწავლების პროცესში. ასე რომ, ნებისმიერი სამართლებრივი აზრის წყარო ან რეალური პრაქტიკაა, ან წარმოსახვითი.

26.02.2012

ფორმისა და შინაარსის მიმართება სამართალში

ამჯერად მინდა ვისაუბრო სამართალთან ფორმის მიმართებაზე. ეს მიმართება ისეთივეა, როგორიც ჭურჭლისა მასში ჩასხმულ წყალთან. ჭურჭელი ფორმაა, რითაც წყლის შენახვასა და მოხმარებას ვახდენთ. ასევეა სამართლისა და მისი გამოხატვის ფორმის შემთხვევაშიც. ფორმა სამართლისათვის ისეთივე ჭურჭელია, როგორიც წყლისთვის. გამოდის, რომ სამართალი სულია, ფორმა კი მისი სხეული. ფორმა შეიძლება მრავალგვარი იყოს. ძველი ხალხები სამართალს ქვის სტელებზე ამოკვეთდნენ მუხლებად. ამჟამად კანონთა წიგნი ასრულებს ასეთ როლს. მოკლედ, სამართალი რაიმე ფორმით უნდა გამოვხატოთ, ჩვენ რომ ვაღიაროთ მისი არსებობა და ჩვენზე ზემოქმედება. მაგრამ, ხომ არსებობს ისეთი სამართლებრივი სინამდვილე, რომელიც არ არის მოცემული დაწერილი სახით. ისინი არსებობენ იდეის სახით და მათ არა აქვთ გამოხატვის მატერიალური სახე. ვთქვათ, რომ ის არ არსებობს ამის გამო? არა, ის არსებობს ისევე, როგორც აზრი. მაგრამ რადგანაც ის სამართალია, არსებობს არა როგორც ჩემი აზრი, არამედ, როგორც ჩვენი აზრი (ნორმატიული აზრი). არსებობენ იდეები, რომლებიც მატერიალურ სახეს ღებულობენ, რათა ამით ადამიანთა თანაცხოვრება ისეთი უფლება-მოვალეობებით გაჯერდეს, რაც ყველასათვისაა ადვილად აღქმადი. ერთ მაგალითს მოვიყვან: როცა ჩვენ კინოდარბაზში ფილმს ვუყურებთ, ყველა ერთნაირად აღვიქვამთ მის შინაარსს და სეანსის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს შთაბეჭდილებებს მის შესახებ. ასე გვიჩნდება ჩვენ ყვე-

ლას მსგავსი დამოკიდებულება დაწერილი კანონების შესახებ, აუდიტორიაში მოსმენილი ლექციის მიმართ. მაშასადამე, ჩვენ, ყველას აღნიშნული ფორმა გვაერთიანებს. მაგრამ, რა ხდება, როდესაც საქმე ეხება სამართალს, როგორც მხოლოდ იდეას. მას არა აქვს მსგავსი ფორმა. მაგრამ, რადგანაც ის ყველასათვის ერთნაირადაა მისაღები, მაშასადამე, აქაც მისი დამკვიდრების პროცესში რაღაც შეთანხმებას ჰქონია ადგილი, მაგრამ რა სახით, ამისი ახსნა მიჭირს. ერთი რამ ცხადია, რომ ამ იდეას ისე ვერ ვიხილავთ ყველა ერთად, როგორც განსხეულებულ იდეას. სამართლის იდეის თვისება ის არის, რომ ის ყველაზე ახლოსაა ჩემთან, ვინაიდან ჩემი ადამიანურობის ბუნებრივი სარტყელია. ეს იდეა მატერიალიზებული სამართლის სულია, რომელიც განაპირობებს მის ბუნებას. სამართლის იდეა — ეს კოლექტიური მართლშეგნებაა და, ამდენად, სამართალი. გამოდის, რომ ფორმა და შინაარსი ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ქმნიან მოვლენის სუბსტანციას. ისინი ქმნიან ერთს. გონება (მეხსიერება) ჭურჭელია, ჩვენი იდეების საუფლო, მაგრამ არა მარტო ჩემი გონება, არამედ ყველას გონება. ის, რაც მატერიალიზებულია, ესაა უმნიშვნელო კუნძული ოკეანეში. მაგრამ ეს ის კუნძულია, რომელიც, როგორც ლამპარი, ისე ანათებს ამ ოკეანის უკიდეგანო სივრცეს. ამიტომაცაა უმთავრესი, რომ სამართლის იდეა ჯერ კარგად მომწიფდეს ჩვენს ცნობიერებაში, რომ მან შეიძინოს საყოველთაო ხასიათი. ამ გზით ქმედუნარიანობის მქონე იდეათა ნაწილი, როგორც ზემოთ ვთქვით, შეძლებს ჩაედინოს პოზიტიური სამართლის მდინარეში, რომ შემდეგ ტრანსფორმირებულმა და პრაქტიკაში გამობრძმედილმა (სახელშეცვლილმა) კვლავ შეავსოს იდეათა სამყაროს დიდი ოკეანე ისე, რომ კუნძულზე დარჩენაც შეძლოს.

ჩემი დასკვნა, რომელიც ფორმისა და შინაარსის მიმართებას ეხება, შესაძლოა მცდარი აღმოჩნდეს, მაგრამ ინტუიცია მეუბნება, რომ არ არსებობს აზრი ფორმის გარეშე. ერთი აზრი მრავალი ფორმით გამოიხატება. თუკი ჩვენ შევთანხმდებით, რომ მოცემულ აზრს მხოლოდ ასეთი ფორმა უნდა ჰქონდეს, მაშინ ის ლეგიტიმურია მხოლოდ ამ ფორმაში.

28.02.2012

კვლავ უფლების ლეგიტიმურობის შესახებ

კვლავ მინდა უფლების ლეგიტიმურობაზე გავჩერდე. ლეგიტიმურია უფლება არა იმიტომ, რომ საკანონმდებლო ნებითაა აღიარებული, არამედ იმიტომ, რომ ის აკმაყოფილებს უფლებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. კანონის მიმართ სტრასბურგის სასამართლომ ბევრჯერ აღნიშნა, რომ კანონი უნდა აკმაყოფილებდეს კანონისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. აქ, ცხადია, არ იგულისხმება მხოლოდ ისეთი აღიარებული თვისებები, როგორიცაა: სიცხადე, განჭვრეტადობა და ა.შ. მე სულ სხვა რამ მაქვს მხედველობაში. კერძოდ — თავისი შინაარსით არის თუ არა ის იმ წესრიგის ორგანული ნაწილი, რაზეც აცხადებს პრეტენზიას? ყოველი სამართლებრივი წესრიგი არსებობს კონკრეტული დროისა და სივრცის ფარგლებში. მისი ნებისმიერი ელემენტი ამ ფარგლებშია შესაძლებელი, როგორც მასთან გაუცხოებას მოკლებული. თუმცა, აქაც მოსალოდნელია სხეულის ცალკეული ნაწილები დაშორდნენ მოცემულ დროსა და სივრცეს და ამით სამართლის განვითარების სტიმულატორის ფუნქცია შეასრულონ. ეს მაშინ ხდება, როცა ცალკეული სამართლებრივი დანაწესები ისწრაფვიან, მიილტვიან სიახლეებისაკენ. ეს არ არის დროის ტრანსფორმაცია, ვინაიდან ნებისმიერი ამჟამინდელი დანაწესი თავის თავში შეიცავს როგორც ძველის, ისე ახლის (მომავლის) ნიშნებს. სამართლის განვითარება იქაა, სადაც მოძრაობა მიემართება წინ ახალ დროსთან შესახვედრად. ეს ცალკე თემაა. ისევ უფლების ლეგიტიმურობაზე. აქ სრულიად განსხვავებულია პოზიტიური და არაპოზიტიური სამართლის მიდგო-

მები. უნდა დავუშვათ, რომ ერთი და იმავე უფლების თაობაზე შეიძლება პრინციპულად განსხვავდებოდეს მათი დამოკიდებულება. არაპოზიტიური სამართალი, თუ, რა თქმა უნდა, კარგად შევძლებთ მისი სულის დანახვას, იშვიათად მოიცავს ისეთ უფლებებს, რომლებიც გაუცხოებულია ჩვენგან. ეს იმიტომ, რომ ის ყველზე ადეკვატურად გამოხატავს ჩვენს ნებას. აქ ნორმები სტიქიურად ყალიბდებიან და ჩვენთან მიმართებაში ყველაზე ნატურალური თვისებით გამოირჩევიან. თუმცა, აქაცაა „არაბუნებრივი" ნორმები, რომლებიც ასევე ჩვენგან მომდინარეობენ. პოზიტიური სამართალი, მართალია, ჩვენს ნებას გამოხატავს, მაგრამ, აქ ჩვენი წარმომადგენლები მოქმედებენ ჩვენ მაგივრად და ადვილი შესაძლებელია მათი ნება დაშორდეს ჩვენს ნებას. მოკლედ, სამართლის ფორმირების გზა აქ ისეთია, რომ ის ნაწილობრივ ხელოვნურად შეკრული ორგანიზმია. სამართლის ჩვენგან გაუცხოების საფრთხე აქ დიდია. ამიტომ ვამტკიცებ, რომ შესაძლებელია, უფლება, რომელიც კანონმდებელმა დაადგინა ცალკეული შემთხვევებისთვის, სულაც არ აკმაყოფილებდეს უფლების ნიშნებს. იგივე შეიძლება ითქვას ვალდებულებათა შესახებაც. აქ პოზიტიური სამართალი უფრო გულუხვია, ვინაიდან ხელისუფლებას ჩემი უფლებები უფრო ბოჭავენ, ვიდრე ჩემი ვალდებულებები. ხელისუფლება თანაბრადაა შებოჭილი ჩემი უფლებებითა და მოვალეობებით. სასწორის ერთ მხარეზე გადახრა გამოიწვევს წონასწორობის დარღვევას. არაბუნებრივი სამართალი აუცილებლად აღძრავს უსაფრთხოების საკითხს, ვინაიდან მას ვერ ექნება სამართლად არსებობის პრეტენზია. გუსტავ რადბრუხი ამ შემთხვევაში მოუწოდებდა მოსამართლეებს არ დამორჩილებოდნენ მას. ახლაც ასეა, მაგრამ არდამორჩილება გამოიხატება იმით, რომ საერთო სასამართლო საკონსტიტუციო სასამართლოსგან მოითხოვს საკუთარი ეჭვის შემოწმებას. მოკლედ, უფლების ლეგიტიმურობა დამოკიდებულია არა ფორმალურ მომენტზე, არამედ არსობრივ (შინაარსობრივ) მომენტზე.

29.02.2012

ისევ სამართლის, როგორც ჩემგან გარეგანის, შესახებ

ჩვენს გარეთ არსებული სიკეთე სამართლად მაშინ მოინათ-ლება, თუ მე მას მივიღებ ჩემი ნებით ან გარეგანი იძულებით. ნებისმიერ შემთხვევაში მე შეიძლება მივიღო მხოლოდ ის, რისი მიღების უნარიც შემწევს, როგორც ადამიანს. ისე არ უნდა გავი-გოთ, სამართალი მხოლოდ ტვირთი იყოს. სამართალი ტვირთის-გან გათავისუფლებაცაა. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ იძულება საზოგადო ნების დამხმარე ძალაა, როცა ჩემი ინდივი-დუალური ნება მზად არაა მიიღოს სამართალი. საზოგადო ნება არაა მარტო სამართლის გამოხატვის ერთი კერძო შემთხვევა. საზოგადო ნება უპირველესად ვლინდება სამართლის, როგორც ნორმატიული აუცილებლობის, განცდაში. საზოგადოება თა-ვისი კულტურული დონითა და შესაძლებლობებით მზად უნდა იყოს მიიღოს სამართალი, როგორც გარდაუვალი აუცილებლო-ბა. ასეთი საზოგადოება სამართალს აღიქვამს ისე ბუნებრივად, როგორც ჩვენ ჟანგბადით გაჯერებულ სივრცეს ჩვენი არსე-ბობისათვის. ბევრჯერ დავსვი კითხვა იმასთან დაკავშირებით, ვარსებობთ კი ჩვენ, როგორც სამართლის სუბიექტები უფლებ-რივი ჯავშანის გარეშე? პასუხი ცალსახა იქნება. ყველაზე და-ბალგანვითარებული ინდივიდუმიც კი არ არსებობს მის გარეშე. ნორმატიული არსებობა ცხოველთა სამყაროშიც ბატონობს და ამისი მრავალი მაგალითი დაიძებნება. მაგრამ, განვითარებუ-ლი სამართალი იქაა, სადაც საზოგადოება არა მარტო გრძნობს სამართლის არსებობის აუცილებლობას, არამედ მას თვლის კულტურულ ღირებულებად; სადაც საზოგადოებას აქვს გამობ-

რძმედილი სამართლებრივი სასწორი, რომლითაც იწონება „უფ-ლებრივი ცოდვა-მადლი“. მოკლედ, საზოგადოება სამართლის აუცილებლობის ამ ზოგადი განცდით უნდა შემზადდეს სამარ-თლებრივი ღირებულებების გამოსაძერწად. მაშასადამე, ის, რაც ყველაზე საზოგადოა, ჩემგან ისეთი გარეგანია, რომელიც ჩემგან დამოუკიდებლად ჩნდება ისე, როგორც გავჩნდი თვითონ მე. მის გარეშე არ არსებობს ადამიანი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამართალი ჩემი შინაგანი თვისებაა. ასე თუ გავყვებით, ყველა მოვლენა, რომელთან კავშირშიც შესაძლებელია ადამიანთა არ-სებობა, ჩემი შინაგანი ყოფილა. ეს ასე არაა. ადამიანი, როგორც სუბიექტი, კავშირისა და კომუნიკაციის ურთიერთობაში არსე-ბული სუბიექტია. ის, რაც ჩემი გარეგანია, უფრო ის არის, რომე-ლიც ჩვენ მიერ შეგნებულად თუ სტიქიურად ყალიბდება ყოველ-დღიურ ურთიერთობაში. აქ ჩვენ ხელი მიგვიწვდება შევცვალოთ კომუნიკაციის ურთიერთობის წესები. მაშასადამე, მე ვქმნი სამართლის სახლს, როგორც ადამიანთა საცხოვრისს. ჩვენვე ვწყვეტთ, თუ ვინ იცხოვრებს იქ და ვინ შეიძლება შესახლდეს მომავალში. მე არ მინდა ჩემი მსჯელობა გასცდეს კანტის მიერ დანახულ სინამდვილეს, რითაც იმიჯნება სამართალი ჩემგან. ის, რაც სამართლის საზოგადო აუცილებლობის შესახებ ვთქვი, შეიძლება გავიმეორო მორალის შესახებაც. მართალია, მორალი მკაცრად შინაგანია და მისი კანონები თავიდანვე იყო ადამიან-ში ჩადებული, მაგრამ აქაც მორალური სუბიექტი არ არსებობს კომუნიკაციის გარეშე. ამ ურთიერთობაში წყდება, თუ რა ჩაით-ვალოს მორალურად და რა – არა. მაგრამ, ეს უფრო სტიქიურად წყდება. მორალი არ ხმაურობს, სამართლის ხმა კი სასამართლო დარბაზის კედლებს აყრუებს. შეიძლება ერთმანეთისგან გავ-მიჯნოთ მორალური და სამართლებრივი სუბიექტი? რთული კითხვაა. მორალური სუბიექტი იმავდროულად სამართლის სუ-ბიექტია, სამართლის სუბიექტი კი იმავდროულად მორალური? კომუნიკაციის ხასიათზეა დამოკიდებული, მთლიანად რა სახით წარვსდგები სხვებთან მიმართებაში. როცა მე ნივთს ვყიდულობ, აქ გამოვდივარ, როგორც სამართლის სუბიექტი. მორალი ჩემს „მეს“ აფუძნებს და ჩემს თავს განაპირობებს. მერე ვხდები სა-მართლის სუბიექტი.

1.03.2012

თავისუფლება კანონის ფარგლებში
(კანტის გამო)

კანტი ამტკიცებდა, რომ თავისუფალი მხოლოდ მაშინ ვართ, როცა კანონს ვემორჩილებით, ე.ი. თავისუფლებაში მოიაზრება ჩემი ისეთი ნებელობითი ქცევა, რომელიც, ისევ კანტს თუ მოვიშველიებთ, თანხმობაშია თავისუფლების საყოველთაო კანონთან. ეს კანონი კი ამბობს, რომ ისე მოიქეცი, როგორც, შენი აზრით, სხვები უნდა მოგექცნენ შენ. ეს კანონი ასახულია პოზიტიურ სამართალში და მისი ადრესატები შეზღუდული არიან ამ კანონის მოქმედებით. ამიტომაც ამბობდა კანტი, რომ სამართალი თავნებობათა კომპრომისია, როცა ჩემი თავნებობა თანხმობაშია თქვენს თავნებობასთან თავისუფლების სააყოველთაო კანონის ჭრილში. ჩემი თავისუფლება თქვენი თავისუფლების საფუძველი (გარანტი) ხდება და თქვენი — ჩემი. ესაა ხელშეკრულების მსგავსად ჩვენს ნებათა ერთიან შეთანხმებულ ნებად ჩამოყალიბება. შეთანხმებულ ნებაში ვლინდება ჩვენი მოქმედების ფარგლები. როცა კანონისადმი მორჩილებაზე ვლაპარაკობთ, აქ ასევე უნდა გადავწვდეთ სახელშეკრულებო კავშირებს. კანონის საფუძველზე დადებულ ხელშეკრულებას ხომ კანონის ძალა აქვს. ხელშეკრულების თავისუფლება თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინებაა. შეიძლება აქ მე მომეტებულად შევიზღუდო თავისუფლება პარტნიორის თვალში, მაგრამ შეზღუდვას ისევ თავისუფლების მოსაპოვებლად ვითმენდე. ამიტომაც ვამტკიცებთ, რომ სამართლის გამოვლენის ადგილი არის არა მარტო კანონი, არამედ ხელშეკრულება. ის, თუ რამდენად ახლოსაა ჩემი გარეგანი (იგივე სამართალი) ჩემთან, ეს ჩანს იქიდან, თუ

რამდენად პატივისცემით ვარ მე მის მიმართ არა მარტო მაშინ, როცა ჩემი ესა თუ ის ქმედება ნორმატიულადაა განსაზღვრული, არამედ მაშინაც, როცა თავისუფლების ფარგლებს მე თვითონ განვსაზღვრავ. ხელშეკრულების თავისუფლება იძლევა ამის საშუალებას. მაშასადამე, სამოქალაქო ბრუნვის კულტურაში ვვლინდები მე, როგორც სამართალთან არა მარტო დაახლოებული სუბიექტი, არამედ როგორც მისი დაფუძნების პროცესის თანამონაწილე. მაგრამ, თავისუფლება არ ამოიწურება პოზიტიური სამართლით. როგორც მრავალჯერ მითქვამს, ჩვენი ნორმატიული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი პოზიტიური ნორმატიულობის (პოზიტიური სამართლის) მიღმაა. ეს დაკვირვება ჰაიეკმა გამოხატა ყველაზე მძაფრად და მეც მის გავლენას განვიცდი. პოზიტიური სამართალი ზღვაში წვეთია ნორმატიულ სამყაროში, რასთანაც შემხებლობა აქვს ადამიანს. ასეთი მიდგომით სამართალი კიდევ უფრო გვიახლოვდება ჩვენ და ჩვენი პიროვნულობის სხეულში იჭრება. მაგრამ, როგორც ბევრჯერ ვთქვით, ის მაინც ვერ გადალახავს იმ სადემარკაციო ხაზს, რომლის იქით იწყება ჩემი ინდივიდუალობა, რითაც მე განვსხვავდები სხვებისგან არა როგორც სამართლის სუბიექტი, არამედ როგორც ადამიანი. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, თუ როგორ მესმის მე თავისუფლების საყოველთაო კანონი, რომელიც ყოველი ნაბიჯის გადადგმის საზომი ხდება ჩემთვის. სამართლით განსაზღვრულ თავისუფლებამდე რომ მივიდე, მე აღნიშნული კანონის ძალით უნდა ვიყო დამუხტულ-შთაგონებული. მაშასადამე, მას სჭირდება საფუძველი, რომელიც ისევ ჩემში შეიძლება მოიძებნოს. ასეთი საფუძველი ეთიკაა, ჩემ მიერ ეთიკური ვალდებულების განცდა, რაც დამოკიდებულია ჩემს მორალურ სახეზე. ამიტომაც ვამტკიცებ: ის, რაც ჩემ გარეთაა, გარედან კი არ მოდის, არამედ ესაა ჩემგან გარეთ გასული ნორმატიული სინამდვილე, რომელსაც შემდეგ მე ვემორჩილები საყოველთაო შეთანხმების ძალით. მაშასადამე, ჩემი ეთიკური სამყარო ყოფილა სამართლის საყრდენი, ამიტომაცაა, რომ, რაც უფრო ადამიანი თავის თავს შორდება, მით უფრო უახლოვდება სამართალს და, პირიქით, რაც უფრო სამართალს შორდება, მით უფრო უახლოვდება საკუთარ ეთიკურ სამყაროს. დაშორება არ გულისხმობს უარყოფას. დისტანციის სწორად განსაზღვრაა მთავარი.

2.03.2012

სამართლის განხორციელების მიზეზშედეგობრივი სივრცე

სამართალი მარადიულ განახლებას განიცდის. ამ პროცესში ძველი სამართალი აგრძელებს სიცოცხლეს ახალში იმდენად, რამდენადაც ამას ახალი სამართლის თვითდამკვიდრება მოითხოვს. ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, როგორც ამას ამტკიცებდა ელინეკი, ახლის გამარჯვებით მთავრდება. მაგრამ, რადგანაც სამართალი არაა ერთი დღის სამართალი და მას პრეტენზია აქვს ხანგრძლივ მოქმედებაზე, ეს აუცილებლად დაგვაფიქრებს იმაზე, თუ როგორ ხდება ძველის უარყოფა და ახლის შემოღება. ეს ისევე ხდება, როგორც ცოცხალი ორგანიზმების განვითარების პროცესშია. სამართლის გამოყენების ყოველი შემთხვევა მისი განვითარების გამოხატულებაა. ეს ისე უნდა მოხდეს, რომ არ დაირღვეს ღირებულებათა ნორმატიულ სივრცეში არსებული წონასწორობის კანონი. სამართალი განახლებულად ჩაითვლება იმ პირობით, თუ ის საერთოდ ნორმატიული წესრიგის განვითარებას შეუწყობს ხელს. როგორც ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების განვითარება მიზეზშედეგობრივადაა დაკავშირებული დანარჩენ ნაწილებთან, ასეა სამართალიც ნორმატიული წესრიგის სხვა ელემენტებთან დაკავშირებული. ამიტომაც, ყოველივე ეს გვავალდებულებს ხელი შევუწყოთ ღირებულებათა მთელი ორგანიზმის განვითარებას. სხვანაირად სამართალი ვერ განვითარდება. განა შესაძლებელია ჩვენი ეთიკური ღირებულებების განვითარების გარეშე სამართლებრივ ღირებულებათა სრულყოფა. ეს შეუძლებელია და მთელი პროცესი მიმდინარე-

ობს ერთდროულად, პარალელურად. შეუძლებელია ჯერ სამართალი განვაახლოთ და შემდეგ ჩვენი მორალური ცხოვრება. ისინი ერთმანეთს უწყობენ ხელს, მიზეზშედეგობრივად კი ძირითადად მორალი განსაზღვრავს სამართლის ხასიათს. მაგრამ, ამ წესრიგში მოიაზრება სხვა ნორმებიც, როგორიცაა: ჩვეულებითი, ტრადიციული და ა.შ. ამიტომ, შეცდომა იქნება მათგან იზოლირებულად ახალი სამართლებრივი კატეგორიების შემოღება. ეს დაპირისპირებას და გაუცხოებას გამოიწვევს ნორმატიული ორგანიზმის ცალკეულ ნაწილებს შორის. მაშასადამე, უნდა მომწიფდეს მზაობა განვითარებისა. მაგრამ, ვინაიდან მორალი ჩემი შინაგანია, სამართალი კი გარეგანი, ხომ შესაძლებელია, რომ პირველი აღმოჩნდეს დაბრკოლება მეორის განვითარებისა. თუმცა, არ არის აუცილებელი ახალი სამართლის ლეგიტიმურობისათვის, რომ ის აუცილებლად ყველას გაერთიანებული შინაგანი მეს მოთხოვნილება იყოს. მთავარია, რომ ასეთი მოთხოვნილება მომდინარეობდეს ადამიანთა გარკვეული ჯგუფიდან და ეს იყოს ცხოვრებისა და მისი სუბიექტის – ადამიანის შესაძლებლობათა და მოთხოვნილებათა სწორი განჭვრეტა. ამ დროს სამართალი ხდება ახალი ღირებულებების დამკვიდრების მაიძულებელი ძალა. შეიძლება მასსა და ჩვენს შინაგან მეს შორის კონფლიქტი კარგა ხანი გაგრძელდეს, მაგრამ, თუ სწორადაა შერჩეული ახალი სამართლებრივი სინამდვილე, ბოლოს ის ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდება. მაგრამ, თუ აქ შეცდომა მოგვივა, ახალი სამართალი დასაღუპავად იქნება განწირული და მას ვერავითარი ძალა ვერ დაამკვიდრებს. ყველა ძალაზე ქმედუნარიანი ძალა ჩვენი შინაგანი მედან მომდინარე ძალაა. იძულების აუცილებლობის გაცნობიერებისათვის მზად უნდა ვიყოთ. ნახტომისებური სამართლის ვითარებაში ეს საკითხი სპეციფიკურია.

4.03.2012

სამართლის სუბიექტი, როგორც ბუნებითი სუბიექტი

რეიმონ მარტენი რომაელი იურისტების მსგავსად თვლის, რომ სუბიექტი არის პირის იურიდიული ნიღაბი. თუ ეს ასეა, მაშინ ის ვინაა, რომელსაც ასეთი ნიღაბი არა აქვს. საერთოდ, შესაძლებელია სუბიექტი ამ ნიღბის გარეშე? თუ ეს სწორია, მაშინ გამოდის, რომ უნიღბო ადამიანი არის სამართლის ობიექტი. შეუძლებელია არსებობდეს პირი და იგი არ იყოს სუბიექტი. მონის მაგალითი ვერ არის ამის უარყოფის საბუთი. მონას მაინც სამართლის სუბიექტის ელფერი დაკრავდა, ვინაიდან იგი ადამიანი იყო. ადამიანურობა კი მას ანიჭებდა ისეთ ფუნქციებს, რაც ნების გამოვლენასთან იყო დაკავშირებული. ამას კი შემხებლობა ჰქონდა უფლება-მოვალეობებთან, როგორც ასეთთან. იურიდიული ნიღბის თეორიას თუ გავყვებით, მაშინ ასეთი კითხვაც გაჩნდება: ვინ არის ის, ვისაც ხელეწიფება ასეთი ნიღბის დამზადება? ვფიქრობ, ნიღაბი მართლწესრიგის ქმნილებაა. მგონი არ ვცდები, რადბრუხი არა მარტო იურიდიულ პირს, არამედ ფიზიკურ პირსაც მართლწესრიგის ქმნილებად აცხადებდა. იურიდიულ პირებთან მიმართებით ეს შეიძლება სწორი იყოს, ვინაიდან ისინი ხელოვნური სუბიექტებია და ჩვენ ვქმნით მათ, მაგრამ ფიზიკური პირი ხომ რეალობაა. როგორ შეიძლება ჩემი მიზეზი იყოს ის, რაც უჩემოდ არ არსებობს და რაც, მართალია, ჩემგან გარეგანია, მაგრამ მაინც მიზეზობრივად ჩემითაა განპირობებული. მარტენის მსჯელობას თუ გავყვებით, გამოვა, რომ ჩვენ ყველანი ვყოფილვართ თავიდან უფლება-მოვალეობებისაგან დაცლილი არსებანი და მხოლოდ მას შემდეგ გავმხდარვართ

სამართლის სუბიექტები, როცა ეს ნიღაბი შეგვიძენია. კვლავ კითხვა: ვინ ამზადებდა მას? ალბათ, ის აუცილებლად იქნებოდა სუბიექტი, ვინაიდან ჯერ თავისთვის დაამზადებდა ამ ნიღაბს. პასუხი ამაზე ასეთი მექნება: ან ყველა უნდა ყოფილიყო იურიდიულ ნიღაბს ამოფარებული, ან არავინ. პირველი პასუხი უნდა იყოს სწორი. მაშასადამე, ამ ნიღბის მატარებელია ყველა ადამიანი იმ დროიდან მოკიდებული, რა დროიდანაც დამკვიდრდა ადამიანთა ელემენტარული თანაცხოვრების წესები. განსხვავება ადამიანთა შორის ამ ნიღბის ქვეშ მოაზრებულ უფლება-მოვალეობებშია. სწორედ აქ იყო დისკრიმინაციული, იერარქიული კიბე ადამიანთა თანაცხოვრებისა. რაც უფრო ვითარდებოდა საზოგადოება, მით უფრო ერთ სიბრტყეზე ლაგდებოდა სამართლის სუბიექტთა უფლებრივი ჯავშანი და არა ნიღაბი. ეს გამოთქმა უფრო სწორია, ვინაიდან ნიღაბი შეიძლება მოშორდეს ადამიანს, მაგრამ უფლებრივი ჯავშანი ისე აკრავს მას, რომ ის სხვა ადამიანებთან მიმართებაში არსებობს და მისი ნაწილი ხდება. მოკლედ, ფიზიკური პირი სამართლის სუბიექტია იმის გამო, რომ ის ადამიანია. ამიტომ ეძახიან მას ბუნებით სუბიექტს. იგი მატარებელია არა უფლებრივი ნიღბისა, როგორც სუბიექტი, არამედ უფლებრივი ჯავშნისა.

5.03.2012

მოქმედების კავშირი სუბიექტთან (წინას გაგრძელება)

ყველა ის საბუთი, რაც მარტენს მოჰყავს სუბიექტის პირისგან გასამიჯნავად, თავისთავად ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ სრულიად სხვა მიმართულებით. სუბიექტის გამოვლენის მთავარ ნიშნად მისი მოქმედება განიხილება. სწორი აზრია, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ პირი უმოქმედო არსებაა და სუბიექტად იქცევა, როცა ამოძრავდება უფლებრივ სივრცეში. სუბიექტი მოქმედების შესაძლებლობის გამოვლინებაა, თავად მოქმედება კი სუბიექტის თვისებათა რეალური გამოვლინება. როცა ვამბობთ, რომ არსებობს შესაძლებლობა, მაშასადამე, არსებობს მოქმედებაც. ამიტომაც საგანგებო ხაზგასმა სუბიექტის მოქმედებაზე ვერაფერი განსაკუთრებული მიგნებაა მის საჩვენებლად. ბუნებაში ხომ ყველაფერი მოძრაობს. ჩვენ მაშინაც ვმოძრაობთ, როცა უძრაობაში გვგონია თავი, როცა არ ვახდენთ ნების გამოვლენას. ვიდრე ადამიანი თავისი ნების გარეთ გამოტანას მოახდენდეს, მანამადე იგი ამ ნების ჩამოყალიბების პროცესშია და, მაშასადამე, უფლება-მოვალეობასთან დაკავშირებული ფიქრებითაა შეპყრობილი. ნების ფორმირება იმიტომ ხდება, რომ აუცილებლობა იწვევს ამ ნების გამოხატვას. მაშასადამე, რაც გვინდა რომ მოხდეს, მისი „პროექტი“ ჩვენს გონებაში მწიფდება. როგორ გინდა, რომ ნებითის ფორმირების ფაქტი და მისი გამოხატვის ფაქტი ერთმანეთს დაუპირისპირო? თუ პირი არ იქნება სუბიექტი, მაშინ ეს ფაქტები როგორ მჟღავნდება, ვინ არის პირი უამისოდ (კვლავ მინდა დავაფიქსირო)? მარტენის აზრით, სამართლის სუბიექტად გარდავიქმნებით, როცა ჩვენი ნება

დაიწყებს მოძრაობას იურიდიული მოდელისაკენ. ეს მოდელი კი ჩემ გარეთ არსებული სამართლებრივი წესებია. მართალია, ჩემ გარეთაა, მაგრამ კვლავ ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ, რაც ჩემ გარეთაა, მისი მიზეზი მე გახლავართ. მაშასადამე, მე ვყოფილვარ რაღაც ფორმით მისი მატარებელი. ვის მოუვა თავში აზრი, თქვას, რომ ესა თუ ის წესი, რომელიც მას ეხება, მისი ნებისგან გაუცხოებულია. ის, რაც ჩემგან გაუცხოებულია, ვერც ჩემი მავალდებელი იქნება. აქ ნამდვილად მე სხვა ვიქნები და გარეგანი ძალა, რომელიც ცდილობს დამიმორჩილოს, კიდევ სხვა. ამიტომაც ვამტკიცებ, რომ ფუჭია სინამდვილის ასე დაპირისპირება ერთმანეთთან და ადამიანში მხოლოდ ბიოლოგიურ-ანატომიური სუბიექტის დანახვა. ადამიანი იმთავითვეა სუბიექტი. რატომ არ იქცევა ცხოვრება ქაოსად, უფლებრივი შინაარსი რომ ამოვგლიჯოთ მას? ნანეიშვილის ამ გამოთქმის საპირისპიროდ ვიტყვი, რომ უფლებრივი შინაარსის სრულად ამოგლეჯა შეუძლებელია. თუ აღნიშნულში მხედველობაშია პოზიტიური სამართლით მოხაზული შინაარსი, მაშინ ეს იგივეა, სავსე ჭიქიდან რამდენიმე წვეთი რომ გადმოვღვაროთ. ჭიქაში საკმარისი წყალი მაინც დარჩება, ამიტომაც წესრიგი ჩვენს თანაცხოვრებაში მაინც შენარჩუნდება.

6.03.2012

ისევ ეთიკისა და მასთან სამართლის სუბიექტის მიმართების შესახებ

ისევ მოვალეობას მინდა დავუბრუნდე. როგორც კანტი ამტკიცებდა, სამართლებრივ მოვალეობას წინ უსწრებდა ეთიკური მოვალეობა. ადამიანისათვის ეთიკური მოვალეობა მისი შინაგანი „მე"-ს შინაგანი გამოვლინებაა. ეთიკური მზაობა სუბიექტისა ასევე ყალიბდება სხვა ადამიანებთან თანაცხოვრების პროცესში, ისევე როგორც სამართალი. მაგრამ ეთიკა ჩემს ადამიანურობას განაპირობებს. ამიტომაც ამბობდა კანტი გაკვირვებით, რომ მორალური კანონების ადამიანში არსებობა ისევე აუხსნელია, როგორც ვარსკვლავებით მოჭედილი ცისა. საკმარისია ადამიანი ჩვენ წარმოვიდგინოთ მხოლოდ ბიოლოგიურ სუბიექტად, რომ ხელში შემოგვადნება როგორც ეთიკა, ისე სამართალი. ადამიანი სოციალური არსებაა და იგი სოციალური ღირებულებებითა და კავშირებით წარმოჩნდება როგორც სუბიექტი. ამიტომაც უნდა იყოს სწორი იმისი მტკიცება, რომ ნებისმიერი ქცევის წესი, რომელიც, ჩვენი წარმოდგენით, ფასეულობას წარმოადგენს, მისი პრიმიტიული მდგომარეობიდან მოკიდებული, უნდა მივიჩნიოთ აღნიშნული ურთიერთობის შედეგად. წარმოვიდგინოთ ორი ტიპის რობინზონი: ერთი ის, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. მართალია, იგი არაა სამართლის სუბიექტი, ვინაიდან მის გვერდით არ არსებობს მეორე პირი, რომელთან მიმართებითაც იგი გამოავლენდა ამ სუბიექტისთვის დამახასიათებელ თვისებებს. მისთვის არც იურიდიული უფლება არსებობს და არც მოვალეობა, მაგრამ ასეთი განმარტების პირობებში ჩვენ წინაშეა ეთიკის სუბიექტი,

მატარებელი მორალური ღირებულებებისა. რობინზონს შეეძლო მოქცეულიყო მისი შინაგანი ეთიკის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ იგი მარტო იყო. ამას ემატება პარასკევას გამოჩენა. ეს უკანასკნელიც რომ არ ყოფილიყო, რობინზონს ეთიკის კანონებით მოქმედება მაინც შეეძლო. იბადება კითხვა, რატომ? იმიტომ, რომ ეთიკის მიზნად ჩვენ უნდა მივიჩნიოთ არა მარტო ადამიანი, არამედ მთელი ჩვენი გარშემომყოფი ცოცხალი სამყარო და ამ კანონებით მისდამი დამოკიდებულება. პარასკევას მიმართ რობინზონი მოქმედებს სწორედ ეთიკის კანონებიდან გამომდინარე. თუმცა, ერთი შეხედვით, იგი მასთან მიმართებაში სამართლის ნორმებს ქმნის, მაგრამ ეს მოჩვენებითია. რობინზონი ყოველივე ამას ახერხებს იმის გამო, რომ იგი კუნძულზე აღმოჩნდა, როგორც ადამიანი, პირი, სუბიექტი, რომელსაც აქვს ცოდნა და განცდა ეთიკური და სამართლებრივი ღირებულებებისა. მართალია, მისთვის სამართალი დადუმებულია, მაგრამ იგი მაინც რჩება მორალის მატარებელი, იმ მორალისა, რომელიც ადამიანს კარნახობს, თუ როგორ მოიქცეს ცოცხალი სამყაროს მიმართ.

ახლა ვნახოთ მეორე რობინზონი, რომელიც კუნძულზე მარტო გაიზარდა. ასეთი იყო მაუგლი. იგი ვერ იქნება ვერც ეთიკური ღირებულების მატარებელი, ვინაიდან იგი გაიზარდა და ცხოვრობდა ცხოველთა სამყაროში. მაშასადამე, ადამიანური ეთიკა ყალიბდება ისევ ადამიანთა თანაცხოვრებაში და ჩვენ იმიტომ ვართ ადამიანები, რომ ეთიკური კანონების მატარებლები ვართ. ამ შემთხვევაში მთავარია ჩვენი დამოკიდებულება ეთიკური აქსიომებისადმი და არა მისი რეალიზაციის მდგომარეობა. ყველაზე არაეთიკურად მოქმედი ადამიანი ეთიკური კანონების მატარებელია.

10.03.2012

სამართლის ეგზისტენციური სუბიექტის შესახებ

მცდარია სამართლის სუბიექტის მისამართით ასეთი კითხვის დასმა (წავაწყდი რეიმონ მარტენთან): შეიძლება ადამიანი იყოს უფლების მატარებელი სამართლის სფეროში შესვლამდე? რას ნიშნავს სამართლის სფეროში შესვლა? ჩვენ იმ მომენტიდან, რა დროიდანაც სამართლის სუბიექტი გავხდით, ვიმყოფებით სამართლის სფეროში. შეცდომაა სამართალთან მიმართება გავიგოთ მასთან ერთად ყოფნა-არყოფნაში. ადამიანი, იგივე ფიზიკური პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, შესაძლებლობის აზრით, მატარებელია ყველა იმ უფლებისა, რაც მიზეზობრივად შეიძლება მასთან იყოს დაკავშირებული. უფლებები შესაძლებლობის სახითაა ადამიანში მოცემული. ესაა მოქმედების თავისუფლება. ჩემი კავშირი ამ შესაძლებლობასთან მით უფრო მტკიცეა, რაც უფრო ბუნებრივ უფლებებთან გვაქვს საქმე. ამიტომაც მიმაჩნია ვთქვა – ადამიანი უფლებაა. პოზიტიური სამართალი ამ კონტექსტში გამოიყურება, როგორც გარანტი უფლებებისა. მართალია, ცალკეული უფლებები შეიძლება განვიხილოთ მის შემოქმედებად, რომლებიც ასევე სუბიექტთანაა დაკავშირებული, მაგრამ ისინი მისგან უფრო დისტანციურია, ვიდრე ბუნებითი უფლებები. აქედან ჩანს, რომ უფლებები ობიექტური მდგომარეობაა სუბიექტისა. ისინი პირის სამართალსუბიექტობის ელემენტებია, ე.ი. სამართლის შინაარსის გამოვლინებაა. ამიტომაც, როცა ვამბობთ, რომ პირი უფლებაუნარიანია, ე.ი. იგი უფლების მატარებელია (მათგან ნაწილი რეალურად მოქმედი უფლებებია, ნაწილი კი შესაძლებლობის მდგომარეობაშია).

მაგალითად, ჩვენ საკუთრების უფლების მატარებლები ვართ მანამ, სანამ კონკრეტული საკუთრების ობიექტების მფლობელები გავხდებით. ეს უფლება ყველა ადამიანს თანაბრად ეკუთვნის და ის კონკრეტული შედეგების დადგომის შესაძლებლობაა. ადამიანები ერთმანეთისგან მხოლოდ ამ შესაძლებლობის რეალიზაციის უნარებით განსხვავდებიან. რეალიზაციის ნორმატიული გარანტიები ყველასთვის ერთნაირია. ვთქვათ, შევიძინე საკუთრებაში ნივთი, როგორც მარტენთან ამოვიკითხე, გავხდი სამართლის „ეგზისტენციური სუბიექტი", ე.ი. კონკრეტულ სიკეთეზე უფლების მატარებელი. ამაზე ზოგიერთები ამბობენ, რომ სახეზეა პირის სუბიექტური უფლება. მცდარია ასეთი მიდგომა. მართალია, სახეზეა რაიმე საგანზე ჩემი უფლება, მაგრამ ის უბრალოდ უფლებაა და არა მისი განსხვავებული სახე. ამით ერთმანეთისგან იმიჯნება ჩემი და შენი. თუ ამ მნიშვნელობით ვიხმართ გამოთქმა „სუბიექტურს", მაშინ სადავო აღარაფერი გვექნება. შეცდომად მიმაჩნია უფლებების დაყოფა ობიექტურ და სუბიექტურ უფლებებად. არსებობს უბრალოდ უფლება. სამართალი უფლებრივი წესრიგია. უფლება ამ წესრიგის შედეგია ისევე, როგორც საკუთრების უფლებაა საკუთრებითი წესრიგის რეზულტატი.

თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ კონკრეტული ურთიერთობის დამყარების გარეშე (მაგალითად, ნასყიდობის ურთიერთობაში შესვლა) პირი სამართლის სფეროში არ შედის, მაშინ ასეთი გაგებით გამოდის, რომ ფეტუსი (ნაყოფი) არ არის სამართლის სუბიექტი. მაგრამ ეს ასე არ არის, ვინაიდან ჩვენ მუდმივად ვიმყოფებით სამართლებრივ სივრცეში. სამართალი არ გულისხმობს მხოლოდ ისეთ მდგომარეობას, როცა უფლება ვლინდება მხოლოდ პოზიტიური მოქმედების თავისუფლებაში. სამართალი იმავდროულად გულისხმობს ისეთი მოქმედებისგან თავშეკავებას, რომლითაც მე შეიძლება მომადგეს ზიანი. ამიტომაც, რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, ჩვენ სამართლის სუბიექტები ვართ, ვინაიდან ვართ საზოგადოების წევრები, რომლებიც სამართლებრივი ღირებულებებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. რახან საეჭვო არაა, რომ სამართალი არსებობს, მაშასადამე, მეც ვარსებობ, როგორც მისი სუბიექტი. არ არსებობს სამართალი უსუბიექტოდ და სუბიექტი სამართლის გარეშე. მე ნასყიდობის ურთიერთობაში შევედი, როგორც სამართლის სუ-

ბიექტი. ასეთი რომ არ ვყოფილიყავი, ვერც შევიდოდი ამ ურთიერთობაში. ამ შესვლით უკვე გავხდი კონკრეტული, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, „ეგზისტენციური ურთიერთობის“ სუბიექტი. ასეთი სუბიექტი იმის წყალობით ვარ, რომ ჩემს გარშემომყოფთათვის წარმოვადგენ ღირებულებას მათი არსებობისათვის, ისევე, როგორც ისინი არიან ჩემი არსებობისთვის აუცილებელი. არათუ სამართალში შესვლაზე, იქიდან გასვლაზე საუბარი არასწორია. ამას ადასტურებს ჰეგელის მტკიცება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია საზოგადოებიდან გასვლა. მაშასადამე, ჩვენ ვერც სამართლიდან გავალთ, ვიდრე ცოცხლები ვართ. მეტიც, გარდაცვალების შემდეგაც ვრჩებით გარკვეულ ურთიერთობებში სამართლის ზემოქმედების ქვეშ. ჰეგელს ინდივიდისადმი ასეთი მიდგომა იმისათვის სჭირდებოდა, რომ ემტკიცებინა საზოგადოებისა და სახელმწიფოს პრიმატი ინდივიდზე, რაც არ უნდა მივიჩნიოთ სწორად. სახელმწიფოც და საზოგადოებაც ინდივიდის თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციისათვის არსებობს. მართალია, ინდივიდი, როგორც სამართლის სუბიექტი, საზოგადოების გარეშე არ არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი მასშია გათქვეფილი და საზოგადოებისათვის საშუალებას წარმოადგენს. ინდივიდი საზოგადოების მიზანია. კანტი ხომ ჩაგვაგონებდა, მოვქცეულიყავით ისე, რომ სხვებისთვის მიზანი ვყლოფილიყავით. ეს კი შესაძლებელია ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც დამკვიდრებული ქცევის წესები მაძლევენ ამის საშუალებას. ჩემი ქცევები ვერ დადგება საზოგადო ქცევებზე მაღლა, ვინაიდან საზოგადო ქცევების მიზანია ჩემი ქცევების მართვა. ამის მიზანი კი, როგორც ვთქვით, ის არის, რომ მე გამოვავლინო თავი, როგორც თავისუფალმა სუბიექტმა. მოკლედ, მე ვერც საზოგადოებას მივატოვებ და ვერც სამართალს. ამიტომაც, სიყალბე იქნება იმის მტკიცება, თითქოს სამართლებრივი ნიღაბი ადამიანისათვის ჯადოსნური სარკის ფუნქციას ასრულებდეს. ჩაიხედავს თუ არა ამ სარკეში, იგი სამართლის სუბიექტად იქცევა, მოშორდება ამ სარკეს და აღარ იქნება სამართლის სუბიექტი.

11-12.03.2012

ისევ ინდივიდი, როგორც სამართლის წყარო და მისი პრიორიტეტი საზოგადოებასთან

ცალკეული ადამიანი უფრო უპირატესია, ვიდრე მთელი საზოგადოება. საზოგადოების არსებობის გამართლება კონკრეტული ინდივიდის ინტერესებშია. თუმცა, კონკრეტული ინტერესი არ არსებობს საზოგადო ინტერესის გარეშე. მოძრაობა იწყება პირველიდან მეორისაკენ. სწორი იყო კირკეგორი ჰემელთან კამათისას, როცა მან აღიარა ინდივიდის უპირატესობა საზოგადოებასთან. მაგრამ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ორი სიკეთე არ არსებობს ერთმანეთის გარეშე. ამიტომაც ვამტკიცებ, რომ მე, როგორც ინდივიდი, მარადიულად სამართლის სივრცეში ვიმყოფები, ვინაიდან საზოგადოება ინდივიდთა სამართლებრივი კავშირია, რომელიც სტიქიურად ყალიბდება. შექმნის შემდეგ თავად ხდება სამართალშემოქმედი. მაგრამ, აქაც, ამ პროცესში ცალკეული ინდივიდი წარმოადგენს წყაროს სამართლისა. სამართლის იდეა ჯერ ინდივიდში ყალიბდება გამოცდილების საფუძველზე. ინდივიდი თავის თავში ქმნის სამართლის მონახაზს, რომელიც მისი ინტერესებისათვის იქნება გამოსადეგი, მაგრამ იგი, იმავდროულად, იმაზეც ფიქრობს, თუ რამდენად მიიღებს მას საზოგადოება და ჩათვლის არსებობის ღირსად. თუ მისაღები აღმოჩნდება, ლეგიტიმურიც გახდება და დაიწყებს მოქმედებას. თუ არადა, იგი დარჩება ისევ ინდივიდის განუხორციელებელ იდეად. მაგრამ, აქაც ევოლუციურად უნდა შევხედოთ ამ საკითხს. შეიძლება დღეს იყოს გაუცხოებული ჩემი აზრი საზოგადოებისაგან,

მაგრამ ხვალ რეალობად იქცეს. კულტურისა და სამართლის სფეროში მომხდარი ევოლუციური ნახტომები ინდივიდის მიერ კერძო იდეების დასამკვიდრებლად წარმოებული ბრძოლის შედეგად მომხდარა. ასე იყო ჩვეულებითი სამართლის სფეროში. ალუდა ქეთელაური ის კაცი იყო, რომელმაც განიზრახა დრომოჭმული სისხლის აღების წესი შეეცვალა. მან ვერ შეძლო ეს, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის შეცვლაზე მოახდინა თავისი გავლენა. მეთორმეტე საუკუნეში, მაშინ, როცა მეფის ხელისუფლება არნახულად ძლიერი იყო, ქართველი თავადები პარლამენტური მმართველობის შემოღების იდეით გამოდიოდნენ. დიდი საკანონმდებლო რევოლუციებიც ინდივიდებს უკავშირდება. შვეიცარიაში განათლებამიღებული რამდენიმე იურისტის იდეა იყო თურქეთის სამოქალაქო კოდექსის მიღება. ყოველივე ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოება ინდივიდის გარშემო ტრიალებს და არა პირიქით – ინდივიდი საზოგადოების გარშემო.

მაშასადამე, ამ სივრცეში ყოველივეს მიზეზია ადამიანი, რომელიც თავის ხატად შექმნა ყოველივე არსებულის ერთმა მიზეზმა – უფალმა. განა ყოველი საგანი ერთისგან არ შედგება, სიმრავლე ხომ მათი ჯამია. ასეთი მიდგომა საფუძველს აცლის სამართლის დიუგისეულ თეორიას, რომელიც, ყოველივე იმას, რაც მე მიკავშირდება, ფუნქციურად უტოლებს სოციალურ ინტერესებს, მაშინ როცა, საქმე სრულიად სხვაგვარადაა. სოციალური ინტერესი არსებობს ჩემი ინტერესისთვის და არა პირიქით. ამიტომაცაა სწორი მტკიცება, რომ სამართალი სოციალური ფუნქციის მატარებელია და არა მისი იდენტური.

ამ მსჯელობებიდან ჩანს, რომ სამართლის იდეის წყარო ინდივიდია და ყველა შემთხვევაში ეს ინდივიდი სამართალს უყურებს, როგორც კერძო პირის საზოგადოებაში თვითდამკვიდრების საშუალებას. ასეც უნდა იყოს. სამართალი საშუალებაა და არა მიზანი. მე არაფერს ახალს არ ვამტკიცებ. ყოველთვის ასე იყო. სამართლებრივი იდეები ისტორიულად მოედინებოდა ინდივიდთა გონებიდან. განსხვავება ის იყო, რომ ერთ შემთხვევაში ინდივიდები არ ფიქრობდნენ იმაზე, თუ რამდენად მიიღებდა ამას საზოგადოება და აიძულებდა დამორჩილებოდნენ მის ნებას.

სხვა დროს, დემოკრატიულ საზოგადოებებში, საზოგადოებრივი ინტერესები ხდება მაწონასწორებელი ინდივიდუალურისა. ეს ელემენტარული მტკიცებები მე იმისთვის დამჭირდა, რომ მემტკიცებინა ელემენტარული არითმეტიკული ფორმულა: ერთი = ყველას. ყველა, როგორც ღირებულება, ერთისთვის არსებობს. ყველა მხოლოდ ერთის არსებობის ფორმაა.

13.03.2012

სამართლის აბსოლუტური იდეის ჩემთან შინაგანი კავშირის შესახებ (ჰეგელის გამო)

სამართლის მეტაფიზიკურობა მე ზემოთ საეჭვოდ მივიჩნიე. ამჯერად მინდა ვამტკიცო, რომ სამართალი მეტაფიზიკურიც არის, პოზიტიურიც და ეგზისტენციურიც. ვიდრე სხვა ადამიანებთან ურთიერთობა არ დამყარდება, მანამ სამართლის აბსოლუტური იდეა უმოქმედო მდგომარეობაშია და შემდგომ იწყებს ცხოვრების მართვას. აბსოლუტური იდეა სამართლის სულია, მოქმედი სამართალი კი მისი სხეული. სხეული კვდება, იდეა კი რჩება. შეუძლებელია არსებობდეს სამართლის კონკრეტული იდეა, რომელიც ღებულობს პოზიტიური ან სამოსამართლეო სამართლის ფორმას და არ იყოს დაფუძნებული სამართლის აბსოლუტურ იდეაზე. ნანეიშვილი თავის ფილოსოფიაში ამას ამტკიცებდა, როცა ამბობდა, რომ პოზიტიური სამართლის ნორმას ყოველთვის წინ უძღვის სამართლის ზოგადი იდეა. მაშასადამე, არსებობს ისეთი იდეა, რომელიც, ჰეგელის აზრით, აბსოლუტური სულის მსგავსია. ეს ასე რომ არის, ჩანს იქიდანაც, რომ განსხვავებული სამართლებრივი სისტემებისა და ოჯახების ხალხთა წარმოდგენები სამართლის საყოველთაო ფასეულობების მიმართ ხშირად ერთნაირია, მაშინაც, როცა ამ ხალხებს არავითარი კომუნიკაციური ურთიერთობები არ ჰქონიათ ერთმანეთთან. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ აბსოლუტური იდეის სახით (აქ მე არ მაქვს სამართლის დარგობრივი პრინ-

ციპები), სამართალი არც მთლად გარეგანი უნდა იყოს ადამიანისათვის. თუკი ეთიკური ღირებულებები მისთვის შინაგანია, რატომ არ შეიძლება ასე შევხედოთ სამართლის აბსოლუტურ იდეასაც? მე, როგორც ადამიანი, მხოლოდ ეთიკურ სუბიექტად გავჩნდი? ალბათ – სამართლის სუბიექტადაც. არც ეთიკა და არც სამართალი არ გაჩენილა მეორე ადამიანთან კომუნიკაციის გარეშე. შეუძლებელია ის, რაც აბსოლუტური იდეის სახით არსებობს და აბსოლუტური სულის ფორმაშია, მხოლოდ ჩემი გარეგანი იყოს. პოზიტიური სამართალიცა და სამოსამართლეოც გარკვეული წესების სამყაროა. შეუძლებელია ამ წესებს წინ არ უძღოდეს სამართლის აბსოლუტური იდეა, იგივე აბსოლუტური წესი. ეს უკანასკნელი თითქმის უცვლელია, მაშინ როცა, ცვალებადია მისგან ნაწარმოები ნორმატიული წესრიგი. იგი მუდმივი განახლების პროცესშია და ამაში ვლინდება აბსოლუტური იდეის სიცოცხლე. განახლება მიმდინარეობს ძველის კვდომით და ახლის დამკვიდრებით. რომელი სამართლის ოჯახშიც არ უნდა აღმოვჩნდეთ, აბსოლუტური იდეა ჩვენთან ერთად იქნება. კომიკური შედარება მინდა მოვიტანო. როგორც სანივთო უფლებას ვერ მოიშორებს ნივთი, ისეა ჩვენთან დაკავშირებული აბსოლუტური იდეაც. მისი კონკრეტული გამოვლინება კი ვალდებულებითი უფლების კონკრეტულ სივრცეში მოქმედებას შეიძლება შევადაროთ. მაშასადამე, სამართლის მოძრაობის მარშრუტია აბსოლუტური იდეიდან კონკრეტულ-ეგზისტენციურ სივრცეში განშლა. ეს ისე უნდა მოხდეს, რომ აბსოლუტური იდეა არ დაზარალდეს. სავსებით შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ არადემოკრატიულმა სახელმწიფომ მიიღოს არაადამიანური კანონები და ამით დაუპირისპირდეს სამართლის აბსოლუტურ იდეას. მაგრამ, როგორი ჩამორჩენილიც არ უნდა იყოს ქვეყანა, ვერ ვიტყვით, რომ ეს იდეა არ არსებობს მათი მოქალაქეების ცნობიერებაში. სხვანაირად შეუძლებელიცაა, ვინაიდან ადამიანი მატარებელია სამართლის აბსოლუტური იდეისა. მე როცა კანტის პოზიციას ვემხრობოდი, რომ სამართალი ჩემი გარეგანია, აქ მხედველობაში მქონდა სამართალი, როგორც აბსოლუტური იდეის განშლა – მოძრაობა. სიფრთხილით ვიტყვი, ჩემი შინაგანი სხვადასხვა

ფორმით გარეთ გამოდის და მევე მიპირისპირდება. ამ გაგებით ვამტკიცებდი, რომ სამართლის წყარო ადამიანია. ჰეგელს დავეყრდნობი და ვიტყვი, რომ აბსოლუტური სული ჯერ სუბიექტურში ბინავდება იმ სახით, როგორც ზემოთ ვთქვი და ამის შემდეგ ოჯახში, საზოგადოებაში, სახელმწიფოს სახით, მაშასადამე, პოზიტიური და სამოსამართლეო სამართლის სახით.

14.03.2012

უფლების განხორციელების შესახებ ეთიკასთან კავშირში

სამართალი დაკავშირებულია სავალდებულობის მომენტთან. როცა ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ უფლებამოსილი, იმავდროულად ივარაუდება, რომ ჩვენ ვართ ვალდებულიც. სამართლის სუბიექტი მხოლოდ ამ განზომილებაში არსებობს, ვინაიდან თავად სამართალია ამ თვისების მატარებელი. სამართალი შეიძლება მანიჭებდეს რაიმე უფლებას, მაგრამ ის ვალდებულებით იყოს შებოჭილი. უფრო ნათლად უფლების ყოფიერება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ერთ შემთხვევაში უფლების მიმართ სრულიად ავტონომიური დამოკიდებულება გამაჩნია, როცა უფლებით განსაზღვრული ინტერესი მხოლოდ მე შემეხება. ასეთ დროს უფლებით მონიჭებული შესაძლებლობა შეიძლება გამოვიყენო, შეიძლება არა. იერინგს თუ დავუჯერებთ, უფლებისათვის ბრძოლა ადამიანის მოვალეობაა, თანაც არა მარტო თავის წინაშე, არამედ ყველას წინაშე. როგორც ჩანს, იერინგს აქ მხედველობაში ჰქონდა არა უფლების მატარებლის ინტერესი, არამედ მართლწესრიგის ინტერესი. იერინგის თეორიაში თითქოს უფლება წყდება მის მატარებელ სუბიექტს და მისგან დამოუკიდებლადაა ფასეულობა. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ უფლება საერთოდ გაემიჯნა მისი ბინადრობის გარემოს. ეს არც ხდება, მე თუ არ ვისარგებლებ უფლებით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არც სხვები სარგებლობენ. ვიდრე უფლება თავისი არსით იწოდება უფლებად, მანამ ის სამართლის მეშვეობით სამართლის სუბიექტთანაა დაკავშირებული. იერინგის მოწოდება უფლებისადმი პა-

ტივისცემის გამოხატულებაა. გასათვალისწინებელია აქ ის, რომ იერინგი უფლებისათვის ბრძოლის ვალდებულებაზე საუბრობს მაშინ, როცა უფლება წინააღმდეგობას ხვდება. მოწოდება ლოგიკურია. შეიძლება ადამიანის ეთიკური მოვალეობა იყოს, რომ მან დაიცვას თავისი უფლება. აქ მორალური კანონი მოუწოდებს ადამიანს იბრძოლოს უფლებისათვის, ე.ი. ეთიკური მოვალეობა მხარში უდგას უფლებას, მაგრამ მე უფრო სხვა შემთხვევა მაქვს მხედველობაში. კერძოდ ის, რომ, როცა უფლება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშეა, აქ მისი მოვალეობით (საკუთარი და სხვების მიმართ) დამძიმება, ცხადია, ულოგიკო იქნება. უფლების შინაარსში ამოსავალია ის, რომ მე მაქვს მოთხოვნის შესაძლებლობა. მისი გამოყენება-არგამოყენება არ ცვლის უფლების ხასიათს. როცა არ ვიყენებ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე უფლების შინაარსიდან გამომდინარე მქონდა ეს შესაძლებლობა. როცა ვიყენებ, ეს უკვე სამართლით მონიჭებული შესაძლებლობაა, რომელსაც წელს უმაგრებს იძულების მომენტი. მაგრამ არის ისეთი უფლებები, რომლებიც, მართალია, მე მეკუთვნიან, მაგრამ მასში ჩადებული ინტერესი სხვებზეც ვრცელდება (შეიძლება არაპირდაპირ). უფლება შეიძლება ერთს ეკუთვნოდეს, მაგრამ მასში ჩადებული ინტერესის სუბიექტი რამდენიმე პირი იყოს (მაგალითად, მეუღლე, შვილები და ა.შ.). აქ უკვე უფლების განხორციელების მიმართ ეთიკური ბიძგები ძლიერია. ამდენად, უფლების განხორციელებას ზოგჯერ ეთიკური საძირკველი აქვს, ზოგჯერ კი არა.

17.03.2012

სხვისი უფლებისადმი დამოკიდებულების შესახებ

ამჯერად მინდა ვისაუბრო არა ჩემი, არამედ სხვისი უფლებისადმი დამოკიდებულების შესახებ. მაგრამ, არა მოვალეობის რანგში, არამედ საზოგადოდ უფლებისადმი ჩემი დამოკიდებულების ჭრილში. ბიბლიური დებულება გვეუბნება: მოექეცი სხვებს ისე, როგორც გინდა, რომ ისინი მოგექცნენ შენ. მაშასადამე, საკუთარი უფლებების ავტონომიურობა და მისდამი პატივისცემა რომ შეინარჩუნო, სხვისი უფლებებისადმი დამოკიდებულებაც შესაბამისი უნდა იქონიო. ცხადია, ვერ იქნება ჩემისა და შენისადმი აბსოლუტურად ერთნაირი დამოკიდებულება, მაგრამ ჩემი უფლების არსებობისათვის აუცილებელია პატივს ვცემდე შენს უფლებას. რატომ? იმიტომ, რომ ჩემი უფლება ერთი ნაწილია იმ უფლებრივი სამყაროდან, რომელიც სამართლებრივი წესრიგის ფორმით არსებობს. მაშასადამე, ამ თვალსაზრისით, მე ვიმყოფები აუცდენელი იძულების ქვეშ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უფლება სუბსტანციურადაა შეზღუდული გარშემომყოფთა უფლებებით და, მეორეც, ამასაც რომ არ ჰქონდეს ადგილი, სხვათა უფლებებისადმი მავალდებულებს ჩემი უფლება. თანამედროვე პოზიტიური სამართალი ხშირად აპელირებს უფლების ამ მდგომარეობაზე. ისევ ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ეს არაა მოვალეობის სტილში სხვათა უფლების განცდა, არამედ, ესაა ისევ საკუთარი უფლების სრულყოფილი აღქმა. რაიმე მხოლოდ მაშინ იქნება ჩემი, როცა შესაძლებელია, რომ ის იყოს თქვენიც. ამ მიმართებაში ჩემი დამოკიდებულებანი შეიძლება იყოს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი იძულებით განპირობებული.

ყოველი მართლწესრიგის ხასიათი ამ დამოკიდებულებით განისაზღვრება. რაც უფრო ბუნებრივია ეს დამოკიდებულება, მით უფრო მტკიცეა უფლებათა წესრიგი და მათი ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაარსებობა. უფლებათა თანაცხოვრების ეს რეალობა ნაკლებად იწვევს სახელმწიფო იძულების გამოყენებას. ეს ნიშნავს იმას, რომ სახეზეა უფლებათა სოლიდარობა. მე ხომ ბევრჯერ ვთქვი, რომ ადამიანი უფლებაა. ყოველი უფლება უფლებრივი წესრიგის ელემენტიცაა და მისი ნაყოფიც. ისევე როგორც მე არ შემიძლია ჩემი შემეცნება სხვებთან დამოკიდებულების გაცნობიერების გარეშე, ასევე შეუძლებელია „ჩემის“ შემეცნება „თქვენის“ შემეცნების გარეშე. მართალია, მე შეიძლება სარკეში დავინახო ჩემი თავი, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ჩემი გარეგნული სახის აღქმა იქნება და არა იმისა, თუ ვინ ვარ მე და რა დამოკიდებულებაში ვიმყოფები სხვებთან. ასეა უფლების შემთხვევაშიც, მისი აჩრდილის ხილვა ვერ იქნება ჩემი უფლების ახსნა. ამიტომაც ვამტკიცებ, რომ ჩვენ სხვათა უფლებები უნდა შევიმეცნოთ, როგორც წყარო და მიზეზი ჩვენი უფლებებისა. ამდენად, უფლებრივ სამყაროში მოქმედებს მიზეზობრიობის აუცილებელი კანონი, რომლის ეფექტიანობაც განპირობებულია სამართლის სუბიექტთა ქცევებით, იმით, თუ როგორი დამოკიდებულება გააჩნიათ მათ თამაშის წესებისადმი. წარმოვიდგინოთ ფეხბურთელთა ნაკრები. თითოეულ მათგანს ერთმანეთისგან განსხვავებული როლი აკისრია. ვერც ერთი მათგანი ვერ შეასრულებს დაკისრებულ ფუნქციას, თუ პატივისცემით არ იქნება განწყობილი სხვების ფუნქციათა მიმართ. რატომ? იმიტომ, რომ უბრალოდ არ არსებობს მისი ფუნქცია სხვების გარეშე. საკმარისია, ამ განწყობით არ მოქმედებდეს მოთამაშე, რომ წაგება აუცდენელი იქნება. მკაცრი შედარებაა და არც მთლად გამოსადეგი, მაგრამ იარსებებს კი ცალკეულის უფლებები, თუ ყველას უფლებებისადმი არ იქნება მსგავსი დამოკიდებულება? ისე არ გავიგოთ, თითქოს მე უარვყოფდე უფლების ავტონომიურობას, მაგრამ ეს ავტონომიურობა მას შეძენილი აქვს იმის წყალობით, რომ აღიარებული მაქვს სხვათა უფლების ავტონომიურობა. ისევ გავიმეორებ, ესაა უფლებრივი სოლიდარიზმი. ჩვენ თითოეული იმდენად ვარსებობთ, რამდენადაც ვარსებობთ

თითოეული ყველასთან ერთად. ჩვენი პირადი ცხოვრების დამოუკიდებლობა მხოლოდ მაშინ იქნება დამოუკიდებლობა, თუკი იმავდროულად ადგილი ექნება სხვათა დამოუკიდებლობას. მაშასადამე, ჩემი უფლება იმდენადაა ჩემი, რამდენადაც ამას განაპირობებს შენი უფლება.

18.03.2012

სამართლის, როგორც იძულებითი წესრიგის, შესახებ (კელზენის გამო)

ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ სამართალი იძულებითი წესრიგია. კელზენი ამ მიმართებით ერთმანეთისგან მიჯნავს სამართალსა და მორალს. ორივეს ნორმატიულობის მიუხედავად, მისი აზრით, იძულებითი წესრიგის შედეგია მხოლოდ სამართლებრივი წესრიგი. ვერ უნდა იყოს დამაჯერებელი მორალისა და სამართლის ასეთი დამოკიდებულება. იძულება, როგორც ნორმის თანამდევი (თანმხლები) მოვლენა, ნებისმიერი წესრიგისთვისაა დამახასიათებელი. განსხვავება იძულების ხასიათშია. მორალის შემთხვევაში განმსაზღვრელია შინაგანი იძულება, სამართლის დროს კი — გარეგანი იძულება. ვინაიდან სამართალი, როგორც კანტი ამტკიცებდა, გარეგანია, შესაბამისად, მისი თანმხლები იძულებაც გარეგანია. უპირატესად, ეს პოზიტიური სამართლის მიმართ. იძულების ფაქტორი სამართლებრივი ქცევის წესისადმი შეგუებას უწყობს ხელს მის მატარებელ სუბიექტებში. როცა ვამბობთ — ვალდებულება უნდა შესრულდეს, მაშასადამე, შესაძლებელია, ის არ შესრულდეს. ამდენად, იძულება ის ძალაა, რომელიც შესრულებას უწყობს ხელს პასუხისმგებლობის მუქარით. მაგრამ, შეცდომა იქნება აქ მარტო შიშველი გარეგანი იძულება დაგვენახა. შინაგანი იძულება, რომელიც ეთიკის სფეროა, ასევე სამართლებრივი ვალდებულების შესრულების ხელშემწყობი გარემოებაა. სამართლებრივი იძულებისათვის ამას შეიძლება არ ჰქონდეს გადამჭრელი მნიშვნელობა, მაგრამ ის მაინც ახდენს მასზე გავლენას.

რაც უფრო მაღალია შინაგანი იძულება, რომელიც მოვალეობის ეთიკური განცდაა, მით უფრო ვიწროვდება გარეგანი, წმინდა სამართლებრივი იძულების ასპარეზი. როცა მათ შორის სერიოზული დაპირისპირებაა, მაშინ ეს შეიძლება იყოს მაჩვენებელი სხვადასხვა მიმართებისა: ერთ შემთხვევაში სამართლის ნორმა დაპირისპირებაშია სუბიექტის მორალურ შეგნებასთან, იმიტომ, რომ სამართალი არ შეესაბამება გაბატონებულ ეთიკურ ღირებულებებს. ასეთი სამართალი გაუცხოებული იქნება მისი სუბიექტებისაგან და იძულება მხოლოდ უკუქმედებას გამოიწვევს. სხვა დროს, ეს შეუსაბამობა გამოწვეულია იმით, რომ მოძველებულია ადამიანთა მორალური ცხოვრების წესი და მათ უჭირთ იმ სამართალთან შეგუება, რომელიც ცდილობს ახალ ეთიკურ სინამდვილეში გადაიყვანოს ისინი. აქ სამართლებრივი იძულება ასრულებს ეთიკური იძულების დამკვიდრების ფუნქციას, გვევლინება მის ხელშემწყობ ფაქტორად ძველის დაძლევისა და ახლის დამკვიდრების გზაზე. მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა სამართლებრივი იძულება განვიხილოთ ეთიკური იძულების წყაროდ. ახლა, რაც შეეხება მხოლოდ ეთიკურ იძულებას. როგორც არ არსებობს წმინდა სამართლებრივი იძულება, ასევე არ არსებობს წმინდა ეთიკური იძულება. ყოველი ადამიანის შინაგანი იძულება განსაზღვრავს ეთიკური მოვალეობის სუბსტანციას და ყოველთვის კავშირშია გარეგან იძულებასთან. გარეგანი ფაქტორები, გნებავთ არასამართლებრივი ქცევის წესები, სერიოზულ გავლენას ახდენენ ჩვენს შინაგან ნებაზე. მოკლედ, მე არასრულყოფილად მიმაჩნია აზრი, რომელიც იძულებით წესრიგად მხოლოდ სამართალს განიხილავს. სამართალი, რომელიც მხოლოდ თავისი თავით ამოწურავს იძულებას, აკნინებს სუბიექტის შინაგან დამოკიდებულებას მისდამი. ეთიკური იძულება ის სარკეა, რომელიც აჩვენებს სამართლებრივი იძულების ვარგისიანობას.

19.03.2012

კვლავ ნორმის მოქმედების შესახებ (კელზენის გამო)

კვალავ მინდა მივუბრუნდე სამართლის ნორმის არსებობას. კელზენის ახსნით, ამისათვის აუცილებელია ნორმის მოქმედება. მოქმედად კი შეიძლება განვიხილოთ ისეთი ნორმები, რომელთა შესრულება და გამოყენება ხდება. ეს კი მაშინაა შესაძლებელი, როცა ნორმის შექმნის აუცილებელი წინაპირობა იქნება მისი შესრულებადობა და გამოყენებადობა. როცა ნორმა არ სრულდება, ამის მიზეზი შეიძლება იყოს რამდენიმე გარემოება. ერთი იქნება ის, რომ ნორმა თავიდანვეა მკვდრად შობილი, კერძოდ, როცა ნორმა გაუცხოებულია იმ სინამდვილისაგან, რომლისთვისაც შეიქმნა ის. მოკლედ, აქ დროისა და სივრცის ფაქტორის იგნორირებაა. მეტიც, ესაა საკუთარი ძალების არასწორი შეფასება. სხვა დროს ხდება საკუთარი ძალების არა გადამეტებული შეფასება, არამედ მათი დაკნინება. ამ დროს ჩვენ უარს ვამბობთ იმაზე, რაც შესაძლებელია და მას შეუძლებლობას ვუტოლებთ. აქ ეფექტები დათრგუნულია, ვინაიდან უარყოფა ეხება იმას, რისი უარყოფაც შეუთავსებელია განვითარების საყოველთაო კანონთან. ჩნდება კითხვა: რა „წონის“ უნდა იყოს სამართლით განსაზღვრული ტვირთი? ცხადია, აქ არც ნიჰილიზმია მხარდასაჭერი და არც ფეტიშიზმი. მაგრამ, როგორც ვთქვით, ფეტიშისტური მინუსი გაცილებით პროგრესულია, რამეთუ ის აღიარებაა ადამიანის პასუხისმგებლობისა, მუდმივად სრულყოფდეს თავისი ცხოვრების წესებს, რაც შესაძლებელია სადემარკაციო წითელი ხაზის სერიოზული დარღვევებით დამთავრდეს. თუკი ეს

იქნება რეალობიდან ტოტალური მოწყვეტა, სამართლის ნორმა პოზიტიური ტვირთის მქონედ ვერ ჩაითვლება. ასეთი ნორმა ვერ ჩაითვლება სიცოცხლისუნარიანად და, შესაბამისად, არსებულად. ის, რაც არსებულია, ცოცხალია და მოქმედი. რა შედეგი მოყვება ამ შემთხვევაში ძალდატანებას? ის ვერ შეასრულებს ბებიაქალის როლს, ვინაიდან ასეთ ვითარებაში არ არსებობს ნაყოფი. მაშასადამე, არსებულად შეიძლება ჩაითვალოს ის, რისი არსებობაც შესაძლებელია მოცემულ პირობებში, ე.ი. ნორმა არ არსებობს, როცა არ არსებობს მისი მოქმედება. კანონთა წიგნები ნორმის პროექტებია, თავად ნორმა კი — მოქმედებაა. ამიტომაც ვამტკიცებთ, რომ ნორმა, რომელიც არაადეკვატურია იმ სინამდვილისადმი, რომლის მოსაწესრიგებლადაც შეიქმნა, არარსებულია. შეიძლება ნორმა თავიდან არსობის პირობებს აკმაყოფილებდა, მაგრამ ახალ გარემოებებთან შეუგუებლობის გამო იქცეს არარსებულად. მაშასადამე, სამართალი თავისივე თავის ტრანსფორმაციით უნდა შეეგუოს ახალ სინამდვილეს. თუ შეძლებს ადაპტაციას, სიცოცხლესაც შეინარჩუნებს, თუ არა, მაშინ მოკვდება. ამ გაგებით ამტკიცებდა კელზენი სამართლის ნორმის მოქმედებას. გამოდის, რომ სამართალი კანონთა წიგნში სხვაა და მოქმედებაში კიდევ სხვა. შეიძლება ნორმამ არსებობა ვერ მოიპოვოს იმის გამო, რომ თავად კანონმდებელი უწევდეს ბლოკირებას მის მოქმედებას. ეს ხდება ნორმის მოქმედების ხშირი გადავადებით. გადავადება ხდება კანონმდებლის იმ მოსაზრებით, რომ ნორმა ჯერ არაა მზად მოქმედებისათვის. ეს მისი ლეგიტიმური უფლებაა, მაგრამ, იმავდროულად, ნორმის არსებობის ეჭვქვეშ დაყენებაცაა.

20.03.2012

ცნობიერისა და არაცნობიერის მიმართება სამართალში (ფროიდთან დაკავშირებით)

ამჯერად ცნობიერისა და არაცნობიერის ურთიერთმიმართების ჭრილში მინდა შევხედო სამართალს. სამართალი განეკუთვნება ცნობიერის სფეროს. ცნობიერიდან სამართლად იწოდება ის, რაც ზოგადი წესის სახით არსებობს. მაშასადამე, შესაძლებელია (და რეალურიცაა) კონფლიქტი და დაპირისპირება სამართლისა ცნობიერის იმ ნაწილთან, რომელიც პოზიტიური სამართლისგან განსხვავებულ წესს მოიაზრებს. ამიტომაცაა კელზენის აზრით სამართალი იძულებითი წესრიგი. მაგრამ, დაპირისპირება არსებობს ცნობიერსა და არაცნობიერს შორის. ე.ი. შესაძლებელია დაპირისპირება სამართალსა და არაცნობიერ ყოფიერებაში არსებულ ქცევის წესებთან. ამას სამართლის „შექმნის" პროცესში ანგარიში უნდა გაეწიოს. იუსტინ გორდერის ხატოვანი შედარებით, ცნობიერი ჰგავს აისბერგის იმ ნაწილს, რომელიც წყლის ზევითაა, არაცნობიერი კი იმ ნაწილს, რომელიც წყლის ქვეშაა. ცხადია, ეს ნაწილი ბევრად დიდია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ცნობიერი და არაცნობიერი არ არსებობს ერთმანეთის გარეშე. არაცნობიერი ერთგვარი საკვებია ცნობიერისათვის. სწორედ მაშინ ამოტივტივდება ჩვენი გონებიდან რაღაც აზრი, როცა რაიმე საგნის შემეცნებას ვიწყებთ. როგორც ცნობიერი, ისე არაცნობიერი გამოცდილებას ემყარება და, ბუნებრივია, ერთმანეთთან დაპირისპირებისას გავლენას ახდენენ შედეგზე. არაცნობიერმა შეიძლება არ შეასრულოს ქცევის წესის ჩამოყალიბებაში მიზეზის ფუნქცია, მაგრამ სერიოზული

გავლენა მოახდინოს მასზე. აქ გადამწყვეტია, ჩვენი მეხსიერების სიღრმეებში რა აზრებია დამარხული. ყოველივე ეს ჩვენი ქცევების მამოძრავებელი ძალების ერთგვარ დუალიზმს იწვევს. ვმოქმედებ გარკვეული სახით იმიტომ, რომ ამას მაიძულებს ჩემი გონება ცნობიერის მდგომარეობაში. სხვა დროს ამას შეიძლება განაპირობებდეს გონება არაცნობიერ ფორმაში. მეტწილად, ქმედებას განსაზღვრავს ცნობიერი, მაგრამ მასში მონაწილეობს არაცნობიერიც. ყოველივე ამას მე იმიტომ ვყვები, რომ ჩავიხედოთ ჩვენი მართლშეგნების სარკეში. რა შეიძლება დავინახოთ იქ? ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა გარემოში გვიხდებოდა ჩვენ ცხოვრება და რა ფასეულობებით ვიკვებებოდით. რა ხდება მაშინ, როცა ჩვენს გონებაში დაგროვილია ისეთი საკვები, რომელიც ცნობიერის მიხედვით უნდა ჩაითვალოს უხარისხოდ? თუკი ადამიანს ბევრი ასეთი საკვები აქვს მიღებული, შეიძლება მან დაჩრდილოს ცნობიერის სფერო და თავად მოგვევლინოს ცნობიერის ადგილზე. ამიტომ მეჩვენება მე, რომ იმათი მართლშეგნება, რომლებიც სიამოვნებით იღებდნენ საბჭოთა სამართლებრივ კატეგორიებს, ძნელია შეაგუო ახალი დროის ადეკვატურ სამართალთან. აქ კონფლიქტი გაბატონებულ წესებსა და მათ სურვილებს შორის აუცდენელია. მაგრამ, ვისაც არ მიუღია ასეთი საკვები, აქ კონფლიქტი ან საერთოდ არ იქნება, ვინაიდან არაცნობიერი ერთგვარი მიზეზიც შეიძლება გახდეს ცნობიერისა, ან უმნიშვნელო იქნება მათ შორის გაუცხოება.

ყოველივე ეს იმიტომ დამჭირდა, რომ სამართალქმნადობის პროცესში ანგარიში გაეწიოს ჩვენი გონების ამ მდგომარეობას. საკმარისია არაცნობიერის გადაქაჩვა ცნობიერში, რომ იმ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, კუმ რაც რვაფეხას დამართა (იუსტინ გორდერი).

20.03.2012

სამართლისა და მისი სუბიექტის არსობის შენარჩუნების შესახებ (ეგზისტენციალიზმთან კავშირში)

შეიძლება ჩვენს თავს დავუსვათ ასეთი კითხვა: რაა საჭირო იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი არსობა და, საერთოდ, რას ნიშნავს ის? ეს კითხვა აწუხებდათ ეგზისტენციალისტებს და ისინი თვლიდნენ, რომ ადამიანმა თვითონ უნდა შექმნას თავისი თავი. ისინი უარყოფდნენ ყოველგვარ მარადიულს და, მაშასადამე, ადამიანის მარადიულ ბუნებას და, საერთოდ, ქცევის მარადიულ წესებს. რა თქმა უნდა, ბუნებაში ყველაფერი ცვალებადია, მაგრამ არც ისე მიდის ეს პროცესები, რომ შეუძლებელი იყოს ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა. განვითარების საყოველთაო კანონი არაა მუდმივი ნახტომები ერთი არსობიდან მეორეში გადასვლისა (არც ამ ნახტომებს გამოვრიცხავ). ის, რასაც ჩვენ ვხედავთ და აღვიქვამთ, ესაა არა მოძრაობაში მყოფი საგანი (თუმცა ის ვითარდება, მაგრამ ამ პროცესის ხილვა შეუძლებელია), არამედ ჩვენ მას ვხედავთ, როგორც სტატიკურ მდგომარეობას. ამ აზრით, თერგიც ისეთივე სტატიკაა ჩემთვის, როგორიც მყინვარწვერი. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ყოველ საგანს უნდა გააჩნდეს ის მარადიული, რაც ქმნის მის სახეს, მის არსობას. მე, როგორც ადამიანი, იმიტომ ვარ ადამიანი, რომ მახასიათებს რაღაც ისეთი ნიშნები, რითაც განვსხვავდები ყველა სხვა არსებისგან, ეს იქნება ცოცხალი ბუნების საგნები, თუ მკვდარი. მაშასადამე, მე ვყოფილვარ, ამ აზრით, ერთხელ და სამუდამოდ არსებული (თუმცა, სულ განვითარების პროცესში).

ეგზისტენციალისტური მიდგომა მხოლოდ მოძრაობის განცდაა, რასაც ვერ უარვყოფთ, მაგრამ ის, რაც მოძრაობაშია, იმავდროულად, ხომ თავისი არსობით უძრაობაშია. შეუძლებელია მოძრაობა უძრაობის გარეშე. ამიტომაც გვჭირდება ყველა საგანი ამ კუთხით დავინახოთ. თუკი ჩვენ აბსოლუტურად უარვყოფთ მეტაფიზიკურ მოძღვრებას სამართლის შესახებ და ვიტყვით, რომ არ არსებობს საყოველთაოდ დადგენილი წესები, როგორც ამას ეგზისტენციალიზმი აკეთებს, მაშინ საკითხავია, როგორ ვარსებობთ? ამჟამინდელი არსებობის ყოველ წესს ხომ რაღაც განმსაზღვრელი (აბსოლუტური) წესი უნდა უძღოდეს წინ. ეს განმსაზღვრელი (საყოველთაო) წესია ის ფაქტორი, რის გამოც სამართლის სუბიექტი ვარ არა მარტო მე, არამედ ყველა, იმის მიუხედავად, დედამიწის რომელ კონტინენტზე ვცხოვრობთ ჩვენ. მაშასადამე, მე, როგორც ადამიანს, მაკრავს მარადიული ბუნებითი უფლებრივი ჯავშანი, რითაც ვხდები ადამიანი, როგორც მოაზროვნე სუბიექტი. შეიძლება ჩვენი განვითარების რაღაც პერიოდში ყველა არ იყოს თანაბრად ამ ჯავშნის მატარებელი საზოგადოების დისკრიმინაციული სტრუქტურის გამო, მაგრამ აქაცაა ყველასთვის საყოველთაო სამართლებრივი სიკეთეები, რაც მათ აერთიანებთ. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ყველაზე უუფლებო ადამიანის საზოგადოების ნაწილად განხილვა. სხვა საქმეა საყოველთაო წესიდან გამომდინარე უფლებები. აქ დისკრიმინაციული ველი ფართოვდება, მაგრამ ეს ვერ აუქმებს იმას, რასაც ჰქვია სამართლის სუბიექტის არსობა. მე შეიძლება თქვენზე ნაკლები უფლებები გამაჩნდეს, მაგრამ ამით ჩემი არსობა არ შეიძლება ჩაითვალოს გაუქმებულად (თუმცა, მე არ გამოვრიცხავ იმას, რომ ზოგჯერ ის საეჭვო გახდეს).

ვერ დავეთანხმები ეგზისტენციალისტებს, რომ ადამიანმა თავისი არსობა თავად უნდა შექმნას. სხვა საქმეა, ადამიანმა თავისი არსობა განავითაროს. მაშასადამე, ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ ვიმყოფებით საყოველთაო, აბსოლუტური წესრიგის სივრცეში ისე, რომ შეიძლება ვერც აღვიქვათ ეს წესრიგი, მაგრამ შეცნობადი აღმოჩნდეს ის რელატიური წესრიგი, რომლითაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებაა განსაზღვრული. ეგზისტენციური მიდგომის გამართლება შეიძლება მოვნახოთ მხოლოდ წესრიგის ამ მეორე ეტაპზე, თავად წესრიგისადმი ისეთ მიდგო-

მაში, რაც არ გამოიწვევს მის უარყოფას. ვერავინ დაიჯერებს, რომ ეგზისტენციალიზმი უარყოფს მიმდინარე წესრიგს. მაგრამ უნდა დავიჯეროთ, რომ ის მხარს უჭერს ამ წესრიგის მომეტებულად დანაწევრებას, რასაც მათი კონცეფციით შედეგად მოსდევს საზოგადოებასთან არაგაუცხოებული ადამიანი. ხაზი სწორი უნდა იყოს, მაგრამ ისე არ უნდა მოგვივიდეს, რომ ადამიანის თავისუფლების მოტივით უარვყოთ საზოგადოება, რომელშიც ეს ადამიანი არსებობს (აქ მე მხედველობაში მაქვს ნორმატიული წესრიგი და, ამდენად, თავად ადამიანი). რაც უფრო დაუსაბუთებლად (არამოტივირებულად) დავანაწევრებთ მოწესრიგების სივრცეს და ატომისტური მიდგომით შევეცდებით მის შრეებად დაყოფას, მით უფრო დავშორდებით საკუთარ თავსაც და იმ საზოგადოებასაც, რომლის ნაწილიც ვართ. ამით სამართალი დაკარგავს ზოგადი ქცევის წესის ბუნებას და საკუთარ თავსაც უარყოფს. ისევე როგორც მიუღებელია ერთი დღის სამართალი, ასევე მიუღებელია ერთი ადამიანის (კაცის) სამართალი. ეგზისტენციური სუსხი კი ჩვენს პოზიტიურ სამართალზე გამართლებულია.

24.03.2012

ადამიანი სამართლის აბსოლუტური იდეის მეურვეობის ქვეშ

„ჩვენ აღარ ვართ მხოლოდ რომელიმე ქალაქის ან ქვეყნის მოქალაქეები. ჩვენ უკვე საპლანეტო ცივილიზაციაში ვცხოვრობთ“ – იუსტინ გორდერის ამ სიტყვების შემდეგ აუცილებლად გაჩნდება კითხვა: მე, როგორც ადამიანი და მოქალაქე, გარკვეული უფლება-მოვალეობების მატარებელი სუბიექტი, ვარსებობ მხოლოდ ჩემი ქვეყნის სამართლის ზემოქმედების ქვეშ, თუ უფრო მეტი ვარ, ვიდრე ჩემი ქვეყნის სამართლებრივი განზომილებით მოაზრებული სუბიექტი? საყოველთაოდ აღიარებული სამართალი, რომელიც ბატონობს სამართლის ეროვნულ იდეაზე, მაღიარებს მე მსოფლიო მოქალაქედ თავისი არაპირდაპირი მნიშვნელობით. ძირითად უფლებათა ჭრილში შეიძლება ამის გაგება პირდაპირი მნიშვნელობითაც. ადამიანისათვის, როგორც უმაღლესი ღირებულებისათვის, ჩვენს ეპოქაში დედამიწა წარმოადგენს იმ უფლებრივ სამყაროს, რომელშიც ღიაა მისთვის კარები. ადამიანის ძირითადმა უფლებებმა დედამიწა შეკრა ერთიანი მართლწესრიგით (ცალკეული გამონაკლისების გარდა), რომელიც კვებავს თითოეული ჩვენგანის ვიწრო ნაციონალურ მართლწესრიგებს. ამ თვალსაზრისით დღეს ადამიანს შეუძლია „დუელში“ გამოიწვიოს საკუთარი სახელმწიფო და ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს. საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტები (მაგალითად, როგორიცაა სტრასბურგის სასამართლო) ამ ორთაბრძოლას უწოდებენ მოქალაქის სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლას. ყოველივე ეს კიდევ უფრო ზრდის

სახელმწიფოს პასუხისმგებლობას საკუთარი მოქალაქეების წინაშე იმის შიშითა თუ სირცხვილის განცდით, რომ იგი არ განიკითხონ საყოველთაოდ აღიარებული სამართლის წინაშე. ფიზიკურ პირთა მიერ ევროსასამართლოში მოგებული საქმეები გვაჩვენებენ, თუ რაოდენ ბუმბერაზია ცალკეული ადამიანი და რაოდენ პატარა შეიძლება იყოს სახელმწიფო, რომელსაც, ერთი შეხედვით, ვერავინ გაუტოლდება თავისი ძალაუფლებით. ყოველივე ეს ხდება იმის გამო, რომ ამქვეყნად ადამიანზე მაღალი სიკეთე არ არსებობს. ნებისმიერი სახელმწიფოს მიზანი ადამიანია, თვითონ სახელმწიფო კი ამ მიზნის მიღწევის საშუალებაა. მართალია, საშუალებაცაა სიკეთე. ასეთი რომ არ ყოფილიყო, ის მიზანს ვერ მოემსახურებოდა. თითოეული ადამიანი ყოველთვის აღემატება სახელმწიფოს და, იმავდროულად, თითოეული ადამიანი ტოლია ყველა ადამიანისა. ამაზე მეტყველებენ უნიფიცირებული თუ ჰარმონიზებული საერთაშორისო აქტები. მათთვის არსებობს ერთი ცნება — ადამიანი და არა – მოქალაქე. ამ პროცესებს ეხმიანება ჩვენი ეროვნული სასამართლოები, რაც ასევე განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ისტორიულად ჩვენი თვითდამკვიდრების მიზეზი იყო ჩვენში არსებული მსოფლიო სამართლებრივი სული, რომელიც ყოველთვის ბატონობდა ეროვნულ სულზე. ამასწინათ სახალხო დამცველმა გააპროტესტა საკონსტიტუციო სასამართლოში კანონი, რომელიც უკრძალავდა უცხოელს მოეთხოვა კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა. მოთხოვნა დაკმაყოფილდა სწორედ იმ მოტივით, რომ ადამიანის ბუნებით უფლებებს არა აქვთ სახელმწიფოებრივი საზღვრები და ის, რაც ადამიანს ბუნებამ უბოძა, მას ვერც ერთი სახელმწიფო ვერ წაართმევს. ადამიანის უფლებათა ასეთ ფეტიშიზმს კორექტივები შეაქვს თავად სახელმწიფოს ცნებაში იმ გაგებით, რომ სახელმწიფო აღარ მოიაზრება, როგორც დახურული სივრცე, სადაც მხოლოდ ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვისაა ასპარეზი თავისუფალი. სახელმწიფოს ცალკეულმა ფუნქციებმა შეიძინა საერთაშორისო-სამართლებრივი ხასიათი და ამ თვალსაზრისით გაიხსნა ეროვნული სახელმწიფოს კარები. ეს პროცესები მეტყველებენ იმაზე, რომ პოზიტიური სამართლიდან შობილი საზოგადო იდეები ისევ მეტაფიზიკური სამართლის საზრდო ხდება და დედამიწა კიდევ უფრო იკვრება ერთიანი სამართლებ-

რივი ქსოვილით. ეს კი ადამიანის გადარჩენასა და მსოფლიოში თვითდამკვიდრებას უწყობს ხელს. თუ ადრე მხოლოდ რელიგია აერთიანებდა სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს, ამჟამად სამართალიც იძენს მსგავს ელფერს. ისევე, როგორც ნებისმიერმა ქრისტიანმა პატივი უნდა სცეს უფალს და, შესაბამისად, ერთმანეთს, ასევე მათ, როგორც მოქალაქეებმა, პატივი უნდა სცენ სამართლის აბსოლუტურ იდეას და, ამდენად, ერთმანეთსაც. კიდევ უფრო ძლიერია ეს ვალდებულებითი ტვირთი სახელმწიფოსათვის, ვინაიდან ადამიანის უფლების მიმართ საფრთხე სწორედ მისგან მომდინარეობს. ამიტომაც ეუბნება კონსტიტუცია სახელმწიფოს: პატივი ეცი ადამიანის უფლებებს.

24.03.2012

კვლავ ჩემი და შენი უფლებების ურთიერთგანპირობებულობა და ერთად აღქმა

კვლავ მინდა შევეხო უფლების აღქმას. რა თქმა უნდა, ყოველი უფლება, ისევე როგორც ყოველი საგანი, განსაზღვრულია. სამართლებრივი ცხოვრება „ჩემისა“ და „შენის“, „ჩემისა“ და „ჩვენის“ ურთიერთობაა. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ დაპირისპირება. ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ და ამ აზრით მე, როგორც უფლების სუბიექტს, შეგნებული უნდა მქონდეს შენი უფლება. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, მე ვერ შევძლებ ჩემი უფლების განცდას, თუ ის მიზეზობრივად არ დავუკავშირდე შენს უფლებებს (მოვალეობები ისედაც საგულისხმოა). არ შეიძლება ეს მხოლოდ დადებითი და უარყოფითი პოლუსებით შემოვსაზღვროთ. მოვალეობა, რომელიც უპირისპირდება ჩემს უფლებას და მასში ვლინდება მისი რეალიზაციის გზები, უფლების არსობისათვის არასაკმარისი გარემოებაა. მე უნდა ვგრძნობდე ჩემი უფლების თანაარსებობას სხვათა უფლებებეთან კავშირში. ეს არაა მარტო ფსიქოლოგიური განცდა და მარტოოდენ სუბიექტური დამოკიდებულება. უფლებათა მიზეზობრივი კავშირი ობიექტური კავშირია, ვინაიდან ისინი განაპირობებენ და აბალანსებენ ერთმანეთს. თითოეული უფლება უფლებათა ღირებულებითი წესრიგის ნაწილია და, შესაბამისად, ამ წესრიგის მოთხოვნილებათა ერთმანეთთან შეთავსებადობა. მაშასადამე, ყოველი უფლება უფლებათა დიდი ოჯახის სრულფასოვანი წევრია. ამ გაგებით თითოეული განაპირობებს ერთმანეთს და, ამდენად, თითოეული ერთმანეთის წყაროა. უფლებრივი წესრიგი მხოლოდ

მაშინ შედგება, როცა თითოეული მათგანი იქნება წესრიგის ღირსების შესაფერისი. სხვაგვარად, უფლება უცხოვდება მისგან და როგორც ავადმყოფობა, ტკივილს იწვევს მთელ სხეულში. ყოველივე ეს ავალდებულებს კანონმდებელს უფლებრივ წესრიგში არ მოაქციოს ისეთი უფლება, რომელიც გაუცხოებული იქნება მისგან. კანონმდებელი ამ წესრიგს უნდა კვებავდეს ისეთი უფლებებით, რომლებიც შეასრულებენ სხვა უფლებებისათვის განვითარება-სრულყოფის და არა მათი დამცირება-დაკნინების ფუნქციას. ამას უნდა გრძნობდეს იმავდროულად თავად უფლების მატარებელი, მისი სუბიექტი, ვინაიდან რეალურად მასზეა დამოკიდებული უფლებრივი წესრიგის პრაქტიკული რეალიზაცია. ეს აღძრავს ჩვენში მართლშეგნების საკითხს. თუკი მე არ მექნება სხვათა უფლებებისადმი პატივისცემითი დამოკიდებულება, ეს ნიშნავს იმას, რომ ასევე უპატივცემულოდ ვეპყრობით საკუთარ უფლებებსაც. ცნობილი პრინციპია, რომ არ შეიძლება უფლების განხორციელება (დაცვა) სხვათა უფლებების ხარჯზე. რას უნდა ნიშნავდეს ეს? თუ მოხდება ასეთი რამ, მაშასადამე, მისი შედეგი იქნება საკუთარი უფლების უარყოფაც. უფლების უარყოფა მარტო მაშინ კი არ ხდება, როცა ჩვენ მასზე უარს ვამბობთ, არამედ მაშინაც, როცა უფლების შინაარსს მომეტებულად აღვიქვამთ და მას ვაფართოვებთ სხვათა უფლებების ხარჯზე. მთელი ეს ფილოსოფია ემყარება იმ აზრს, რომ უფლება ისაა, რაც სხვების მიერაა აღიარებული (როგორც ფორმალურად, ისე ფაქტობრივად), მაგრამ სხვები რატომ ცნობენ ჩემს უფლებებს, იმიტომ, რომ ჩემი ინტერესები ამოძრავებთ? – არა! ამ აღიარებით ხდება საკუთარი უფლებების აღიარებაც. მე თუ ასე არ მოვიქცევი, არც სხვების მხრიდან იქნება შემხვედრი მოქმედება. პასუხისმგებლობის მომენტი მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება. მე არ უნდა დავარღვიო თქვენი უფლება იმიტომ, რომ მე ის ვაღიარე და, მაშასადამე, მე ვალდებულება ვიკისრე ამით. თუ ვარღვევ, ე.ი. ვალდებულებას არ ვასრულებ, ამით, ცხადია, საკუთარ უფლებასაც ვარღვევ, მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ამას თითქოს ჩემი უფლების სასარგებლოდ ვაკეთებ. მაშასადამე, არც ერთი უფლება არ არსებობს სხვათა უფლებების გარეშე. ისინი უფლებათა დიდი ოჯახის წევრებია, რომელშიც ყველა მათგანს თავისი ღირსების შესაფერისი ადგილი უკავია.

25.03.2012

კვლავ იძულების ორბუნებოვნების შესახებ სამართალში

კვლავ მინდა მივუბრუნდე სამართლის ნორმატიული ბუნებისა და იძულების ურთიერთმიმართების საკითხს. კელზენი მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ხედავს. ჩვენ ერთხელ უკვე ვთქვით, რომ სამართალი იძულების გარეშე არ არსებობს, მაგრამ იძულება არ განსაზღვრავს მის ბუნებას. ამ თვალსაზრისით ის სამართლის გარეთაა. სამართლის შინაარსი შემოიფარგლება უფლება-მოვალეობათა კავშირით. ეს კავშირი აუცილებლად გულისხმობს სამართლის სუბიექტების მიერ სამართლის მავალდებელი ძალის შეგნებას, მაგრამ ეს მხოლოდ ვალდებულების სფეროა და არა იძულების, იგივე სანქციისა. იძულება ვალდებულების დარღვევას მოსდევს. იძულება ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ შედეგებზეა მიმართული და, ცხადია, ამ თვალსაზრისითაა ის კავშირში ვალდებულებასთან. იძულება, რომელიც შეიძლება მოვიაზროთ ვალდებულების არსში, არ არის ცალსახად რომელიმე სახის იძულება (ეთიკური, სამართლებრივი თუ სხვა), ის იძულებათა ჯამია, რაც ვალდებულების სახეს იძენს. მე როცა ვასრულებ რაიმე ხელშეკრულებას, ვთქვათ, ნასყიდობისას, ამას შეიძლება მაიძულებდეს მოვალეობის როგორც ეთიკური განცდა, ისე სამართლებრივი. თუმცა, შეიძლება მხოლოდ ეს უკანასკნელი მაიძულებდეს მის შესრულებას. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე შეიძლება მოქმედებდეს ასეთი შეგნებით: მე სამართალი მავალდებულებს, სამართლით ვარ შებოჭილი, თორემ ჩემს ნებაზე რომ იყოს დამოკიდებული, არ შევასრულებ ნა-

კისრ ვალდებულებას. იძულების ეს განცდა, ცხადია, შეიძლება მოვიაზროთ სამართლის ბუნებაში, მაგრამ იძულების იმ სახით განცდა, რაც პასუხისმგებლობის დაკისრების შიშითაა გამოწვეული, ვერ იქნება სამართლის სუბსტანციის განმსაზღვრელი. მაშასადამე, ერთ შემთხვევაში იძულება სამართლის სხეულშია და ამ იძულების ადრესატია სამართლის სუბიექტი. სხვა დროს იძულება სამართლის გარეთაა და მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როცა შინაგანი იძულება ვერ აღწევს თავის მიზანს. პირველ შემთხვევაში იძულება შთანთქმულია ვალდებულებაში (მოვალეობაში), მეორე შემთხვევაში კი, მას დამოუკიდებელი სახე აქვს და მკაცრადაა გამიჯნული მოვალეობისაგან. თუმცა, იგიც მიზეზობრივადაა დაკავშირებული მასთან. ეს ისეთი იძულებაა, რომლის რეალიზაციაში გადამწყვეტია სახელმწიფოს ნება; მის ხელთაა იძულების მთელი აპარატი. პირველი კატეგორიის იძულება სუბიექტის პასუხისმგებლობაშია დამარხული. აქ იძულება განსაზღვრავს ვალდებულების სიცოცხლისუნარიანობას. როცა სამართლის წმინდა თეორია ამტკიცებს, რომ იძულება სამართლის იმანენტური თვისებაა, ვერც პირველი და ვერც მეორე კატეგორიის იძულებას ასეთად ვერ ჩავთვლით. პირველი კატეგორიის იძულება სამართალშია გათქვეფილი და შეუძლებელია მასზე სახელმწიფომ მოახდინოს რაიმე გავლენა. მართალია, პოზიტიურ სამართალს სახელმწიფო ქმნის (ამას ამტკიცებს სამართლის წმინდა თეორია), მაგრამ ნორმაში ჩადებული იძულების გამოვლინებისაგან სახელმწიფო შორსაა. ირიბად, ცხადია, სახელმწიფოცაა მასთან დაკავშირებული. უკვე მივადექით საკითხს, რომელიც დაკავშირებულია იმ ფაქტორებთან, რომლებიც განსაზღვრავენ ვალდებულების შიგნით პასუხისმგებლობის განცდას. ეს ყველაფერი დაკავშირებულია სუბიექტის მართლშეგნების დონეზე. სამართლის გარეთ არსებული იძულების რეალიზაცია არ არის დაკავშირებული ჩვენი მართლშეგნების მდგომარეობასთან, მეტიც, ის რეაქციაა „დეფექტიანი“ მართლშეგნების მიმართ. პირველი კატეგორიის იძულება მთლიანად მართლშეგნებაზეა აგებული. ამ იძულებაში მნიშვნელოვანია კერძო ინტერესი, მისი არქონის შემთხვევაში — საზოგადო ინტერესი. ყველა შემთხვევაში ესაა სამართლებრივად აღიარებული, ლეგიტიმური ინტერესი. ინტერესის შეგნებაში მდგომა-

რეობს ვალდებულების შიგნით მოაზრებული იძულება. ამიტომაცაა, რომ ინტერესის სწორად განსაზღვრაზეა დამოკიდებული იძულების სუბიექტის აქტიურობა. იძულებისადმი ასეთი დამოკიდებულება გვაგრძნობინებს იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რაც დაკავშირებულია პოზიტიური სამართლის „შექმნის“ პროცესთან. თანამედროვე სამართალი ორიენტირებულია შინაგანი იძულების ფორმირებაზე. ეს კი შესაძლებელს ხდის გარეგანი იძულების მოდუნებას, მისი გამოყენების შემცირებას.

როცა ვამბობთ, რომ კერძო სამართალი დღეს ვალდებულების შესრულებაზეა ორიენტირებული, ეს ნიშნავს შესრულების წახალისებას მისი ხელშეწყობით. სამართალი აქ ცდილობს გაექცეს გარეგან იძულებას, ე.ი. სანქციის გამოყენებას. ნებისმიერი სახელმწიფო ამ მიმართულებით უნდა იყოს ორიენტირებული. სანქცია სამართლის ყოფიერების ნეგატიური სახეა. სამართალი პირველ რიგში ვლინდება თავის პოზიტიურ ყოფიერებაში.

27.03.2012

უფლების მართლწესრიგთან ერთად აღქმა

ადამიანის ქცევებზე დაკვირვების ყოველდღიური პრაქტიკა მკარნახობს შევეხო მართლწესრიგისადმი მათ დამოკიდებულებას. პოზიტივისტების აზრი, რომ ნებისმიერი უფლება მართლწესრიგის ნაყოფია, იმავდროულად გულისხმობს უფლების არსებობას მოვალეობასთან ერთად. მაშასადამე, მართლწესრიგი სამართლებრივი ქსოვილია, რომელშიც ის ვლინდება. ამ ქსოვილის ცალკეული ნაწილები უფლება-მოვალეობებით შეკრული ორგანიზმია. მართლწესრიგი არა მხოლოდ სამართლებრივი შენობის საძირკველია, არამედ თვით შენობის ცალკეული სართულებია ურთიერთკავშირის მდგომარეობაში. ამდენად, მართლწესრიგი მთელი სხეულია. პრაქტიკა ადასტურებს, რომ სხეულის გადასარჩენად შეიძლება უარი ვთქვათ მის ცალკეულ ნაწილზე. განგრენით დაავადებულ ფეხს აშორებენ მთლიან სხეულს, ის რომ გადარჩეს, მაგრამ, არავის არ მოუვა აზრად საამისოდ ჯანსაღი ფეხი გაიმეტოს. ამრიგად, სიკეთის გადარჩენის აუცილებლობა უნდა გვკარნახობდეს მეორე სიკეთის გაწირვის აუცილებლობას. ე.ი., ერთი აუცილებლობა განაპირობებს მეორე აუცილებლობას. ამ მსჯელობის პროცესში გაჩნდება ასეთი კითხვა: რა ვალდებულებებით არიან დატვირთული ადამიანები და სახელმწიფო მართლწესრიგთან მიმართებით? მართლწესრიგის დაცვის უმთავრესი ფუნქცია სახელმწიფოს ხელშია. სახელმწიფო თავისი არსობით არის მოწოდებული ხელი შეუწყოს და დაიცვას გონივრული მართლწესრიგი, რომელიც სიკეთედ შეიძლება მოვიაზროთ. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ

მაყურებლის როლში გამოვიდეთ. ყოველი ადამიანი ვალდებულია ასევე მისი უნარის შესაფერისად ხელი შეუწყოს მართლწესრიგის დაცვას. ეს აგვაცილებს მართლწესრიგის ადრესატთა გაუცხოებას სახელმწიფოსაგან. თუ გავიაზრებთ პოზიტიური სამართლის თეორიას, მაშინ გამოვა, რომ, ვინც ქმნის სამართალს, დაცვასაც იგი ახორციელებს. არსებითად, ეს ასეა, მაგრამ დაცვის ეს მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მიმართება გვაქვს ჩვენ მართლწესრიგთან. მართლწესრიგის რეალიზაცია მის სუბიექტებზეა დამოკიდებული. სუბიექტის დამოკიდებულება კი განპირობებულია იმით, თუ რამდენადაა მართლწესრიგი ქმედუნარიანი. მისი ქმედუნარიანობა კი ჩემს ქმედუნარიანობაზეა დამოკიდებული და არა მარტო იმაზე, თუ როგორია ის არსობრივად. აქედან უკვე ჩანს, რომ ფაქტობრივი მართლწესრიგი ჩემზეა დამოკიდებული. ვერც ერთი სანქცია თავისი პრევენციის ძალით ვერ შეძლებს იმ მიზნის მიღწევას, რაც შეიძლება გამოიწვიოს ცალკეული ადამიანის მხრიდან მართლწესრიგისადმი პატივისცემამ. გამოდის, რომ ჩვენ ვალდებული ვყოფილვართ პატივი ვცეთ სამართალს და დავიცვათ ის ჩვენი თანამოქალაქეების მხრიდან უპატივცემულობისგან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვიღებთ იმ ფუნქციის შესრულებას, რაც სახელმწიფოს ხელშია. სახელმწიფოს რეაგირება ამ შემთხვევაში სანქციების გამოყენების გზით ხდება. ჩვენ კი მხოლოდ ეთიკური პროტესტის გამოხატვის გზით შეიძლება ამოვუდგეთ გვერდით მართლწესრიგს. წარმოვიდგინოთ, რომ ვხედავთ ჩვენ წინ მიმავალ ადამიანს, რომელიც ნაგავს სანაგვეში კი არ ყრის, არამედ ქუჩაში მოისვრის; მგზავრი ავტობუსის სავარძელს ჭრის ბასრი საგნით; ჯიბის ქურდი ფულს აცლის მოქალაქეს, ან სხეულებრივ ზიანს აყენებს და ა.შ. რა გვევალება ჩვენ ამ შემთხვევაში? თუ წავუყრუებთ, ამით ჩვენც გამოვხატავთ მართლწესრიგისადმი უპატივცემულობას. წაყრუების უფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება გაჩნდეს, როდესაც ჩვენს უფლებებს შეიძლება შეექმნას საფრთხე. არავინ არ არის ვალდებული საკუთარ ინტერესებზე მაღლა დააყენოს სხვათა ინტერესები, ვინაიდან ინტერესის გაგება, შეგრძნება პირველ რიგში იწყება საკუთარი ინტერესებით. მაშინაც კი, როცა ჩვენ რაიმე საზოგადო ინტერესებზე ვთანხმდებით, აქაც კერძო ინტერესია მამოძრავებელი ძალა.

თუკი ტოტალურად ზურგს ვაქცევთ მართლწესრიგს, ამ მდგომარეობაში გაადვილდება მისგან გაუცხოება და, შესაბამისად, ჩვენი უფლებებიც ეჭვის ქვეშ აღმოჩნდება. სამართლის სუბიექტმა უნდა შეძლოს საკუთარი უფლების ღირებულებითი განცდა იმ სხეულთან ერთად, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს. ასეთი სხეულია მართლწესრიგი, ე.ი. სამართლის განფენილობა კერძო ურთიერთობის სივრცეში. საკმარისია დავუშვათ უფლების ამისგან მოწყვეტილად დანახვა, რომ ჩვენ აღმოვჩნდებით უწესრიგო სივრცეში, ისეთ სივრცეში, სადაც მოჩანს მხოლოდ სხეულის ცალკეული ნაწილები, მაგრამ არა მთლიანად სხეული. ბუნებრივია, ამის გაცნობიერება მოითხოვს მოვალეობის შესაბამისად აღქმას. ეს არაა ჩემი მოვალეობა ჩემი კრედიტორის წინაშე. ესაა მოვალეობა საერთოდ ვალის დაბრუნების მიმართ, რაშიც ვლინდება ჩემი დამოკიდებულება სამართლისადმი. მაშასადამე, მოვალეობის განცდა უფლების განცდა-შემეცნებასთან ერთადაა. თუ ჩვენ შევძლებთ ხელი შევუწყოთ მოვალეობის, იგივე, პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტების აღზრდას, მაშინ მათთვის უფლების განცდა გაცილებით მაღალი ფასეულობა იქნება, ვიდრე ამის უქონლობა. მოკლედ, ჩვენ გვინდა უფლებები სამართლის, მართლწესრიგის დროშის ქვეშ და არა მისგან გაუცხოებული.

28.03.2012

იძულების მიმართება თავისუფლების საყოველთაო კანონთან (კანტის გამო)

კვლავ მინდა მივუბრუნდე იძულების მომენტს სამართალში. როგორც ვთქვით, კელზენის გარეგანი იძულება, რაც პოზიტიურ სამართალს ახლავს, ვერ გამოდგება სამართლის ბუნების ასახსნელად. იძულება სამართლის არსში უნდა დავინახოთ და ის, როგორც კანტი ამტკიცებდა, თავისუფლების კანონთან მიმართებაში უნდა შევიმეცნოთ. მოკლედ, იძულებისა და თავისუფლების ურთიერთმიმართებაში მდგომარეობს სამართლის არსი. იძულების ხასიათი თავისუფლების ხასიათით უნდა აიხსნას. თუ არა მეტაფიზიკური სამყარო, ისე, ჩვენ ვერც თავისუფლების ბუნებას გავიგებთ. ეს კი მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედებს თავისუფლების საყოველთაო კანონი, რომელთან მიმართებითაც ვაფასებთ თითოეული ჩვენგანის თავისუფლებას. ეს კანონი არ არის ნაციონალური მართლწესრიგებით შემოზღუდული, როგორც ეს შეიძლება ეგონოთ პოზიტივისტებს. აქ მოქმედებს კანონი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გვაერთიანებს, როგორც სამართლის ფიზიკურ სუბიექტებს. ეს კანონი ჩვენ გვახასიათებს ჩვენი ადამიანურობის გამო, რაც კიდეც დასტურდება ადამიანის უფლებებზე მიღებული საერთაშორისო აქტებით. ჩემი თავისუფლება საყოველთაო კანონის სახით მთელ მსოფლიოშია განფენილი. ამ კუთხით, მე როგორც სამართლის სუბიექტი, არაფრით განვსხვავდები დედამიწაზე მცხოვრები დანარჩენი ადამიანებისგან. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი თავი-

სუფლება თავისუფლების საყოველთაო კანონის გამოვლინებაა და რაც უფრო ძლიერია ეს მიმართება, მით უფრო ერთ სხეულად შეკრული იქნება ჩვენი სამყარო. თავისუფლების საყოველთაო კანონი ადამიანებსა და მათ ეროვნულ სახელმწიფოებს უკრძალავს ერთმანეთის მიმართ გამოიყენონ ძალადობა პრობლემების მოსაგვარებლად. ომი ეწინააღმდეგება ამ კანონს. ამიტომაცაა გამართლებული კანტისეული საყოველთაო მშვიდობა. ჩემი ყოველდღიური მოქმედება თავისუფლების საყოველთაო კანონის კონკრეტული გამოვლინებაა. ამიტომაც იქნება სწორი ვთქვათ, რომ თავისუფლება, რომელიც კონკრეტული ქმედების განხორციელებას უკავშირდება, აღნიშნული კანონის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. საყოველთაო თავისუფლების კანონით შებოჭილია კერძო თუ საჯარო სამართლის ყველა სუბიექტი, განსაკუთრებით ეს ეხება სახელმწიფოს, რომელიც პოზიტიური სამართლის მეშვეობით მოგვიხაზავს ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის თავისუფლების ფარგლებს. სახელმწიფოს, რომელიც საყოველთაო კანონთან დაპირისპირებაში მოვა, არ შეიძლება ეწოდოს სამართლებრივი. დემოკრატიული სახელმწიფო ყოველ თავის ნაბიჯს თავისუფლების საყოველთაო კანონის სარკეში უნდა აცნობიერებდეს. სახელმწიფოს მხრიდან საწინააღმდეგო ნაბიჯები მის გაუცხოებას გამოიწვევს საკუთარ თავთან, ვინაიდან სახელმწიფო მხოლოდ ამ სარკეში მოიაზრება. იგივე შეიძლება ითქვას თითოეული ჩვენგანის თავისუფლებაზე. იძულება, რაზედაც ბევრჯერ გვისაუბრია, სწორედ თავისუფლების ამ საყოველთაო კანონის ფარგლებშია დასაშვები. მაშასადამე, გამოდის, რომ ურთიერთმხრივი იძულების საყოველთაო კანონი, თავისუფლების საყოველთაო კანონის ფარგლებში ფაქტობრივად არცაა იძულება თავისი მკაცრი გაგებით. ამიტომაც ხდება ის სამართლის იმანენტური თვისება. იძულება, რომლის აცდენა საერთოდ შეუძლებელია, განეკუთვნება იძულების განსაკუთრებულ შემთხვევას. როცა ვსაუბრობთ ორ პირს შორის იძულების მიმართებაზე, მე ვალს ვაბრუნებ არა მხოლოდ იმიტომ, რომ კრედიტორის მხრიდან დამიპირისპირდა იძულება, არამედ იმიტომაც, რომ მე შეგნებული მაქვს ამ იძულების აუცილებლობა. მაშასადამე, ჩემში არსებული იძულება განაპირობებს იმას, რომ მივიღო გარედან წამოსული იძულება. თუ ამას

უარვყოფ, მაშინ საყოველთაო თავისუფლების და იძულების კანონებსაც ვუპირისპირდები. ხელშეკრულება რომ დავარღვიე, პირველად მაშინ დავუპირისპირდი მას. შეიძლება მეორედაც დავუპირისპირდე. როცა გავდივარ იძულების ამ სფეროდან და ამით ვუპირისპირდები სამართალს, სწორედ მაშინ ამოქმედდება ის იძულება, რომელიც მე მიმაჩნია, რომ სამართლის აუცილებელი თანამგზავრია, მაგრამ თავად არაა სამართალი.

31.03.2012

სამართლის მეტაფიზიკური ხასიათის მიმართება მის ეროვნულობასთან (კანტისა და ჰეგელის გამო)

ისევ სამართლის ბუნებას მინდა მივუბრუნდე. მართალია, კანტის იდეები ამასთან დაკავშირებით შთამბეჭდავია, მაგრამ ჰეგელი უფრო სავსედ გადმოსცემს მის არსებას. კანტი მეტაფიზიკოსია. ჰეგელი მეტაფიზიკოსიცაა და სამართლის ისტორიული სკოლის იდეის მომხრეც. ეს ჩანს იქიდან, რომ, მისი აზრით, სამართალი გამოხატულებაა ერთდროულად როგორც საერთო, ისე ეროვნული სულის. ეს კი სამართლის საერთო (ზენაციონალური) იდეისა და ეროვნული იდეის გაერთიანებაა. სამართლის მეტაფიზიკურ ბუნებაზე საკმაოდ ვრცლად გვქონდა საუბარი. მოდი, ახლა ვცადოთ, თუ შეიძლება მისი ნაციონალურ იდეაში დასაბუთება. მგონია, რომ ეს შეიძლება და ის ვლინდება როგორც პოზიტიურ სამართალში, ისე მის გვერდით მყოფ არაპოზიტიურ სამართალში. სამართლის ეროვნული ყოფიერება აუცილებელია ამა თუ იმ ქვეყნისა თუ ხალხის თვითმყოფადობის (ინდივიდუალობის) შესანარჩუნებლად. თუ შევეცდებით ამ კუთხით დავინახოთ საგნები და მოვლენები ჩვენს გარემომცველ სამყაროში, აღმოჩნდება, რომ ყოველი საგანი ინდივიდუალურია და, იმავდროულად, მსგავსია მისი გვარის საგნებისა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანი, როგორც ადამიანი, ჩემნაირია, მაინც ჩემი ინდივიდუალობით ვემიჯნები ყველა მათგანს. მაშასადამე, ჩემი ინდივიდუალობა ადამიანთა სამყაროში მოცემული ინდივიდუალობაა. მაგრამ, ამით არ მთავრდება ეს ხედვა. მე

იმავდროულად რომელიმე ქვეყნის მოქალაქე ვარ. მაშასადამე, სამყაროს მე ვუპირისპირდები არა მარტო ჩემი ინდივიდუალობით, არამედ ჩემი ეროვნულობით, სახელმწიფოებრიობით. მაშასადამე, მე ვარ არა მარტო სამართლის მსოფლიო სუბიექტი ჩემი ადამიანობით, არამედ მე ვარ ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის სუბიექტი ჩემი ეროვნულობით. ეს სხვა არაფერია, თუ არა ჩემი არსებობა სამართლის ზეეროვნული და ეროვნული სულის მოქმედების სივრცეში, ისევე, როგორც მე ვარ მსოფლიო და ეროვნული კულტურის ზემოქმედების ქვეშ ერთდროულად. რა მოხდება, თუ ჩვენ უარს ვიტყვით სამართლის ეროვნულობაზე? ჩვენი აზრით, ეს თვითლიკვიდაციის ტოლი იქნება, ვინაიდან ყოველი საგანი არსებობს მანამ, სანამ მისი არსებობა შესაძლებელია ინდივიდუალურად. ეს იქნება უარის თქმა საკუთარ სახელმწიფოებრიობაზე. როგორი ინტენსიობითაც არ უნდა განვითარდეს სამართლის ჰარმონიზაციის პროცესი დედამიწაზე, მისი ეროვნული სახე მაინც შენარჩუნდება. როგორც ძველი, ისე უახლესი ისტორია გვარწმუნებს, რომ სამართლის ზენაციონალურობის წყაროა სამართლის ეროვნულობა და, პირიქით, სამართლის ეროვნულობის წყაროა მისი ზენაციონალური თვისება. ინდივიდუალობის შესანარჩუნებლად აუცილებელია მათ შორის მიზეზშედეგობრივი ბალანსის დაცვა, რათა არ მოხდეს რომელიმე მათგანის გაფეტიშება. მსოფლიოს სწრაფვა გაერთიანებისაკენ იმავდროულად უნდა გულისხმობდეს ინდივიდუალობისადმი ლიბერალურ დამოკიდებულებას. ეს ასეც იქნება, თუკი ჩვენ შევთანხმდებით, რომ სამართალი არ არის მარტო სამართლის წიგნებში ჩაწერილი ტექსტები. როგორც ჰაიეკი ამტკიცებს, სამართლის არაპოზიტიური სამყარო გაცილებით ფართოა, ვიდრე პოზიტიური. ეროვნულობა მეტწილად ამ უკანასკნელში ვლინდება. მთელი ჩვეულებითი სამართალი ხომ არაპოზიტიური სახით არსებობს. როგორადაც არ უნდა დავამსგავსოთ ჩვენი პოზიტიური სამართალი ევროპულს, ეროვნული ელემენტის სრული იგნორირება ვერც აქ მოხდება. მაშასადამე, მე იმედი უნდა ვიქონიო, რომ სამართლის ეროვნული სახე შენარჩუნდება. არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ამას უწყობს ხელს. ესაა სამართლის მოქმედება, მისი პრაქტიკული ყოფიერება, რომელშიც ყველაზე მძაფრად ვლინდება სამართლის ეროვნული ხასი-

ათი. სამართალი, როგორც ფასეულობა, ყოველთვის ადამიანთა შინაგანი მოვალეობის ძალით იწყებს მოქმედებას. თუ არ არის ეს ფაქტი, მაშინ არც სამართალია სახეზე, ე.ი. სუბიექტი მისგან გაუცხოებულია. სუბიექტისგან გაუცხოებული სამართალი არცაა სამართალი (მხედველობაში მაქვს ამ გაუცხოების მოხსნის შეუძლებლობა). მაშასადამე, ეროვნულობის ნიშანი სამართალში ობიექტურად არსებული ნიშანია და ის არ მოდის წინააღმდეგობაში მის ზენაციონალურ ბუნებასთან.

1.04.2012

სამართლებრივ სიკეთეთა მიზეზშედეგობრივი კავშირები

მართლწესრიგი სამართლის ნორმათა მიზეზშედეგობრივად შეკრული კავშირია. მართლწესრიგი ადამიანის ორგანიზმივითაა მოწყობილი. სხეულის ყოველი ნაწილი მიზეზობრივადაა განპირობებული. ვერავინ ვერ შეცვლის ურთიერთობის ამ ლოგიკურ წყობას. საკმარისია დაირღვეს სხეულის ორგანოთა ბუნებრივად განპირობებული კავშირი და მათი ადგილი ამ სხეულის აგებულებაში, რომ მთელი ორგანიზმი განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, ვინაიდან ადაპტაციაც აუცილებლად მიზეზობრივადაა განპირობებული. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი დაიბადება ორთავიანი ადამიანი, ან ადამიანი, რომელსაც ფეხის ადგილზე ხელი ექნება. ამას თანამედროვე მედიცინა ანომალიურ შემთხვევებს უწოდებს. მაგრამ ანომალია არაა მარტო ბუნებრივი მოვლენა, შესაძლებელია მას ადგილი ჰქონდეს საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ეს ურთიერთობებიც ლოგიკური სისტემის სახითაა მოცემული. აქაც ერთი სიკეთე მეორესთან ისევეა დაკავშირებული, როგორც სხეულის ერთი ნაწილი მეორესთან. საკმარისია ამ კანონის უარყოფა, რომ ანომალიური მოვლენა სახეზე იქნება. მე ამ შემთხვევაში სამართალი მაინტერესებს. ისევე, როგორც ცოცხალი ორგანიზმები განპირობებული არიან გარკვეული მიზეზობრიობით, ასევეა სამართალშიც. არსებობს მიზეზი, რომლითაც კანონმდებელია შებოჭილი. მან შეიძლება ნორმის სახე მისცეს ყოველივე იმას, რასაც იგი მოიწადინებს, მაგრამ იქნება კი ეს ნორმა? კანონმდებელი შებოჭილია

სინამდვილის მიზეზობრივი განპირობებულობით. კანონმდებელი ვერ იტყვის, რომ კატა ძაღლია ან, პირიქით. კანონმდებელს ისევე ბოჭავს სამართლის სუბსტანცია, მისი ბუნება, როგორც ორგანიზმის ბუნება განაპირობებს მისი სხეულის აგებულებას. მაშასადამე, კანონმდებელი შებოჭილია ღირებულებათა არა მარტო არსით, არამედ მათი წესრიგით. არსი განაპირობებს წესრიგს, წესრიგი კი, თავის მხრივ, არსის შენარჩუნების გარანტიაა. ღირებულებათა წესრიგის შიგნით შეიძლება ადგილი ჰქონდეს ანომალიურ მოვლენებს. თუ ბუნება შეიძლება უშვებდეს ამის შესაძლებლობას, მით უფრო მოსალოდნელია ეს ადამიანთა მოქმედებებისაგან. ანომალიური სოციალური მოვლენა ხელს უშლის მართლწესრიგის განხორციელებას და არღვევს ღირებულებათა წესრიგს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამართალი ობიექტურად განპირობებული რეალობაა. სუბიექტური მომენტის როლი მდგომარეობს მის შემეცნებაში და შემდგომ მისი საკანონმდებლო ნებით ნორმად ლეგიტიმაციაში. ე.ი., პირველ რიგში მთავარია გონითი მომენტი, შემდგომ კი, – ნებელობითი. თუ სუსტია პირველი ელემენტი დამოკიდებულებისა, ცხადია, ნება ვერ იქნება ადეკვატური ობიექტური რეალობისა. სავსებით შესაძლებელია ნება არარსებული, მოჩვენებითი რეალობის გამომხატველი იყოს. სამართალში ეს წესრიგი მისი არსებობის მთავარი ფაქტორია. შევხედოთ ამ საკითხს კერძო და საჯარო სამართლის კუთხით. მართალია, ყოველთვის შეუძლებელია სადემარკაციო ხაზის გავლება მათ შორის, მაგრამ წითელი ხაზი მაინც არსებობს. მათი ერთმანეთში აღრევა გამოიწვევს მართლწესრიგში ქაოსს, ღირებულებათა ფუნქციურ გაუცხოებას. მართლწესრიგი მოწოდებულია ყველა სამართლებრივ სიკეთეს ადგილი მიუჩინოს. მაგალითად, დღესაც არ შეწყვეტილა კამათი ადმინისტრაციული გარიგების ბუნებაზე. თუმცა, გამონაკლის შემთხვევაში აქაც დასაშვებია ორბუნებოვანი სიკეთეები. ეს ხომ რეალობაა ცოცხალ ორგანიზმებში. იგივე შეიძლება ითქვას ერთი დარგის შიგნით არსებული ინსტიტუტების შესახებ. ზოგჯერ ისინი კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, მაგრამ ბოლოს მაინც წყდება საკითხი ერთ-ერთის სასარგებლოდ. სადაც კონკურენციაა, იქ მისი ობიექტური საფუძველიც არსებობს. მართლწესრიგი ვერ იტანს ისეთ კავშირებს, რაც არაა განპირობებული

ლოგიკურად, მიზეზობრივად. წარმოვიდგინოთ პირი, რომელიც არცთუ ისეთ საპასუხისმგებლო საქმიანობას ასრულებს, აქვს უფრო მაღალი ხელფასი, ვიდრე იმას, რომელსაც აკისრია გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა. მოქალაქეები ხშირად კითხულობენ, თუ რა მიზეზობრივი კავშირი არსებობს ელექტროენერგიის გადასახადსა და ნაგვის გადასახადს შორის. კითხვა სამართლიანია. მიზანი შეიძლება გამართლებული იყოს, მაგრამ მისი მიღწევის გზა (საშუალება) ეჭვს იწვევს. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია პასუხი გასცეს მას. მთავარი კითხვა ისაა, თუ რამდენად შეიძლება ამ ორი ვალდებულების ერთმანეთთან დაკავშირება.

2.04.2012

კვლავ სამართლის ეროვნულობისა და ზეეროვნულობის შესახებ კულტურულ ფასეულობათა ჭრილში

რაზეც ამჯერად მინდა აზრი გამოვთქვა, პირველი საკითხის გაგრძელებადაც შეიძლება განვიხილოთ. სამართლის ეროვნულ მომენტებზე ხაზგასმამ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ მე უარვყოფ მის მეტაფიზიკურ ხასიათს. ყოველი ქვეყნის სამართალი შეიძლება განვიხილოთ როგორც სუვერენულ წრეში მოცემული ფასეულობა. სამართალი ხომ ამა თუ იმ ხალხის (ერის) მთლიანი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. შეცდომა იქნება ვთქვათ, რომ ის ამ თვალსაზრისით მკაცრად ავტონომიურია და არ ემორჩილება კულტურის ცალკეული ელემენტების გავლენას. განსაკუთრებით ძლიერია მათი გავლენა საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალზე. შეიძლება ითქვას, რომ მოქმედი სამართლის სუბსტანციის ჩამოყალიბებაში ერის კულტურული ღირებულებანი მსუსხავი ეფექტის როლს ასრულებენ. სამართლის ტრანსფორმაციით, გარკვეული ხარისხით ხდება კულტურული შეგნების სახეცვლილებაც. მაგალითად, თუ დიდ საკანონმდებლო რეფორმამდე, სამართალდამრღვევის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებაში სერიოზულ როლს თამაშობდა დაზარალებულის პიროვნება, ამჯერად, სანქციის განსაზღვრისას, თავად სამართალდამრღვევია უშუალო მიზეზი, რასაც მოჰყვა საპროცესო შეთანხმების შემოღება. ცხადია, არ შეიძლება ამან გავლენა არ მოახდინოს ჩვენს ღირებულებით წარმოდგენებზე სისხლის სამართლის მიმართ. მაშასადამე, არ შეიძლება სამართალი განვიხილოთ, როგორც კულტურულ ფასეულობათა მარ-

ტოოდენ დაცვის საშუალება. ის თავად ქმნის ახალ კულტურულ ღირებულებებს. როცა სამართლის ჰარმონიზაციის პროცესი მიმდინარეობს, გონივრულად უნდა განვჭვრიტოთ, სადამდე შეიძლება შეიჭრას სამართალი ადამიანთა კულტურულ ცხოვრებაში. ისე არ უნდა მოხდეს, რომ მან საფრთხე შეუქმნას იმ ფასეულობებს, რომლებიც განსაზღვრავენ ჩემს ინდივიდუალობას. მე, როგორც სამართლის სუბიექტი, არა ვარ მარტო ნორმატიული ჯავშნის მატარებელი, მე იმავდროულად ვარ არასამართლებრივი კულტურული ფასეულობების მატარებელი. ბუნებრივია, სამართალმა შეიძლება ზოგიერთი მათგანის შეცვლაზე იქონიოს გავლენა. სადაც ეს აუცილებელია, იქ გარდუვალიცაა. მე, როგორც სამართლის სუბიექტი, იმავდროულად ვიხვეწები, როგორც კულტურული ღირებულებების მქონე პიროვნება. მაგრამ სამართალმა არ უნდა დაჩრდილოს ის ფასეულობანი, რომლითაც მე ვახდენ ჩემი ეროვნულობის იდენტიფიკაციას. ბუნებრივია, ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც უძრავად მოცემული სინამდვილე. ყველაფერი, და მათ შორის ეროვნულობაც, განვითარებაშია. რაც ვითარდება, დინამიკაშიცაა და, იმავდროულად, სტატიკაშიც. ეს დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ ამა თუ იმ ერის კულტურული ფასეულობანი მიზეზობრივად უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ სამართალი ჩემგან გარეგანია, ამ გარეგანის არსებობა ჩემთან მიმართებაში მხოლოდ ჩემს დანარჩენ კულტურულ სხეულთან მშვიდობიანი თანაარსებობითაა შესაძლებელი. ამ მიმართებაში უმჯობესია სამართალი ჩემი კულტურული სხეულის მოთხოვნილება იყოს. ამიტომაც ვამტკიცებ, რომ სამართალმა ძირი არ უნდა გამოუთხაროს მას. არის ჩემი ცხოვრების სფერო, სადაც მე გამოვიყურები, როგორც მხოლოდ ადამიანი, რომელიც უფლებრივად არაფრით განვსხვავდები სხვა ადამიანებისაგან, იმიტომ, რომ ადამიანის ცნება სხვაგვარად შეუძლებელია არსებობდეს. როგორც არ უნდა აუარონ გვერდი მართლწესრიგებმა ადამიანის ძირითად უფლებებს, ისინი მას ვერ გააუქმებენ, ვინაიდან, როგორც ერთხელ ვთქვი, ადამიანი უფლებაა. მაგრამ, იმავდროულად, არის ჩემი ცხოვრების ისეთი სფერო, რომელშიც მე ვმონაწილეობ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე. აქაც იქმნება საერთო სტანდარტები, მაგრამ მათი ხელმისაწვდომობა ამა თუ

იმ ქვეყნითაა შემოზღუდული. მაგალითად, უცხოელი ვერ ისარგებლებს სხვა ქვეყანაში საარჩევნო უფლებით, მას არ დაეკისრება სამხედრო ვალდებულება და ა.შ. მაშასადამე, მე ჩემი ქვეყნის მოქალაქეც ვარ და მსოფლიო მოქალაქეც, როგორც ამას ვამტკიცებდი ადრე. არ შეიძლება მე ვიყო მხოლოდ მსოფლიო მოქალაქე, ვინაიდან ეს ჩემი გაქრობის ტოლი იქნება; გაურკვეველი იქნება, ვინ ვარ მე, ისევე როგორც შეუძლებელია მე ვიყო მხოლოდ ჩემი ქვეყნის მოქალაქე. ეს უკვე გაუცხოება იქნებოდა დანარჩენ მსოფლიოსთან და ამით საკუთარ თავთან დაპირისპირებაც. აუცილებელია გონივრული ბალანსის შენარჩუნება ამ მიმართებებში. მე არც ნაციონალიზმის ჭაობში უნდა დავიხრჩო და არც კოსმოპოლიტურ ოკეანეში.

3.04.2012

გონისა და ნების მომენტი კანონმდებლობაში (პოზიტივიზმის კრიტიკა ჰაიეკის გავლენით)

მინდა ყურადღება გავამახვილო კელზენის წმინდა თეორიის ფეტიშისტურ მიდგომაზე ფორმისადმი. ჰაიეკის კრიტიკულმა დამოკიდებულებამ პოზიტივიზმის მიმართ დამანახა, რომ კელზენს სამართალი გამომწყვდეული ჰყავს „საკანონმდებლო დილეგში“. მდგომარეობას ვერ ამსუბუქებს ძირითადი ნორმის არსებობა. იმდენად მასშტაბურად გამოიყურება საკანონმდებლო ნება, რომ სამართლის მთელი სხეული მის შემოქმედებად განიხილება. სამართალქმნადობაში მთავარია არა გონება, რაშიც ვლინდება სინამდვილის აღქმისა და გაგების უნარი, სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის მზადყოფნა, არამედ ნება, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს მოუმწიფებელი და თვითნებური გადაწყვეტილების გამოვლინებას. ნების გამოვლენამდე კანონმდებელს გონითი პასუხისმგებლობის უნარი უნდა გააჩნდეს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ კანონმდებელი შეიბოჭოს სამართლით. იგი კარგად უნდა აცნობიერებდეს, რომ მის მიერ მიღებული კანონმდებლობა მხოლოდ მაშინ შეიძენს სამართლის თვისებას, როცა ის დააკმაყოფილებს პრაქტიკული გონიერების მოთხოვნებს. კანონმდებელს უნდა სწამდეს, რომ მისი ყოველი ნება ვერ იქნება კანონი. ამიტომაც, მისთვის არ არის საკმარისი ძირითადი ნორმისადმი მორჩილება. თუ ძირითადი ნორმა გვავალდებულებს „მართალი სამართალი“ გავაჩინოთ, ამას აუცილებლად მოსდევს იმის შემეცნება, თუ როგორია ის. კანონმდებლის ნება ჰგავს მზის სხივს, რომელიც, ვიდრე ჩვენამდე მოაღწევდეს,

გაივლის ატმოსფეროს უკიდეგანო სივრცეს და ასე გაწონასწორებული მოდის ჩვენამდე, რომ შევიგრძნოთ მისი სითბო. მაშასადამე, ვერც ერთი კანონმდებელი ვერ აცდება სამართლის იმ სივრცეს, რომელიც სარტყელივით გვაკრავს ჩვენ. მაშასადამე, სამართალი არსებობს ობიექტურად და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან გარეგანია, ისევ ჩვენი გამოსხივების შედეგია. გონის მომენტშია მისი გაგებისა და შემეცნების უნარი. კანონი, რომელიც არ უწევს ანგარიშს აღნიშნულ მდგომარეობას, ჰგავს მზის იმ სხივს, რომელიც მოჭარბებული რადიაციის გამო ზიანის მომტანია ჩვენთვის. ნების ფეტიშიზმი საფრთხეს უქმნის სამართლის თვითმყოფად ბუნებას. ასეთი მიდგომისას ნებისმიერი საკანონმდებლო ნება შეიძლება გამოხატავდეს სამართალს. იქნება კი ის სამართალი? კელზენის აზრით, ის სამართალია. რაგინდ არასასიამოვნოც არ უნდა იყოს, ფაშისტების სამართალიც სამართალია. რატომ? იმიტომ, რომ ის საკანონმდებლო ნების პროდუქტია. გუსტავ რადბრუხი, რომელიც პოზიტივისტი იყო, წინ აღუდგა სამართლის ასეთ გაგებას, მაგრამ მანაც ვერ დაძლია პოზიტივიზმი. მისი ცნობილი სტატიის სათაური ასე გამოიყურება: „კანონიერი უმართლობა და ზეკანონიერი სამართალი". რადბრუხი ცდილობს სამართალი დაუკავშიროს არა მარტო ნების მომენტს, არამედ გონის მომენტებს. სწორედ გონის მიხედვითაა სახეზე კანონიერი უმართლობა და ამავე გონი ჭვრეტს იმას, რომ სამართალი შესაძლებელია კანონის გარეთ. ამით რადბრუხმა ფაშისტური გერმანიის მიერ მიღებული კანონები სამართალთან დაპირისპირებად მიიჩნია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი აზრით, სასამართლო არ უნდა დამორჩილებოდა ასეთ კანონებს. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიამ აჩვენა კანონმდებლის სამართლით შებოჭვის განსაკუთრებული აუცილებლობა. სამართლის უზენაესობაზე ხაზგასმა სასამართლო პრეცედენტებში ხშირი შემთხვევაა. საკანონმდებლო ნების ფეტიშიზმი შეიძლება გახდეს სამართლებრივი განუკითხაობის წყარო. კანონმდებელს არ უნდა შეექმნას იმის ილუზია, რომ მისი ყოველი ნორმატიული სიტყვა კანონი იქნება. კანონი მარტო ფორმით კი არ უნდა აკმაყოფილებდეს კანონის მოთხოვნებს, არამედ, პირველ რიგში, შინაარსით. შეიძლება ნორმა ფორმის დაუცველად შემოვიდეს ცხოვრებაში, მაგრამ ის მოქმედად ჩაითვალოს და,

პირიქით, ფორმის დაცვით მიღებული ნორმატიული აქტი უმოქმედოდ გამოცხადდეს. აღნიშნული ფაქტორების გაუთვალისწინებლობა გამოიწვევს კანონთა ინფლაციას. ამიტომაც ვფიქრობ, რომ პოზიტიური სამართლის შექმნის პროცესი არაპოზიტიურ სამართალთან მჭიდრო კავშირში უნდა წარიმართოს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ კანონი გამოვაცხადოთ გონის პროდუქტად, გონის ქმედუნარიანობის პროდუქტად. კანონმდებელს კონსტიტუციური პასუხისმგებლობაც ამას ავალდებულებს.

7.04.2012

ინტერესთა მიმართება სამართალში (იერინგიდან გამომდინარე)

სამართალი ინტერესების შეწონვაა. სასწორი კი სამართლიანობაა. არსებობს ინტერესთა სამი კატეგორია: ჩემი ინტერესი, შენი ინტერესი და ჩვენი ინტერესი. ჩემი ინტერესი, როგორც ფასეულობა, ინტერესთა ამ ტრიადის განუყოფელი ნაწილია. ამათგან მამოძრავებელი ჩემი ინტერესია და სწორი უნდა იყოს იერინგი, როცა სამართლის მიზნად ეგოისტურ ინტერესებს ასახელებს. ჩემი ინტერესი თავიდან შეიძლება იყოს მხოლოდ მასალა, რომელიც ტრიადის სხვა ელემენტებთან შეწონვის შემდეგ ღებულობს სამართლებრივად დაცული ინტერესის სახეს, როგორც ამას ისევ იერინგი უწოდებს. ჩვენ იმისი ხაზგასმა გვინდა, რომ სამართალი ინდივიდუალური ინტერესების გარშემო ტრიალებს. ეს, ცხადია, ჩემი და შენი ინტერესია. რაც შეეხება საზოგადოდ ჩვენს ინტერესს, ესეც ჩემი ინტერესის გამოვლენის საშუალებაა. ის არსებობს დამოუკიდებლად, მაგრამ არსებობს არა თავისთვის, არამედ ჩემთვის. თუნდაც, რომ ვთქვათ ჩვენთვის, ეს მაინც იქნება ჩემთვის. ჩემი ინტერესი არ უნდა უპირისპირდებოდეს შენს ინტერესს. ინტერესთა შეწონვის გზით მიიღება (იქმნება) მათი მშვიდობიანი თანაარსებობის გარემო. ჩემი უფლების განხორციელებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი სხვის უფლებებს. თუ არ იქნება დაცული ეს მოთხოვნა, მაშინ თავად უფლება აღმოჩნდება კითხვითი ნიშნის ქვეშ. სამართალი სხვა არაფერია, თუ არა სიკეთეთა სამართლიანი წესრიგი, რომელიც თითოეული სიკეთის პატივისცემას გულისხმობს. კანონმდებელი

კარგად უნდა აცნობიერებდეს ამას. იგი შებოჭილია სიკეთეთა ობიექტური წესრიგით, ვინაიდან ნებისმიერი ინტერესი სხვათა ინტერესებთან მიმართებაში არსებობს. საკმარისია კანონმდებელმა უგულებელყოს ეს ფაქტორი, რომ იგი გასცდება სამართლით მოაზრებულ სივრცეს და ამით მის უარყოფას მოახდენს. საბოლოო ჯამში, ეს ინტერესები მიზეზშედეგობრივად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. წარმოვიდგინოთ, რომ კანონმდებელმა მომანიჭა დაუსაბუთებელი პრივილეგიები. ამით მე ვუპირისპირდები პრივილეგიების გაწონასწორების იდეას, ე.ი. სამართალს და ასევე ვუპირისპირდები ჩემი კატეგორიის (ჯგუფის) ადამიანებს, რომელთაც არა აქვთ ასეთი პრივილეგიები, მაგრამ ვუპირისპირდები არა იმით, რომ მათაც უნდა ჰქონდეთ ასეთი პრივილეგიები, არამედ იმით, რომ საერთოდ არ უნდა არსებობდეს ის. დაბოლოს, მე ამით ვუპირისპირდები მთელ სამართლებრივ ორგანიზმს, ვინაიდან ყველაფერი, რაც უფლებებს ეხება, დაკავშირებულია სამართლის ერთიან სხეულთან. გამოდის, რომ ჩემი ინტერესი არ არსებობს შენის გარეშე. კანონმდებელს, ცხადია, შეუძლია მიუდგეს ამ საკითხს ეგზისტენციურად, მაგრამ თანაზომიერება უნდა დაიცვას. ეს ცნობიერება ინტერესის სწორად განსაზღვრაში საკანონმდებლო საქმიანობის საფუძველია. კიდევ უფრო მეტი ყურადღება მოითხოვება, როცა საზოგადო ინტერესის განსაზღვრა ხდება. შეცდომა იქნება ეს ინტერესი დაგვესახა სამართლის მიზნად, მიზანი კერძო ინტერესია. კერძო ინტერესი კი, როგორც სამართლებრივად დაცული ინტერესი, მხოლოდ საზოგადო ინტერესებით შეზღუდული სახით არსებობს. კერძო ინტერესი ამ შეზღუდვით იძენს ლეგიტიმურ და დაცვაუნარიან ხასიათს. სამართალში იმდენადაა აპრიორული ჩემი ინტერესი, რამდენადაც ჩვენი ინტერესი. როცა ჩვენი ინტერესი ჩემი სამსახურისთვის იქმნება, აქ სახეზეა დემოკრატიული სახელმწიფო, მაგრამ, სადაც ჩემი ინტერესი არსებობს ჩვენი ინტერესისათვის, ეს უკვე არადემოკრატიული წყობილებაა. ამიტომაცაა, რომ კანონმდებელმა მათ შორის ბალანსი სწორად უნდა განსაზღვროს. პოსტსაბჭოური ქვეყნები ამ მხრივ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მართლწესრიგი ამის გაცნობიერებას მოითხოვს ყოველი ადამიანისაგან. სოციალური, საერთო ინტერესებით დამძიმებული არტახების მოშლამ

იმდენად შეამსუბუქა ადამიანის მდგომარეობა, რომ მან მთელი ყურადღება გადაიტანა მივიწყებულ, იგნორირებულ კერძო ინტერესებზე. დაიწყო სამართლის შექმნის ბუნებრივი გზით სვლა — კერძო ინტერესებით მოძრაობა. თავიდან ადამიანების დამოკიდებულება იმდენად ცალმხრივი იყო, რომ მათ ზოგჯერ ავიწყდებოდათ, რომ საზოგადოების წევრები იყვნენ და საზოგადო ინტერესებით იყვნენ ზომიერად შებოჭილი. ამ პროცესში ინტერესთა ბალანსი ირღვევა იმითაც, რომ ცალკეულ შემთხვევაში კერძო ინტერესი, რომელიც არ შეიძლება სამართლებრივად დაცული ყოფილიყო, ზოგჯერ საზოგადო ინტერესის ნიღაბში გვევლინებოდა. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკიდან ცნობილია, როცა გამანაწილებელი კომპანიებისთვის კანონმდებელმა დაადგინა ელექტროენერგიის განაწილების მინიმუმი, მისი მიზანი სულაც არ აღმოჩნდა ენერგეტიკული უსაფრთხოების ინტერესი. მის უკან, შენიღბულად, ცალკეული კერძო კომპანიის ინტერესები იდგა. ეს ყველაზე საშიში მოვლენაა სამართალში და ის საფრთხეს უქმნის როგორც კერძო, ისე საზოგადო ინტერესებს. ამიტომაც ვამბობთ, რომ საზოგადო ინტერესი ლეგიტიმური უნდა იყოს. საზოგადოების წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ინტერესთა თანაარსებობის წესი.

8.04.2012

ისევ სამართლის წმინდა თეორიის შესახებ გონისა და ნების ჭრილში

როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, სამართლის წმინდა თეორია პოზიტიურ სამართალს უპირობოდ მოქმედად განიხილავს, იმის მიუხედავად, ის სამართლიანია თუ უსამართლო. მისი აზრით, ნებისმიერი იძულებითი წესრიგი მოქმედია. თუ ჩვენ მოქმედებას გავიგებთ იმ აზრით, რომ პოზიტიური სამართალი იწვევს რაიმე შედეგებს, ცხადია, ეს ასე იქნება, მაგრამ, თუ ჩვენ აქ გვესმის ის საფუძვლები, რომლებიც მისი მოქმედების გამომწვევია, მაშინ შეიძლება სერიოზული ეჭვი შევიტანოთ სამართლის წმინდა თეორიაში. მოქმედებს სამართალდამრღვევიც, მაგრამ მისი მოქმედება ვერ განიხილება, როგორც აუცილებელი მოქმედება. მეტიც, იგი ამ უკანასკნელის უარყოფაა. აქ ამოსავალია მოქმედების უფლება. ნორმა, რომელსაც წმინდა თეორია გვთავაზობს, სამოქმედოდ უნდა იყოს „უფლებამოსილი“. თუ ეს არა გვაქვს, მაშინ საკანონმდებლო ნების ნაყოფი (ნორმა) ვერ იქნება პოზიტიური სამართლის ნორმა. მაგრამ, ვიდრე დადგინდებოდეს მისი გაუცხოებული ბუნება მიზეზთან, მანამ მოქმედი იქნება, ვინაიდან უცნობია მისი „უფლებაუუნარობა“. პოზიტივისტები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაშისტურ კანონებსაც მოქმედ სამართლად მიიჩნევდნენ, მაგრამ ეს არ იყო სამართალი. პოზიტივიზმის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ სამართლის მატერიალური სუბსტანციიდან ყურადღების გადატანა მის ფორმალურ მომენტზე, შეიძლება ითქვას, ტექნიკურ მდგომარეობაზე. მთავარია, არსებობდეს რაიმე ქცევის წესის გამომხატველი

საკანონმდებლო დებულება. შეცდომა იქნება იმისი თქმა, რომ ნორმატივისტებს არ ჰქონოდათ ნორმის ღირებულებითი განცდა, მაგრამ მათთვის ნებისმიერი ღირებულების მქონე ნორმა მაინც სამართლის ნორმაა. ლოგიკა საკმაოდ მტკიცეა და ძნელია დაუპირისპირო ძლიერი არგუმენტები. როგორ შეიძლება ეჭვი შეიტანო იმაში, რომ ცუდი ადამიანიც ადამიანია, მღვრიე წყალი მაინც წყალია, უხარისხო პროდუქტი მაინც პროდუქტია და ასე შემდეგ. სამყარომ ყველა ფაქტის შესახებ შექმნა ასეთი მიდგომა. მაგრამ, როცა პოზიტივიზმს ვუპირისპირდებით, სხვა რამ გვაქვს მხედველობაში. რატომაა ადამიანი ადამიანი, წყალი წყალი, პროდუქტი პროდუქტი? იმიტომ, რომ მათ ახასიათებთ ისეთი ნიშნები, რაშიც მათი სუბსტანციურობა, არსი ვლინდება. საკმარისია საგნის სახის განმსაზღვრელი არსებითი ნიშნები არ გაგვაჩნდეს, რომ არც ეს საგანი გვექნება. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა მისი დაბადებიდან იწყება, ამისთვის აუცილებელია, რომ დაიბადოს ადამიანად. თუკი სახეზე გვექნება ანომალიური არსება, მაშინ არც ფიზიკური პირის უფლებუნარიანობაზე შეიძლება საუბარი. რატომ ვამბობთ ჩვენ, რომ, როცა გარიგების შინაარსის დადგენა შეუძლებელია, არც გარიგება არსებობს. მაშასადამე, ვერ დავინახეთ გარიგების სახე და, ამდენად, ის არც არსებობს. ასე რომ, ყოველი მოვლენა გარკვეული ფორმით არსებობს. როცა სამართალზე ვლაპარაკობთ, აქ ფორმა და შინაარსი განუყოფელია ერთმანეთისაგან. კვლავ მივუბრუნდები მაგალითებს. კანონი განმარტების მოტივით მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოცხადდეს არაკონსტიტუციურად (ე.ი. არსებობის უღირსად), როცა განმარტების მეთოდების მომარჯვებით შეუძლებელია მისი შინაარსის დადგენა. შეცდომა იქნება ვთქვათ, რომ სამართალი არ ემორჩილება მოვლენათა განსაზღვრულობის ამ წესებს. თუ ნების თეორიას დავუჭერთ მხარს, მაშინ, ცხადია, საკანონმდებლო ნების ყველა პროდუქტი, მისი შინაარსის მიუხედავად, იქნება სამართალი. პოზიტივიზმი თვითონვე ვარდება წინააღმდეგობაში თავის თავთან. თუკი ფაშისტური კანონები სამართალი იყო, მაშინ რა როლს თამაშობდა ძირითადი ნორმა ამ პროცესში? თუკი ძირითად ნორმას შეიძლება დაშორდეს და კიდეც დაუპირისპირდეს პოზიტიური სამართლის ნორმა, მაშინ რა აზრი აქვს ძირითადი

ნორმის არსებობას? ის ხომ დედანორმაა, რომელიც შეიძლება მივიღოთ, როგორც ერთგვარი მიზეზი პოზიტიური სამართლისა. განა, რასაც ძირითადი ნორმის სხივი ხვდება, იქ მისი ნაყოფიც სიცოცხლისუნარიანი არაა? თუ ეს ასე არაა, მაშინ მიზეზი კანონმდებელშია. მზის სხივი მხოლოდ ანათებს და შეუძლებელია ის იწვევდეს სიბნელეს. სადაც ბნელა, იქ არც ნათებაა, ე.ი. არც ნორმაა მოქმედი. უცნაური შედარება კი მოვახდინე, მაგრამ ერთ რამეში ვრწმუნდები: სამართლის ვერც ერთი თეორია ვერ დაემალება სამართლის მეტაფიზიკურ ბუნებას, ვინაიდან არც ერთი მოვლენა არ არის განპირობებული თავისთავად. შეუძლებელია საგანმა შეიმეცნოს თავისი თავი და იყოს თავისი თავის მიზეზი. შემეცნების იარაღი შემეცნების საგნის გარეთაა.

10.04.2012

სამართალში მარადიული ფასეულობების ჩვენგან დამოუკიდებლობის შესახებ

ამ წერილს ვწერ წითელ პარასკევს, რაც შთამაგონებს იმას, რომ ჩვენი ცხოვრება ემორჩილება იდეას, რომელიც ჩვენზე მაღლა დგას და ჩვენზე მბრძანებლობს. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ამ იდეისადმი მორჩილებას, დასაღუპავად ვიქნებით განწირული, ვინაიდან მხოლოდ მასთან კავშირშია შესაძლებელი ვიყოთ სრულფასოვანი ადამიანები. ასეთია სამართლის იდეა, რომელიც, როგორც ჩანს, უფლისა ჩვენისა ნების გამოვლინებაა. ყველა თეორია, რომელიც კი სამართალზე შექმნილა, ნებსით თუ უნებლიეთ, უკავშირდება სამართლის ამ საყოველთაო იდეას, რომელიც წარმოადგენს წყაროს მოქმედი პოზიტიური სამართლისა. ამ აზრით, პოზიტიური სამართალი შებოჭილია სამართლის იდეით და რაც უფრო ძლიერადაა მოქცეული მის მარწუხებში, მით უფრო სრულფასოვანია და ბუნებითი. მაგრამ, სად არის ეს იდეა? – შეიძლება ვიკითხოთ ჩვენ. ეს იგივეა, დასვა კითხვა, სად არის ღმერთი? ასე ემპირიკოსი დასვამდა კითხვას, ვინაიდან მისთვის არსებულია ის, რასაც ხედავს და რასაც მატერიალურადაც შეიგრძნობს. ასე ვხედავთ ჩვენ პოზიტიურ სამართალს. ვიცით, რომ პოზიტიური სამართალი არსებობს მატერიალიზებული ფორმით საკანონმდებლო აქტებში. ეს იგივეა, ღმერთს ხედავდე მხოლოდ ეკლესიებსა და სხვა წმინდა ადგილებში მაშინ, როცა ის ყველგანაა. არ არის ეს მთლად მოხერხებული შედარება, მაგრამ სამართლის იდეა ყველგანაა. ეს განპირობებულია ჩვენი სამყაროს აგებულებითა და საგანთა მიზეზშედეგობრივი კავშირებით. რა

თქმა უნდა, ევოლუციური პროცესი დიდ როლს თამაშობს ამაში, მაგრამ ამ პროცესის მამოძრავებელიც ხომ იდეა იყო. თუკი ჩავთვლით, რომ ადამიანი მაიმუნის ევოლუციის შედეგია, განა მისი მამოძრავებელი ძალა იდეა არ იქნებოდა? ამდენად, ჩვენი თავის მიზეზი უფრო იდეალურ სინამდვილეშია, ვიდრე მატერიალურში, ვინაიდან ის იდეალურით იმართება. მაშასადამე, არის ძალა, რომელიც ჩვენ კი არ გვემორჩილება, არამედ გვიმორჩილებს. კანტი სწორედ ამან მიიყვანა სამართლის მეტაფიზიკურობამდე. ის მორალური კანონი, რომელიც აკვირვებდა იმანუელ კანტს, სწორედ რომ იდეალური სამყაროდან იყო ადამიანში განთესილი. ამ კანონის წყაროც ღმერთი იყო. მაგრამ, სამართალი საიდან უნდა წამოსულიყო? – რა თქმა უნდა, ისევ იდეათა სამყაროდან. ე.ი. გამოდის, რომ ადამიანისათვის პოზიტიური სამართალი გარეგანია. რაც უფრო დაუახლოვდება იგი სამართლის იდეას, ადამიანის ბუნებით სამართალს, მით უფრო შინაგანი გახდება იგი მისთვის. სამართლის ისტორიული სკოლაც, მართალია, ამტკიცებს, რომ სამართალი ხალხის ისტორიული განვითარების პროდუქტია, მაგრამ იგი ხომ ამ ხალხის სამართლის, სხვა ხალხებთან შეფარდებით დამოუკიდებლობას ცნობს. ისტორიული სკოლა არ უარყოფს იმას, რომ სხვადასხვა ქრისტიანი ხალხების სამართალში არის ბევრი საერთო. ე.ი. ეს ხდება სამართლის იდეის დონეზე. კულტურითა და რელიგიით განსხვავებულ ხალხებშიც ხომ ბევრია გამაერთიანებელი. მაშასადამე, ყოფილა გამაერთიანებელ იდეათა სამყარო. ეს იდეა განსხვავებულთა ერთიანობაა. განსხვავებულობა პოზიტიურ სამართალში ჩანს. მაგრამ, აქაც არსებობს ინდივიდუალიზმის საზღვრები. პოზიტიური სამართლის დამოუკიდებლობა არ უნდა იყოს მიზეზი მათი ერთიანობისა. ძირითადი ნორმა პოზიტივისტებში (კელზენი) და შედარებით „რბილი პოზიტივისტის“ – რადბრუხის „ზეკანონური სამართალი“ აღიარებაა გამაერთიანებელი იდეისა. მართალია, ისტორიული სკოლის მეთაური კარლ სავინი ერთიანი გერმანული სამოქალაქო კოდექსის წინააღმდეგ გამოდიოდა და ამით სამართლის საერთო იდეასაც უპირისპირდებოდა, მაგრამ ბოლოს იგიც ამ ერთიანობისაკენ გადაიხარა. როცა ვლაპარაკობთ განსხვავებულთა ერთიანობაზე, აუცილებელია, ამ განსხვავებულს ისეთი სახე ჰქონდეს, რომ მას შეეძლოს ერთიანობაში შესვლა.

რაც უფრო გაემიჯნება პოზიტიური სამართალი საერთო იდეას, მით უფრო არაბუნებრივი გახდება და დაუპირისპირდება როგორც საკუთარ თავს, ისე სხვა ხალხთა მართლწესრიგებს. ტოტალიტარული რეჟიმები თავის გასამართლებლად ცდილობენ გამოვიდნენ თავად იდეათა ტრანსფორმაციული წინადადებებით. ეს შეცდომაა და ამის გაფიქრება ძირს უთხრის მთლიანად სამართალს. როცა ვლაპარაკობთ შედარებით მარადიულ ფასეულობებზე, რომლის გარშემოც ტრიალებს მსოფლიო სახელმწიფოთა მართლწესრიგები, როგორც დედამიწა და სხვა პლანეტები მზის გარშემო, ჩვენ ვთვლით, რომ ადამიანი მასზე ვერ მოახდენს გავლენას, ვინაიდან ადამიანს არ შეუქმნია თავისი თავი. ადამიანი ღმერთმა შექმნა. ადამიანს შეუძლია შექმნას მხოლოდ თავისი ყოველდღიური ცხოვრების გარემო. გარემოში ევოლუცია სწორედ მარადიული იდეის ბიძგით მიმდინარეობს.

13.04.2012

კვლავ შინაგანი და გარეგანი ვალდებულების ურთიერთმიმართების შესახებ უპირველესად რელიგიურ მოვალეობათა ჭრილში

ჩვენ ხშირად ვამტკიცებთ, რომ სამართლებრივი ვალდებულება თავისი არსით მკაცრად ავტონომიურია და ის შესრულების იძულების თვალსაზრისით არ არის დამოკიდებული მოვალეობის განცდის (იძულების) სხვა ფორმებთან, მაგალითად, როგორიცაა ეთიკური იძულება. როგორც ბევრჯერ გვითქვამს, შეიძლება ეთიკურად თავს სულაც არ ვთვლიდე ვალდებულად, მაგრამ სამართლებრივად ვიყო ვალდებული. შესაძლებელია ისინი ერთმანეთს ზურგს უმაგრებენ, მაგრამ ერთმანეთში არ ითქვიფებიან. იგივე შეიძლება ითქვას მოვალეობის იმ შეგნებასთან, რომელიც ჩვენი აღმსარებლობიდან მომდინარეობს. მაგრამ, რას მივიღებთ სამართლებრივი ვალდებულებისგან, თუკი ის აბსოლუტურად დაცლილი იქნება ადამიანისათვის დამახასიათებელი დანარჩენი მოვალეობებისაგან? შესაძლებელია კი, მოვალეობათა განცდისაგან აყრილი ადამიანი? რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ადამიანი, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სუბიექტი, წარმოადგენს ყველა სახის მოვალეობებით შებოჭილ სუბიექტს. სამართლებრივი მოვალეობანი მხოლოდ მაშინაა „ქმედუნარიანი“, როცა მისი შესრულებისაკენ უბიძგებს მოვალეობათა ის ჯაჭვი, რომელიც გარს არტყია ყველა ადამიანს. ამას იმიტომ ვამტკიცებ კიდევ ერთხელ, რომ ადამიანი მზად უნდა იყოს თვალი გაუსწოროს სამართლებრივ ვალდებულებებს. სამართლის შემეცნება-შეგრძნებისა და მოვალეობების გან-

ცდის (იძულების აუცილებლობის) ბიძგის მიმცემი ძალაა მისგან გამიჯნული მოვალეობანი. ისინი მიზეზშედეგობრივად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ყოველივე ეს გვაგრძნობინებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მე, როგორც მორალური სუბიექტი, უნდა ავმაღლდე სამართლებრივი ვალდებულების შეგრძნებამდე. თუ სამართალს ეთიკის მინიმუმად ჩავთვლით, უნდა ვიფიქროთ, რომ ეთიკა გვავალდებულებს სამართლებრივი ვალდებულების იძულებას. თუმცა, პირიქითაც ხდება, როცა სამართლებრივი ვალდებულება ხდება ეთიკურის როგორც გამყარების, ისე მისი დაფუძნების საფუძველი. ესეც იმიტომ ხდება, რომ სამართალი ახერხებს თავისი ღირებულებით თვალი გაუსწოროს ჩვენს ეთიკურ სახეს. მაგრამ, ვიდრე სამართალი მოახდენდეს გავლენას მასზე, მანამ ჩვენ უნდა მოვახდინოთ გავლენა სამართალზე. განსაკუთრებით ძლიერია ამ პროცესში ჩვენი დამოკიდებულება იმ ფასეულობებისადმი, რომელსაც ამკვიდრებს რელიგია. არ არის აუცილებელი ადამიანი იყოს მორწმუნე, რომ შეძლოს ამისი გაცნობიერება. ათი ბიბლიური მცნება აერთიანებს ყველა ადამიანს თავისი აღმსარებლობის ხასიათისა და რწმენის მიუხედავად. განა მოიძებნება დედამიწაზე გონივრულად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ არასწორია დებულება – არა კაც ჰკლა. იგივე შეიძლება ითქვას სხვა მცნებათა შესახებაც, მაგრამ ყველა ამ მცნებას ზურგს უმაგრებს ძალა, რომელსაც ჰქვია ღვთის რისხვა. ეს არ ჰგავს ჩვენი კრედიტორის რისხვას ჩვენ მიმართ, როცა არ ვიხდით ვალს. ადამიანს არ ძალუძს დაუპირისპირდეს ცოდვისათვის გამზადებულ სასჯელს. მან შეიძლება მოინანიოს და, შესაბამისად, მიეტევება. მას მხოლოდ მონანიებით შეუძლია მიაღწიოს საწადელ მიზანს, მაშინ როცა, სადაც სამართალია, იქ ძლიერია ადამიანის ცდუნება, არ დაემორჩილოს მას და ამ გზით დაიკმაყოფილოს ინტერესი. მაგრამ ამას იშვიათად აკეთებს ადამიანი, რომელშიც ძლიერია რელიგიური მორალის განცდა. მაშასადამე, ადამიანი აუცილებლად უნდა იყოს შებოჭილი გარედან ისეთი ძალით, რომლის მიმართ იგი ამბოხს ვერ გაბედავს. ცნობილი მატერიალისტი ფოიერბახი ამტკიცებდა, რომ, ღმერთი რომ არ ყოფილიყო, იგი ადამიანს უნდა გამოეგონებინა, რათა მოეთოკა თავისი ადამიანური გრძნობები. იმავე პათოსით წერდა კანტი, რომ ღმერთის არსებობის დაშვება მორალური აუცი-

ლებლობაარ. პარალელი რომ გავავლოთ, ღმერთიც და სახელმწიფოც ჩვენი მორჩილებისათვის არსებობენ. განსხვავება ისაა, რომ სახელმწიფოს ჩვენ ვქმნით, ღმერთი კი არის მიზეზი ყოველივე არსებულისა და, მათ შორის, ჩვენი. ამდენად, სახელმწიფო ვერ იქნება ის ზღუდე, რომელსაც ადამიანი ფეხს ვერ გადააბიჯებს. განა ის უფრო მაღლა არ დგას, ვინც ქმნის? თუ სახელმწიფო ჩემი შექმნილია, რატომ არ შეიძლება არ დავემორჩილო მას? ე.ი. არის სხვა ძალა, რომელმაც უნდა მაიძულოს დავემორჩილო მას. ერთ-ერთი ასეთი ძალაა ღმერთისადმი მორჩილება, უფრო სწორად, ბიბლიური იმპერატივებისადმი, რომლებიც ყველა ადამიანს აერთიანებს და არა მარტო მორწმუნეებს. მორჩილება და მისი განცდა, როგორც შინაგანი მოთხოვნილებისა, არის გზა სამართლის ჭეშმარიტი შემეცნებისაკენ.

16.04.2012

ნორმათა ურთიერთმიმართება და მიძინებული ნორმების გამოღვიძება ახალი ნორმის ჩანაცვლებით

ცხოვრებაზე დაკვირვება გვიჩენს ასეთ კითხვას: როგორია იმ ნორმათა თანაცხოვრება და ურთიერთმიმართება, რომელთა ზემოქმედების ქვეშაც ვიმყოფებით ჩვენ? ნორმათა უმეტესობა ყალიბდება სტიქიურად და ადამიანები ინსტინქტურად ასრულებენ მას. არის ნორმები, რომელთა ჩამოყალიბებაში დიდია სახელმწიფოს როლი და, შესაბამისად, ძლიერია მისი კონტროლიც. ასეთი ნორმების ინსტინქტურ მოქმედებებთან დაკავშირება არ იქნება სწორი. პოზიტიური სამართალი ძირითადად ეფუძნება სუბიექტის კანონიდან მომდინარე პასუხისმგებლობას და, შესაბამისად, ის, ასე თუ ისე, იმიტომ მოქმედებს, რომ ეს არის კანონის ბრძანება. ამ შემთხვევებში ეთიკური პასუხისმგებლობა დამატებითი და ჯანსაღი სტიმულია სამართალთან მიმართებით. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ არაპოზიტიური სამართლის ნორმებზე, რომელთა შექმნაში არ მონაწილეობს კანონმდებელი, აქ იგულისხმება ადამიანთა თანაცხოვრებისა და თანაქმედებების ის შემთხვევები, რომელიც გარკვეული წესის სახით ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. აქ სამართლის ნორმებთან ერთად ეთიკური ნორმების მოქმედება ძლიერია. ზოგჯერ მათი ერთმანეთისგან გამიჯვნაც ძნელია. ევოლუციური ხაზი ეთიკურიდან სამართლებრივისაკენ მიემართება და ამის მოთხოვნილება მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო ძლიერდება ეთიკური ნორმების მხარდაჭერა სამართლებრივი ნორმების მხრიდან. ნორმა ბუნებრივი ევოლუციის შედეგად იცვლის შესრულების მიმართ იძულე-

ბის დამოკიდებულებას. რაც უფრო ძლიერდება გარეგანი იძულების როლი, მით უფრო შევდივართ სამართლით მოწესრიგებული ცხოვრების სფეროში. ასეთ სამართლებრივ ნორმებს წელს უმაგრებს, შეიძლება ითქვას, დრომოჭმული ჩვეულებითი სამართლის ნორმები და ეს ზრდის მათ ავტორიტეტს. მოკლედ, ნორმა წარმოჩნდება როგორც სახალხო სულის პროდუქტი (სავინი). ეს სული კი განფენილია მთელ ხალხში, მის ნებისმიერ წევრში. ასეთი განფენილობის თვისებას შეიძლება ატარებდეს მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც ადამიანებს შეუქმნიათ ისე, რომ არც კი უგრძვნიათ ის. ნორმატიული ცხოვრების ეს სფერო შეუგნებელ მოქმედებებთან ერთად გაჯერებულ-გაჟღენთილია შეგნებული მოქმედებებით, რაც ამა თუ იმ ხალხის ხასიათის გამოვლინებას წარმოადგენს. მე როცა ვაკვირდები სამართლის სუბიექტების ქცევებს, ისეთი სურათი ჩანს, რომ პოზიტიურ სამართალს უჭირს შეაღწიოს ადამიანური ქმედებების აღნიშნულ შრეებში. შეიძლება მას არც ჰქონდეს ამისი „უფლებამოსილება“ ყველა მიმართულებით, მაგრამ, თუ მან არ მოახდინა გავლენა ადამიანში მიძინებულ ქცევებზე (იმპულსებზე), მაშინ პოზიტიურ სამართალს გაუჭირდება პრაქტიკული შედეგი გამოიწვიოს. ამიტომაა, რომ კანონმდებელი, სადაც ეს აუცილებელია, ქმედებათა გამოღვიძებას ახდენდეს ისე, რომ მან არ დაკარგოს ბუნებრივი ხასიათი. ადამიანი ისევე უნდა იღვიძებდეს, როგორც იძინებს. საკმარისია პოზიტიურმა სამართალმა აფეთქების ხასიათი შეიძინოს, რომ ის დაამახინჯებს ადამიანთა გონებას და ჩვენ მივიღებთ ადამიანს, რომელსაც კიდეც სძინავს და კიდეც ღვიძავს, ე.ი. პოზიტიური სამართალი თან მოქმედებს და თან არა. მაშასადამე, კანონმდებლის ამოცანაა, ისე ჩაერიოს ადამიანთა ბუნებრივი ცხოვრების პროცესში, რომ ეს ჩარევაც ბუნებრივად აღიქმებოდეს. სხვანაირად, ეს იქნებოდა ის შემთხვევა, როცა ავადმყოფს მძიმე ოპერაციას უკეთებენ ნარკოზის გარეშე, რასაც შეიძლება მისი დაღუპვა ან ჯანმრთელობის შერყევა მოჰყვეს. მიზანი, ცხადია, გამართლებულია – ავადმყოფის გამოჯანმრთელება, მაგრამ გზა არასწორია. ამიტომაც ვამტკიცებ მე, რომ ნორმატიული ომის შემთხვევაში კანონმდებელმა ის უნდა „მოიგოს“ ისეთი გზით, რომელიც ადამიანის ქმედებათა იმ მიმართულებით შეცვლას გამოიწვევს, რა მიმართულებითაც იგი შეძლებს მოძრაობას.

22.04.2012

პოზიტიური სამართალი, როგორც მართლწესრიგის საფუძველი და მისი ურთიერთობა სტიქიურ სამართლებრივ წესრიგთან (ისევ ჰაიეკის გამო)

ამჯერად მინდა ნაწილობრივ ზურგი შევაქციო ჩემს წინა მსჯელობებს და ვამტკიცო პოზიტიური სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსების შესახებ. ამ ღირსებაში ჩვენ ვხედავთ მოწესრიგებული ნორმატიული გარემოს შექმნას. პოზიტიური სამართალი ამ გზით ქმნის სამართლებრივ სხეულს და უზრუნველყოფს ღირებულებათა წესრიგს. როგორც არაერთხელ ითქვა ჰაიეკის მიერ, პოზიტიური სამართალი იკვებება სტიქიური ნორმატიული წესრიგით და კანონმდებლის ხელოვნებაზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენად ფასეული ნორმების ლეგიტიმაციას მოახდენს. პოზიტიური სამართალი ამ თვალსაზრისით – ესაა წესრიგი სტიქიურ ნორმატიულ სამყაროში. ამ წესრიგის ქვეშ ჩვენ გვესმის კანონმდებლის მიერ გადარჩეული ფასეულობები. კანონმდებელი პოზიტიური სამართლის მეშვეობით იმ ფასეულობებს უნათებს შუქს, რომელიც ადამიანთა გონივრული და სამართლიანი თანაცხოვრებისათვის არის საჭირო. ერთი შეხედვით, სტიქიურ ცხოვრებაში არსებული წესები ყველაზე მისაღები და სამართლიანი წესები უნდა იყოს, ვინაიდან ისინი ბუნებრივად ყალიბდებიან. მაგრამ ეს ასე არ არის. ყოველივე ბუნებრივი შემცველია არაბუნებრივისა, რასაც, მართალია, ადამიანები შეგუებული არიან, მაგრამ მიუღებელია მათი

სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების მოთხოვნებთან. სტიქიური ნორმატიული წესრიგი იტანს სისხლის აღებას, როცა პოზიტიური სამართლისათვის ის მიუღებელია. მაშასადამე, სამართლის სტიქიურ წესრიგებში მოქმედი ბუნებრივი გადარჩევა მიუღებელია პოზიტიური სამართლისათვის, სადაც საკანონმდებლო ნება მბრძანებლობს. მე ვამბობ მბრძანებლობს-მეთქი, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ეს ნება ქმნის მთელ ცხოვრებას და როგორც თოჯინას, ისე ათამაშებს მას. ეს ასე არ არის. ცხოვრება გაცილებით მძლავრი მბრძანებელია, მაგრამ პოზიტიური სამართალი ქმნის, ამკვიდრებს ფასეულობებით გაჯერებული ცხოვრების წესებს. მაშასადამე, პოზიტიური სამართალი იგივე ფუნქციას ასრულებს, რა ფუნქციასაც ასრულებს ცალკეული მედიკამენტი ადამიანის სისხლის გაწმენდაში. თუმცა, შეიძლება უხარისხო მედიკამენტმა ეს სისხლი უფრო „დააბინძუროს“. ესეც კანონმდებლის პრობლემაა და მოსალოდნელია იქ, სადაც კანონმდებელი ნიჰილისტურად, ცინიკურად აფასებს სტიქიური ნორმატიული წესრიგის მნიშვნელობას და ამით ცხოვრებისგან უცხოვდება. მაგრამ, ის კანონმდებელი, რომელსაც შესწევს უნარი „მარგალიტები“ ამოკრიფოს ჩვენი ნატურალური ცხოვრებიდან და თავისივე შემოქმედებით ისეთი ნორმები შემოიღოს, რომლებიც ემსახურებიან ცხოვრების გაკეთილშობილებას, ცხადია, არ იქნება მისგან გაუცხოებული. მოკლედ, კანონმდებლობას ცხოვრება კვებავს და ცხოვრებაც კანონმდებლის მიერ იკვებება. ნორმატიული ცხოვრების ეს წესი პოზიტიური სამართლისა და ჩვენი ცხოვრების მიზეზ-შედეგობრივი მიმართებითაა განპირობებული. ამიტომ ვამტკიცებ, რომ პოზიტიური სამართალი – ესაა ნორმატიული სიკეთე. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოზიტიური სამართალი შეძლებს ამის შემდეგ საკუთარი თავის დამოუკიდებელ შემეცნებას. ეს შეუძლებელია, ვინაიდან პოზიტიური სამართალი არ ამოწურავს მთელ ცხოვრებას. ის შეიძლება შევადაროთ მრავალსართულიანი სახლის კარკასს, რომელსაც ხორცშესხმა სჭირდება. მაშასადამე, პოზიტიური სამართალი კვლავაც დაკავშირებულია თავის წყაროსთან, კერძოდ, არაპოზიტიურ სამართალთან. იქ, სადაც ამას კარგად აცნობიერებენ, სადაც ხიდია გადებული მათ შორის, ეს იძლევა სამართლის მთლიანობაში აღქმის საშუალებას. თუმცა, აქაც სა-

ჭიროა წონასწორობის შენარჩუნება, რომ სასწორი უმიზეზოდ არ გადაიხაროს პოზიტიური სამართლისაკენ, ანდა ადამიანები მთლიანად არ გადაეშვან არაპოზიტიური სამართლის მორევში. ერთიც და მეორეც იქნება სამართლის უარყოფა, თუ პირველს შედეგად მოსდევს სამართლებრივი ტოტალიტარიზმი, მეორეს – სამართლებრივი ნატურალიზმი, რაც არასახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვისაა დამახასიათებელი.

23.04.2012

სამართლებრივი კულტურის შესახებ ლეგალურ და არალეგალურ მართლწესრიგებთან კავშირში

ამჯერად მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო სამართლებრივ კულტურაზე, რომელშიც ვლინდება სამართლის ქმედუნარიანობა. სამართლის იდეალური სახე აუცილებლად მოითხოვს მატერიალურ სხეულს, რომელთანაც ის ისე იქნება დაკავშირებული, როგორც ჩვენი სული და სხეული. როცა სხეული არაა ჯანსაღი, ის სულის დამძიმებას იწვევს და პირიქითაც ხდება, როცა სულის ავადმყოფობა სხეულს აწვება ტვირთად. ასეა სამართალშიც. როცა ესა თუ ის ქვეყანა ვერ ახერხებს სამართლის ჭეშმარიტი იდეის შემეცნებას და სამოქმედოდ შემოაქვს ადამიანის ბუნებისგან გაუცხოებული სამართალი, ეს ამძიმებს ადამიანის ცხოვრებას და იწვევს მასში კულტურული ღირებულებების ჩაკვლას. მოკლედ, ერთია სამართალი, რომელსაც გვთავაზობს კანონმდებელი და მეორეა სამართალი, რომელიც ადამიანთა მართლშეგნებაში ბუდობს. როცა მათ შორის თანხმობაა, ეს მაჩვენებელია იმისა, რომ პოზიტიური სამართალი ქმედუნარიანია. დაპირისპირების შემთხვევაში ან ერთია პროგრესული, ან მეორე. როცა პოზიტიური სამართალია ასეთი, მაშინ ამ უთანხმოების მოხსნა შეიძლება მართლშეგნებაზე მისი ზემოქმედებით, რაც ხდება იძულების გამოყენებით. აქ სამართალი ასრულებს მართლშეგნების ფორმირების ფუნქციას და ამ თვალსაზრისით ის პროგრესულია. როცა პოზიტიური სამართალი ჩამორჩება ჩვენს მართლშეგნებას, მაშინ ამ უკანასკნელს ეკისრება სამართლის ტრანსფორმაციის როლი იკისროს. ეს კი ხდება სხვადას-

ხვა გზის გამოყენებით, რომელთა შორის ერთ-ერთია საკონსტიტუციო კონტროლი. ძნელია პოზიტიური სამართლის მოთვინიერება, ვინაიდან მას ზურგს უმაგრებს იძულება, მართლშეგნებას კი – სამართლებრივი იდეის ავტორიტეტის ძალა (იძულების ცალკეული შემთხვევების გარდა). საბჭოთა სინამდვილეში, სამართლისაგან გაუცხოებული მართლშეგნება, რომელიც მასთან შედარებით გაცილებით პროგრესული იყო, არალეგალური ფორმით აგრძელებდა თავის არსებობას. მოქმედი პოზიტიური სამართალი მუდმივ დაპირისპირებაში იმყოფებოდა მასთან. ეს არალეგალური არსებობა გამოიხატებოდა იმით, რომ ოფიციალური მართლწესრიგის გვერდით მოქმედებდა არაოფიციალური მართლწესრიგი, რაც პოზიტიურ მართლწესრიგთან გაუცხოებულ ურთიერთობებში ვლინდებოდა. ამის მაგალითები არა მარტო საბჭოთა სინამდვილეში დაიძებნება, არამედ მოწინავე სამართლის ქვეყნებშიც. საბჭოთა რეალობის მაგალითად გამოდგება ფორმადაუცველი გარიგებანი უძრავი ქონების ნასყიდობისა. ოფიციალური მართლწესრიგი ადამიანებს უკრძალავდა რამდენიმე საცხოვრებელ სახლზე (გარდა აგარაკისა) საკუთრების უფლებას, ამა თუ იმ ქალაქში ჩაწერის გარეშე ბინის შეძენას და ა.შ. ამის გვერდით მოქმედებდა არაოფიციალური მართლწესრიგი, რომელიც სრულიად საპირისპიროს ადგენდა. კერძოდ, ამ მართლწესრიგის თანახმად, საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლება კანონით არ უნდა შეზღუდულიყო, არც ჩაწერის ინსტიტუტს არ უნდა ჰქონოდა ადგილი და ა.შ. პოსტსაბჭოურ საქართველოში მიღებული კანონი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის შესახებ“ იმისი აღიარებაა, რომ არალეგალური მართლწესრიგი იმსახურებდა ლეგალიზაციას და, ამდენად, ის უფრო შეესაბამებოდა სამართლის მოთხოვნებს, ვიდრე მაშინ მოქმედი კანონმდებლობა. როგორც უკვე ვთქვით, არალეგალური მართლწესრიგი ყოველთვის იარსებებს. ასეთად უნდა გავიგოთ მოქმედი მართლწესრიგიდან არა ყოველგვარი გადახვევები, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც შეესაბამება სამართლის იდეალურ ბუნებას. რაც უფრო სრულფასოვანი იქნება პოზიტიური სამართალი, მით უფრო ნაკლები იქნება მასთან დაპირისპირებული არალეგალური ნორმები. ნებისმიერ შემთხვევაში გონიერი კანონმდებლის ხელში ეს ნორმები შეიძლება გახდეს

მოქმედი სამართლის სრულყოფის საფუძველი. მართლშეგნების ღირსებაა ის, რომ ყალიბდება სტიქიურად და მასთან მიმართებით იძულების გამოყენება არცთუ ისე ეფექტიანია. მოწინავე სამართალმა შეიძლება ერთგვარი მაგიპნოზირებელი როლი იკისროს მართლშეგნებასთან მიმართებით, მაგრამ ყველა ვერ მოექცევა მისი ზემოქმედების ქვეშ. დავიმოწმებ ჰოლანდიელ პროფესორ ფელდბრუგეს, რომელიც ამბობდა, რომ, თუ სამართლის რეცეფციას არ მოსდევს შესატყვისი მართლშეგნება, ის ხალხმა დამოუკიდებლად უნდა შექმნას.

24.04.2012

არსისა და არარსის მიმართება სამართალთან (არეოპაგიტიკული ნაწერების გავლენით სიკეთისა და ბოროტების ჭრილში)

მინდა სამართალს შევხედო არსისა და არარსის კუთხით. შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველგვარი სამართალი არსია. თუ ეს ასეა, მაშინ რაღაა არარსი? შესაძლებელია სამართალი ერთდროულად იყოს არსიც და არარსიც? არსებობს მხოლოდ არსი, თუ არარსიც არსებობს? აქ პლატონი გამოგვადგება. მისი აზრით, ჭეშმარიტი აზრის საგანი არსებულია, ხოლო მცდარი აზრის საგანი – არარსებული. მაგრამ, რადგანაც არსებობს როგორც ჭეშმარიტი, ისე მცდარი აზრი, ერთის საგანი იქნება არსი, მეორისა კი – არარსი. მაშასადამე, არსებულია როგორც არსი, ისე არარსი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი სამართალი არსებულია. ე.ი. განსხვავება ყოფილა მხოლოდ მოწესრიგების საგნის ღირებულებაში. ასეთი მიდგომა პოზიტივისტების იდეებს ემსახურება. ისინი ხომ სამართალს აღიქვამენ წმინდა ფორმალური სახით, იმის მიუხედავად, თუ როგორია მისი მატერიალური შინაარსი – სიკეთე თუ ბოროტება. პოზიტივისტები სამართლად თვლიან ნორმათა წესრიგს როგორც არსთან, ისე არარსთან მიმართებით. ერთხელ ვთქვი, რომ კელზენი ფაშისტური გერმანიის კანონებს მიიჩნევდა სამართლად, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევაში მისი საგანი იყო არა სიკეთე, არამედ ბოროტება. წინა ჩანახატებში მე ეს აზრი ჰაიეკზე დაყრდნობით გავაკრიტიკე. სამართალი ჩვენ უნდა განვიხილოთ როგორც არსის კატეგორია. არარსი შეიძლება

არსებობდეს არსშიც. აქ მნიშვნელოვანია, რა დოზით არსებობს ის არსში. თუკი ადგილი აქვს კრიტიკული ზღვარის გადალახვას, ეს საფრთხეს უქმნის არსს და შეიძლება მოახდინოს მისი მოკვდინება. შედეგად მივიღებთ არარსს. ფაშისტური გერმანიის კანონები, რომლებიც ბოროტებას ემსახურებოდნენ, ამ აზრით ჩაითვლებიან არარსად. ეს არ ნიშნავს, რომ ის არარსებულია. არარსიც არსებულია, მაგრამ მას ჩვენ ვერ ვუწოდებთ სამართალს. მაშასადამე, სამართალი არსის კატეგორიაა და თუ დაირღვევა ეს არსი, სამართალიც გაქრება. სამართალს შეუძლია აიტანოს მხოლოდ ისეთი არარსი, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის მას, როგორც არსს. არსი შინაგანად ებრძვის არარსს და ეს ჩანს როგორც პოზიტიურ სამართალში, ისე არაპოზიტიურში. ეს პროცესი არაპოზიტიურში უფრო ბუნებრივად მიმდინარეობს. სავსებით შესაძლებელია, რომ ხალხს მოსწონდეს ისეთი წესები, რომლებიც ამჟამინდელი გადასახედიდან ვერ ჩაითვალოს სიკეთედ. ის მაინც არსია იმ ხალხისათვის, რომლებიც ამ წესრიგს შეგუებულნი არიან და მას მიიჩნევენ სიკეთედ. ფაშიზმის დროს პოზიტიური სამართალი აცხადებდა სიკეთედ იმას, რაც ხალხის მართლშეგნებით არ შეიძლება ჩათვლილიყო ასეთად. „ჰიპნოზურ“ მდგომარეობაში მყოფი ხალხის მხარდაჭერა თუნდაც ასეთი წესებისადმი, ვერ ჩაითვლება მისი არსად აღიარების საბუთად. არსის შეფასება უნდა მოვახდინოთ იმის მიხედვით, თუ რა კრიტერიუმებს აკმაყოფილებს ესა თუ ის მოვლენა. ნებისმიერი არსი მაშინ იქნება არსი, თუკი სიკეთე იქნება მისი საგანი. განსხვავების მიუხედავად, ყველა ხალხის სამართლის არსობრივი საფუძველი ერთია და ესაა სიკეთე. სამართალი დაკარგავს თავის აზრს, თუ მისი საყრდენი გახდება ბოროტება. რა თქმა უნდა, სამართალში ბოროტებაც აუცდენელია, ისევე როგორც ჩვენს ადამიანურ ბუნებაში, მაგრამ მას არ უნდა მიეცეს გაბატონების უფლება. ბოროტება არ უნდა მბრძანებლობდეს. ჩემი მსჯელობის სისწორეში მარწმუნებს ადამიანის უფლებებისადმი თანამედროვე სამართლის მიდგომები. კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპადაა დღეს აღიარებული სამართლებრივი სიკეთის არსის შენარჩუნება. ეს, მართალია, ადამიანის უფლებებში ჩარევის კუთხით მოიაზრება, ე.ი. უფლებაში ჩარევამ არ უნდა მოსპოს უფლება, მისი სუბსტანცია უნდა შენარჩუნდეს. როცა

საკუთრებაში ჩარევას ეხება საქმე, საკუთრება საკუთრებად უნდა დარჩეს. მაშასადამე, უფლებას აქვს თავისი არსი და ამიტომ იწოდება ის უფლებად. გადამეტებული ჩარევის შედეგად უნდა ვღებულობდეთ არარსს, ე.ი. გამოდის, რომ ჩარევამდე მოვლენებს აქვთ თავიანთი არსი. როცა კანონმდებელი ნორმატიულად ერევა მასში, მან ეს უნდა გაითვალისწინოს. ე.ი. ჯერ მოცემულია არსის მატარებელი სიკეთეები და შემდეგ ხდება მასში ჩარევა. კანონმდებლის ვალია, ორივე ეტაპზე გაითვალისწინოს მოვლენის არსის მნიშვნელობა. ჯერ მე უნდა შემომთავაზონ არსის მქონე მართლწესრიგი და შემდეგ ნებისმიერი ჩარევისას ეს არსი არ უნდა შეილახოს.

28.04.2012

კვლავ არსში არსებული არარსი, როგორც აუცილებლობა (სამართალთან კავშირში)

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სამართალი სიკეთეა, ე.ი. ის არსობის მქონეა, მაგრამ იმასაც ხომ ვამტკიცებთ, რომ ის შეიძლება არარსადაც იქცეს. ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა არსში მოცემული არარსი იმდენად გაძლიერდება, რომ არსის მოკვდინებას გამოიწვევს. მაშასადამე, გამოდის, რომ არარსი არსის თანაზიარია და ამ აზრით ის არსის აუცილებლობაა. შეუძლებელია მოინახოს ყველაზე ჯანმრთელი ადამიანი, რომელშიც იოტისოდენა ავადმყოფობა არ იქნება; შეუძლებელია არსებობდეს კეთილი ადამიანი, რომელშიც ბოროტებაც არ იყოს. ეკლესიასტეში ვკითხულობთ: „არ მოიპოვება ქვეყნად მართალი კაცი, რომელიც იქმოდეს კეთილ საქმეს და არა სცოდავდეს“. „მეტისმეტად ნუ იბოროტებთ“, ასევე გვარიგებს ძე დავითისა, ისრაელთა მეფე. გამოდის, რომ ბოროტება, ცოდვა, უსუბსტანციოა და ისინი არსებობენ ისეთ საგნებში, რომელთაც გააჩნიათ სუბსტანცია. ეს კი სიკეთეა. ამ გაგებით არარსი არსისთვის ასრულებს მაღვიძარას ფუნქციას, ვინაიდან სიფხიზლე მოსდევს მას, მაგრამ, როცა ის მომეტებულადაა ჩვენში მოცემული, მაშინ კი არ ვფხიზლდებით, არამედ ხასიათს ვიცვლით და არარსობისკენ მივექანებით. ასეა მოწყობილი სამართლის სხეულიც. რამდენიც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ სამართალი სიკეთეა, ის ბოროტების ელემენტებსაც შეიცავს. რაგინდ კულტურული ხალხი და კანონმდებელიც არ უნდა გვყავდეს, ვერავინ ვერ შეძლებს სამართლისგან აბსოლუ-

ტური სიკეთის მიღებას, ვინაიდან ჩვენ თვითონ ვართ უძლურნი ავმაღლდეთ მანამდე. ადამიანი ცოდვილია და მათი მონანიების ყველა შემთხვევაში მაინც რჩება ახალი ცოდვა. როგორი სუფთაც არ უნდა იყოს წყალი, სიმღვრივისაგან მისი სრულად გაწმენდა შეუძლებელია, ე.ი. არსი სრულყოფილებაა, მაგრამ, იმავდროულად არასრულყოფილების შემცველიცაა. თუმცა, როცა რომელიმე მოვლენის არსზე ვლაპარაკობთ, მას ჩვენ არარსთან მიმართებით ვაცნობიერებთ. თუ არსი სამართლისა სიკეთეა, განა შეიძლება ამისი გაგება ბოროტების გარეშე. მაგრამ, ბოროტება ხომ არასუბსტანციურია და ის სამართლის, როგორც სიკეთის, სუბსტანციაშია დამარხული. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, თუ რა უნდა გააკეთოს პოზიტიური სამართლის შემქმნელმა. მან უნდა შეძლოს არსის არარსისგან იმ დონეზე გაწმენდა, რომ სამართალმა თავისი სახე მიიღოს და სიკეთეს წარმოადგენდეს. საპირისპირო შემთხვევაში, არარსი ისე შეარყევს სამართლის სხეულს, როგორც ადამიანის სხეულს მუდმივი ავადმყოფობა. გამოდის, რომ ჩვენ არსს ვერ მივიღებთ არარსთან ორგანული კავშირის გარეშე. ამიტომაც ამტკიცებს გერმანული პრეცედენტები, რომ საკუთრება არსობრივად, ე.ი. სუბსტანციურად შეზღუდული უფლებაა. მაშასადამე, ის სხვანაირად ვერ იარსებებს. ე.ი არსის მქონეა ის, რასაც არსებობის უფლება აქვს, ანდა – რაც არსებობს. არარსიც არსებობს, მაგრამ არა ცალკე ფორმაში, არამედ არსის სხეულში. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ავადმყოფობა ჯანმრთელობისაგან განყენებულად არსებობს? არსებობს კი მხოლოდ ჯანმრთელი ან მხოლოდ ავადმყოფი ადამიანი? – არ არსებობს, ვინაიდან ავადმყოფობა ჯანმრთელობის თვისებაა და არა, პირიქით, ჯანმრთელობა ავადმყოფობისა. კანონმდებელი არ უნდა შეიპყროს არც უნუგეშო პესიმიზმმა და არც უსაზღვრო ოპტიმიზმმა. ერთ შემთხვევაში შეიძლება კანონმდებელი თავისი უმოქმედობით ამართლებდეს სამართალში ხარვეზიანი ნორმების არსებობას და ამით არარსის გაღვივებას უწყობდეს ხელს მასში, რაც საბოლოოდ არსის შენარჩუნებას საფრთხის ქვეშ აყენებს. მეორე შემთხვევაში კანონმდებელი ცდილობს სამართალი გაწმინდოს ყოველგვარი ხარვეზისაგან, რაც ასევე მიუღწეველია. თუმცა, ამ მიმართულებით სწრაფვა გამართლებულია. მოკლედ, მთელი ამ მსჯელობით რას უნდა ვამტკიცებდე მე, თუ არა

იმას, რომ არ არსებობს უფლება შევცვალოთ სამართლის არსი არარსით, იმ არარსით, რომელიც, როგორც ამტკიცებენ ძველი ფილოსოფოსები, არსის კლება და მისი შემცირებაა. კლების შედეგად არსი შეიძლება გამოიფიტოს და ხელში შემოგვადნეს. მაშასადამე, ჩვენ გვავალდებულებს სამართლის არსი და არარსი, როგორც აუცილებლობა არსისა, ე.ი. გამოდის, რომ ბოროტებაც გვავალდებულებს? გვავალდებულებს მხოლოდ იმ დონის ბოროტება, რომელიც სიკეთის განუყოფელი თანამგზავრია. განა ამას არ უნდა ნიშნავდეს – „მეტისმეტად ნუ იბოროტებო“?

30.04.2012

კერძო და საჯარო სამართლის მიმართების შესახებ ინტერესთა დაბალანსების კუთხით (რადბრუხის გამო)

რა ბედი ელის ჩვენს დროში კერძო სამართალს, მისი მოქმედება ფართოვდება, თუ იკვეცება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ასევე საჯარო სამართლის მოქმედების ფარგლები. მოკლედ, კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთდამოკიდებულებით უნდა აიხსნას ეს. აქ კი ამოსავალია ის ინტერესი, რომელსაც ისინი ემსახურებიან. ინტერესთა, ღირებულებათა წესრიგი განსაზღვრავს ყოველივე ამას. გუსტავ რადბრუხის დაკვირვებით, სოციალურ სახელმწიფოში საჯარო სამართალი პრიმატია კერძოსთან შედარებით. კერძო საკუთრებაც არ არის ხელშეუვალი. ის უფრო საზოგადოებრივი მონაპოვარია. ეს დებულება დაზუსტებას საჭიროებს. კერძო და საჯარო სამართალს შორის ჩინური კედელი არასდროს არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ დაცული ინტერესები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მათ შორის მიმართება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის სახელმწიფოში ვცხოვრობთ და როგორია ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა მართლშეგნების დონე, კერძოდ კი, მათი დამოკიდებულება ინტერესებისადმი. თუ ჩვენს ისტორიას გავიხსენებთ, აღმოჩნდება, რომ სამართლის ეს ორი სფერო გაუცხოებული იყო ერთმანეთისაგან, ვინაიდან არსებობდა გაუცხოება საჯარო და კერძო ინტერესებს შორის. მთელი ჩვენი წარსული ამაზე მეტყველებს. ეს გაუცხოება ვლინდებოდა კერძო ინტერესების ბატონობაში საჯაროზე. სამარ-

თალიც, შესაბამისად აღიქმებოდა, როგორც კერძო ინტერესი. ჩვენს წარსულში ვერ ვხედავთ ვერც იმ შემთხვევებს, როცა კერძო ინტერესი დატვირთულია საჯაროთი. ძველ საქართველოში ბატონობდა მკაცრი ინდივიდუალიზმი და ეს წარმოადგენდა სახელმწიფოს სამართლებრივი პოლიტიკის გამოხატულებას, რომელიც იკვებებოდა თავისი მოსახლეობის მართლშეგნებით და არ ჰქონდა უნარი, შეეცვალა მათი აზროვნება. ეს იწვევდა განსაკუთრებულ პატივისცემას კერძო უფლებებისადმი, რაც სასამართლო პრეცედენტებიდანაც ჩანს. ყოველივე ეს განაპირობებდა საჯარო სამართლის ჩამორჩენას და, შესაბამისად, სახელმწიფოებრივი აზროვნების დაბალ დონეს. აღნიშნული საკითხი მე საგანგებოდაც ვიკვლიე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ საქართველოში ისტორიულად მოქმედებდა ინტერესთა ორმხრივი გაუცხოება. პიროვნება თავისი ინტერესებით სახელმწიფოში ხედავდა დაპირისპირებულ მხარეს. შესაბამისად, სახელმწიფოც ნაწილობრივ გაუცხოებული იყო პიროვნებისგან. ჩვენს ძველ დროში სამართალი უფრო კერძო ინტერესის მატარებელი იყო, ვიდრე საზოგადოებრივისა. ასეთი მიდგომა იწვევდა სამართლის უარყოფას, ვინაიდან შეუძლებელია ის მოიაზრებოდეს შეწონილი და დაბალანსებული ინტერესების გარეშე. სასწორის უმნიშვნელო გადახრა ყოველთვის მისატევებელია, მაგრამ მისი უარყოფა დაუშვებელია. ყოველივე, რაც კი ამქვეყნად არსებობს, აწონვადია, გარდა ადამიანის ღირსებისა და სიცოცხლისა. მოკლედ, ჩვენი ძველი ისტორია გვაგონებს ანტიდიუგს, ვინაიდან დიუგისთვის სასწორი მთლიანად სოციალური ინტერესების მხარეზე იყო გადახრილი. როგორც არაერთხელ ვამტკიცებდი, სამართალი კერძო და საჯარო ინტერესების მშვიდობიანი თანაარსებობაა. რომელიმესთვის პრიმატის მინიჭება ძირს უთხრის ამ მშვიდობას. სხვა საქმეა კერძო ინტერესების საჯაროთი დატვირთვა. ამ ტვირთის ხასიათზეა დამოკიდებული დიუგი გვეყოლება თუ ანტიდიუგი. არც ერთი ვარგა და არც მეორე. თანამედროვე პრეცედენტები სრულიად სხვაზე მეტყველებენ, ვიდრე ამას ამტკიცებდა რადბრუხი. ნებისმიერი სამართალი ამა თუ იმ ინტერესის დასაცავადაა შექმნილი. კერძო და საჯარო ინტერესების მიმართების ევოლუციური გზა იმაზე მეტყველებს, რომ საჯარო ინტერესების წინ წამოწევის ცალკეული შემთხვევები

ისევ კერძო ინტერესების სასარგებლოდ ხდება. როცა საკუთრებაზე ვმსჯელობთ, თუკი ის ახლა უფრო მავალდებულებს, ესეც ხომ კერძო ინტერესებს ემსახურება იმ თვალსაზრისით, რომ ბალანსი შენარჩუნდეს. ამ კუთხით სამართალი შეიძლება შევადაროთ ადამიანის წნევას, რომელიც მხოლოდ მაშინ ითვლება დამაკმაყოფილებლად, როცა დიასტოლურ და სისტოლურ წნევას შორის წონასწორობა დაცულია. რაც უფრო დაშორდება საჯარო ინტერესი კერძოს, ან უფრო მიუახლოვდება, წონასწორობა ირღვევა და მართლწესრიგი ზარალდება.

2.05.2012

შესრულებისა და ვალდებულების მიმართება სამართლებრივი და ეთიკური კუთხით

„ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ეს დებულება ჩვენ შეიძლება განვიხილოთ ორგვარ მიმართებაში – სამართლებრივი და მორალური კუთხით. სამართლებრივი აზრით, შესრულება მაშინაა სავალდებულო, როცა მას იწვევს ვალდებულება. ვალდებულება, როგორც გარეგანი, მაიძულებს მოვახდინო შესრულება. სხვაგვარად, მე ვასრულებ იმიტომ, რომ მევალება. მაგრამ რა მოხდება, თუ არ არის ვალდებულება და მაინც ვასრულებ? მაგალითად, მეზობლის ქონებას განადგურების საფრთხე შეექმნა და მე მის გადასარჩენად განვახორციელე გარკვეული მოქმედება. ეს იქნება სხვისი საქმის დავალების გარეშე განხორციელება. ამ შემთხვევაში არა გვაქვს სამართლებრივი ვალდებულება, ვინაიდან არა გვაქვს დავალება. მაგრამ შეიძლება ადამიანი მოქმედებდეს და ეს არ ემყარებოდეს რაიმე ვალდებულებას? ხომ ითქვა ზემოთ, რომ ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულებას, ფართო მნიშვნელობით აქ შეიძლება ვიგულისხმო მორალური ვალდებულებაც. შეიძლება მე არ მევალება სამართლებრივად, მაგრამ მევალებოდეს მორალურად. ხანძრის ჩაქრობა ჩემი მორალური ვალდებულებაა. თუ მას შევასრულებ, შედეგად მოყვება სამართლებრივი ვალდებულება. კერძოდ, მაშინ, როცა ეს შესრულება დაკავშირებული იქნება გარკვეულ ხარჯებთან, ზიანთან. როგორც მორალურ, ისე სამართლებრივ ვალდებულებას თავისი მოქმედების ფარგლები გააჩნია. როცა

მე რაიმეს ვასრულებ, ის აუცილებლად უნდა ეტეოდეს ადეკ-ვატური ვალდებულების ფარგლებში. ისევე როგორც ადამიანს ვერ დაეკისრება იმაზე მეტი ვალდებულება, რასაც შეიძლება ეწოდოს სამართლებრივად აწონილი ვალდებულება, მორალუ-რი ვალდებულებაც შესაბამისი სასწორით აწონვადი უნდა იყოს. ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც სცილდება ჩემი, როგორც ბრუნვის მონაწილისადმი წაყენებული ვალდებულების ფარ-გლებს, არ შეიძლება განვიხილოთ ვალდებულებად. სამართლის სუბიექტის არსობა, მომეტებული ვალდებულებითი ტვირთის დაკისრებით, საფრთხის წინაშე არ უნდა აღმოჩნდეს. ვალდებუ-ლებამ არ უნდა მოიქციოს ქვეშ სამართლის სუბიექტი. ეს ეხება მორალურ ვალდებულებასაც. არც მორალი არ ავალდებულებს ადამიანს, რომ საკუთარზე წინ სხვისი ინტერესები დააყენოს. მოკლედ, არც მორალი და არც სამართალი არ გვავალდებულებს ჩვენ ვიქცეთ სამართლის ობიექტებად. ეს მაშინ ხდება, როცა აშ-კარა დისბალანსი გაჩნდება ჩვენს უფლებასა და ვალდებულებას შორის და ადამიანი მომეტებულად დაიტვირთება ვალდებულე-ბებით. სამართლის სუბიექტი ხომ უფლება-მოვალეობით შეწო-ნილი პირია. ამიტომ ვამტკიცებ, რომ უფლება-მოვალეობათა კავშირზეა დამოკიდებული თავად სამართლებრივი ურთიერ-თობის სიცოცხლისუნარიანობა. მორალური ვალდებულება ყო-ველთვის იყო ბიძგი სამართლებრივის შესასრულებლად. „ვალ-დებულება უნდა შესრულდეს“ – ამას მორალიც მავალდებულებს იმ შემთხვევაში, როცა ეს ვალდებულება შემიძლია შევასრულო ისე, რომ ამით საფრთხე არ შეექმნას ჩემს სამართალსუბიექტო-ბას. იგივე სურათი გვაქვს მისი დარღვევის შემთხვევაში. აქაც მორალური ბიძგი იწვევს სამართლებრივის ამოძრავებას. თუ არ არის ეს ბიძგი, მაშინ შესრულება წმინდა გარეგან იძულებას ემ-ყარება. როცა მე ვასრულებ ვალდებულებას ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მორალურ ბიძგთან ერთად ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ვადაგასული ვალდებულების ძალით. არავის არ ეკრძალება ვალდებულება შეასრულოს შესრულების ვადის გასვლის შემდეგაც, თუკი საამისოდ არსებობს კრედიტორის ინ-ტერესი.

7.05.2012

სამართალთან იძულების გაუცხოების შესახებ. ასევე სამართალში „შოკური თერაპიის“ შესახებ

ჩვენ არაერთხელ ვთქვით, რომ სამართალი იძულებასთანაა დაკავშირებული, თვითონ კი არაა იძულება. აქ ისეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირია, რომ ისინი უერთმანეთოდ ვერ მოიაზრებიან. თუმცა, ეს ვერ გამოიწვევს იძულების სამართალში განთავსებას. სამართალი სიკეთეა და იძულება კი ამ სიკეთის დარაჯი. ყოველი იძულება სიკეთის დაცვის მოთხოვნილებით განისაზღვრება. სამართლებრივ სიკეთეებს ადამიანები ყოველთვის ვერ ხვდებიან მშვიდობიანი განწყობით. როცა ახალი სამართლებრივი იდეა ჩნდება და მას ნორმატიული სახე მიეცემა, ზოგჯერ მის მიმართ შეიძლება საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი გაუცხოებული იყოს და ეს სრულიად ბუნებრივად გამოიყურებოდეს. იძულება ამ შემთხვევაში სამართლისათვის გამწევი ძალის ფუნქციას ასრულებს და ადამიანს ის თანდათანობით უყალიბებს აუცილებელი ქცევის შეგნებას. იძულება მოვალეობის მოქმედების სტიმულატორია. მაგრამ, რა მოხდება, თუ სახელმწიფო შეეცდება დაამკვიდროს ისეთი სამართლებრივი ნორმები, რომელთა არსობა გაუცხოებულია ჩვენს არსობასთან. აქ შეიძლება სახელმწიფომ მიმართოს მომეტებულ იძულებას, რაც, თავის მხრივ, იქნება ნორმებისგან გაუცხოებული. მე ვამტკიცებ, რომ იძულების გარეგანი ხასიათი არ გულისხმობს სამართლისგან მის გაუცხოებას. სამართლის ადეკვატური იძულებაა იქ, სადაც ისინი არ არიან გაუცხოებული. იძულებამ შე-

იძლება ეფექტი გამოიწვიოს ისეთ სამართალზე ზემოქმედებით, რომელიც მიიღებს ამ იძულებას, როგორც მისი ამოქმედების ფაქტორს. ისევე როგორც სამკურნალო საშუალებასა და ავადმყოფს შორის უნდა იყოს შეთავსებადობა, ასეა სამართალსა და იძულებას შორის კავშირი. სამართლისაგან განყენებულად, იძულება, ისევე როგორც წამალი პაციენტის გარეშე, არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს. მაშასადამე, იძულება საშუალებაა სამართლის მიზნის მისაღწევად. ეს მიზანი კი მიღწევადია მაშინ, როცა იძულება, ისევე როგორც წამალი, შეთავსებადია იმ სიკეთესთან, რომლის მიმართაც ის გამოიყენება. სახელმწიფო ამ შემთხვევაში კარგი ექიმივით უნდა მოქმედებდეს და სამართლის ამოქმედება-გაჯანსაღებისათვის იძულებითი ღონისძიებების რეცეპტებს სწორად უნდა განსაზღვრავდეს. ამის გარეშე შედეგად მივიღებთ სამართალთან გაუცხოებულ იძულებას და ბოლოს მათ გაუცხოებას ადამიანთან. როცა სასამართლო აღკვეთის ღონისძიებებს იყენებს იქ, სადაც არაა მისი ადგილი, ამით ის ზიანს აყენებს არა მარტო კონკრეტულ პიროვნებას, არამედ თავად სამართალს, ვინაიდან ის გაურბის სამართლით ბოჭვას. სამართალი ჩვენ გვავალდებულებს მოვძებნოთ მისი ღირსების შესაფერისი იძულება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იძულება სამართლისათვის არსებობს და არა პირიქით – სამართალი იძულებისთვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სამართლის ადგილს იკავებს იძულება და თავად სამართალი ხდება საშუალება იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც მოცემული სამართლის მიღმაა. სამართლის ნორმატიული ორგანიზმი იცლება შინაარსისგან. სამართალი არსისგან ცარიელდება და არარსად ქცევის საფრთხე ემუქრება. ამიტომაა, რომ სახელმწიფომ კარგად უნდა აწონ-დაწონოს ნებისმიერი იძულებითი ღონისძიების ხასიათი. ყველაზე კარგი გზა სამართალთან იძულების შეგუებისა, ესაა მისი თანდათანობითი და მკაცრად ზომიერი ზემოქმედება. მაგრამ, მე სულაც არ გამოვრიცხავ „შოკურ თერაპიას“, როცა ახალი სამართლებრივი ფასეულობების დამკვიდრება ითხოვს მას. აქაც, ცხადია, შოკური ზემოქმედება გამართლებული უნდა იყოს და ადამიანი არ უნდა გახდეს ექსპერიმენტის ობიექტი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი მყისიერი ზემოქმედება ისე უნდა მოხდეს, რომ ამით არ დაირღვეს ადამიანის ღირსება და, აქედან გამომდინარე, მისი ფუნდამენტური უფლებები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამართალიც და იძულებაც ადამიანებს ემსახურება და ისინი მხოლოდ მათი ინტერესების განხორციელების საშუალებაა.

12.05.2012

სამართლებრივი ვალდებულების ინსტინქტებამდე დაყვანა (სპენსერის გამო)

შეიძლება თუ არა მოვალეობის შესრულება ინსტინქტურად ხდებოდეს? სპენსერი თვლის, რომ ზნეობრივ მოვალეობასთან მიმართებით ეს შესაძლებელია. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ის შესაძლებელია სამართლებრივ მოვალეობასთან მიმართებითაც. ზნეობრივი მოვალეობის მაღალი შეგნება აუცილებლად იწვევს სამართლებრივი შეგნების ამაღლებას. შეიძლება ითქვას, რომ ქცევის ინსტინქტიზაცია, ესაა სოციალური მოვლენების ერთგვარი „ბიოლოგიზაცია". როცა ქცევა გადადის ჩვევაში, მისი შესრულება სუბიექტისგან არ მოითხოვს გადაწყვეტილების ფორმით მოქმედებას. როცა რაიმეს შესრულება ჩემთვის, ჩემი არსებობიდან გამომდინარე, აუცილებელია და მე ვმოქმედებ ამ აუცილებლობის ბუნებრივი შეგნებით, ეს მოქმედება ცნობიერიდან გადადის არაცნობიერში. ის, რაც მე ერთხელ ვცანი მკაცრად აუცილებლად და მას ჩემი არსებობა ისევე დავუკავშირე, როგორც ბიოლოგიურ პროცესებს (მაგალითად, კვებას, ძილს და ა.შ.), რატომ არ შეიძლება მე მას ვასრულებდე ინსტინქტურად? ამ შემთხვევაში ჩემში აღარ ჩნდება კითხვები: შევასრულო თუ არ შევასრულო? უნდა შევასრულო იმიტომ, რომ არშესრულება მე, როგორც სამართლის სუბიექტს, ზიანს მომაყენებს. ამით მე დავუპირისპირდები საკუთარ თავს ისევე, როგორც მოშიმშილე აგდებს საფრთხეში თავის თავს.

კვება აუცილებელია და საპირისპირო ალტერნატივა არ არსებობს. შიმშილი მისი უარყოფაა. როცა ჩვენ მივალთ იმ შეგნებამდე, რომ მართლზომიერი ქცევა ასეთივე აუცილებლობაა, მაშინ შევძლებთ ცალკეული სამართლებრივი მოვალეობანი შევასრულოთ ინსტინქტურად. აქ დაახლოებით ასეთი პროცესია: ვიდრე ადამიანი გააცნობიერებდა თავის მოქმედებებს, იგი უფრო ინსტინქტურად, ნორმატიულად მოქმედებდა, რომლის წყაროც თვით მასში იყო დამარხული. ნაწილობრივ, როგორც ჯონ ლოკი ამტკიცებს, ეს შეიძლება ადამიანში ყოფილიყო, მისი ნებისგან დამოუკიდებლად, როგორც დაბადებიდან თანდაყოლილი ქცევები. რაც უფრო ვითარდებოდა ადამიანი, მით უფრო მეტ ადგილს იკავებდა მასში ტრადიციის ძალით ჩამოყალიბებული ქცევები (ნორმები). განვითარებული ადამიანი, ესაა აუცილებელი ქცევის შემეცნების მდგომარეობა, როცა ქცევის აუცილებლობის შეგნება იმდენად ბუნებრივია, რომ მათი შესრულება ინსტინქტების დონემდე დადის. ინსტინქტური ქცევა ამ შემთხვევაში შეგნებული, ცნობიერი ქცევის რეზულტატია. მაშასადამე, შესაძლებელია, პოზიტიური სამართლის მოქმედების პირობებში, სამართალი ჩვენთვის გახდეს ჩვენი არსებობის ნაწილი.

მე არ მინდა სამართალთან კავშირში ინსტინქტური ქცევების როლი გავაზვიადო, მაგრამ, ფაქტია, რომ ცნობიერ მოქმედებას თან ახლავს არაცნობიერი და შეიძლება ჩვევათა გამო ცნობიერის ადგილი არაცნობიერმა დაიკავოს. ჩვენ არ უნდა უარვყოთ გზა (მოძრაობა) ინსტინქტურიდან (არაცნობიერიდან) ცნობიერისაკენ და, პირიქითაც, ცნობიერიდან ინსტინქტურისაკენ (არაცნობიერისაკენ). ამ მეორე შემთხვევაში მოქმედებას წინ უძღვის მისი გაცნობიერება მანამ, სანამ ის ჩვევაში არ გადაიზრდება. არაცნობიერი (ინსტინქტური) მოქმედების პირობებში ადამიანის ტვინი (გონება) ისვენებს. რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანებმა ისე ახლოს მიიტანონ სამართლებრივი აუცილებლობა, რომ მას შეხედონ მათთან მიმართებით ისეთ გარეგან სინამდვილეს, რომლის გარეშეც ფასი ეკარგება მათ შინაგანს, როგორიცაა ეთიკური ფასეულობანი? სამართალი ჰგავს იმ ხიდს, რომელიც ადამიანებს აკავშირებს და რომელსაც საყრდენად ეთიკური სიკეთეები აქვს შეყენებული. რა მოხდება, თუ

ხიდს წყალი წაიღებს და ადამიანები აღმოჩნდებიან უფლება-მოვალეობით დაცარიელებულ სივრცეში. ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული სივრცე გაჯერებული იქნება ზნეობრივი ნორმებით და ადამიანები შეძლებენ თანაცხოვრებას. ამას თუ დავიჯერებთ, მაშინ კიდეც უნდა ვიწამოთ კომუნისტების წინასწარმეტყველება სამართლის კვდომაზე. არ არსებობს ზნეობა სამართლის გარეშე და სამართალი ზნეობის გარეშე, როგორც პრინციპი. მართალია, სამართლის ნორმები ყოველთვის არ არიან დაკავშირებული რომელიმე კონკრეტულ ზნეობრივ ნორმასთან, მაგრამ ისინი ზოგადად მაინც არიან მასთან ურთიერთობაში. თუკი დავიჯერებთ ელინეკის აზრს, რომ სამართალი ზნეობის მინიმუმია, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ეხება სამართლის ყველა ნორმას. თუკი ჩვენ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზნეობა მხოლოდ ვალდებულებასთანაა დაკავშირებული, ამაშიც შეიძლება დავინახოთ მისი ზემოქმედებითი ძალა სამართალზე, რომელიც უფლება-მოვალეობით შეკრული ორგანიზმია. ზნეობა ავალდებულებს ადამიანებს სწორად გადაანაწილონ ღირებულებები და შექმნან არადისკრიმინაციული სამართლებრივი გარემო. მაშასადამე, სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს უპირისპირდება ზნეობრივი ვალდებულებანი. აქ ვალდებულება არ არის თავისი წმინდა გაგებით ვალდებულება. ვალდებულება, როგორც ითქვა, საყრდენია სამართლისათვის. რა მოხდება, თუ ადამიანები ხიდს ზნეობრივ ბოძებს გამოაცლიან და შეეცდებიან მის საყრდენად სხვა ხიდის მასალა გამოიყენონ? შეუძლებელი იქნება ეს, ვინაიდან, ხიდი მანამ გვაქვს სახეზე, ვიდრე მას ზნეობრივი საყრდენი აქვს. როცა მოვაშორებთ მას, აღარც ხიდი გვექნება. მაშასადამე, ვერც ერთი სხვა ხიდის მასალა ვერ გამოდგება ამ მიზნით. გამოდის, რომ სამართალი ვერ იქნება თავისივე თავის საფუძველი, ვინაიდან შეუძლებელია საგანი იყოს თავისივე თავის მიზეზი. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ, როცა სამართლის საძირკველი ძლიერია, ასეთ ხიდზე ადამიანები თვალდახუჭული დადიან. მაგრამ, ყოველივე ეს ხომ იმიტომ ხდება, რომ ადამიანებს კარგად აქვთ გაცნობიერებული აღნიშნული მოძრაობის აუცილებლობა. შევადაროთ მათემატიკურ დებულებას: ორჯერ ორი ოთხია და არავინ არ ვაცნობიერებთ აღნიშნულ სისწორეს,

ვინაიდან ეს ერთხელ უკვე დამტკიცდა და უეჭველ აქსიომად იქცა. პიანისტი, რომელიც თვალდახუჭული უკრავს პიანინოზე, განა ინსტინქტის დონეზე არ მოქმედებს? ცნობიერი მოქმედება შეწყვეტდა არსებობას არაცნობიერის ფორმის გარეშე. მოკლედ, ამ მოსაწყენი და, შეიძლება, ამ საქმეში დილეტანტური მსჯელობის მიზნად მქონდა, სამართალი დაგვენახა როგორც ცნობიერ, ისე არაცნობიერ მდგომარეობაში.

16.05.2012

უფლების არსებობის გარემო
(ინტერესი უფლებაში)

თავის დროზე მე გამოვთქვი ჩემი აზრი უფლების არსებობის გარემოსთან დაკავშირებით. კერძოდ, მე მიმაჩნდა, რომ უფლება მოითხოვს ისეთი გარემოს არსებობას, რომელიც მისი ნამდვილობის საფუძველი იქნება. არ შეიძლება უფლების სუბსტანციის განხილვა ამ გარემოს გარეშე, ისევე როგორც ადამიანის ადამიანად არსებობა შეუძლებელია მისთვის შეუფერებელ და გაუცხოებელ გარემოში, რაც მის მოკვდინებას გამოიწვევს. არაადეკვატური გარემო უფლების არა მარტო არსს ამახინჯებს, არამედ ამ არსის მოსპობას იწვევს. ამჯერად მე მინდა გავჩერდე უფლების რეალიზაციის მდგომარეობაზე. უფლება უნდა იყოს რეალიზებადი, მაშასადამე, სიცოცხლისუნარიანი. უფლება, რომელიც ჩემი გარეგანია, ჩემს არსებობას უნდა უწყობდეს ხელს. უფლება ამას შეძლებს, თუ მისი არსებობა მისი ღირსების შესაფერის გარემოში იქნება შესაძლებელი. გარემო უფლებას გასაქანს უნდა აძლევდეს და არა ზღუდავდეს მის მოქმედებას. მე, როგორც თავისუფალი სუბიექტი, მხოლოდ მაშინ ვარ ასეთი, როცა უფლებრივი ჯავშანი ამას მაგრძნობინებს და მაზიარებს. ეს კი შეუძლია უფლებას, რომელიც გამიმარტივებს ცხოვრებას და თავადაა თავისუფალი თავისი თავის გამოვლენაში. წარმოვიდგინოთ საკუთრების უფლება, რომელიც იმანენტურად დაყვება ყველა ადამიანს. ის მაშინ შეიძლება ამართლებდეს თავის თავს, როცა კონკრეტულ ნივთზე უფლების მოპოვების გზა არ გამოიწვევს მისგან ადამიანის გაუცხოებას. გაუცხოებული უფ-

ლება მე მიპირისპირდება. უფლება, რომლის შეძენაც დამძიმებულია მომეტებული ფორმალობებით, ვერ ჩაითვლება ჩემთვის არსებულ უფლებად. როცა მე უფრო მეტი ენერგიის დახარჯვა მიწევს მასთან შედარებით ნაკლები ღირებულებების შესაძენად, ასეთი უფლება ჩემგან გაუცხოებას იწვევს; როცა მე ოთარაანთ ქვრივივით ვიქცევი, მე ამ შემთხვევაში არ ვმოქმედებ ყოველთვის ჩემთვის. ჩემი ქცევით მართლწესრიგი უფრო მოგებული რჩება, ვიდრე მე. მართალია, ჩემს პირდაპირ მოქმედებას ჩემთვისაც მოაქვს არაპირდაპირი ეფექტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველ ჩვენს მოქმედებაში ჩვენივე ინტერესისთვის გადადგმული ნაბიჯი დავინახოთ. რუდოლფ იერინგი ყველა შემთხვევაში ინდივიდის ინტერესით შემოიფარგლება და მის უმაღლეს გამოვლინებას ღირსების დაცვას ეძახის. მართალია, ღირსება უმაღლესი ფასეულობაა, მაგრამ არავინ არაა ვალდებული მხოლოდ საკუთარი ღირსების დასაცავად მოქმედებდეს. უფლებისათვის ბრძოლა არის მოვალეობა, როგორც იერინგი ამტკიცებს. მაგრამ ეს მოვალეობა გამოკვეთილია, როცა ჩემი ბრძოლით საზოგადო ინტერესს უფრო ვემსახურები. მაშასადამე, ყოველი ადამიანის მამოძრავებელი შეიძლება იყოს კერძო იტერესი, კერძო და საჯარო ინტერესი ან მხოლოდ საჯარო ინტერესი. მოვალეობა ბრძოლისა ყველა შემთხვევაშია, ოღონდ მათი ხარისხი განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა ინტერესია სახეზე. როცა მე ვალს არ მიბრუნებენ და ამისთვის ვიბრძვი სასამართლოს მეშვეობით, მე ვიცავ ჩემს ინტერესებს და მამოძრავებელი მხოლოდ ეს არის; როცა მე ოთარაანთ ქვრივივით 10 ლარის დასაბრუნებლად 100 ლარს ვხარჯავ, ამაში შეიძლება მკაცრად პირადი ინტერესი და ღირსების დაცვა იყოს ჩემი მამოძრავებელი. სხვა დროს შეიძლება იმავე ქმედებაში იმავდროულად მოჩანდეს საზოგადო ინტერესი – მე მაინტერესებს არა იმდენად ის, რომ ვალი არ დამიბრუნეს, არამედ ჩემი პარტნიორისგან მოვალეობის დარღვევის ფაქტისადმი პროტესტი. შესაბამისად, ბოლომდე ვიბრძვი მართლწესრიგის ინტერესებისთვის.

21.05.2012

მატერიალური და პროცესუალური უფლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ (პროცესუალურის მატერიალურით განპირობებულობა)

1. ამჯერად მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო უფლების დაცვის ერთ ასპექტზე, რასაც ჰქვია მისი რეალიზაციის საპროცესო გზები. ესაა დამოკიდებულება მატერიალური და პროცესუალური სამართლისა. ორივე მათგანი ავტონომიურია, მაგრამ პროცესუალური სამართალი მატერიალურზეა მაინც დამოკიდებული: ჯერ არსებობს უფლება და შემდეგ მისი დაცვის გზები. მაგრამ, დაცვამდე საჭიროა უფლების რეალიზაცია. ეს ხდება როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური სამართლის შიგნით. ერთ შემთხვევაში რეალიზაცია მატერიალური სამართლის შინაარსის გამოხატულებაა, სხვა დროს კი – პროცესუალურისა. ავიღოთ იპოთეკის სანივთო უფლება. იპოთეკით ხდება დარღვეული, იგივე შეუსრულებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება და მატერიალური სამართალი ამ უფლების შინაარსის გადმოცემას ახდენს. მაგრამ, რაც შეეხება გზებს მისი დაკმაყოფილებისა, როგორიცაა: ნივთის აუქციონით რეალიზაცია ან პირდაპირ საკუთრებაში გადასვლა, აქ შეიძლება მათი დარგობრივი კუთვნილების შესახებ დაისვას საკითხი. პირდაპირ საკუთრებაში გადასვლა ისევე ხდება, როგორც ყველა სხვა უფლებისა უძრავ ქონებაზე, როგორიცაა: უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ამიტომაც, აქ ნაკლებად საეჭვო უნდა იყოს იპოთეკის ნორმათა დუალიზმი და ისინი უნდა მივიჩნიოთ მთლიანად მატერიალური სამართლის ნორმებად. რაც შეეხება აუქციონის

გამართვის წესს, ეს პროცესუალური ნორმებია და ისინი იპოთეკით მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალური უფლების რეალიზაციას ემსახურებიან. მატერიალური და პროცესუალური სამართლის დამოუკიდებლობა ნიშნავს იმას, რომ ადგილი არა აქვს აღნიშნული ნორმების ერთად თანაარსებობას მატერიალურ ან პროცესუალურ-სამართლებრივ აქტებში. როგორც არ უნდა გამიჯნოს კანონმდებელმა ისინი, მაინც შეუძლებელია აბსოლუტურად სტერილური მატერიალური ან პროცესუალური სამართლის მიღება. ნებისმიერ შემთხვევაში, საპროცესო ნორმები სახეშეცვლილი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები იქნებიან თუ მკაცრად საპროცესო, უნდა ემსახურებოდნენ მატერიალურ-სამართლებრივ უფლებებს. საპროცესო ნორმამ ეჭვის ქვეშ არ უნდა დააყენოს მატერიალურ-სამართლებრივი უფლება. ამიტომაც, ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ხდება საპროცესო ნორმების ჩამოყალიბება, მათთვის სადემარკაციო ხაზი მატერიალურ სამართალზე უნდა გადიოდეს. კარგად უნდა დადგინდეს, რამდენად უნარიანია საპროცესო ნორმა, დაიცვას მატერიალურ-სამართლებრივი უფლების სიცოცხლე, რამდენად ადეკვატური და თანაზომიერია უფლების პროცესუალური შეზღუდვები მის ბუნებასთან. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ საპროცესო სამართალი შებოჭილია მატერიალური სამართლით და ის მისთვის კონსტიტუტიური მნიშვნელობისაა. თუმცა, ეს არ აქცევს საპროცესო სამართალს აბსოლუტურად უმოქმედოდ მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განვითარების პროცესში. მატერიალური სამართლის სახე საპროცესოში ვლინდება. თუკი შეუძლებელია საპროცესო მოერგოს მატერიალურს, ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს მიზეზი. ნებისმიერი საპროცესო ნორმა გათვლილია ქმედუნარიანი და სიცოცხლისუნარიანი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებისათვის.

2. აღნიშნული დამოკიდებულება სამართლის ნორმებისა გამოდგება პროცესუალური ნორმების მატერიალურის შესატყვისად განმარტების გზად, ე.ი. მატერიალური სამართალი ამ შემთხვევაში პროცესუალურის სწორად განსაზღვრის საშუალებაა. ეს არ ნიშნავს პოზიტიური პროცესუალური სამართლის გვერდით მატერიალურით განპირობებული არაპოზიტიური პროცე-

სუალური სამართლის შექმნას. ყოველივე ეს ჩვენ გვჭირდება მხოლოდ ნორმის სწორი განმარტებისათვის.

ნორმათა აღნიშნული დამოკიდებულება სასამართლო პრეცედენტებითაც დასტურდება. პირველი პრეცედენტი, რასთანაც მე მქონდა შემხებლობა, ეს იყო სასამართლო გადაწყვეტილება ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. მოქმედი საპროცესო ნორმა ადგენდა, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გასაჩივრება დასაშვები იყო მისი მიღებიდან ხუთი წლის განმავლობაში. მოსარჩელე მოითხოვდა ამ შეზღუდვის მოხსნას და საკმაოდ საინტერესო არგუმენტებიც მოჰყავდა. კერძოდ ის, რომ სიმართლის, ჭეშმარიტების დადგენა დროით არ უნდა ყოფილიყო შეზღუდული. სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს არგუმენტი არ იყო სწორი. კერძოდ, მისი მტკიცებულებები ორი მიმართულებით ჩამოყალიბდა. პირველი ის იყო, რომ აქ წმინდა ფილოსოფიური აზრითაც არ იყო მოთხოვნა სწორი. ჭეშმარიტება უნდა დადგინდეს, მაგრამ, რაა თავად ჭეშმარიტება? ჭეშმარიტება ისაა, რომლის უარყოფაც არ ხდება, რომელიც დგინდება ერთხელ და სამუდამოდ. მაგრამ, საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ ეს აზრი არ უნდა იყოს მკაცრად აბსოლუტური. ის რელატიურია. ჭეშმარიტების რელატიურობაც ჭეშმარიტია. მაგრამ, რა ხდება, როცა ამ მოტივით პერმანენტულად უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილებები? უფლება იქცევა ისეთ ფასეულობად, რომელიც მუდამ საეჭვოობის მდგომარეობაშია იმ პირთან მიმართებით, რომელსაც ერთხელ უკვე მიაკუთვნა სასამართლომ ის. შეუზღუდავი ხანდაზმულობა საფრთხის ქვეშ აყენებს ამ უფლებას და უკარგავს მას ნამდვილ შინაარსს, კერძოდ, ამა თუ იმ პირისადმი კუთვნილების ხელშეუხებლობას. ამით სასამართლოს გადაწყვეტილებებიც ეჭვქვეშ დგება და მათი საბოლოობა ფიქციად იქცევა. უფლების მატარებელი ამ უფლების დაკარგვის მუდმივი შიშის ქვეშ ვარდება. უფლება ხდება გარემოებაზე მიბმული და არა სუბიექტზე. ყოველივე ეს საბოლოოდ საფრთხეს უქმნის მართლწესრიგს, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სიმყარეს, სანდოობას. ჯამში, ეს სამართლებრივი უსაფრთხოებისადმი საშიში ხდება, ვინაიდან არავინ არაა გარანტირებული, რომ ერთ დღეს მას არ წაერთმევა უფლება. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ კა-

ნონის ნორმა მიიჩნია კონსტიტუციურად. სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კანონმდებელმა არ შეიძლება წაახალისოს ის შემთხვევები, როცა უფლებათა წესრიგის შიგნით საპატიო ადგილს დაიკავებს საეჭვო უფლება. ამ შემთხვევაში საპროცესო სამართალი აღმოჩნდა მართლაც მსახური მატერიალური სამართლისა; მან შეძლო დაეცვა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების სუბიექტისადმი კუთვნილება.

3. იყო სხვა პრეცედენტიც, როცა საპროცესო ნორმამ პირდაპირი აგრესია განახორციელა მატერიალურზე. საქმის შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: მოსარჩელეები ითხოვდნენ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას და მოპასუხეთა ქონების რეალიზაციის გზით მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებები აღსრულდებოდა, მაშინ აუქციონზე გაიყიდებოდა მოპასუხეთა, მათ შორის სახელმწიფო ქონება. სახელმწიფო ამ არასასურველ შედეგს რომ გაქცეოდა, მიიღო ნორმა, რომელიც ადგენდა, რომ სახელმწიფო ქონება არ ექვემდებარება აღსრულებას, ე.ი. ფაქტობრივად კანონმდებელმა თქვა, რომ უკვე მიღებული გადაწყვეტილებები აღსრულებას ექვემდებარებოდა კერძო პირთა ქონების ნაწილში, ხოლო სახელმწიფო ქონების ნაწილში კი – არა. ამ უპრეცედენტო ნორმატიულმა გადაწყვეტილებამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა არა მარტო კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს, არამედ კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს. ფაქტობრივად, საპროცესო ნორმით შეიქმნა ახალი ნორმა, რომელმაც შემოიღო საკუთრების ფორმები და, შესაბამისად, დისკრიმინაციული საბჭოური საკუთრებითი წესრიგი. ყოველივე ეს მოხდა საპროცესო ნორმის მეშვეობით, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნორმათა შორის ჰარმონიზაცია. საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სადავო ნორმა და აღნიშნა, რომ მას დისკრიმინაციული საკუთრებითი წესრიგი შემოჰქონდა საქართველოში. ის უარყოფდა საკუთრების ერთიანობას, კერძო სამართლის სუბიექტთა, მათ შორის სახელმწიფოს, თანასწორობას. სადავო ნორმა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას „ბლოკავდა“. აქედან კიდევ ერთხელ ხდება ცხადი ის აზრი, რომ პროცესუალური სამართალი მატერიალურის მსახურია.

აღნიშნულ პოზიციას ამყარებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტიც. ესაა 1997 წლის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება აღსრულების მიზნით მიწის ნაკვეთის რეალიზაციას. სადავო ნორმატიული აქტი იძლეოდა შესაძლებლობას, რომ ქონების რეალიზაციის ფასი განსაზღვრულიყო მოვალის ინტერესების გაუთვალისწინებლად. სასამართლომ ეს არ მოიწონა და აღნიშნა, რომ საკუთრების გარანტია გულისხმობს იმას, რომ კონკრეტულ მესაკუთრეს შეუნარჩუნდეს ძირითადი უფლება – თავისუფალი სივრცე ქონებრივ-სამართლებრივ სფეროში, რათა ამით ხელი შეეწყოს მის პიროვნულ განვითარებასა და ცხოვრებისეული პასუხისმგებლობის გამოვლენას. „სამართლიანი სამართალწარმოება“ გულისხმობს მოვალის ინტერესების გათვალისწინებასაც. იძულებითი აღსრულების პროცესში, მართალია, კრედიტორის ინტერესებიდან გამომდინარე, მასშტაბურად იზღუდება მოვალის საკუთრების უფლება, კრედიტორის დასაბუთებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იმავდროულად აუცილებელია მოვალის ინტერესების დაცვაც. მოკლედ, მოვალე უფლებამოსილია აიძულოს სახელმწიფო დაიცვას მისი ინტერესები, როცა ხდება მისი საკუთრების შეუსაბამოდ დაბალ ფასად გაყიდვა (იურგენ შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ქართულად, 2011, გვ. 254). ამ გადაწყვეტილების შეგონებაა ის, რომ მოვალედ ყოფნა არ ნიშნავს დაცვითი სივრციდან გამოდევნას. როცა აღსრულების ობიექტი მოვალის ქონებაა, მისი პატივსადები ინტერესებიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. ქონება უნდა გაიყიდოს იმ ფასად, რა ფასიც ორივე მხარის ინტერესებთან იქნება შესაბამისი. ამ კუთხით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც იპოთეკის საგნის რეალიზაციას ეხება, გადასახედია.

6.06.2012

უფლების მოვალეობად ტრანსფორმაცია და პირიქით

უფლება შესაძლებლობაა, რომლის გამოყენებაც ჩემს თავნებობაზეა დამოკიდებული. უფლება მის მატარებელს სარგებელს აძლევს და ამიტომაცაა ის უფლება. თუმცა, უფლება თავის თავში შეიცავს ვალდებულების ნიშნებსაც. მე არ მაქვს ამ შემთხვევაში მხედველობაში უფლებისათვის ბრძოლა, როგორც ეს იერინგმა დაგვიხატა. მოვალეობა უფლების გარეთ კი არაა და მისი გარეგანი გამწევი ძალა კი არ არის, არამედ ის უფლებაში დევს. უფლების უფლებად აღიარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დოზითაა მასში მოვალეობის ელემენტები. როცა ამას მომეტებულად აქვს ადგილი, მაშინ, უფლების ვალდებულებად ტრანსფორმაცია ხდება. მომეტებული ტვირთი ამ უფლების გაქრობას იწვევს ისე, რომ მის ადგილზე ჩნდება მოვალეობა. ვინაიდან უფლების საფუძველი მხოლოდ უფლებისთვისაა გამოსადეგი, ის ვერ გამოდგება მოვალეობისათვის. ასეთ შემთხვევაში საფუძველიც უნდა შეიცვალოს ისე, რომ ის მოერგოს ახალ რეალობას. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ჩათვალა უფლების მომეტებული დატვირთვა, როცა კულტურის ძეგლთა მესაკუთრეს საკუთრება უნარჩუნდებოდა, მაგრამ კანონი მას ამ ძეგლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით აშკარად მომეტებულ ვალდებულებებს აკისრებდა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საკუთრების კერძო სამართლებრივ შინაარსს ენაცვლება მისი საჯარო-სამართლებრივი შინაარსი და ამ გზით ხდება მისი გაუქმება. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთრების კერძო სარგებლობის ფუნქცია გა-

უქმებულად ითვლება, როცა მესაკუთრე ვერ ახერხებს ქონების გონივრულ გამოყენებას და ვერც მის გასხვისებას. კულტურის ძეგლების შენარჩუნების კანონი კი იმდენ ვალდებულებას აკისრებს მესაკუთრეს, რომ „უფლება ადვილად გარდაიქნება ტვირთად, რომელიც მესაკუთრემ უნდა იკისროს მხოლოდ საზოგადოების ინტერესების სახელითა და საფუძვლით ყოველგვარი პირადი სარგებლის გარეშე“ (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ქართულად, 2011, გვ. 281). მაშასადამე, ხდება სინამდვილის ტრანსფორმაცია და ეს გამოწვეულია უფლებისათვის დამახასიათებელი ტვირთის (მოვალეობის) აშკარა არაბუნებრიობით. როცა ტვირთი აღემატება სარგებელს, მაშინ უფლება ეჭვის ქვეშ დგება. ეს პრეცედენტი კანონმდებელს ავალდებულებს ისე განსაზღვროს უფლება, რომ მასში არსებული ტვირთი უფლების სიცოცხლისათვის აუცილებელ სარკაზმს წარმოადგენდეს. როცა ვამბობთ, უფლება სიკეთეა, ეს მაშინაა, როცა ის სარგებელზეა ორიენტირებული. ასეთი გაგებით, უფლება ადამიანთან გაუცხოებაში არ იქნება. როცა ვამბობთ, რომ სამართალი ჩვენი გარეგანია, ეს იმ რეალობას ასახავს, როცა ეს გარეგანი ჩვენთან შეთავსებადია. „მომეტებული“, „არაადეკვატური“ ტვირთის მქონე უფლება არცაა უფლება და ის ვერც ჩემი გარეგანი იქნება. ამიტომაც ვამტკიცებ, რომ კანონმდებელმა კარგად უნდა გამიჯნოს ერთმანეთისგან უფლებები და მოვალეობები აღნიშნული თვალსაზრისით. შეიძლება საპირისპირო შემთხვევასაც ჰქონდეს ადგილი. კერძოდ, მოვალეობაში არსებული უფლებრივი ელემენტი იმდენად მომეტებული იყოს, რომ ეს იწვევდეს მოვალეობის უფლებად ტრანსფორმაციას. პრაქტიკა ამის მაგალითებსაც იცნობს. შეიძლება ეს კეთდებოდეს შენიღბულად, ვინმეს თვალის ასახვევად. მაშასადამე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ უფლება-მოვალეობანი ისე უნდა განისაზღვროს, რომ მათში ჭარბობდეს მათი არსობის განმსაზღვრელი ელემენტები, კერძოდ, უფლებაში – სარგებელი, მოვალეობაში – ტვირთი.

6.06.2012

სამართლებრივი ტვირთების გადანაწილება სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის

სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის სამართლებრივი ტვირთების გონივრული გადანაწილება მათ შორის გაუცხოების მოხსნის ერთ-ერთი ეფექტური გზაა. მიუღებელია სახელმწიფომ მოქალაქეს აკიდოს ის ტვირთები, რაც მან თავად უნდა ზიდოს. ამასწინათ ერთ-ერთი მოსამართლე ამტკიცებდა, რომ შეჯიბრებითობის ღირსებაა ის, რომ მხარეთა პაექრობა ხდება სწორი გადაწყვეტილების გარანტია. პროცესზე მოსამართლე უფრო დამკვირვებლისა და წამყვანის ფუნქციით უნდა იყოს დაკავებული და ნაკლებად ერეოდეს მხარეთა კამათში, მტკიცებულებებს მხარეები მოიპოვებენ და არა სასამართლო. ეს დამოკიდებულება წააგავს ექიმისა და პაციენტის ურთიერთდამოკიდებულებას, როცა პაციენტი უხსნის ექიმს თავისი ავადმყოფობის შესახებ, ექიმი კი ამის საფუძველზე იღებს მკურნალობის კონკრეტულ გადაწყვეტილებას. მაგრამ, ექიმის როლი მარტო ამით არ ამოიწურება. იგი თავისი პროფესიული პრიორიტეტით პაციენტის ავადმყოფობის მიზეზებს უკეთ არკვევს, ვიდრე თავად პაციენტი. სასამართლო თავადაცაა აქტიური პროცესის მიმდინარეობისას და, ამდენად, შეჯიბრებითობა შეხამებულია ინკვიზიციურობასთან. მთავარია, კარგად გაირკვეს, სად გადის ფუნქციური ზღვარი მოსამართლესა და მხარეებს შორის. მოსამართლე არ უნდა იქცეს მხარედ და მხარე – მოსამართლედ. მაშასადამე, ის, რაც სასამართლოს გასაკეთებელია, მას ვერ გააკეთებს მხარე. დისპოზიციურობა ინკვიზიციურობასთან შეხამების გარეშე

წარმოადგენს მომეტებულ ტვირთს მხარეებისათვის. მხარე ამ შემთხვევაში თავისი ბედის ანაბარა, თავისი შესაძლებლობების ანაბარა რჩება. სასამართლო ვალდებულია მხარეებს სწორი მიმართულება მისცეს. შეიძლება სხვა მაგალითების მოყვანაც. ერთ-ერთმა მოსამართლემ ასევე ბრძანა, რომ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილემ მომეტებული წინდახედულება უნდა გამოიჩინოს, როცა გარიგების დადებას გადაწყვეტს და შესაბამისი მტკიცებულებების მომარჯვებით თავიდანვე უნდა უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება. არ არის სადავო, რომ ბრუნვის მონაწილემ უნდა გამოიჩინოს ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობა, რაც ბრუნვის საშუალო მონაწილისაგან მოითხოვება. მაგრამ, მომეტებული ყურადღებიანობა და თავიდანვე შემზადება ვალდებულების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით არ უნდა იყოს მართებული კეთილსინდისიერი ბრუნვის პოზიციებიდან. მე, როგორც ბრუნვის მონაწილე, ჩემს პარტნიორებში არ უნდა ვხედავდე არაკეთილსინდისიერ სუბიექტებს. ის, რაც შეიძლება შემემთხვეს ჩვეული ყურადღებიანობის გარეთ, ამაში მე სახელმწიფომ უნდა დამიცვას. სახელმწიფომ მე არ უნდა დამაკისროს მომეტებული ტვირთი და ამით მან ხელი არ უნდა დაიბანოს პასუხისმგებლობისაგან. მართალია, სახელმწიფო ვერ გახდება ჩემი მეურვე ყველა შემთხვევაში, მაგრამ იქ, სადაც ჩემი შესაძლებლობების სივრცე მთავრდება, სახელმწიფოს იმედზე უნდა ვიყო. ამიტომაც ვამტკიცებ, რომ არ შეიძლება სახელმწიფო ერთეულ მოქალაქედ იქცეს, მოქალაქე კი – სახელმწიფოდ. მართალია, ბოლო ხანებში სახელმწიფოს ფუნქციათა პრივატიზაციამ სერიოზული გაქანება მიიღო, მაგრამ აქაც საუბარია იმ ფუნქციებზე, რომლებშიც თავად ადამიანები არიან ქმედუნარიანები. ამით სახელმწიფო მომეტებული „გადაღლილობისაგან“ თავისუფლდება და მოქალაქეებს უყოფს ძალაუფლების ტარებით გამოწვეულ ტვირთებს. მაშასადამე, საჭირო ყოფილა სახელმწიფოსა და პიროვნების ტვირთების მორგება მათ ამტანუნარიანობასთან. ეს ფაქტი ზრდის ინდივიდის პასუხისმგებლობას და მას უძლიერებს ღირსების განცდას, ვინაიდან ამით იგი ახერხებს სახელმწიფოს თვალი გაუსწოროს.

8.06.2012

სამართლის როლი ჩემი ინდივიდუალობის შენარჩუნებაში

კვლავ მინდა მივუბრუნდე იმ საკითხს, თუ რამდენად შესაძლებელია სამართალმა ხელი შეუწყოს ჩემი ინდივიდუალობის შენარჩუნებას. როცა სამართალი ადამიანს უდგენს ზოგადი მოქმედების წესებს, ამ პროცესში მან მხედველობაში უნდა მიიღოს ის, რომ ეს ზოგადი, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის გარეგანია, არ უნდა სპობდეს ჩემს შინაგანს, რაშიც ვლინდება ჩემი ინდივიდუალობა. საერთო წესების მიზანი ჩვენი ინდივიდუალობის შენარჩუნება, განვითარებაა. საერთო წესის სადემარკაციო ხაზიც აქ გადის. არ შეიძლება ჩემი არსობა ამ წესებს გაუტოლდეს. ის ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ის წესები, რომელსაც მიდგენს სამართალი. აქ უკვე მე მოვჩანვარ ყველა ჩემი დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით, მოკლედ, ჩემი ინდივიდუალობით. ჩემზე ამბობენ დადებითი, მორალური პიროვნებაა, ან ამბობენ უარყოფითი, უზნეო პიროვნებაა და ა.შ. მართალია, სამართალი მოწოდებულია ჩემში წაახალისოს პოზიტიური ქმედებანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამართალი პრეტენზიას აცხადებს მთელ ჩემს ყოფიერებაზე. სამართალი, ისევე როგორც ყველა სხვა სოციალური ნორმები, ჩემი არსობის სრულყოფასა და მასში არსებული ნეგატიური თვისებების შებოჭვას ემსახურება. სამართალი პატივს უნდა სცემდეს ადამიანს, როგორც ასეთს, და არა ადამიანს ცალმხრივად. ასეთი გადახრის შემთხვევაში სამართალი წინააღმდეგობაში მოვა ჩემს ინდივიდუალობასთან. თუ მე ბოროტი ვარ, ამის გამო სამართალი ვერ

გამკიცხავს, მაგრამ, თუ მე პრაქტიკულად ვაჩვენებ ჩემს სახეს, სამართალი დამიპირისპირდება, თუკი მას დავარღვევ. ჩემი ინდივიდუალობა „მოისპობა“, თუ სამართალი მომიხაზავს ჩემი ცხოვრების ყველა წესს. მაშასადამე, სამართალი ჩემი ინდივიდუალობის შენარჩუნების საშუალებაა, მაგრამ, როგორ აღწევს ამას? ჯერ ერთი, იმით, რომ თავშეკავებას იჩენს ჩემი ცხოვრების ისეთ სფეროებში შეჭრისაგან, რომლებშიც ვლინდება ჩემი მკაცრად ინდივიდუალური „მე“ და, მეორეც, იმით, რომ სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას ჩემი ღირებულებითი თვისებების გამოვლინება-განვითარების აზრით. მაშასადამე, სამართალმა უნდა უზრუნველყოს ჩემი „მეს“ შენარჩუნება მაშინაც, როცა მე ამა თუ იმ კორპორაციის წევრი ვარ. მე კორპორაციაში შემოვდივარ არა იმიტომ, რომ უარვყოფ ჩემს ინდივიდუალობას, არამედ ჩემი ინდივიდუალობის შესანარჩუნებლად. ამდენად, მიზანი მე ვარ და არა კორპორაცია. კორპორაცია საშუალებაა ჩემთვის. მაგრამ, ეს ისეთი საშუალებაა, რომელიც მიზეზობრივადაა დაკავშირებული ჩვენს ინდივიდუალობასთან. ჩემი ინდივიდუალობის შენარჩუნება შესაძლებელია, თუ შენარჩუნდება იმ კორპორაციის ინდივიდუალობა, რომელსაც მე ვეკუთვნი. ასეა სახელმწიფოსთან მიმართებითაც. აქ ჩემი ეროვნულობა ჩემი ინდივიდუალობის წყაროა. ეროვნულობის, მაშასადამე, ჩემი „მეს“ შენარჩუნება დამოკიდებულია პირველ რიგში იმ გარემოს შენარჩუნებაზე, რომელ გარემოშიც მე ვცხოვრობ. მაგრამ, ეს გარემო არაა მხოლოდ ფიზიკური მოცემულობა. მე, როგორც ინდივიდუალობის მქონე პირი, გარკვეული ლანდშაფტის პირობებში ჩამოყალიბებული პირი ვარ. აკაკი ბაქრაძის აზრებს გავიმეორებ და ვიტყვი, რომ ლანდშაფტი გავლენას ახდენს ჩემს კულტურულ შუბლზე. სვანის კულტურული სახე ისტორიულად ყალიბდებოდა, როგორც კავკასიონის მთიანი ლანდშაფტის პროდუქტი, ისევე როგორც, კახელისა და გურულისა შესაბამის გარემოში. ამ ლანდშაფტის ნაყოფია მათი ხალხური სიმღერები. ბინადრობის ადგილის შეცვლა გავლენას ახდენს ამ კავშირებზე. არის სხვა ფაქტორებიც, როგორიცაა, მეურნეობის კულტურა. თუ არ მექნება აღნიშნული მეურნეობა, მაგალითად, კახეთში მევენახეობა, ეს არსებითად შეცვლის კახელის ინდივიდუალობას. ამიტომაც უნდა ჩაითვალოს ინდივიდუალობასთან დაპირისპი-

რებად ისეთი სამართლებრივი გარემოს შექმნა, როცა უცხოელს მიეცემა შესაძლებლობა შეუზღუდავად იყიდოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და მისი ინდივიდუალობის შესატყვისი მეურნეობა მოაწყოს იქ, სადაც მეურნეობის ისტორიული ტიპია იქ ძირძველი მოსახლეობის ინდივიდუალობის განმსაზღვრელი. სხვა ფაქტორი დემოგრაფიული გარემოა. მე ჩემს ინდივიდუალობას ვავლენ და ვიცავ იმ ხალხში, რომელსაც მივეკუთვნები ჩემი ეროვნულობით, ჩემი კუთხურობით. ინდივიდუალობა არაა განყენებული ფასეულობა. ის ვლინდება ამ ხალხთან ურთიერთობაში. მაშასადამე, მე მჭირდება ურთიერთობის გარემო. თუ ჩემ გვერდით თავს მოიყრიან სრულიად სხვა მსოფლმხედველობის ადამიანები, ცხადია, ისინი შეეცდებიან თავიანთი წესები დაამკვიდრონ. ამით კი ჩემი ინდივიდუალობა საფრთხის ქვეშ ვარდება. მე იძულებული ვიქნები ხელი ავიღო ჩემს ინდივიდუალობაზე, რაც გარეგანი ფაქტორებით იქნება გამოწვეული. ეს კი ჩემი „მე-ს“ მოკვდინებას გამოიწვევს. მაშასადამე: ჩემი ინდივიდუალობა მავალდებულებს დავუპირისპირდე მთელ სამყაროს. ყოველი ადამიანი ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას თავისი ინდივიდუალობა. მე სამყაროს წინაშე ვალდებულიც ვარ განვავითარო ჩემი ინდივიდუალობა ჩემს შიგნითაც და ჩემს გარეთაც. მე უნდა ვიქცე მსოფლიო მოქალაქედ, მაგრამ, მე აუცილებლად უნდა დავრჩე ჩემი ქვეყნის მოქალაქედ, ჩემი ერის, ჩემი კუთხის წარმომადგენლად. ჩემი ინდივიდუალობის დაცვით მე ჩემს სახელმწიფოებრიობასაც ვიცავ, რომლის ხერხემალი ჩემი ინდივიდუალობაა. თუკი გაქრება ჩემი „მე“, მაშინ ჩემი სახელმწიფოც გაქრება. ამიტომაც ეს ისეთი ვალდებულებაა, რომელიც ყოველ ადამიანს იწვევს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაიცვას თავისი თავი და ამით თავისი ქვეყანა. უფრო მეტიც, ამ თავგანწირვით მე ვიცავ მთელ კაცობრიობასაც. ვიცავ იმით, რომ მე კაცობრიობას წესრიგს ვთავაზობ. ინდივიდუალობის უარყოფა მას ანარქიისკენ წაიყვანს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ღირს ინდივიდუალობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, ვინაიდან ის თვითგადარჩენისთვის ბრძოლაა პირველ რიგში. ესაა სიცოცხლის უფლებისთვის ბრძოლა. მე ცოცხალი ვარ მხოლოდ ჩემი ინდივიდუალობით. აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყოველი სამართალი მოწოდებული უნდა იყოს

ადამიანთა ინდივიდუალობის მხარდასაჭერად, რაც ყველაზე გონივრული გზაა კანტისებრი საყოველთაო მშვიდობის მისაღწევად. თავისუფლების საყოველთაო კანონი გვავალდებულებს ჩვენი თავისუფლება, რომელშიც ჩემი ინდივიდუალობა ვლინდება, შეუთავსდეს ამ კანონს. ინდივიდუალობა იმდენადაა დაცვის ღირსი, რამდენადაც ის არ გახდება ჩვენი ერთიანობისათვის ხელშემშლელი. ამ ერთიანობაში კი იგულისხმება ის შემთხვევა, როცა ინდივიდუალობა და ერთიანობა სუბსტანციურად, არსობრივად არიან ერთმანეთთან შეთავსებადი. თუკი ისინი შეუთავსებადი იქნებიან ერთმანეთთან, ასეთ შემთხვევაში ამ ორთაბრძოლაში ჩემი ინდივიდუალობის უარყოფით შეიქმნება იმ პირთა ერთიანობა, რომელთა ინდივიდუალობაც შეთავსებადი იქნება ამ ერთიანობასთან. თუკი ჩემთან დაპირისპირებაში მყოფი სხვათა ინდივიდუალობა აღნიშნულ ერთიანობას შექმნის, ეს იქნება როგორც ჩემი ინდივიდუალობის, ისე ჩემგან მომდინარე ერთიანობის დასასრული.

10.06.2012

კვლავ სამართლის კოსმოპოლიტური და ეროვნული ხასიათის მიმართების შესახებ

ამჯერად სამართალს შევხედოთ ორი მიმართებით –კოსმოპოლიტურობისა და ნაციონალიზმის ჭრილში. კოსმოპოლიტიზმი სამართლის მსოფლიო სულთან, ნაციონალიზმი კი – სამართლის ეროვნულ სულთან კავშირია. არც ერთი გადახრა არაა გამართლებული, ორივეს გონივრული სინთეზი კი აუცილებელია. კოსმოპოლიტიზმი ინდივიდუალიზმის უარყოფაა. აქ სამართალი აღიქმება, როგორც ნაციონალური ფესვებისაგან დაცლილი ფასეულობა. ასეთი სამართალი ჰაერშია ჩამოკიდებული, ვინაიდან მას არ გააჩნია მიწიერი საძირკველი, როგორიცაა, ხალხის ეროვნული ღირებულებები. ამიტომაც ის გაუცხოებულია იმ ხალხთან, რომელთა ცხოვრების მოწესრიგების პრეტენზიაც აქვს მას. გაუცხოების მიზეზია მკაცრად ავტონომიური აბსოლუტური იდეა. რომის სამართალი, რომელიც რომაელთა სამართლიდან ხალხთა სამართლად იქცა, მაშინაც არ იყო მკაცრად კოსმოპოლიტური. ხალხთა რომაული სამართალი – ეს იყო მისი შერწყმა ეროვნულობასთან. თუ კოსმოპოლიტიზმი, თავისი პირდაპირი გაგებით, სამართლის მიერ კოსმოსის გარღვევაა ვიწრო ნაციონალური ხედვიდან, მკაცრად ნაციონალური სამართალი კოსმოსის უარყოფაა და სამართლებრივი სამყაროს სისრულის აღიარებაა მისი ეროვნულობის ჩარჩოებში. მკაცრად ეროვნული სამართალი აბსოლუტური იდეის უარყოფაა ეროვნული სამართლის აბსოლუტურ იდეად აღიარებით. ისტორიულად მთელი რიგი ხალხები ცდილობდნენ ეს იდეა მოეხვიათ სხვა ხალხები-

სათვის. ამით ისინი ახდენდნენ მათ ექსპანსიას. ცალმხრივი ნაციონალური სამართალი ე.წ. ნაციონალიზმის წახალისებაა და სხვა ხალხებთან ურთიერთობის უარყოფაა. ევროპის ქვეყნებმა და მათ შორის საქართველომაც დიდი ხანია გაიარა ეს ეტაპი განვითარებისა. ამჟამად მსოფლიო ისწრაფვის აბსოლუტური იდეის გარშემო გაერთიანებისაკენ ისე, რომ სამართლის ეროვნულობის ელემენტები არ დაიკარგოს ცალკეულ ხალხებში. მოკლედ, სამართლის ეროვნული და აბსოლუტური იდეის გონივრული შერწყმა ხდება. მარტო პოზიტიური სამართლის დონეზე ცალკეული მიმართულებით აბსოლუტური იდეის პრიმატი ჩანს, მაგრამ სამართალი მთლიანობაში თავისი არაპოზიტიური ფორმით, ეროვნულობის თვისებით ხასიათდება. საქმე ისაა, რომ, როცა ინდივიდუალიზმზე ვლაპარაკობთ, ის ვლინდება ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში და, ცხადია, სამართალში, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები ხარისხით. ყოველივე ამით მინდა ვაჩვენო, რომ მე, როგორც ადამიანი, ქართული სახელმწიფოს მოქალაქე, ჩემი სამართლით ჩემს ინდივიდუალობასაც გამოვხატავ, როგორც ეროვნული სამართლის სუბიექტი, და ჩემს ურთიერთობას დედამიწის ყველა სხვა ადამიანთან.

11.06.2012

პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების შესახებ

სამართლის წარმატება დამოკიდებულია სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობაზე. პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება გულისხმობს თითოეული მისი წევრის პასუხისმგებლობას. ესაა პასუხისმგებლობა, რომელიც ვალდებულების შინაარსშივეა მოცემული. როცა მე მაქვს ვალდებულების შესრულების ეთიკური და სამართლებრივი მოვალეობის შეგნება, მე მაშინ პასუხისმგებლობით ვმოქმედებ. მაშასადამე, მე ვემორჩილები იმ წესებს, რომელთა შესრულებაც მევალება. ეს პასუხისმგებლობა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო აუცილებელია ჩემი არსებობისათვის ამ წესების შესრულება. აუცილებლობა მაგრძნობინებს მე მისდამი მორჩილებას. მე ვიცი, რომ ვერ ვიქნები ჩემი საზოგადოების ორგანული ნაწილი, თუ განვერიდები სავალდებულო წესების შესრულებას. ისევე, როგორც მე განვიცდი არასრულფასოვნებას, როცა რაიმე მაწუხებს ფიზიკურად, იგივე გრძნობა შეიძლება დამეუფლოს მაშინაც, როცა ჩემი თავნებობით ვუპირისპირდები ჩემთვის დადგენილ წესებს. ამ შემთხვევაში მე ვმოქმედებ ჩემი თავის წინააღმდეგ, მაგრამ, მე რადგანაც სხვებთან ურთიერთობაში ვარსებობ, როგორც პიროვნება და სამართლის სუბიექტი, იმავდროულად სხვებსაც ვაყენებ ზიანს. ფიზიკური ნაკლით შეიძლება მხოლოდ მე ვიყო არასრულყოფილების მსხვერპლი, მაგრამ არაეთიკური საქციელით შეიძლება სხვებიც ვაზარალო. ჩემი თვითმკვლელობით ან სხეულის დაზიანებით ხომ შეიძლება ზიანი მივაყენო ჩემს რჩენაზე მყოფ პირებს? მეტიც, მე ჩემი საზოგადოებისათვის ცუდი

მაგალითი ვხდები და ამით ვვუცხოვდები მისგან. მაშასადამე, მე, როგორც ინდივიდი, ჩემი საზოგადოების მამოძრავევებელი ძალა ვარ. ამიტომაცაა, რომ უფლების სუბიექტი მე გახლავარ და არა ჩემნაირებით შემდგარი ერთობა. ამ გაგებით მე მთელ მსოფლიოს ვუტოლდები. ჩემი უფლებები ტოლია ათეულობით და ასეულობით მილიონი ადამიანის უფლებებისა, იმიტომ, რომ ეს მილიონები მხოლოდ არითმეტიკული გამოხატულებაა. ამიტომაცაა, რომ ჩვენი საუკუნის მართლწესრიგს აინტერესებს ადამიანი და არა ადამიანები. მაშასადამე, საზოგადოების პასუხისმგებლობა ჩემზე ყოფილა დამოკიდებული. ყოველივე ეს ავალდებულებს სახელმწიფოს ჩემი სახით ჩემს უფლებაში მთელ საზოგადოებას ხედავდეს. თუ მე სახელმწიფო მომექცევა უსამართლოდ, მაშასადამე, ის მთელ საზოგადოებას უპირისპირდება. ამ შემთხვევაში მე ყურადღების ცენტრში ვარ არა ჩემი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით, არამედ მარტივად, როგორც ადამიანი, შეიძლება გონებრივადაც და ფიზიკურადაც სრულიად არასრულყოფილი. ყოველივე ეს მინერგავს როგორც სიამაყის გრძნობას, ისე პასუხისმგებლობას. ამდენად, ჩემი პასუხისმგებლობის განცდა პირდაპირ დამოკიდებულებაშია ჩემი უფლებრივი მდგომარეობის განცდაზე. მე ჩემი უფლებრივი შუბლი უნდა მომიწოდებდეს პასუხისმგებლობისაკენ. ეს მაშინაა, როცა უფლება და მოვალეობა აწონასწორებენ ერთმანეთს, მათ შორის ისეთი კავშირია, როგორც ელექტროდენის ორ მუხტს შორის, რაც სინათლისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ, თუ სახელმწიფო დაარღვევს მათ შორის ბალანსს და ყურადღებას გადაიტანს მხოლოდ მოვალეობაზე და ამ გზით შეეცდება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, მას არაფერი გამოუვა. მართალია, გამოჩნდებიან ერთეული ადამიანები, რომლებიც ფანატიკურად თავიანთ ცხოვრებას უკავშირებენ მხოლოდ ტანჯვასა და პასუხისმგებლობას, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი მისგან გაუცხოვდება. ამიტომაც ვამტკიცებ, რომ სახელმწიფომ უფლებები და მოვალეობები კარგად უნდა აწონ-დაწონოს, რათა ისინი კი არ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, არამედ ერთმანეთისათვის გამწევ ძალად იქცნენ.

13.06.2012

მომეტებული პასუხისმგებლობის შესახებ სამართალში

ებრაელთა მეფე დავითს უთქვამს: „ნუ იქნები ზედმეტად მართალი“. რას უნდა მოგვიწოდებდეს ბრძენი მეფის ეს სიტყვები, თუ არა ზომიერების შენარჩუნებას. მე ინდივიდის პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობდი, მაგრამ აქაც პასუხისმგებლობა მესმოდა ზომიერების ფარგლებში. არავინ არ უნდა იკისროს იმაზე მეტი პასუხისმგებლობა, რაც უფლებისა და მოვალეობის ურთიერთმიმართებაში დისბალანსს გამოიწვევს. არავის არ ევალება უარი თქვას საკუთარ უფლებებზე, ვინაიდან ყოველი ინდივიდის უფლება აღმატებულია ყველა იმ პირის უფლებაზე, რომელთან მიმართებაშიც არსებობს ეს უფლება. ამიტომ ვამტკიცებ, რომ ყოველი სუბიექტი ვალდებულია იკისროს იმდენი პასუხისმგებლობა, რამდენიც მისი უფლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარეობს. სამართალს აინტერესებს საშუალო ადამიანი, სამოქალაქო ბრუნვის საშუალო მონაწილე, რომელსაც შესწევს უნარი იკისროს მისი შესაძლებლობების ადეკვატური პასუხისმგებლობა. მომეტებული პასუხისმგებლობა საფრთხეს უქმნის ამ პასუხისმგებლობის სუბიექტის უფლებებს, ვინაიდან მისი მოქმედება გარკვეული აზრით მისივე უფლებების უარყოფაცაა. ეს კი ეწინააღმდეგება სამართლის მიზანს, რაც ყოველი ინდივიდის ინტერესის ხორცშესხმაში შეიძლება მდგომარეობდეს, როგორც ამას იერინგი ამტკიცებდა. ზედმეტი სიმართლე სწორედ აღნიშნულ კონტექსტში უნდა დავინახოთ. ზომიერება ადამიანის ნებისმიერი ქმედების საზომია და, ცხადია, სამართლებრივისაც. თუკი გამოჩნდება ადამიანი, რომელიც მზადაა იკისროს იმაზე ბევრად

მეტი ტვირთი, რაც მას სამართლის ძალით ევალება, ცხადია, ასეთი ადამიანი პატივსაცემია. იგი ამით სხვათა ბედნიერებას ემსახურება, მაგრამ, მისი მაგალითი ვერ გამოდგება სანიმუშო მაგალითად და ამით იგი ვერავის ვერ დაავალდებულებს მოიქცნენ ისე, როგორც იქცევა თვითონ. ასეთი პირის საქციელი სცილდება ადამიანის სავალდებულო ქცევებს და ამით იგი მთელი საზოგადოებისათვის საშუალება ხდება. იგი მსხვერპლია ჩვენი ბედნიერებისათვის გაღებული. ეს ვალდებულება აღემატება არა მარტო სამართლებრივი, არამედ ზნეობრივი ვალდებულების ფარგლებს და ჩვენ წინაშე წარმოჩნდება წმინდა რელიგიურ-მისტიურ პლანში. ცხადია, ამ ადამიანთა ქმედებას სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის, მაგრამ ის ადამიანის თავისუფლების ფარგლებს სცილდება და ვერ გახდება საყოველთაო ქცევის წესი. მეტიც, ეს შემთხვევები რაც იშვიათია, უარყოფაა ადამიანური უფლებების და ამ აზრით მასთან დაპირისპირებაა. ამიტომაც ვამტკიცებ, რომ პირის პასუხისმგებლობა მისი თავისუფლების ფარგლებში უნდა ეტეოდეს და არ უნდა დაუპირისპირდეს მას. მომეტებული პასუხისმგებლობა, იგივე ზედმეტი სიმართლე, შეიძლება იქცეს უმართლობად ისევე, როგორც ზედმეტად დანაყრება ავნებს ადამიანის სულსა და ხორცს. ყოველივე ეს სახელმწიფოსაც უდგენს მოქმედების ზღვარს. ის ვერ დაავალდებულებს ადამიანს აკეთოს ის, რაც მისი თავისუფლებიდან გასვლა იქნება. ყოველი ადამიანი პრაგმატული არსებაა და მისი ცხოვრება დამყარებულია უფლება-მოვალეობათა ჰარმონიულ განცდაზე. ეს ჰარმონია ირღვევა არა მარტო მაშინ, როცა ნორმატიულად დაირღვევა აღნიშნული წესრიგი, არამედ მაშინაც, როცა ადამიანები თავიანთ უფლებებს სრულიად ნებაყოფლობით დაუპირისპირებენ მოჭარბებულ პასუხისმგებლობას. ამით ისინი, როგორც ვთქვი, უფლების უარყოფას ახდენენ. შეიძლება ასეთი საქციელი ვინმეს სიამოვნებას ანიჭებდეს, მაგრამ ის სცილდება ნორმალური ქცევის ფარგლებს. ამდენად, მე მიმაჩნია, რომ ნებისმიერი პირის პასუხისმგებლობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამან ხელი შეუწყოს მის განვითარებას და არა მოკვდინებას.

15-16.06.2012

სიკეთე მართლწესრიგის ფარგლებში

ყოველი ადამიანისათვის მართლწესრიგი თავისუფლებაცაა და ბოჭვაც. თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ ის განსაზღვრავს ნებისმიერი ქცევის ფარგლებს და ასე გვიდგენს თავისუფლებას; ბოჭვა კი იმაში გამოიხატება, რომ ის თავისუფლებას უდებს ზღვარს. მაშასადამე, ჩვენ ვემორჩილებით ქცევის წესებს, რომლებიც ჩვენი თავისუფლებაცაა და შეზღუდვაც. მაგრამ, ეს არ ხდება მარტო პოზიტიური მართლწესრიგის შიგნით, ის თვისებაა მთელი ჩვენი ნორმატიული ცხოვრებისა. აქედან გამომდინარე, ადამიანის ქმედება, რომელიც სიკეთეს ემსახურება, უნდა ეტეოდეს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზოგადი მართლწესრიგის მოთხოვნებს. სიკეთე შეფასებითია და, ამდენად, ის ამ თვისებას დაკარგავს, თუკი დაუპირისპირდება მართლწესრიგს. დაპირისპირება კი შეიძლება მდგომარეობდეს ამ მართლწესრიგისადმი გვერდის ავლაში ან მის საერთოდ უარყოფაში. მაგალითად, წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც ეწევა ქველმოქმედებას, მაგრამ ამას აკეთებს მოქმედი ნორმატიული დანაწესების გვერდის ავლით. ასეთ შემთხვევასაც წავაწყდი, როცა რამდენიმე ადამიანი სრულიად უსასყიდლოდ უვლიდა საერთო სარგებლობის სკვერებს, ბაღებს და იქ რგავდნენ ხეებს. ერთი შეხედვით, ეს უაღრესად კეთილშობილური საქმეა, მაგრამ, მას ყოველთვის არ ექნება გამართლება. როცა კეთილმოწყობის სამსახურს ევალება ამის გაკეთება და ის არ აკეთებს, ცხადია, ჩვენ ჩვენი მოქმედებით მათ ფუნქციებში ვიჭრებით. ხის დარგვა სიკეთეა, მაგრამ სხვის მაგივრად დარგვა საეჭვოა

სიკეთე იყოს, რადგანაც ჩვენმა მოქმედებამ არ შეიძლება ადამიანებში უმოქმედობას შეუწყოს ხელი. მართლწესრიგი მოითხოვს, ყოველმა ადამიანმა თვითონ შეასრულოს თავისი ვალდებულებები. ასე რომ, ერთი მხრივ, ჩვენი საქციელი სიკეთეა და სულაც არ აინტერესებს ბაღში მოსეირნე ადამიანებს ვინ დარგო იქ ხეები, მთავარია, რომ ის არსებობს; მეორე მხრივ კი, ეს არაა სიკეთე, ვინაიდან ის საფრთხეს უქმნის მართლწესრიგს და ადამიანთა მხრიდან მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას. საბოლოო ჯამში ეს გამოიწვევს ვალდებულებებისადმი ადამიანის გაუცხოებას და თუ წავახალისებთ მას, მაშინ თანდათანობით ეს მიგვიყვანს სახელმწიფოს ფუნქციურ დაკნინებამდე. სხვაგვარად შეიძლება შევაფასოთ აღნიშნულ პირთა მოქმედება, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტები ისე არაა ჩამოყალიბებული, რომ მან სასურველი შედეგები მოგვიტანოს, ან საერთოდ არ არსებობენ ისინი. ასეთ შემთხვევაში ჩვენს მოწოდებას ფუნქციების შესრულებისაკენ შეიძლება რაიმე ეფექტი არ მოჰყვეს. ადამიანებს კი ყოველთვის აქვთ შესაბამისი მოთხოვნილება. ეს აიძულებს მათ არ დაელოდონ სახელმწიფოს და თვითონ განახორციელონ აღნიშნული ფუნქცია. პოსტსაბჭოურ საქართველოში ხშირად ცალკეულ პირთა ენთუზიაზმზე დაყრდნობით ხდებოდა იმ მოვალეობების შესრულება, რაც, როგორც წესი, ევალებოდა სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე, მე ვაკეთებ დასკვნას, რომ ნებისმიერი ქველმოქმედება, სიკეთე, ჩვენ შეგვიძლია განვახორციელოთ მხოლოდ მართლწესრიგით განპირობებული უფლება-მოვალეობების ფარგლებში. აქედან გამონაკლისი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო შესრულების შეუძლებლობის მდგომარეობაშია და ადამიანები „მხარში ამოუდგებიან“ მას. ყოველივე ეს იმიტომ მოვაყოლე, რომ დავიცვათ სამართლებრივი უსაფრთხოება და წინ წამოვწიოთ როგორც პიროვნების, ისე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. სახელმწიფოც და საზოგადოებაც ხომ ადამიანის ორგანიზმივითაა მოწყობილი.

19.06.2012

კვლავ ეთიკური ვალდებულებით სამართლის ბოჭვის შესახებ

ისევ მინდა ეთიკური მოვალეობის შესახებ ვისაუბრო. აქამდეც ბევრი დავწერე ამის შესახებ, მაგრამ ყოველდღიური ცხოვრება სულ ახალ-ახალ ეთიკურ სიურპრიზებს გვთავაზობს. ამასწინათ ვიმგზავრე ავტობუსით და წავაწყდი მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების ჯგუფს, რომლებიც გამოცდების შესახებ საუბრობდნენ. მათ წინ იდგნენ მოხუცი ქალები, მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებიც ფეხზე დგომით დაღლილ-დაქანცული ძლივს იკავებდნენ თავს. არც მოწაფეებსა და არც მასწავლებლებს არ უგრძვნიათ თავი უხერხულად იმის გამო, რომ თვითონ სკამებზე მოკალათებულნი ამ სურათის შემყურე იყვნენ. სწორედ მაშინ დავფიქრდი კიდევ ერთხელ ჩვენი ეთიკური მოვალეობების შესახებ და ჩემს წარმოსახვაში გამოჩნდა სამართალი, რომელიც ცდილობს დაუპირისპირდეს ჩემს შინაგანს, რასაც ჩემი მორალი ჰქვია. აქედანაც ჩანს, რომ ჩვენ არ გვჭირდება იმისგან გაუცხოებული სამართალი, რაც ჩემს პიროვნულობას აფუძნებს. მართალია, ავტობუსში ადგილის დათმობა-არდათმობა არაა სამართლებრივი პრობლემა, მაგრამ ამ მოწაფეებსა და მასწავლებლებს, როგორც ჩანს, ჰგონიათ, რომ მათ აქვთ უფლება არ დაუთმონ ადგილი მოხუცებსა და ბავშვებს. სწორედ აქაა ჩვენი შეცდომა. ის, რაც ეთიკის სფეროა (ეთიკა იცნობს მხოლოდ ვალდებულებებს), გვგონია, რომ იქ იურიდიული უფლება გვაქვს მოპოვებული. მსგავსი შემთხვევები მრავლადაა ცხოვრებაში და ჩვენ უნდა შევძლოთ ეთიკური ქცევა გავმიჯ-

ნოთ სამართლებრივისგან. ამიტომ ვამტკიცებ კარგა ხანია, რომ სამართალი დედაბოძად უნდა დაუდგეს ჩვენს ეთიკურ ღირებულებებს. ის არა მარტო დასუსხული უნდა იყოს მისგან, არამედ სამართლის სხეულში უნდა იყოს განფენილი ეთიკური ღირებულებანი. სამართლით გამიჯნულია ერთმანეთისგან ჩემი და შენი და პასუხისმგებლობა ემუქრება მათ უარმყოფელებს. მაგრამ, როცა ამას ეთიკურ სარკეში შევხედავთ, ვნახავთ, რომ ეთიკური სუბიექტისათვის „ჩემი“ პირობითი ცნებაა და ადამიანი ცალკეულ შემთხვევებში მზადაა ისე დაამძიმოს ის სხვათა უფლებებით, რომ მის არსებობას საფრთხე შეუქმნას. მაშასადამე, ეთიკა ის მანათობელი სხივია, რომელიც სამართალს აძლევს ნამდვილ სახეს. ყოველივე ეს მოგვიწოდებს არ მოვითმინოთ ეთიკისაგან გაუცხოებული სამართალი, ვინაიდან ეს გამოიწვევს მათ შორის დაპირისპირებას და სამართლის ტლანქი მანქანის მსხვერპლი აღმოჩნდება ეთიკური, როგორც ჩემი შინაგანი. რაც უფრო მეტს ეცდება სახელმწიფო ჩემგან გამოდევნოს ეთიკური და მის ადგილზე სამართლებრივი ჩაანაცვლოს, ამის შედეგი იქნება ის, რომ ჩვენ მანქანებს დავემსგავსებით. ჩვენც მის მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რომელიც ასრულებს გარკვეულ მოქმედებას, მაგრამ ვერასოდეს ვერ მოიქცევა ეთიკის კანონების შესაბამისად, ვინაიდან ეთიკური ქცევის სუბიექტი მხოლოდ ადამიანია. ხომ გინახავთ ცხოვრებაში ადამიანი, რომელსაც ვერაფერს შეაგონებთ და როგორც მანქანა, ისე ასრულებს სამართლით დადგენილ წესებს. თუკი ეს ადამიანი ეთიკურადაც შეძლებდა მოქცევას, მაშინ იგი სამართლის ნორმებს ამ კუთხით გააცნობიერებდა და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა. ამ შემთხვევაში ჩვენ აღარ გვექნება იმის შეგრძნება, რომ ავტომატთან გვაქვს საქმე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ პირველ რიგში ადამიანები ვართ და ეს იმიტომ, რომ ეთიკა ჩვენშია და სამართალი კი – ჩვენ გარეთ.

19.06.2012

სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება და სახელმწიფოებრივი მართლშეგნება

თუ როგორი იქნება სახელმწიფოებრივი აზროვნება, ამას ბევრად განსაზღვრავს სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციები. ადამიანი, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პირი, სამოქალაქო ბრუნვაში ყალიბდება და იქ ავლენს თავის თავს, როგორც თავისუფალი პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტი. ეს იმიტომ ხდება, რომ ყოველი ადამიანი, პირველ რიგში, ბრუნვის სუბიექტია და ამ პროცესში ყალიბდება იგი, როგორც მოქალაქე. მაინც რა ფასეულობა უნდა იყოს ეს ბრუნვა, რომ სუბიექტის მართლშეგნებაზე ასეთ ტოტალურ ზეგავლენას ახდენდეს? საქმე იმაშია, რომ ბრუნვაში ვლინდება ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ადამიანს აქცევს ღირებულებებით შემკულ სუბიექტად. უმთავრესი ამ ბრუნვისათვის კეთილსინდისიერებაა. არა ყველა ბრუნვაა ფასეულობა, არამედ კეთილსინდისიერი ბრუნვა; კეთილსინდისიერება, არა როგორც გარეგანი მოვალეობა, არამედ შინაგანი მოთხოვნილება სუბიექტისა. ეს არაა სხვების წინაშე ვალდებულება, კეთილსინდისიერება სუბიექტის თვისებას წარმოადგენს და მისი „მეს“ იმანენტური ნაწილია. კეთილსინდისიერია ქცევა მაშინ, როცა მის ალტერნატივას აღარ წარმოადგენს არაკეთილსინდისიერება. მე, როგორც ბრუნვის მონაწილე, კეთილსინდისიერად ვიქცევი არა შენთვის, არამედ ჩემთვის; თუ ჩემთვის ვიქცევი ასე, ის შენთვის ქცევა იქნება შენს თვალში. ამიტომაც ვამბობ, რომ, რაც უფრო ძლიერადაა გაჟღენთილი

სამოქალაქო ბრუნვა კეთილსინდისიერებით, მით მაღალი მართლშეგნების ადამიანები იქნებიან მისი სუბიექტები.

კეთილსინდისიერება ნდობაზეა აგებული. რაც უფრო ძლიერია ნდობის ფაქტორი, მით უფრო მშვიდობიანია სამოქალაქო ბრუნვა. ნდობა კი გულისხმობს იმას, რომ ბრუნვის მონაწილეები მზად არიან იმოქმედონ ზნეობითა და კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. ამას შედეგად ეკვივალენტური ბრუნვა მოსდევს, რაც სამართლიანი ბრუნვის საწინდარია. ვისაც აქვს ეკვივალენტობის, სამართლიანობის, პარტნიორის ინტერესებისადმი პატივისცემის განცდა, არ შეიძლება ამ ადამიანს სუსტი სახელმწიფოებრივი აზროვნება ჰქონდეს. სამოქალაქო ბრუნვა ადამიანებს უპირველესად უფლებისა და ვალდებულების თანაარსებობის განცდას ასწავლის. მას უყალიბდება იმის შეგნება, რომ უფლება არ არსებობს ვალდებულების გარეშე. ვალდებულება უნდა შესრულდეს. ამ პრინციპის სიცოცხლისუნარიანობაზეა დამოკიდებული სამოქალაქო ბრუნვის ბედ-იღბალი. როცა ადამიანს უყალიბდება ამისი შეგნება, არ შეიძლება მას არ ჩამოუყალიბდეს საჯარო სამართლებრივი სიკეთეებისადმი ანალოგიური დამოკიდებულებანი. ვისაც კარგად აქვს გაცნობიერებული ბრუნვის ფილოსოფია და თავის თავს თვლის ამ ბრუნვის ღირსეულ სუბიექტად, არ შეიძლება მას არ ესმოდეს, რომ ეს ბრუნვა სახელმწიფოში არსებული ბრუნვაა და ამ სახელმწიფოს სამართლებრივ პოლიტიკაზეა დამოკიდებული მისი ხასიათი. მე იმის თქმა მინდა, რომ საჭიროა კერძო და საჯარო სამართლის ისეთი თანაარსებობა, როცა მინიმუმამდეა დაყვანილი მათ შორის დაპირისპირება. რატომ მიგვაჩნია ჩვენ ამოსავლად ბრუნვა? იმიტომ, რომ ადამიანები დაბადებიდანვე ამ ბრუნვის სუბიექტები ხდებიან და ბრუნვის გარემოში იზრდებიან. არაქმედუნარიანი პირიც კარგად არჩევს იმას, თუ რაა მისი და სხვისი. ვიდრე სერიოზული შემხებლობა ექნება ადამიანს საჯარო ხელისუფლებასთან, მანამ, მისი ღირებულებითი წარმოდგენები ძირითადად ბრუნვის სივრცეში ყალიბდება და, ცხადია, ბრუნვაა აქ ღირებულებათა შემქმნელი. ეს ბრუნვა მაშინ იძლევა ეფექტს, როდესაც მისი ნორმატიული საფუძველია ფასეული. ამის გაკეთება არც ისე დიდ სიძნელეს წარმოადგენს. საშუალოდ განვითარებულ ქვეყანასაც კი, როგორი სისტემისაც არ უნდა იყოს ის, შეუძლია

განვითარებული კანონმდებლობის რეცეფცია მოახდინოს. თავის დროზე ეს სცადეს რელიგიური ფუნდამენტალიზმის ქვეყნებმა. კანონმდებლობის გადმოღება – ეს მხოლოდ ერთი ნაწილია რეცეფციისა. მას აუცილებლად არ მოჰყვება სამართალი, რომელიც არაპოზიტიური სახით არსებობს და რისი გამოხატვის ფორმა ძირითადად სასამართლო პრეცედენტშია. მაშასადამე, რა გამოდის, რეცეფციას ძირითადად ემორჩილება პოზიტიური სამართალი. თუ არა გაქვს მისი ამოქმედების ბერკეტები, ეს იგივეა, რაიმე ტექნიკური ობიექტი შეიძინო და არ იცოდე მისი გამოყენების წესი. არაპოზიტიური სამართლის გადმოღებას კი სჭირდება სამართლებრივი კულტურა, ადეკვატური მართლშეგნება. პოსტსაბჭოურ ქვეყნებს სწორედ ეს აკლიათ და როცა კანონს არ მოაქვს გამიზნული შედეგები, ივიწყებენ აღნიშნულ ფაქტორებს, კანონის ხარვეზებზე გადააქვთ ყურადღება. იბადება კითხვა: ვინ უნდა შექმნას კანონის არსებობის გარემო? როცა საქმე ეხება არაპოზიტიურ სამართალს, აქ გადამწყვეტი სიტყვა სასამართლომ უნდა თქვას. სასამართლოა ის დაწესებულება, რომელიც კანონს სულს აძლევს სამოსამართლეო სამართლის შედეგად. ეტყობა, მონტესკიესაც ასეთი კანონი ჰქონდა მხედველობაში, როცა კანონთა სულზე ამახვილებდა ყურადღებას. ეს კი შეუძლიათ დამოუკიდებელ მოსამართლეებს, რომლებმაც კარგად იციან ევროპული სამართლებრივი ფასეულობანი.

ისევ მინდა უშუალოდ ბრუნვას დავუბრუნდე. თუნდაც, რომ მარტოოდენ პოზიტიური სამართლის ამარა დავრჩეთ, ნებისმიერ შემთხვევაში მისი გამოყენებისათვის საჭიროა სათანადო სამართლებრივი კულტურა. კულტურაში მე არ ვგულისხმობ კანონთა ცოდნას, კულტურა კანონისადმი პატივისცემაა. ბრუნვის მონაწილეებს მოეთხოვებათ პატივისცემა როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების მიმართ. ამდენად, უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ კარგი მასწავლებელი კარგი კანონებია. თუმცა, ცუდი კანონების პირობებშიც შესაძლებელია კეთილსინდისიერი სუბიექტის ხელში ამ კანონებმა გარკვეული ნაყოფი გამოიღონ.

აქედან ის დასკვნა უნდა გავაკეთო, რომ სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ბრუნვის ტრადიციების ჩამოყალიბებას, რასაც მოსდევს ამ ტრადიციებით შთაგონებული ადამიანები. ის, ვისთვისაც ეს ბრუნვა წარმოადგენს ფასეულობას, ვისთვი-

საც მოთხოვნილებაა ვალდებულება შესრულდეს, მისთვის მისაღებია ადეკვატურად ფასეული საჯარო ხელისუფლება. ასეთი ადამიანი მსგავსი ხელისუფლების შემოქმედი იქნება. ამდენად, ხელისუფლებისაკენ გზა სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციებზე გადის. ის, ვინც ამ გზას გაივლის ელემენტარულ დონეზე მაინც და ამ ბრუნვის ტრადიციებით იქნება დამუხტული, ის, როგორც მომავალი ხელისუფალი, ვერ იქნება დაპირისპირებული თავის თავთან; თუ იქნება, ძალზე იშვიათად, რაც ვერ მოახდენს გავლენას საგანთა ბუნებრივ დინებაზე.

20.06.2012

უფლებათა ერთმანეთთან მიმართების თაობაზე (მიწაზე უცხოელის უფლებებთან დაკავშირებით)

უფლება არ შეიძლება განვიხილოთ იმ წესრიგის გარეშე, რომელი წესრიგის ფარგლებშიც ის არსებობს. საკუთრების უფლება საკუთრებით და ბრუნვით წესრიგებთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ. ეს ორი წესრიგი ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. მართალია, საკუთრება სტატიკური მდგომარეობაა, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მის გვერდით არსებობს სამოქალაქო ბრუნვა. საკუთრება, რომელიც არ შეიძლება მოექცეს ამ ბრუნვაში, ვერ იქნება საკუთრება თავისი ნამდვილი გაგებით. საკუთრების დინამიკა მისი სტატიკური მდგომარეობის შემეცნების გზაა. სამოქალაქო ბრუნვა ღირებულებითი წესრიგია. ამ ბრუნვაში შეიძლება მოექცეს ისეთი უფლებები, რომლებიც არ არღვევენ სამართალში გაბატონებულ პრინციპებს. აქედან ერთ-ერთია ბრუნვის მონაწილეთა თანასწორობა. ამ ბრუნვაში მილიონერიც და ხელმოკლე ადამიანიც თანასწორია სამართლებრივი გარანტიებით. მაგრამ, როცა ჩვენ ვაღიარებთ ურთიერთობის ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევას და მას მივიჩნევთ ბრუნვითი წესრიგის ორგანულ ნაწილად, ამით ჩვენ ვაღიარებთ ყველა იმ პირის უფლებას, რომელიც ამ ბრუნვაში მოექცევა. მაგრამ, უფლების აღიარება-ცნობა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც ეს უფლება ბრუნვისგან არ გაუცხოვდება და არ გახდება სხვათა უფლებების გამოდევნის საშუალება. უფლება იმიტომაა უფლება, რომ მას სხვათა უფლებები აწონასწორებენ. ჩემი უფლება სხვათა უფლებებთან მიმართება-

ში არსებობს. როგორც ამბობდა სორენ კირკეგორი, „შენ თავისთავად ხარ არარა და წარმოადგენ რაიმეს მხოლოდ სხვასთან მიმართებაში. რაც ხარ, ხარ ამ მიმართების წყალობით“ (ჟურნალი „ლარი“, №1, 11). მაგრამ, როდის წარმოშობს ეს მიმართება ჩემს უფლებას, მხოლოდ ფორმალური მიმართებაა საკმარისი? ცხადია, არა! მიმართებაში ჩვენ უნდა გავიგოთ ის შემთხვევა, როცა შესაძლებელია შედგეს ეს მიმართება, როცა შესაძლებელია ჩემი უფლების წყარო იყოს სხვათა უფლებები. ეს კი მოსალოდნელია მშვიდობიანი უფლებრივი წესრიგის პირობებში. მაშასადამე, ჩემი უფლება თქვენს უფლებასთან მიმართებაში კონკურენტუნარიანი უნდა იყოს. ეს კი თანასწორობის პირობებშია შესაძლებელი. კანონმდებელმა რომ მეც და თქვენც მოგვანიჭა რაიმე უფლება, ეს არ არის საკმარისი თანასწორობისათვის. აუცილებელია თანასწორობა მათ რეალიზაციაში. მაგალითად, მეც მაქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ყიდვის უფლება და უცხოელსაც. თანასწორობა მაშინ იქნება, როცა უცხოელის უფლება ჩემს უფლებასთან მიმართებაში შეიძენს უფლების ხასიათს. მაშასადამე, აქ გასათვალისწინებელია ჩემი უნარი, ვიყიდო მიწა. თუკი მეც შემეძლება და უცხოელსაც „თანასწორი ორთაბრძოლა“ გავაჩაღოთ, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ მიმართებები აფუძნებენ ჩვენს უფლებას, მაგრამ, თუ ეს ასე არ არის და ბრუნვის კარები ორივე მხარისათვის ღიაა, მაგრამ იქ მხოლოდ უცხოელს შეუძლია შეაბიჯოს ფეხი, მაშინ გამოვა, რომ კანონმდებელს მხოლოდ მისთვის გაუღია ეს კარები და ამით ფაქტობრივად დაუშვია დისკრიმინაციული ბრუნვა, რაც იმის აღიარებაა, რომ ერთის უფლება სრულფასოვანია და მეორისა კი – არა. გამოდის, რომ უცხოელის უფლება ჩემთან მიმართების გარეშე ჩემი გვერდის ავლით გაჩენილა. ასეთი უფლება კი არაა უფლება. თუ არაა უფლება, მაშინ მისი ნორმატიულ ფორმაში არსებობაც ყალბია და, შესაბამისად, მსგავსი კანონი ბრუნვისგან გაუცხოებულია. მაშასადამე, სამოქალაქო ბრუნვა უნდა შედგეს ამა თუ იმ სიკეთეზე მოთხოვნილების მქონე ყველა სუბიექტისათვის. ეს საკითხი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთხელ უკვე წამოჭრა ელექტროენერგიის ტარიფთან დაკავშირებით.

23.06.2012

სამართლებრივი ექსპერიმენტის შესახებ სამართლის არსობასთან დაკავშირებით

სამართლის მიზანი ადამიანია და ამდენად ის მისი ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებაა. სამართლის მომეტებული ფეტიშიზმი ადამიანს უცლის ადგილს და იგი ხდება სამართლისათვის საშუალება. ეს მოსალოდნელია ჯერ ერთი მაშინ, როდესაც სამართალი ადამიანს სთავაზობს ქცევის წესებს, რომლებიც დაპირისპირებაშია მის ბუნებასთან, მომეტებულ ტვირთებთანაა დაკავშირებული და, მეორეც, მაშინ, როდესაც ადამიანი ხდება სამართლებრივი ექსპერიმენტის მუდმივი ობიექტი. მართალია, ექსპერიმენტის გარეშე ვერც სამართალი განვითარდება, მაგრამ კანონმდებელი ამ შემთხვევაშიც შეზღუდულია სამართლის მიზნით. როგორი აუცილებლობითაც არ უნდა იყოს გამოწვეული სამართლის რეფორმაცია, მას არ უნდა ჰქონდეს შოკური ხასიათი და რაც შეიძლება ნაკლებად მტკივნეული უნდა იყოს ადამიანისათვის. ამან ადამიანს არ უნდა წაართვას წესრიგის განცდა, ვინაიდან ადამიანი, როგორც სამართლის სუბიექტი, მხოლოდ გონივრული და სტაბილური მართლწესრიგის პირობებში შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი პოზიტივიზმის საპირისპიროდ. მე, როგორც სამართლის სუბიექტს, მხოლოდ მაშინ შემიძლია ჩემი უფლებების განცდა, როცა ამ უფლებების არსებობის გარემო მათი არსებობის საფუძველია. თუ ვიტყვით, რომ სამართალი ჩემი გარეგანია, ისიც ისეთივე წესრიგს უნდა დაემორჩილოს, როგორსაც ემორჩილება ჩემი ორგანიზმი. უწესრიგობის ელემენტებს ჩემი ორგანიზმიც შეიცავს, მაგალითად,

წნევის თამაშისას, მაგრამ ეს არ იწვევს ჩემს განადგურებას, ვინაიდან ყოველივე ეს წესრიგის თანმხლებია და მასთან შეთავსებადია, ისევე როგორც არსისათვის (მაგალითად, სიკეთისათვის) შეთავსებადია არარსი (როგორიცაა, ბოროტება). მაგრამ, თუკი მოხდება ადგილთა მონაცვლეობა, მაგალითად, წნევა აიწევს კრიტიკულ ზღვრამდე, ამას ჩვენი მოკვდინება მოჰყვება შედეგად. ასეა სამართალშიც, მომეტებული ექსპერიმენტი თავად სამართლის არსებობას უქმნის საფრთხეს, ვინაიდან სამართალი მხოლოდ წესრიგია, ხოლო უწესრიგობა დასაშვებია მხოლოდ იმ დონემდე, რაც მისთვის შეიძლება ასატანი იყოს. ამიტომ ვამტკიცებ, რომ ნებისმიერი რეფორმა სამართლის დარგში ისე უნდა განხორციელდეს, რომ ამან ეჭვის ქვეშ არ დააყენოს სამართლის არსობა და, შესაბამისად, თუ ეს მოხდება, ამის პირდაპირი მსხვერპლი ვიქნები მე, ვინაიდან სამართალი ჩემი არსებობის საშუალებაა.

23.06.2012

ჩემი შინაგანი და გარეგანი „მეს“ ურთიერთობა

რაც უფრო მეტი ძალაუფლების მქონეა ადამიანი, მით უფრო ორბუნებოვანია მისი „მე“. ერთი „მე“ ხშირად არის ის, რასაც ჩვენ სამოქალაქო ურთიერთობის ჩვეულებრივ (ბუნებრივ) სუბიექტში ვხედავთ. მისი უფლებრივი მდგომარეობა მისი არსებობის საფუძველია, როგორც ყველასთან თანასწორი სუბიექტისა. ამას შეიძლება ეწოდოს პიროვნების შინაგანი „მე“. მეორე „მე“ იქაა, სადაც ადამიანი აღჭურვილია იმაზე მეტი ძალაუფლებით, რაც ყველა ადამიანშია. ასეთებია საჯარო ძალაუფლების მქონე პირები. მათი მეორე „მე“ გარეგანია მათ შინაგან „მესთან“ შედარებით. ორივე ძალაუფლების გამოხატულებაა. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ ერთი ძალაუფლება სუბიექტისგან განუყოფელია და მას იგი დაბადებიდან ატარებს, მეორე ძალაუფლებას სუბიექტი ცალკეულ შემთხვევებში იძენს და ახორციელებს. მაგალითისათვის გამოდგება მოსამართლის ფიგურა. მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქცია მისი გარეგანი „მეს“ თვისებაა. ეს „მე“ ვერ გაჩნდებოდა შინაგანი „მეს“ გარეშე. ამ აზრით, იგი მისი სრულყოფილების გამოხატულებაა. თუ არა შინაგანი ბიძგი, ადამიანი ვერ გახდებოდა გარეგანი მდგომარეობის სუბიექტი. მათ შორის კავშირი ემყარება ერთმანეთისადმი პატივისცემასა და ხელშეწყობას. ჩემი შინაგანი „მე“ უნდა შეეგუოს გარეგანი ძალაუფლების შეძენას და ხელი უნდა შეუწყოს მის განხორციელებას ისე, რომ ამით არ მოახდინოს საკუთარი თავის უარყოფა. მე ამქვეყნად ვარსებობ ჩემი შინაგანი „მეს“ წყალობით და არა ვარ ვალდებული ჩემს გარეგან „მეს“ შევწი-

რო ჩემი შინაგანი. ამას თუ გავაკეთებ, ამით მე ხელს შევუწყობ ორივეს ლიკვიდაციას. ასევე, არა მაქვს უფლება ჩემი გარეგანი „მე“ ჩავაყენო შინაგანის სამსახურში, ვინაიდან ეს გარეგანი ძალაუფლება მე მივიღე საზოგადო ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მე რომ მოსამართლე ვარ, ეს ჩემი შინაგანისათვის ტვირთი უფროა, ვიდრე სარგებელი. ჩემი შინაგანი „მე“ ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო შებოჭილია, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქისა, ვინაიდან ეს ძალაუფლება შევიძინე მათი შინაგანის სასამსახუროდ და ამ აზრითაა იგი ჩემი „მეს“ სამსახურში. ამ აზრით, მე გახლავარ გაორებული ადამიანი, რომელშიც შინაგანი და გარეგანი ერთმანეთისგან ავტონომიურია. საკმარისია ადამიანში დაირღვეს ეს ბალანსი შინაგანი „მეს“ სასარგებლოდ, რომ მისი გარეგანი ძალაუფლება დაუპირისპირდება ყველას შინაგან „მეს“ და ამით საკუთარი თავის უარყოფას გამოიწვევს. ეს ურთიერთმიმართება ჩემს შინაგანსა და გარეგანს შორის მავალდებულებს მე, როგორც საჯარო ძალაუფლების სუბიექტს, უფრო მეტი ავიტანო ჩემს შინაგანთან დაკავშირებით, ვიდრე ეს შეიძლება ევალებოდეს ჩვეულებრივ, მომაკვდავ ადამიანს. როცა მლანძღავენ, როგორც საჯარო მოხელეს, ცხადია, ამით ჩემი შინაგანი „მეც“ ზიანდება, მაგრამ ჩემი გარეგანი მავალდებულებს ვითმინო ის, რასაც არ მოითმენდა ჩვეულებრივი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შინაგანი „მეთი“ მეც მათნაირი ადამიანი ვარ. გამოდის, რომ ტვირთი არათუ სარგებლად იქცევა, არამედ სარგებლის დამძიმებას იწვევს. ცუდი მოხელის შემთხვევაში ეს შეიძლება პირიქით მოხდეს, ტვირთი სარგებლად იქცეს. ამიტომაც ვამტკიცებ, რომ სახელმწიფო იქაა ძლიერი, სადაც ამ ორ „მეს“ შორის ისეთი მიზეზშედეგობრივი მიმართებაა, რაც თავისუფალი და პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ეს მიმართებანი მე დავინახე ერთ-ერთი საჯარო განხილვისას, როცა ჩემი კოლეგები ამტკიცებდნენ, რომ მოსამართლეში მხოლოდ გარეგანი მე ბრძანებლობს.

25.06.2012

მოქალაქისა და ადამიანის უფლებების მიმართების შესახებ

ყველა ადამიანის თანასწორობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაციონალური, ისე ზენაციონალური მართლწესრიგით განპირობებული მდგომარეობა. ის უფლებები, რომლებიც ადამიანის ბუნებითი უფლებებია, შლის ნაციონალური მართლწესრიგების ვიწრო საზღვრებს და მსოფლიო მართლწესრიგით დაცულ სიკეთეებს განეკუთვნებიან. ამ უფლებებით შეზღუდულია ვიწრო ნაციონალური მართლწესრიგები. ეს განპირობებულია იმით, რომ ეს უფლებები აფუძნებენ ადამიანის, როგორც ყველა სხვა ადამიანთან თანასწორი სამართალსუბიექტის, სტატუსს. ეს ის უფლებებია, რითაც ფუძნდება ჩემი, როგორც ადამიანის, განსაკუთრებული უფლებრივი სტატუსი, რაც მე მაკავშირებს სხვა ადამიანთან მათი მოქალაქეობის მიუხედავად. მაგრამ, ამასთან ერთად, არის მოქალაქის უფლებები, რომლებიც უკვე სამართლის სუბიექტად შემდგარი პირის უფლებებია კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებში. ეს უფლებები სახელმწიფოსთან მიმართებაში ვლინდება. ამ უფლებების გამოყენებით ადამიანები ქმნიან თავიანთ სახელმწიფოს. ამიტომაც, ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ექსკლუზიურად კონკრეტული ქვეყნის მოქალაქის უფლებები, რითაც ვერ ისარგებლებენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები. მე, როგორც ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქე, იმით განვსხვავდები სხვა ქვეყნის მოქალაქისაგან, რომ ჩემი სახელმწიფოებრიობის წყაროს წარმოვადგენ. თუ აქ ხელისუფლებას მოვიაზრებთ ვიწროდ, მე ვყოფილვარ ხელისუფლების წყარო. ქართულ სინამდვილეში ერთხელ უკვე კანონის დონეზე ითქვა, რომ ხელისუფლების წყა-

როა ხალხი, ხელისუფლება ხორციელდება ხალხისთვის და ხალხის მიერ. ეს ხალხი სწორედ ქვეყნის მოქალაქეებია. სახელმწიფო ჩემი ხალხის ნებას აფუძნებს და ამიტომაა ის ჩემი სახელმწიფო, ქართული სახელმწიფო. თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეების ნება გაერევა ამაში, მაშინ როგორ გავარკვიო, ვისი სახელმწიფოა ის და არის თუ არა ის საერთოდ სახელმწიფო. როცა კონკრეტული მოქალაქეობა აღარ ითამაშებს როლს სახელმწიფოს დაფუძნებაში, მაშინ სახელმწიფოც ეჭვის ქვეშ დგება, ვინაიდან ის არ არსებობს მოქალაქეობის გარეშე. მოქალაქეობის ფაქტორის დაკნინებით პოლიტიკურ უფლებებს ჩვენ აბსოლუტურად ვაიგივებთ ადამიანის უფლებებთან და ამით სახელმწიფოს ცნებასთან მოვდივართ დაპირისპირებაში. მოქალაქეობის პრიორიტეტი არის ის, რომ სახელმწიფოს სუბსტრატს მათი ნება განაპირობებს. ასეთ სუბსტრატს ის წესრიგი წარმოადგენს, რომელი წესრიგითაც გვიხდება ჩვენ ცხოვრება. აქ კი საკანონმდებლო წესრიგია მთავარი. ჩემი ქვეყნის კანონი ჩემი ნების ქმნილებაა. ის ვერ გახდება სხვა ქვეყნის მოქალაქის ნების პროდუქტი. მაგრამ, რასაც მე ვქმნი, ის მარტო მე არ მეხება. სახელმწიფო არაა მარტო საკუთარ მოქალაქეთა საკრებულო, სახელმწიფოში არსებული სიკეთეებით შეიძლება სარგებლობდნენ სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც. როცა არსებობს უფლება, შეიძლება არსებობდეს ამ უფლებისადმი მართლზომიერი ეჭვიც. ეს კი სხვა ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს იქონიონ პრეტენზიის უფლება ჩემი ნებიდან გამომდინარე კანონების მიმართ. თუ მათ მიეცემათ შესაძლებლობა ამის გამო იჩივლონ სასამართლოში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინიც ჩემნაირად კანონმდებლებად იქცნენ. კანონი, რომელიც ჩვენ გვავალდებულებს, იმავდროულად უფლებამოსილებასაც იძლევა საეჭვო გავხადოთ ეს ვალდებულება. ამ აზრით, არ არსებობს ვალდებულება, რომელიც შეიძლება არ გადაისინჯოს და საეჭვო არ გახდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქე მე ვერ ჩამენაცვლება, დაპირისპირებით კი დამიპირისპირდება ისევე, როგორც ჩემი ქვეყნის სხვა მოქალაქეები. მაგრამ, მათაც თუ იგივე პოლიტიკური უფლებები ექნებათ, რაც მე გამაჩნია, მაშინ ისინი მე გამიტოლდებიან და ჩემი „მეც“, რაც ვლინდება ეროვნულ სახელმწიფოსთან მიმართებაში, გაქრება. შესაბამისად, გაქრება ის სახელმწიფოც, რაც ჩემი „მეს“, ე.ი. ჩემი ქვეყნის შესატყვისი იყო.

27.06.2012

ისევ ჩემი შინაგანი და გარეგანი „მეს“ კავშირზე ხელისუფლების პასუხისმგებლობის კუთხით

ჩემი პასუხისმგებლობა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრის პასუხისმგებლობა, ვერ იქნება ხელისუფლების წარმომადგენლის პასუხისმგებლობის ტოლი. ეს უკანასკნელი, როგორც არაერთხელ ვთქვი, ბევრად აღემატება ჩემი შინაგანი „მეს“ ვალდებულებებს. აქ სამართალი, როგორც ჩემი „გარეგანი“, უფრო დისტანციურია ჩემგან, ვიდრე პირველ შემთხვევაში. შესაბამისად, ჩემი ვალდებულებებიც იმაზე მეტადაა დაწმენდილი ჩემი უფლებებისაგან, ვიდრე ეს მოსალოდნელია სხვა შემთხვევებში. მე მოვალეობათა სუბიექტი უფრო ვარ, ვიდრე უფლებათა; ტვირთის მატარებელი უფრო ვარ, ვიდრე სარგებლისა. მე ამას შეიძლება ვაკეთებდე როგორც პასუხისმგებლობის ეთიკური შეგნებით, ისე მის გარეშე, წმინდა სამართლებრივი მოვალეობის გამო. ვიდრე აქა ვარ, არ შეიძლება მე ვიქცეოდე სხვაგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ასე მოქცევა შეიძლება ჩრდილსაც კი აყენებდეს ჩემს შინაგან „მეს“. ეს ტვირთი ადამიანმა შეიძლება ატაროს გარკვეული დროით, მაგრამ, თუ მუდმივად უწევს მისი ზიდვა, მაშინ ტვირთების მონაცვლეობა უნდა მოახდინოს, მათი შეგრძნების უნარი რომ არ დაკარგოს. სუბიექტს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი ამ ტვირთებს ატარებს როგორც შინაგანი „მეს“ მქონე სუბიექტი, სხვათა შინაგანი „მეს“ სასამსახუროდ. რაც უფრო მაღალია ამ გარეგანი „მეს“ მიმართ პასუხისმგებლობა, მით უფრო სამაგალითოა ხელისუფლების სუბიექტის მოქმედება საზოგადოების რიგით წევრებთან მიმარ-

თებით. მე, როგორც საზოგადოების ჩვეულებრივ წევრს, ასევე გამაჩნია შინაგანი „მეც“ და გარეგანიც, მაგრამ მათ მიმართებაში მე ვერ ვიქნები ის პირი, რომელიც „გარეგანს“ ისეთივე პასუხისმგებლობით შეიმეცნებს, როგორც „შინაგანს“. ამიტომ, როცა ჩვენ გვინდა გავარკვიოთ პასუხისმგებლობის ფარგლები სახელმწიფოს ფუნქციონირებაში, ეს ფაქტორები აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. მეც მომეთხოვება პასუხისმგებლობით გავაცნობიერო ჩემი ადგილი თქვენთან მიმართებით, მაგრამ, პირველ რიგში, მე ამაში ვხედავ ჩემი შინაგანი „მეს“ სახეს და შემდეგ „გარეგანსაც“. ეს ლოგიკურიცაა. ყოველი საერთო არსებობს ერთისთვის და არა ერთი – საერთოსთვის. ყველა სიკეთე ტრიალებს ჩემ გარშემო და, ამ აზრით, ტრიალებს ის ყველას გარშემო. ამიტომაც ვამტკიცებ, რომ სამართლის საყოველთაო (რიგით) სუბიექტს ჩვენ ვერ მოვთხოვთ იმდენს, რამდენიც მოეთხოვება სპეციალურ სუბიექტებს, როგორიცაა ხელისუფლების წევრი. გამოდის, რომ ხელისუფლება ემსახურება ხალხს და არა ხალხი ხელისუფლებას, მაგრამ ხელისუფლების ეფექტიანობა დამოკიდებელია ჩვენზე. რაიმეს განხორციელების აუცილებლობა მეც უნდა მქონდეს შეგნებული იმ დონემდე, რაც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ხელისუფლების წევრის მოქმედებას შედეგი მოჰყვეს ჩემთვის. ე.ი., მისი გარეგანი „მე“ და ჩემი გარეგანი „მე“, რაც ყველა ადამიანშია, ჰარმონიაში თუ არა, დაპირისპირებაში არ უნდა მოვიდეს. თუ ეს დაპირისპირება გამოწვეული იქნება იმით, რომ მე მთავაზობენ ჩემთან შეუთავსებელ „სიკეთეს“, მაშინ ხელისუფლების მოქმედებას შედეგი არ მოჰყვება და ჩემსა და მას შორის გაუცხოება იქნება. მთელი ამ მონათხრობის მიზანი ის არის, რომ გავარკვიო, ვის რა პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს რეალურ ფუნქციონირებაში.

1.07.2012

ნორმატიული აქტის „უხილავი“ მიზნების შესახებ (მიწის არაეკონომიკურ ფუნქციასთან კავშირში)

არსებობს კანონთა უხილავი მიზნები. ისინი ხილული მიზნებისგან განსხვავდებიან მხოლოდ არსებობისა და გამოვლენის ფორმებით. ხილული მიზანი ნორმატიული აქტის სულისკვეთებას განსაზღვრავს. მაგალითად ავიღოთ სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ კანონი, რომლის მიზანია მიწების რაციონალური გამოყენების შედეგად ეკონომიკური ეფექტის მიღწევა. ეს სწორია, მაგრამ არასრული, ვინაიდან მიწა არ წარმოადგენს მხოლოდ ეკონომიკურ კატეგორიას, ის კულტურული ღირებულებაცაა. ეს უკანასკნელი ვლინდება იმაში, რომ მასთანაა დაკავშირებული ამა თუ იმ ხალხის კულტურული ისტორია, იდენტობა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი და ა.შ. მაშასადამე, ის გაცილებით უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ეკონომიკური მოცემულობა. მაშასადამე, მე სრული უფლება მაქვს ვთქვა, რომ ჩემი ინდივიდუალობაც მასთანაა დაკავშირებული. ეს კი მე მანიჭებს ბუნებით უფლებას განვიხილო ის ჩემთან ერთად, როგორც ჩემგან განუყოფელი. განუყოფელი იმიტომ, რომ მე მასთან კავშირისა და მისი გამოყენების შედეგად ჩამოვყალიბდი, როგორც სხვებისგან და, ცხადია, პირველ რიგში უცხოელებისგან განსხვავებული სუბიექტი. შეიძლებოდა მიწის ეს ფუნქცია ასახულიყო კანონში? რა თქმა უნდა, არა, ვინაიდან ის იმდენად საგულისხმოა, რომ მისთვის ნორმატიული ფორმის მოძებნა მხოლოდ უხერხულობას გამოიწვევდა. ეს იგივე იქნებოდა, გვეთქვა, რომ წყალი ადამიანის არსებობისათვის აუცილებელია და ა.შ. მაინც ჩნდება

კითხვა: თუ შეიძლება სამართალს ჰქონდეს მასთან კავშირი? რა თქმა უნდა, შეიძლება, მხოლოდ დაცვის თვალსაზრისით, თორემ მისი შინაარსი აღემატება სამართალს. თუ სამართლით მოვხაზავდით, ეს იგივე იქნებოდა, გვეთქვა, რომ ფიზიკური პირი იმიტომაა სუბიექტი, რომ მას აქვს ხელი, ფეხი და ა.შ., საამისოდ საკმარისია იგი ადამიანად დაიბადოს. სამართალი არ არკვევს, რა არის ადამიანი. მაშასადამე, თუკი კანონმდებელი მიწის მიმართ მიიღებს ისეთ კანონს, რომელიც გაუცხოებას გამოიწვევს ჩვენ შორის, ამის შედეგი იქნება ის, რომ მიწა მიწად დარჩება, მე კი ან დასასრული მელოდება ან ახალ გარემოსთან შეგუება. ორივე შემთხვევაში მე აღარ ვიქნები მე. უცხოელი, რომელიც იძენს მიწას, შეეცდება მასთან ის ურთიერთობა დაამყაროს, რომელიც არ იქნება გაუცხოებული მის „მესთან". რადგანაც მას მიწასთან საკუთრებითი კავშირი ექნება, ცხადია, ამ უფლებას გამოიყენებს იმ მიზნით, რომ მასა და მიწას შორის დამყარდეს ის კავშირი, რომელიც ჩემსა და მიწას შორის იყო. თუკი მთელი საკუთრება ან მისი დიდი ნაწილი მის ხელში იქნება, მაშინ, ცხადია, ძალაუფლებაც მის ხელში იქნება და იგი მიკარნახებს როგორი ურთიერთობა ვიქონიო მიწასთან. ამის შედეგი ჩემი გაუცხოებაა მიწისგან.

კიდევ ერთ ასპექტს მინდა ანგარიში გაეწიოს. მიწა ჩემთვის მამულია, სამშობლო, უცხოელებისთვის კი არ არსებობს ეს განცდა. მისთვის ჩემი მამული მისი მამულის სამსახურის საშუალებაა.

ყოველივე ეს იმიტომ მოვყევი, რომ კანონთა შეფასებისას დავინახოთ ის, რაც კანონში პირდაპირ არ წერია. ნებისმიერი კანონის შეფასება უნდა მოხდეს სუბიექტის არსობის შენარჩუნების კუთხით. თუკი რომელიმე ნორმა ჩემი არსობის შენარჩუნებას ემსახურება, მისი გაუქმება ჩემ წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იქნება. კონსტიტუციამ ყველა შემთხვევაში უნდა დამიცვას მე, რათა ჩემი არსობა არ შეიცვალოს სხვისი არსობით.

5.07.2012

ისევ სამართლისა და ეთიკის კავშირის შესახებ

ამჯერადაც მინდა ძველ საკითხებს მივუბრუნდე, რაც განაპირობა ევროპული სამართლის ჩვენში რეცეფციისადმი ცალკეული იურისტების დამოკიდებულებამ. ერთსქესიანთა ქორწინების საკითხმა ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე მწვავე კამათი გამოიწვია. მომხსენებლებიც და მოკამათენიც იმის მტკიცებაში იყვნენ, რომ ისინი იმსახურებენ პოზიტიური სამართლის მხარდაჭერას და საამისოდ ევროპელების შემწყნარებლური დამოკიდებულება მისაბაძი უნდა იყოს ჩვენთვის. ამ იდეის ავტორებს არ აინტერესებდათ იმ ხალხის აზრი, რომელთა ნებასაც გამოხატავს საკანონმდებლო ხელისუფლება. აღნიშნული კატეგორიის ადამიანების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას მოკამათეებს მხედველობიდან რჩებოდათ რიგი ფუნდამენტური გარემოება, რომლებზედაცაა დამოკიდებული სიცოცხლისუნარიანი პოზიტიური სამართლის ჩამოყალიბება. პირველ რიგში, ესაა საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების მხედველობაში მიღება. ერთსქესიანთა ქორწინება წარმოადგენს ადამიანის ბუნებრივი, არსობრივი მდგომარეობიდან გადახრას. საყოველთაო დაცვის ობიექტია ოჯახი, რომელიც ემყარება ქალისა და მამაკაცის ქორწინებას, ერთსქესიანთა ქორწინება კი აქედან გადახრაა და ამ აზრით, ის ქორწინების არსი კი არა, არარსია. არარსი არსის უარყოფისკენაა მიმართული და, ამდენად, არ შეიძლება სამართალმა წაახალისოს მის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება. მეორე, გასათვალისწინე-

ბელია ის ფაქტი, რომ პოზიტიური სამართლის წყარო და მისი არსის განმსაზღვრელია ზეპოზიტიური სამართალი. პოზიტიური სამართალი ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია ზეპოზიტიური სამართლის სივრცეში. თუკი რომელიმე ქვეყნის პოზიტიური სამართალი აღიარებს ერთსქესიანთა ქორწინების უფლებას და ეს იქნება ამ ხალხისათვის მისაღები, ეს მაინც არ აქცევს მას საყოველთაო უფლებად. შენი ქვეყნისათვის რომ ეს მისაღებია, არ ნიშნავს იმას, რომ ის სხვა ქვეყნისათვისაც მისაღები უნდა იყოს. ევროსასამართლო ამ მიმართებით სხვადასხვა ქვეყნებს სრულ ავტონომიას ანიჭებს სწორედ მათი ეროვნული მორალიდან გამომდინარე. ეს ასეც უნდა იყოს. ხალხის ზნეობრივი სახე ხომ მისი „შინაგანია“ და თუკი სამართალი მომეტებულად შეიჭრება ამ სივრცეში, ეს იქნება სამართლის მხრიდან „უფლებამოსილების“ გადაჭარბება, მოკლედ, ინტერვენცია აკრძალულ სივრცეში. თუკი ჩემი „შინაგანი“ მზაობაში მოვა ჩემი გარეგანის ზრახვებთან, მაშინ გამართლებულია, სამართალმა იკისროს ამ დამოკიდებულების დაცვა. ნაკლებად მოსალოდნელია მამათმავლის საქციელი მოიწონოს იმან, ვინც არაა მამათმავალი, მაგრამ დაცვისათვის არაა საჭირო მოწონება. საკმარისია მის მიმართ შემწყნარებლობა. თუ არის საზოგადოების მხრიდან ასეთი დამოკიდებულება, მაშინ სამართალს შეუძლია დაიცვას ამ კატეგორიის ადამიანთა უფლებები. თუ ეს დამოკიდებულება არ არის, მაშინ ძნელია ვინმე აიძულო პატივი სცეს მათ უფლებებს. ეს რომ ურთულესი საქმეა, ისტორიითაც დასტურდება. ძველი სამართალი, რომელიც რელიგიაზე იყო გადანასკვული, მკაცრად გმობს ყოველგვარ სოდომურ ცოდვას და მას მიიჩნევს ადამიანის არსობასთან შეუთავსებლად და იოტისოდენა ხელშეწყობასაც გამორიცხავს მსგავსი კატეგორიის ქცევების მიმართ. მიმაჩნია, რომ არწახალისების მიდგომა გამართლებული იყო. მართალია, ჩვენ ახლა სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას წავახალისოთ ადამიანში, როგორც არსში, არარსისეული გრძნობები. ეს ფაქტები მე მაფიქრებინებს, რომ სამართალი მეტად ფრთხილი უნდა იყოს ეთიკური ღირებულებების მიმართ. აღნიშნული გარემოებანი მხედველობაში უნდა მიეღოთ მომხსე-

ნებლებს, მაგრამ მათ ეს სულაც არ აინტერესებდათ და სამართალს განიხილავდნენ ეთიკისგან მოწყვეტილად, ახალი ეთიკის დამფუძნებლად. ამან კი სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია კონფერენციის მონაწილეთა შორის და კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მე მხოლოდ თქვენთან ურთიერთობაში ვარ ადამიანი და მის გარეშე ვარ არარა, როგორც ამბობდა სორენ კირკეგორი.

8.07.2012

სამართლის ცალმხრივი მეტაფიზიკური ხედვის შედეგები მოქალაქეობასთან დაკავშირებით

მე ყოველთვის მომხრე ვიყავი სამართალი გაგვეგო საერთო და ეროვნული სულის სინთეზად. სამართლის მეტაფიზიკურმა განცდამ არ უნდა მოგვწყვიტოს მის მატერიალურ ყოფიერებას, რასაც მე ეროვნულობას ვუწოდებ. სამართლის მკაცრად მეტაფიზიკური ხედვა იწვევს სამართლის კონკრეტული, ინდივიდუალური სუბიექტის ჩანაცვლებას ზოგადი, აბსტრაქტული სუბიექტით, ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქის – მსოფლიო მოქალაქით, რაც ადამიანს გულისხმობს საზოგადოდ. რაც უფრო დაუახლოვდება ეროვნული სახელმწიფო, მოქალაქის უფლებრივი სტატუსი ადამიანის სტატუსს, ამით სახელმწიფოს არსებობაც შეიძლება საეჭვო გახდეს. თუკი დავუშვებთ, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს იგივე უფლებები ექნებათ ჩემს ქვეყანაში და განსხვავება მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს შეიძენს, მაშინ როგორ გავმიჯნო მე ისინი ერთმანეთისგან და რომელი ქვეყნის მოქალაქედ ჩავთვალო? მოქალაქეობა ხომ უფლებრივი კავშირია სახელმწიფოსთან და არა მხოლოდ ფორმალური. მაშასადამე, მომეტებულ მეტაფიზიკურ გრძნობებს შეიძლება შედეგად მოჰყვეს წესრიგის მოშლა სამართლის სუბიექტთა კავშირურთიერთობაში, ვინაიდან სამართლის სუბიექტის, როგორც მოქალაქის, კონსტიტუციური ადგილი იკარგება, რაშიც მოიაზრება ესა თუ ის სახელმწიფო. ე.ი., სხვა ქვეყნის მოქალაქის უფლებები შეიძლება დაუახლოვდეს ჩემი ქვეყნის მოქალაქის უფლებებს იქამდე, ვიდრე ის საფრთხეს არ შეუქმნის ჩემს მოქალაქეობას. ერთ

სახელმწიფოში ორი ქვეყნის მოქალაქის უფლებათა თანასწორობა შეუძლებელია, ვინაიდან ამ თანასწორობით სახელმწიფოს ეცლება საფუძველი. ამიტომაც ვამტკიცებდი წინა წერილებში, რომ სამართალი უნდა გავიგოთ, როგორც ცვალებადი პროდუქტი ადამიანთა თანაცხოვრებისა. ის დროში და სივრცეში ცვალებადია და ამ თვალსაზრისითაა კავშირში მეტაფიზიკურ ბუნებასთან.

8.07.2012

ჩემი სხვებთან ურთიერთობა, როგორც ფასეულობა და ჩემი უფლებრივი სახის განმსაზღვრელი

ჩემი ინდივიდუალობა, რომელიც სხვებთან მიმართებაში ვლინდება, გვავალდებულებს ჩემი უფლებები ისე განისაზღვროს, რომ ეს მიმართება შედგეს, რაც გაწონასწორებული ურთიერთობის შემთხვევაშია შესაძლებელი. მე, როგორც სამართლის ქმედუნარიანი სუბიექტი, ვარსებობ მხოლოდ არადისკრიმინაციული ურთიერთობის შიგნით. ჩემი უფლებები აქ სხვებზე მეტიც შეიძლება იყოს, მაგრამ ეს არ წარმოადგენდეს თანასწორობის დარღვევას. თანასწორთა შორის განსხვავება, როცა არსებობს მისი სამართლებრივად ანგარიშგასაწევი, არადისკრიმინაციული საფუძველი, არ ნიშნავს ჩემს სხვებთან გაუცხოება-დაპირისპირებას. თანასწორობა სამართლებრივ შესაძლებლობათა თანასწორობაა და არა უნართა თანასწორობა. სამართალმა ხელი უნდა შეუწყოს ადამიანთა უნარების რეალიზაციას, მაგრამ მან უნდა შეძლოს ჩემსა და სხვებს შორის ამ უნარებით გამოწვეულ მდგომარეობათა ისეთი გაწონასწორება, რომ შესაძლებელი იყოს ჩვენს შორის ურთიერთობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანის ნებისმიერი ბუნებითი პრიორიტეტი, ეს იქნება: ცოდნა, ნიჭი, ჯანმრთელობა თუ სხვა, მხოლოდ მეორე ადამიანთან ურთიერთობაში ვლინდება და შედეგს იძლევა. მაშასადამე, ეს ურთიერთობა ჩვენ გვაწონასწორებს, მასთან დამოკიდებულებაში ჩვენ თანასწორები ვართ და მისი ინტერესებიდან გამომდინარე შეზღუდულებიც. ე.ი. გამოდის, რომ მე

უფრო ურთიერთობა მავალდებულებს, ვიდრე ამ ურთიერთობის სუბიექტი. ჩემს უფლებრივ მდგომარეობას ეს ურთიერთობა უფრო განსაზღვრავს, ვიდრე მისი შეწონვა მოპირისპირე სუბიექტის უფლებებთან. გამოდის, რომ, თუ მე უფლებრივად შენგან განვსხვავდები, ეს შენთან ურთიერთობის შედეგია. მაშასადამე, ამ სიბრტყეში ჩვენ ყველა თანასწორები ვართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შორის ურთიერთობა ამ აზრით თანასწორთა შორის ურთიერთობაა, მაშინაც კი, როცა არსებობს უთანასწორობის სამართლებრივი საფუძველი. მივდივართ იმ დასკვნამდე, ვაღიაროთ ჩვენი უფლებები ამ ურთიერთობის ნაყოფად. მაგრამ, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ეს ურთიერთობა: როგორც ზოგადად არსებული, ობიექტური სახით, თუ კონკრეტული ურთიერთობა ჩემი სხვებთან. მე ვფიქრობ, ერთიც და მეორეც მხედველობაშია მისაღები. სამართალი გვიდგენს ზოგადად ჩვენი ურთიერთობის წესრიგს და, შესაბამისად, აქედან გამომდინარეობს ჩვენი, როგორც სამართლის ცალკე აღებული სუბიექტების, უფლებები. სწორად რომ განისაზღვროს ეს, აუცილებელია სამართალს კარგად ჰქონდეს შემეცნებული ურთიერთობის ფასეულობა და მისი სუბიექტების ერთმანეთთან უფლებრივი დამოკიდებულება. სამართალი მიზანს მიაღწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამოვა იმ აქსიომიდან, რომ ყველა ადამიანი თანასწორია მის წინაშე. თუკი ეს თანასწორობა, რომელიც ბუნებითი თვისებაა ჩვენ შორის ურთიერთობისა, მომეტებულად დამძიმდება უთანასწორობით, მაშინ ამით საფრთხე შეექმნება თავად სამართალს და, ცხადია, ჩვენ შორის ურთიერთობას, როგორც ფასეულობას. ამიტომაცაა, რომ ყოველი კონკრეტული უფლებრივი წესრიგი ჩვენთან დამოკიდებულებაში ფასეულობას უნდა წარმოადგენდეს. ასეთ ვითარებაში ჩემი რეალური ურთიერთობა სხვებთან, ეს იქნება თანასწორთა მშვიდობიანი ურთიერთობა უფლება-მოვალეობების სამართლიანი გადანაწილებით. სამართლის თავისუფალი სუბიექტის თვისება ეს უნდა იყოს. ყოველივე ეს ავხსენი იმისათვის, რომ ადამიანებმა თავიანთი თავი შეიმეცნონ იმ სარკეშიც, რომელშიც ჩვენ ყველა ერთად მოვჩანვართ და მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი საკუთარი თავის შემეცნება და ადგილის განსაზღვრა.

14.07.2012

ისევ უფლების პრაგმატისტული განცდის შესახებ

ამჯერადაც მინდა ვაჩვენო უფლების მიმართ პრაგმატისტული მიდგომის პრიორიტეტი. საერთოდ, პრაგმატიზმი რეალობის ისეთი აღქმაა, როცა ჩემი ამჟამინდელი მოთხოვნილებები სამომავლო მოთხოვნილებებზე პრიორიტეტულია. ბიბლიური მიდგომაც ნაწილობრივ პრაგმატისტულია, როცა უფალს შევთხოვთ, რომ მან მოგვცეს პური ჩვენი არსობისა დღეს. ეს ასეცაა, ვინაიდან ჩვენ ჩვენი ამჟამინდელი სახით ვარსებობთ და ნებისმიერი მოთხოვნილება მასთანაა დაკავშირებული. წარსული და მომავალი მხოლოდ წარმოსახვითი რეალობებია. მე სწორედ ჩემი ამჟამინდელი ადგილიდან ვიხსენებ წარსულს, რომელიც მხოლოდ ცნობიერებაში არსებობს და ასევე ვხედავ მომავალსაც, რომელიც ჯერ არ დამდგარა და ცნობიერების წყალობით შევიმეცნებ. მოკლედ, ერთადერთი რეალური სამყარო ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობაა და ჩემი არსებობაც მასთანაა დაკავშირებული. შოპენჰაუერი ამბობდა, რომ მხოლოდ აწმყოა ნამდვილი და მხოლოდ მასშია მოქცეული მთელი ჩვენი ცხოვრება. მე შიმშილი შეიძლება მოვიკლა, თუკი ახლავე მივიღებ საკვებს და არა იმით, რომ წარსულში მივიღე ან მომავალში მივიღებ მას. მაშასადამე, მე როგორც არსი, სუბიექტი სამართლისა, ვარსებობ იმ უფლებებითა და მოვალეობებით, რომლებიც ახლა გამაჩნია. ყველა სამომავლო უფლება მხოლოდ შესაძლებლობაა, რომელიც შეიძლება არც იქცეს სინამდვილედ, მაგრამ მე, როგორც სუბიექტს, გამაჩნია ეს შესაძლებლობანი. ის, რაც ჯერ არ მომხდარა ან უკვე მოხდა წარსულში, ვერ განსაზღვრავს ჩემს ახლანდელ

მდგომარეობას. ამიტომაც სუბიექტის უფლებები მისგან დამოუკიდებლად უნდა განვიხილოთ. ეს კი მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანს არ მივაწეროთ ის უფლებები, რომლებიც არ არსებობენ. ეს წააგავს ჰერაკლიტეს ნათქვამს, რომ ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. ჩემთვის წარსული ის მდინარეა, რომელშიც მე უკვე ვიმყოფებოდი და ველარ შევალ; მომავალი კი ის მდინარეა, რომელშიც ან შევალ ან არა; მხოლოდ აწმყოა ის მდინარე, რომელშიც მე ვიმყოფები და რომლის სითბოსაც მე ვგრძნობ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ყოველი სახელმწიფო ვალდებულია ჩემი უფლებები განსაზღვროს იმ სახით, რომ მე შევძლო მათი სარგებლობა ახლავე. ასეთი მიდგომა სახელმწიფოს ზღუდავს ყურადღების ცენტრი გადაიტანოს წარსულში ან მომავალში. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს აქვს უფლება იქონიოს ყველა დროის განცდა, რაც სამართალგანვითარების, უფლებათა ევოლუციური მდგომარეობითაა განპირობებული, მაგრამ მხოლოდ ობიექტური ზომიერებით უნდა გამოირჩეოდეს და არავის არა აქვს უფლება ჩემი არსებობის დრო შეცვალოს. პრაგმატიზმი გვეუბნება, რომ მე, როგორც სუბიექტი, ახლა ვარსებობ, მე ახლა მჭირდება საკვები; მომავალშიც, მაგრამ მომავლის საკვები ვერ შეცვლის ამჟამინდელს. თუ ასეთი დამოკიდებულება იქნება, მაშინ გამოდის, რომ სახელმწიფო აუქმებს ჩემს სამართალსუბიექტობას და მის ადგილზე ანაცვლებს ფიქტიურ სუბიექტს, რომელსაც არ გააჩნია ამჟამინდელი მოთხოვნილებანი. ასე მე ბურატინოს დავემსგავსები და ვერც მომავალში გავხდები ის, რაც უნდა ვიყო, ვინაიდან, ვინც ჩემში ახლა ბურატინოს ხედავს, ის ვერ შეძლებს ადამიანად მაქციოს; მას არ ექნება ამის სურვილი. მაშასადამე, როცა ვამბობ, რომ მე ვარსებობ, მე ვარსებობ ახლა. არსებობა კი გულისხმობს სამართლის სუბიექტად, ე.ი. უფლებამოვალეობით არსებობას, რომელიც იქნება ისევე აუცილებელი, როგორც ყოველდღიური საკვები. სამომავლო უფლებები, რისთვისაც შეიძლება ვიბრძოდე, ისინიც მოპოვების შემდეგ, ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობის, ე.ი. არსებობის განმსაზღვრელი იქნება. სულაც არ არის სასაცილო ხალხური ანდაზა: დღევანდელი კვერცხი ჯობია ხვალინდელ ქათამსო.

19.07.2012

ისევ ეთიკურის მიმართება არაეთიკურთან და სამართალთან

ახლაც ეთიკურისა და სამართლებრივის მიმართებაზე მინდა ვისაუბრო. არც ეთიკური ღირებულებებია გაქვავებული და არც სამართლებრივი. სტატიკური ყოფიერება უფრო ეთიკას ახასიათებს. აკი, კანტი გაკვირვებით ამბობდა ადამიანში მორალური კანონების იდუმალ ხასიათზე. როგორც ჩანს, ეს კანონი ჩვენი სულის თვისებაა და მართლაც ამიტომ არის ის შინაგანი. მორალური სამყარო მხოლოდ ვალდებულებათა სამყაროა, როგორც ამას კანტი ამტკიცებდა. ეს ვალდებულება იშლება ორი მიმართულებით: ერთი, ესაა პოზიტიურ ქმედებებთან დაკავშირებული და, მეორე, თავშეკავების ვალდებულება, ანუ თმენის ვალდებულება. მორალური კანონი ფასეულობაა და ის უპირისპირდება ამორალურ ქცევებს. ადამიანში კანტისათვის სწორედ ეს ფასეულობა იწვევდა გაკვირვებას. ისევ არსისა და არარსის მოშველიებით დავახასიათებ ჩვენს ეთიკურ სახეს. მორალი არსია, ანტიმორალი კი – არარსი, რომელიც ცალკე არ არსებობს და მოცემულია მორალში. არსი და არარსი მუდმივ ბრძოლაშია და როცა სასწორი გადაიხრება არარსის სასარგებლოდ, მაშინ იწყება საზოგადოების გახრწნა და სახელმწიფოს დაშლა. როცა რომელიმე ქვეყანა აღმოჩნდებოდა ამ პრობლემის წინაშე, გამოჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც განგაშის ზარს შემოჰკრავდნენ. თავის დროზე დავით აღმაშენებელმა გაილაშქრა ამორალური საეკლესიო წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ და საეკლესიო კრებაც კი მოიწვია.

სამართლის მიზანი მორალური ქცევების წახალისებაა, ხოლო მასთან გაუცხოებული ქცევის მიმართ, უკიდურეს შემთხვევაში, ტოლერანტული დამოკიდებულებაა, თუკი ის ადამიანის უფლებათა სფეროში შედის. მაშასადამე, სამართალი ახალისებს ღირებულებებს, ხოლო ანტიღირებულებებს ზოგჯერ ითმენს. სამართალს მართებს ფრთხილი დამოკიდებულება ეთიკისადმი. კვლავ ქორწინების ცნებას უნდა მივმართო. ეთიკურია იმისი თქმა, რომ ქორწინება, ესაა მამაკაცისა და ქალის კავშირი ოჯახის შესაქმნელად. სამართალი ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ სახით ოჯახის შექმნას, მაგრამ არაეთიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქორწინება ზოგადად ადამიანთა კავშირია, სქესის მიუხედავად, ოჯახის შესაქმნელად. ასეთი განმარტებით ირღვევა ქორწინების არსი და სამართალი ხელს უწყობს ეთიკურიდან გადახრა ეთიკურს გაუტოლოს. სამართლის მიზანი უნდა იყოს საზოგადოების განკურნება ამ გადახრებისგან და არა „ავადმყოფობისათვის“ ხელის შეწყობა. თუ ჩვენ ლეგიტიმურად ვცნობთ ეთიკურისგან გადახრის შემთხვევებს, ამით ჩვენ ეჭვის ქვეშ დავაყენებთ ფასეულობებს და ადამიანებს დავუკარგავთ ორიენტაციის, არჩევანის უფლებას. მეტიც, ეთიკაში მომხდარი „გადატრიალებით“ სამართალსაც შევუყენებთ წყალს, ვინაიდან ეჭვის ქვეშ დგება საყოველთაოდ აღიარებული ქცევის წესები. ეთიკა გვავალდებულებს თავი შევიკავოთ ისეთი ქცევებისაგან, რაც ადამიანთა თანაცხოვრებას ფასეულობას დაუკარგავს. მახსოვს, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში რამდენიმე გოგონამ თავი მოიწონა იმით, რომ, მათივე თქმით, დაძლიეს საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპები და კამერის წინ ერთმანეთს შეაფურთხეს. თუ ჩვენ ამას მოვიწონებთ და ჩავთვლით საზოგადოებისგან თავისუფლებად, მაშინ ის უფრო თავისუფალი იქნება, ვინც საზოგადოების თვალწინ, საჯაროდ, სხვადასხვა უხამს საქციელს ჩაიდენს. ერთი მწერალი თავის ნაწარმოებში აღწერდა ინტიმური ცხოვრების სურათს და ფიქრობდა, რომ მან ამით „ამერიკა აღმოაჩინა“, მაშინ როცა, ჭკუანაკლულმაც კი იცის მისი არსებობის შესახებ, მაგრამ მათ ის არ გამოაქვთ სააშკარაოზე. ისევე, როგორც არაცნობიერი სახით ჩვენში ბევრი რამაა

დალექილი და ჩვენც არ ვუწყით, რა საგანძურს ინახავს ჩვენი ტვინი, ასევეა ჩვენი ცნობიერი ცხოვრებაც მოწყობილი: – ზოგი რამ ეთიკურია, მაგრამ, კერძო ცხოვრებაა და არ შეიძლება მისი გასაჯაროება, ზოგიც არაეთიკურია და ამიტომ – მიუღებელი.

22.07.2012

ისევ ჩემი და ჩვენი უფლებების მიმართების შესახებ

უფლება ჩვენ მიერ აღიარებული სიკეთეა. აღიარება გულისხმობს მის როგორც ფორმალურ, ისე მატერიალურ აღიარებას. მე უფლების სუბიექტი ვიქნები მხოლოდ მაშინ, თუ ყველა დანარჩენი მარტო ფორმალურად კი არ აღიარებს მას, არამედ, მისი შინაარსით იქნებიან ამ უფლების განხორციელების პროცესში შებოჭილი. უფლება თითოეულ ჩვენგანს გვავალდებულებს. კანონმდებელმა ბევრი უფლება შეიძლება მომანიჭოს, მაგრამ, თუ არ იქნება მის მიმართ შემხვედრი ვალდებულება, ასეთი უფლება ვერც იქნება უფლება. უფლების არსებობის გარემო მოითხოვს კარგად გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ერთი სამართლებრივი სხეულის ნაწილები, როგორიცაა: ჩემი, შენი და ჩვენი. ჩემი და შენი ერთ სიკეთეს მოიაზრებს, რაშიც ჩვენ ვავლენთ თავს, როგორც უფლების ინდივიდუალური სუბიექტები და ინდივიდუალური ნების მატარებლები. ჩვენი ის არის, რითაც ინდივიდუალურ ნებას ვბოჭავთ კოლექტიური ნებით ისევ ინდივიდუალური ნების სასარგებლოდ. კოლექტიური ინტერესი იქაა, სადაც გადის ინდივიდუალურის სადემარკაციო ხაზი. ამ ხაზის გადალახვა ინდივიდუალური ინტერესის მოსპობას იწვევს, ვინაიდან ის არ არსებობს კოლექტიურ ინტერესთან შეწონასწორების გარეშე. მე, როგორც კერძო უფლების სუბიექტი, მხოლოდ კოლექტიური უფლების სუბიექტად ყოფნის დროს ვარსებობ. არ არსებობს ბუნებაში ჩემი უფლება ჩვენი უფლების გარეშე. ეს კი უნდა წარმოვიდგინოთ არა როგორც ილუზორული, მხოლოდ

ფორმალური მომენტი, არამედ, როგორც სიკეთეთა მოძრაობა, დინება ადამიანთა თანაცხოვრებაში. მე ადრეც მითქვამს, რომ, ის ადამიანი, რომელიც ვერ აცნობიერებს თავის ამგვარ არსებობას, ვერც ერთი უფლების მატარებელი ვერ იქნება. ერთ შემთხვევაში იგი დაემსგავსება კუნძულზე განმარტოებულ რობინზონს, რომლისთვისაც ყველაფერი ჩემით აღიქმებოდა, სხვა დროს კი, იმ ველურს, რომლისთვისაც ყველაფერი იყო ყველასი. სამოქალაქო საზოგადოება სიკეთეთა წონასწორობის საზოგადოებაა. ბალანსის დარღვევა აღნიშნულ ორგანიზმში უწესრიგობას იწვევს და ჩემი და ჩვენის დაპირისპირება ანადგურებს მას. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ჩემი არ არსებობს ჩვენის გარეშე, ისევე როგორც, მე არ ვარსებობ თქვენ გარეშე.

29.07.2012

სახელმწიფო, როგორც ჩემი თავისუფლების იარაღი

კანტის საყოველთაო თავისუფლების კანონით შებოჭილი ვარ არა მარტო მე, არამედ სახელმწიფოც. შეიძლება უფრო მეტადაც, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ძალაუფლებით სახელმწიფოს ძალაუფლება ბევრად აღემატება ჩემს ძალაუფლებას. სახელმწიფოს არსებობის გამართლება ჩემს ინტერესებშია. მას არ გააჩნია ჩემგან განყენებული ინტერესი. ლუდოვიკო მეთოთხმეტისგან განსხვავებით, დღეს — ეს ჩვენ ვართ სახელმწიფო. ის იმდენად არსებობს, რამდენადაც ვარსებობ მე. მას საკუთარი, ჩემგან განყენებული ინტერესი არ გააჩნია. ჩემს ინტერესებში მოქმედება სახელმწიფოს ავალდებულებს მისი თავისუფლება დაუმორჩილოს თავისუფლების საყოველთაო კანონს. თუკი მე დავარღვევ ამ კანონს, მე ამით საკუთარი თავის უარყოფას ვახდენ, ვინაიდან კანონს იმიტომ კი არ ვემორჩილები, რომ ამას მოითხოვს სახელმწიფოს ჩემგან განყენებული ინტერესი, რომელიც არც არსებობს, არამედ ჩემი ინტერესი. კანონთან ჩემი გაუცხოება გაცილებით მძიმეა, ვიდრე სახელმწიფოს მხრიდან ჩემგან გაუცხოება. პირველის დაძლევა გაცილებით რთულია, ვინაიდან ჩემში უნდა მოხდეს „ღირებულებითი გადატრიალება“ და ჩემ მიერ ჩემი თავის შემეცნება, როგორც თავისუფლების საყოველთაო კანონის ფარგლებში მოქმედი არსებისა; მეორის დაძლევა უფრო იოლია, ვინაიდან სახელმწიფო ჩვენ გარეთ არსებული დაწესებულებაა, ჩვენგან გარეგანია, მაგრამ, რადგანაც ჩვენ მიერაა შექმნილი, ჩვენი პრეტენზიები მის მიმართ უფრო ბუნებრივია, ვიდრე საკუთარი თავის მიმართ. ყოველი ადამიანი

თავისი წარუმატებლობის მიზეზს პირველ რიგში გარეთ ეძებს. მაშინაც კი, როცა სჯერა, რომ მასში ძევს აღნიშნული მიზეზი, მაინც შეეცდება ის გარეთ დაინახოს. მხოლოდ განსაკუთრებული ეთიკისა და მართლშეგნების მქონე ადამიანებს ძალუძთ თავის თავში დაინახონ აღნიშნული მიზეზები, როცა ეს მათშია. ეს ფსიქოლოგია განაპირობებს სახელმწიფოს მუდმივ ტრანსფორმაციას და სახეცვლილებას, რაც ჩვენგან მომდინარეობს. რადგანაც სახელმწიფო ყოფილა ჩვენი მსახური, გამოდის, რომ ჩვენ მის მიმართ უფლების სუბიექტები ვართ; თუ რაიმე ვალდებულებებიც გვაკისრია, ეს ჩვენი უფლებების თანამგზავრი, თანმხლები მოვლენებია. გამოდის, რომ მე, როგორც ადამიანი, ვარ უფლების სუბიექტი, სახელმწიფო კი ჩემთან მიმართებაში — ვალდებულების სუბიექტი. ვერც მე და ვერც სახელმწიფო ვერ გადავლახავთ თავისუფლების საყოველთაო კანონს. თუ ამას სახელმწიფო გააკეთებს, ის მე დამიპირისპირდება და მაიძულებს მოვხსნა ეს დაპირისპირება ლეგიტიმური გზებით, კერძოდ, ისეთით, რაც ასევე წინააღმდეგობაში არ მოვა თავისუფლების საყოველთაო კანონთან (ასეთია: რეფორმები, იძულება, არჩევნები; კატეგორიულად გამოვრიცხავ რევოლუციებს). თავისუფლების კანონის ეს ფილოსოფია ჩვენ ჩაგვაგონებს იმ დიდ ჭეშმარიტებას, რომ ის, რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი, სტიქიური კანონების ძალით იქმნება თუ საკონონმდებლო გზით, არ შეიძლება დაუპირისპირდეს ადამიანს. პირველ რიგში ეს სახელმწიფოს ეხება.

10.08.2012

უუფლებობისადმი შეგუების ნეგატიური შედეგები (იერინგის გამო)

მე ერთ-ერთ წინა წერილში ეჭვის ქვეშ ვაყენებდი იერინგის იმ აზრს, რომ უფლებისათვის ბრძოლა ყველა ადამიანის მოვალეობაა. ცხოვრებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ არის ასეთი მოვალეობა. როცა მე ვეგუები უუფლებობას, ამით უფლების წინააღმდეგ გამოვდივარ. უფრო მეტიც, მე უარს ვამბობ ჩემს სამართალსუბიექტობაზე, ვინაიდან მე უფლების გარეშე არარა ვარ. მე ერთ შემთხვევაში უფლებას უარვყოფ მაშინ, როცა არ ვსარგებლობ სამართლით მინიჭებული შესაძლებლობით. ეს უფლების უარყოფის შედარებით რბილი ფორმაა, რადგანაც ამით მე იმავდროულად უფლების აღიარებასაც ვახდენ, ვინაიდან ვახორციელებ უფლების იმ თვისებას, რასაც შესაძლებლობა ჰქვია. რუდოლფ იერინგი ამ შემთხვევაშიც მოგვიწოდებს პატივი ვცეთ უფლებას და ვიბრძოლოთ მისთვის. თუმცა, იერინგს ის შემთხვევები აქვს მხედველობაში, როცა უფლება ჩემთვის ფასეულობაა და მე ვეგუები მის დარღვევას. ნუ შეეგუები, იბრძოლე მის დასაბრუნებლად – ასეთია იერინგის დევიზი. მე მაინც ის შემთხვევები მაქვს მხედველობაში, როდესაც ადამიანი უცხოვდება უფლების ნორმატიული განცდისგან და დაკარგული აქვს კონსტიტუციურ სარკეში მისი ხედვის უნარი. ყველაზე დაბალი განათლების ადამიანსაც კი შესწევს ძალა გააცნობიეროს და შეაფასოს იმ უფლების ხასიათი, რომელიც ახლოსაა მის პიროვნულობასთან, მატერიალურ კეთილდღეობასთან. აქ უუფლებობის განცდა მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტი იწონებს უფლებას, რომელიც სინამდვილეში არცაა უფლება. მე არ

ვამტკიცებ იმას, რომ ყველა ადამიანი ვალდებულია ომი გამოუცხადოს კანონმდებელს ამისათვის, მაგრამ საკუთარი ღირსება ავალდებულებს მოიქცეს უფლების ღირსების შესაფერისად, ვინაიდან ისინი ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. უმეტესად უფლების უარყოფის ეს შემთხვევები ფორმალურ ხასიათს ატარებს, მის მატარებელ სუბიექტებს კარგად აქვთ შეგნებული მათი ფიქტიური შინაარსი. მოკლედ, ყველა ადამიანი, რომელიც ამჟღავნებს უფლებისადმი ნიჰილიზმს, უბრძოლველობას, ხელს უწყობს საზოგადოებაში უუფლებო გარემოს ჩამოყალიბებას. სამოქალაქო საზოგადოების წევრი ვალდებულია უფლების სიცოცხლისუნარიანობაში დაინახოს საკუთარი სიცოცხლისუნარიანობა და საკუთარი ღირსება. მე, როგორც პიროვნება, უფლების წყალობით ვარ ასეთი. უუფლებობისადმი შეგუება იგივეა, ადამიანი ავადმყოფობას ეგუებოდეს. ევთანაზია უნდა გამოირიცხოს როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. სამოქალაქო საზოგადოება პასუხისმგებლობის საზოგადოებაა და ეს ნიშნავს ჩემი მხრიდან როგორც უფლების, ისე მოვალეობისადმი პატივისცემას. ადამიანს უნდა გააჩნდეს ორივეს განცდა. რა მოხდება, თუ მე მოვალეობებს უფრო მეტი პატივისცემით მოვეპყრობი, ვიდრე უფლებებს? რა თქმა უნდა, მე ამით ზიანს მივაყენებ არა მარტო ჩემს უფლებებს, არამედ სხვათა უფლებებსაც, ვინაიდან მოვალეობა, რომელსაც მე ვასრულებ, არ არსებობს უფლების გარეშე. მე მხოლოდ მაშინ შევძლებ ამ მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას, როცა მექნება უფლების განცდა და ეს განცდა იწყება არა ჩემი პარტნიორის უფლების განცდით, რაც ჩემთვის მოვალეობაა, არამედ ჩემი უფლების განცდით. სწორედ საკუთარი უფლების შეგრძნება გვხდის ჩვენ ისეთ სუბიექტებად, რომელთაც შეუძლიათ პატივი სცენ სხვათა უფლებებს და შეასრულონ შემხვედრი მოვალეობანი. ნეგატიურად რომ დავახასიათოთ ეს მიმართება, ვიკითხავთ: ვის უფრო მეტად შესწევს განიცადოს სხვისი ტკივილი? რა თქმა უნდა იმას, რომელსაც თავად გამოუცდია ის. მე თუ არ მეცოდინება უფლების სურნელი, ვერც სხვის უფლებებს ვცემ პატივს. ამიტომაც უნდა დავუჯეროთ იერინგს და ვამტკიცოთ, რომ უფლებისათვის ბრძოლას მავალდებულებს არა მარტო საზოგადოება, არამედ ჩემი თავი, რომელიც უფლების გარეშე არც არსებობს.

15.08.2012

ქმედების (ნების გამოვლენის) იძულების შესახებ

იძულება სამართლის ბუნებრივი თანამგზავრია, უფლებამოვალეობათა განხორციელების უზრუნველყოფის, დაცვის საშუალებაა. მისი მოქმედების ფარგლები დამოკიდებულია სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათზე. რეპრესიულ სამართალს ქმედების იძულება განსაზღვრავს. სამართლებრივი სიკეთის დაცვა მთლიანად იძულებას ემყარება. კერძო სამართალი ქმედების თავისუფლებაზეა დამყარებული და იძულების ელემენტები აქ ნაკლებია. სამოქალაქო ბრუნვის განვითარებამ და მასზე საზოგადო ინტერესების გავლენის ზრდამ გაზარდა იძულების ელემენტები ამ ბრუნვაში. რაც უფრო დაქვემდებარებული ხდებიან ბრუნვის მონაწილეები ერთმანეთზე, მით უფრო მატულობს ნორმატიული ნების გავლენები კერძო ურთიერთობებში. ნორმატიული ნება განსაზღვრავს იმას, რაც ადრე მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე განისაზღვრებოდა. ამ პირობებში მართალია სიკეთით „შემიძლია ვისარგებლო“, მაგრამ „უნდა ვისარგებლო“. ორივე დებულება ემყარება ერთ საძირკველს. კერძოდ, პირველ შემთხვევაში, ვისარგებლებ თუ არა სიკეთით, ამით ინტერესთა (კერძო და საზოგადო) დაზიანება არ მოხდება. თუმცა, თუ ვისარგებლებ, სამოქალაქო ბრუნვა განვითარდება და მეტი სიკეთეები გაჩნდება. მეორე შემთხვევაში, თუ აღნიშნული სიკეთით არ ვისარგებლებდი, მაშინ ამით დაზიანდება როგორც ჩემი, ისე საზოგადო ინტერესები. უნდა ვისარგებლო სიკეთით იმიტომ, რომ დავრჩე სრულფასოვან სუბიექტად და, შესაბამისად, სრულფასოვანი საზოგადოებრივი ინტერესის გარანტად.

რას ნიშნავს აქ იძულება? კერძო სამართლის მიზანია ხელი შეუწყოს ბრუნვის მონაწილეებს სიკეთეებით სარგებლობაში. ქმედების თავისუფლება ამ მიზანს ემსახურება და განსაზღვრავს მის ბუნებას. თუმცა, ქმედების თავისუფლება ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს და ინტერესის დაკმაყოფილება ვერ ხდება. თუკი ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სუბიექტს ქმედების თავისუფლება ექნებოდა, მაშინ მის ნებაზე იქნებოდა დამოკიდებული ვისთან დადებდა გარიგებას. მან გარიგება ყველასთან უნდა დადოს (სტანდარტული პირობების ფარგლებში). აქ ქმედების თავისუფლება შეზღუდულია. კონტრაჰირების იძულება იძულების სუბიექტს ართმევს თავისუფალი მოქმედების უფლებას. კერძო სამართლებრივი სიკეთე განაპირობებს ამ იძულების აუცილებლობას. კანონმდებელი ამბობს, რომ აღნიშნული სიკეთე, მაგალითად: დენი, გაზი, წყალი და ა. შ., ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. ამდენად, ყველას აქვს უფლება აიძულოს მასთან დადონ ხელშეკრულება. პარტნიორის არჩევის თავისუფლება ერთ-ერთი მხარის მხრიდან აქ არა გვაქვს. სიკეთეთა განაწილებაში ნორმატიული ნება იჭრება და ის ერთ-ერთ მხარეს ავალდებულებს დადოს ხელშეკრულება.

კიდევ უფრო ფართოა ნორმატიული ნების ასპარეზი, როცა ამ ნებით ითრგუნება ორივე მხარის ნება, მაგალითად, როგორიც იყო ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა. როგორც კომპანია, ისე ავტომობილის მფლობელი ვალდებული არიან დადონ ხელშეკრულება. შეიძლება მფლობელმა კომპანია შეარჩიოს, მაგრამ მან აუცილებლად უნდა დადოს რომელიმე კომპანიასთან ხელშეკრულება. აქაც გაჩნდება კითხვა: რატომ უნდა დავდო ხელშეკრულება? იმიტომ, რომ ავტომობილის გამოყენებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების „ლიკვიდაცია“ ყველაზე გონივრული საშუალებებით მოხდეს. გონივრულია ისეთი საშუალება, რომელიც პასუხობს როგორც დაზარალებულის, ისე ზიანის მიმყენებლის ინტერესებს, ეს კი შესაძლებელია სავალდებულო დაზღვევით. შეიძლება ნებაყოფლობითი დაზღვევაც იმავე წესებს ითვალისწინებდეს, მაგრამ ის ვერ უზრუნველყოფს ინტერესების დაცვაში წესრიგს, ვინაიდან ის დამოკიდებული იქნება

მფლობელის ქმედების თავისუფლებაზე. იქ, სადაც იდება ასეთი ხელშეკრულება, ინტერესების დაცვის ეფექტიანი გზა გვექნება, სადაც არა, იქ ნაკლებად ეფექტიანი, ვინაიდან დაზარალებული ზიანის მიმყენებელზე იქნება დამოკიდებული, ზიანის მიმყენებელი კი – დაზარალებულზე.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ სამოქალაქო ბრუნვის წესრიგი და უსაფრთხოება ის ფასეულობაა, რომლებიც განაპირობებენ სუბიექტების მიერ სიკეთეებით სარგებლობას, მათი ინტერესების დაკმაყოფილებას. ყველაზე გონივრული წესრიგი იქაა, სადაც ამ სუბიექტების არჩევანს გვერდში ამოუდგება ნორმატიული ნება და ინტერესის დაკმაყოფილების გარანტი ხდება იქ, სადაც ამას მოითხოვს როგორც კერძო პირის ინტერესები, ისე ბრუნვის უსაფრთხოება. აქ ინტერესი კიდეც ემიჯნება სუბიექტის ნებას და ნორმატიული ნების საგანი ხდება. გამიჯვნაში მხედველობაშია არა ის, რომ ინტერესი უსუბიექტოდ არსებობს, არამედ ის, რომ ამ ინტერესის დაკმაყოფილების აუცილებლობას სუბიექტი არ განსაზღვრავს. კანონმდებელი ავალდებულებს სუბიექტს, მოიქცეს გარკვეული სახით. ეს ქცევა კი ყველა შემთხვევაში ხელშეკრულების სახით ფორმდება.

ეს გარემოებანი ბადებს კითხვას: ხომ არ გადავლახეთ კერძო სამართლის სადემარკაციო ხაზი და შევიჭერით საჯარო სამართლის სივრცეში? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არ მომხდარა. მოხდა მხოლოდ ხელშეკრულების თავისუფლებიდან გასვლა. საჯარო სამართალი იქაა, სადაც სამართლებრივი ურთიერთობის ერთი მონაწილე დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაშია მეორესთან; როცა ერთი ცენტრიდან გამოსული ნება სავალდებულოა მეორისათვის, მოკლედ, სადაც ე.წ. ვერტიკალური ურთიერთობანია. სავალდებულო დაზღვევის ვითარებაში სახეზეა ჰორიზონტალური ურთიერთობა და სადაზღვევო კომპანია არ წარმოადგენს იმ სუბიექტს, რომელიც აიძულებდეს მფლობელს. ორივე მხარე აბსოლუტურად თანასწორი სუბიექტებია და არც ერთი არ განაპირობებს ხელშეკრულებაში შესვლას. ორივე მხარე წარმოადგენს ნორმატიული ნებით შებოჭილ, შეკავშირებულ სუბიექტს. აქ არაა საჯარო სამართალი, ვინაიდან, ხელშეკრულების შინაარსი მთლიანად კერძოსამართლებრივია.

კერძო ინტერესის დაკმაყოფილება ხდება ასევე კერძო ინტერესის მატარებელი სუბიექტების მიერ. სხვა სიტყვებით, ორივე მხარე კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია. სიკეთის შინაარსი და სუბიექტის არსი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს ქმნის, ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ მის სახეს წარმოადგენს.

20.08.2012

სამართლის მიმართება სამართლიანობასთან

არ მიმაჩნია სწორად, როცა თანამედროვე პრეცედენტები სამართალს უპირისპირებენ სამართლიანობას. მათი მტკიცებით, მართალია, სამართალი ისტორიულად სამართლიანობას ეფუძნებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ შინაარსობრივ იგივეობას. სამართალი ზოგჯერ ემიჯნება და უპირისპირდება სამართლიანობას. მართლმსაჯულების სასწორი ზოგჯერ სამართლის სასარგებლოდ იხრება და სამართლიანობა ითრგუნება. პრეცედენტების თანახმად, ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა სამართლით დაცული სიკეთე აღემატება სამართლიანობის მეურვეობის ქვეშ მყოფ სიკეთეს. მართალია, ეს უკანასკნელი სიკეთე, ცალკე აღებული, ინდივიდუალიზებულად უარყოფილია, მაგრამ ის დაცულია საზოგადოდ სამართლით დაცული სიკეთის საფუძველზე. ეს ერთგვარი უკიდურესი აუცილებლობის ანალოგიური მოვლენაა. როცა გემის ჩაძირვის საფრთხის გამო ტვირთის ნაწილს ზღვაში ყრიან, ამით ხდება როგორც გემის, ისე დარჩენილი ტვირთის გადარჩენა. სამართლის ენაზე თუ გადავიტანთ ამ მაგალითს, სამართალსა და სამართლიანობას შორის კონფლიქტს მაშინ აქვს ადგილი, როცა სამართალი უარყოფს სამართლიანობის ერთეულ შემთხვევას და არა საერთოდ სამართლიანობას. პირველ შემთხვევაში სამართალი ისევ სამართლიანობის სამსახურისათვის აკეთებს ამას. მაგალითად, სამართლებრივი უსაფრთხოება რომ შეინარჩუნო, ერთეული სამართლიანობა უნდა უარყო. ეს შემთხვევა, უხეშად რომ ვთქვათ, ჰგავს სამართლიანობისათვის მსხვერპლშეწირვას. მსხვერპლისთვის ეს ვერ

იქნება სამართლიანი. სამოქალაქო საზოგადოებაში, რელიგიურისგან განსხვავებით, მსხვერპლი ამას ვერ გააცნობიერებს და არც არსებობს ამისი ზნეობრივი ვალდებულება. არც ერთი დამნაშავე არ იქნება მზად სასჯელი მიიღოს მარტოოდენ იმისათვის, რომ სხვებს დაეკარგოს დანაშაულის ჩადენის სურვილი. მან შეიძლება სასჯელი მიიღოს კიდეც, ოღონდ იმის შეგნებით, რომ ცოდვები მოინანიოს. მაგრამ სასჯელის ერთ-ერთი დანიშნულება ზოგადი პრევენციაცაა. გავიხსენოთ სხვა შემთხვევა, როცა დაუდევრობისათვის დგება სასჯელი. თუკი დაუდევრობა ადამიანის ხასიათის, ბუნების იმანენტური თვისებაა, ვთქვათ, გულმავიწყობა, ამით გამოწვეული შედეგისათვის მისი დასჯა არ იქნება სამართლიანი, მაგრამ ის გამართლებულია სისხლის სამართლის პოლიტიკით.

20.08.2012

ჩემი შენთან ურთიერთობა, როგორც თქვენთან ურთიერთობა და, პირიქით, ჩემი თქვენთან ურთიერთობა, როგორც შენთან ურთიერთობა

როგორც უფლების სუბიექტი, ვარსებობ შენთან და თქვენთან ურთიერთობაში. როცა კონკრეტულ ადამიანთან ვამყარებ ურთიერთობას, მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაში აღვიქვამ მე ამ ადამიანს. თუ მე მასში დავინახავ მარტოსულ რობინზონს, ამით მე გავემიჯნები საზოგადოებას და აღარ მექნება ლეგიტიმური ინტერესი საზოგადოების იმ მსუსხავი ძალის მიმართ, რომლის ჰიპნოზური გავლენის ქვეშ იმყოფება სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერი წევრი. ასეთ საზოგადოებაში სამართლის ნებისმიერი სუბიექტი აღიქმება როგორც მისი ორგანული ნაწილი. მაშასადამე, მე ყოველ კონკრეტულ სუბიექტში სამოქალაქო საზოგადოების წევრს უნდა ვხედავდე და, შესაბამისად, ჩემი პარტნიორებიც ასე უნდა აცნობიერებდნენ საკუთარ თავს. მაშასადამე, უფლების სუბიექტი საზოგადოებისაგან გამიჯნული საზოგადოების წევრია. ამ ხედვის პოზიტიური შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ, მე თუ დავუპირისპირდები კონკრეტულ პიროვნებას, ამით ირიბად მთელ საზოგადოებას ვუპირისპირდები. კონკრეტული პირის უფლების უარყოფით მე ირიბად ყველას უფლებას უარვყოფ და ვუპირისპირდები სამართალს, რომელიც მოცემული საზოგადოების მიერაა დადგენილი. ასეთი დამოკიდებულება მე მავალდებულებს პატივი ვცე ცალკეული ადამიანის უფლებებს, ვინაიდან, ვიმეორებ, მის უკან დგას მთელი საზოგადოება. ასეთი ხედვა

განსაკუთრებით ეფექტიანია, როცა ადგილი აქვს ხელისუფლების ურთიერთობას კონკრეტულ ადამიანებთან. ანალოგიურად შეიძლება შევაფასოთ ჩემი დამოკიდებულება თქვენთან, ე.ი. საზოგადოებასთან. საზოგადოება კონკრეტული პიროვნებებისგან შედგება, მათგან განყენებულად არც არსებობს. ამდენად, ეს არ არის რაღაც ამორფული უსულო ობიექტი. როცა მე მთელ საზოგადოებას ვესაუბრები და ვპირდები უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამით მე ველაპარაკები ყოველ კონკრეტულ ადამიანს და არა რაიმე „უსუბიექტო“ არსებას. ამიტომაც ვამბობ, რომ მე თქვენთან ურთიერთობაში ვარსებობ და თქვენ კონკრეტული ადამიანები ხართ. ამ ხედვის დადებითი მხარე ის არის, რომ ვიბოჭები კონკრეტული ადამიანების წინაშე აღებული ვალდებულებით. თუ მე არ შევასრულებ თქვენ წინაშე ნაკისრ ვალდებულებას, ე.ი. მე არ ვასრულებ შენ წინაშე ნაკისრ ვალდებულებას. ყოველივე ეს იმიტომ მოვაყოლე, რომ ყველა ის ადამიანი, რომელიც შეეცდება ვინმეს უფლებები დაარღვიოს, ის ამ ვინმეში არ უნდა ხედავდეს საზოგადოებისგან უმეურვეოდ დატოვებულ სუბიექტს, რომელსაც შეიძლება „უფლებრივ ორთაბრძოლაში“ აკრძალული გზებით მოერიო. ასევე მას, ვინც საზოგადოების წინაშე კისრულობს რაიმე ვალდებულებას, არ უნდა გაუჩნდეს იმის ილუზია, რომ ეს ვალდებულება არ უკისრია კონკრეტული პიროვნების მიმართ და ამიტომ შეუძლია ის არ შეასრულოს. მაშასადამე, როგორი მდგომარეობაც არ უნდა გაგვაჩნდეს, ყველგან უფლებრივი ჩარხი კონკრეტული ადამიანის გარშემო ტრიალებს. ამიტომაც ვამტკიცებ რომ, ის, რაც ადამიანის გარეთაა ნატურალური თუ ფიქტიური ფორმით, სიკეთეებს განეკუთვნებიან იმდენად, რამდენადაც ემსახურებიან ადამიანს.

25.08.2012

სამართლებრივი პოზიტივიზმი

სამართალი არა მარტო ამკვიდრებს წესრიგს, როგორც საზოგადოების არსებობის აუცილებელ პირობას, არამედ თვითონ მისი არსებობაც წესრიგზეა დამოკიდებული. სამართლის შინაგანი წესრიგი განაპირობებს იმ გარეგან წესრიგს, რომლის მიღწევაცაა მისი მიზანი. ეს კი შესაძლებელია ისეთი სამართლის პირობებში, რომელსაც დასრულებული სახე და სტაბილური გამომეტყველება აქვს. ასეთი სამართალი პოზიტიური სამართალია. აქ ჩნდება კითხვა, თუ რა განაპირობებს სამართლებრივი პოზიტივიზმის წესრიგით შემოფარგვლას. ესაა იმისი უზრუნველყოფა, რისკენაცაა მოწოდებული თავად სამართალი. ესაა წესრიგი, კერძოდ კი სიკეთეთა წესრიგი. სიკეთე ამ წესრიგის ელემენტია. ის შეიძლება შევადაროთ მცენარის ნაყოფს, რომელიც მით უფრო სარგებლიანია, რაც უფრო ჯანმრთელია თავად მცენარე. პოზიტიური სამართლის ორგანიზმი ნაკლებად ექვემდებარება იმ გარემოს ცვლილებას, რომელშიც ის არსებობს.

29.08.2012

რამდენად შესაძლებელია სანივთო უფლება იყოს სხვებთან თანამფლობელობაში (კანტის მოსაზრებასთან დაკავშირებით)

ნივთზე უფლება, კანტის აზრით, ესაა ამ ნივთის ნებისმიერ მფლობელთან ურთიერთობა. სხვაგვარად, ესაა ნივთის კერძო სარგებლობა, რომელსაც მე ვფლობ ყველა დანარჩენთან ერთად. ამ დეფინიციაში გარკვეულ კითხვებს ბადებს სხვებთან ერთად მფლობელობის შესაძლებლობა. ასეთ ვითარებაში ნივთზე უფლება არ ყოფილა მხოლოდ ჩემი უფლება (თუ მას სხვები – ყველანი ფლობენ). ყველას მფლობელობა მფლობელობის ნამდვილი შინაარსით შეუძლებელიცაა. შეუძლებელია ყველას ერთობლივი ძალაუფლება ისე, რომ ეს ყველა წარმოადგენდეს კერძო ურთიერთობის სუბიექტს. თუმცა, კანტი არ ტოვებს ამ საკითხს ახსნის გარეშე. აბსოლუტური უფლების შინაარსით ცდილობს მის ახსნას ისე, რომ არც კი ახსენებს ამ ტერმინს. მხედველობაშია პირის უფლება, გამორიცხოს ყველა დანარჩენი ნივთის სარგებლობისაგან თავშეკავების ვალდებულებით. ეს უფლება სანივთო უფლების სუბიექტს არ წარმოეშობა, თუკი არ დავუშვებთ ყველასთან ერთად მფლობელობას. როცა მე არ ვფლობ ნივთს, სხვების მხრიდან ჩემი უფლების შელახვა მაშინ მოხდება, როცა სხვები ფლობენ მას და სარგებლობენ. ცალმხრივი თავნებობით ჩვენ ვერავის ვაიძულებთ არ ისარგებლონ ნივთით. საამისოდ საჭიროა ერთობლივი (გაერთიანებული) თავნებობა ყველა მფლობელისა. – კანტის ფორმულა ყველა დანარჩენთან ერთად მფლობელობისა მე მაგონებს რობინზონის მაგალითს. მას არ გააჩნდა უფლება, ვინაიდან შეუძლებელი იყო იმ ნივთების სხვების მხრიდან მფლო-

ბელობა, რომელსაც ფლობდა რობინზონი. შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ არ არსებობდნენ სხვები. მაშასადამე, ჩემი თავნებობის აქტმა ნივთთან მიმართებით უფლების სახე რომ მიიღოს, საჭიროა სხვათა მხრიდან თავნებობის შესაძლებლობა. აქ არ უნდა დავიბნეთ. ძალაუფლება ნივთის მიმართ მხოლოდ შესაძლებლობაა, როგორც სანივთო უფლების მატარებლის, ისე ყველა დანარჩენთა. აქ განსხვავება ძალაუფლების ხასიათშია, კერძოდ, პოზიტიური შინაარსის იქნება ის თუ ნეგატიური. ყველა დანარჩენთა მხრიდან მფლობელობაში ნეგატიური ძალაუფლება ვლინდება. მათგან გამომდინარე საფრთხე, რაც დაკავშირებულია ნივთის მფლობელობასთან, იწვევს ჩემი ძალაუფლების უფლების სახით ლეგიტიმაციას. არ არსებობს უფლება, არ არსებობს მის მიმართ საფრთხე. ის, რისი დარღვევის შესაძლებლობა გამორიცხულია, არ შეიძლება იყოს უფლება. ჩემი მფლობელობა ნივთზე უფლების სახეს მხოლოდ მაშინ იღებს, როცა მას თან შეიძლება ახლდეს ყველა დანარჩენთა მხრიდან მფლობელობაც, ე.ი. ძალაუფლების განხორციელების შესაძლებლობა. აქ მნიშვნელობა არა აქვს ძალაუფლების ხასიათს, თუმცა ამ შემთხვევაში არალეგიტიმური ძალაუფლებაა მხედველობაში. იკითხავთ, ეს რამდენადაა შესაძლებელი. შესაძლებელია, ფაქტობრივი მფლობელობაა ასეთი შინაარსის. ჩვენი მსჯელობიდან გამოდის, რომ ყველა დანარჩენს მაშინ „ხელეწიფება“ მომაყენოს ზიანი, როცა მათ „ხელეწიფებათ“ არ მომაყენონ ზიანი. ეს კი უფლების პოზიტიური აღიარებაა. პირველი კი მისი ნეგატიური აღიარებაა. ვფიქრობ, კანტის მსჯელობა ამას უნდა გულისხმობდეს. უფლება მანამ არსებობს, სანამ ყველა დანარჩენი ამ უფლების ლეგიტიმურობაში გვეხმარება, ჯერ ერთი, იმით, რომ ისინი ცნობენ ჩვენს უფლებას და, მეორე, იმით, რომ მათ „შეუძლიათ“ დაარღვიონ ის. ცნობა და დარღვევა ყველა დანარჩენის მხრიდან მაშინაა შესაძლებელი, როცა შესაძლებელია ჩემი ნივთის მფლობელობა (ცხადია, ნეგატიური გაგებით). მოკლედ, თავის შეკავება ევალებათ მათ, ვისაც აქვს უნარი არ შეასრულოს ეს ვალდებულება. ეს კი მაშინ ხდება, როცა მათ შეუძლიათ სხვისი ნივთით მფლობელობა. მოკლედ, კანტს აღნიშნულ შემთხვევაში არა აქვს მხედველობაში სხვათა, ე.ი. ყველას, მხრიდან მფლობელობა, რომელიც უფლებაზეა აღმოცენებული და, მაშასადამე, ის თანამფლობელობაა.

31.01.2012

სანივთო უფლების აბსოლუტურობა

აბსოლუტურობა საგნის ყოვლისმომცველობაა. აბსოლუტურია უფლება, რომელიც ყველას მიმართ მოქმედებს. სუბიექტის ძალაუფლებას უპირისპირდება ყველა. ეს ისეთი ვალდებულებაა, რომლის შესრულებაც ყველას შეუძლია ერთდროულად, ვინაიდან ის მხოლოდ თავშეკავების ვალდებულებაა და არა რაიმე პოზიტიური ქმედების განხორციელება. ესაა უფლების აღიარების გამოხატულება. მე თქვენს საკუთრებას არ ხელვყოფ იმიტომ, რომ არა მარტო ვაღიარებ თქვენს უფლებას, არამედ პატივსაც ვცემ. ქურდიც აღიარებს მესაკუთრის უფლებას ქონებაზე, მაგრამ არ სცემს პატივს, ვინაიდან იპარავს მას. მაშასადამე, უფლებისადმი პატივისცემაში ვლინდება ამ უფლების გარანტია. აბსოლუტური უფლება ასეთ დამოკიდებულებაში პოულობს გამოხატულებას. საკუთრების უფლება ამისი მაგალითია. მესაკუთრესა და ნივთს შორის არსებული ურთიერთობა ვერ განხორციელდება, თუ არ არსებობს ამ ურთიერთობისადმი ყველას პატივისცემა. აქ მოქმედებს ცნობილი პრინციპი – „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“. სხვა სიტყვებით, ყველა ყველას წინაშეა ვალდებული. მაშასადამე, ყველა ყველას წინაშეა უფლებამოსილი. საკუთრების სანივთო უფლების რეალიზაცია შესაძლებელია სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის დონეზე. პატივისცემას ექვემდებარება საკუთრების როგორც სუბსტანცია, ისე მისი შინაარსი. აქ არ ჩანს სანივთო ურთიერთობის ფარგლებში ყველასგან გამოყოფილი რომელიმე ინდივიდუალური სუბიექტი. უფლებისადმი პატივისცემა მხოლოდ

ყველას შეუძლია ერთად. ვიდრე მე ვფლობ საკუთრებას მშვიდობიანად, გამოდის, რომ ყველა ასრულებს ამ ვალდებულებას. მისი შეუსრულებლობა კი შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული სუბიექტების მხრიდან და არა ყველას მიერ ერთად.

მაგრამ, არის ისეთი სანივთო უფლებები, რომლებიც არსებობენ როგორც რელატიური, ისე აბსოლუტური ურთიერთობის ფარგლებში. რელატიურობა აქ უფლების დამფუძნებელია. აღნაგობის, გირავნობის და სხვა სანივთო უფლებების შინაარსი რელატიური ურთიერთობის საფუძველზე იქმნება. როგორც საკუთრების დაფუძნების გზებია მისი შეძენის გზები, აქაც სხვა სანივთო უფლებებიც შესაბამისი გზებით ფუძნდება. ამიტომაც, არ იქნება სწორი უფლების წარმოშობის საფუძველი გავაიგივოთ ამ უფლებასთან. არ არსებობს არც ერთი კერძო სამართლებრივი კონკრეტული უფლება, რომელიც სუბიექტებს შორის ურთიერთობის გარეშე ჩნდებოდეს. სხვა საქმეა, შემდგომ ამ უფლების შინაარსი. წარმოშობის შემდეგ ამ უფლებათა პოზიტიური შინაარსის თავმოყრა ხდება იმ სიკეთეებში, რომლებიც ხდებიან მისი მატარებლები. მესაკუთრისთვის არსებითია ნივთთან დაკავშირებული უფლებამოსილების ფარგლები. ამიტომაცაა, რომ საკუთრების უფლება მაშინაცაა, როცა ის მესაკუთრეს არაფერს აძლევს და „გაყინულ“ მდგომარეობაშია. აღნაგობის ვითარებაშიც მეაღნაგისათვის მნიშვნელოვანია არა იმდენად მესაკუთრესთან ურთიერთობა, რამდენადაც ნივთთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი.

ვიკითხავთ, როგორაა აღნაგობის უფლება აბსოლუტური? მეაღნაგის წინაშე ნეგატიურად ყველა ვალდებულია, ვინაიდან საკუთრებისგან გამიჯვნის შემდეგ, როგორც იუსტინიანე ამბობდა, ნივთი ხდება უფლების მატარებელი.

12.02.2012

ნივთზე მიბმული უფლების შესახებ

რამდენად შესაძლებელია კერძო უფლების მატარებელი იყოს ნივთი? ასეთი ხომ მხოლოდ ადამიანია, მაგრამ, წარმოგიდგენიათ სინამდვილე ადამიანებისა და ნივთების ურთიერთობის გარეშე? არ არსებობს ადამიანი ნივთიერი სიკეთეების გარეშე. ნივთები კი შესაძლებელია – უადამიანოდ. როცა ვლაპარაკობთ ნივთზე, როგორც უფლების მატარებელზე, ცხადია, მის უკან ყოველთვის ადამიანი იგულისხმება. მაგრამ, ესაა ზოგადად ადამიანი, როგორც განმაპირობებელი ამ კავშირისა. როცა ნივთი რომელიმე კონკრეტულ პირს ეკუთვნის, აქ პირის უფლებები იმიჯნება ნივთზე მიბმული უფლებებისაგან. მაგალითად, წარმოვიდგინოთ აღნაგობის უფლება. აქ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან უფლება, რომელიც ნივთმა შეიძინა ჩვენი ნებით და უფლება, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია ამ უფლებაზე. ბრუნვას განიცდის ნივთი უფლებებთან ერთად და არა ამ ნივთებზე კონკრეტული პირის უფლება. ამას ცივილისტები უფლების ნივთზე მიდევნებას ეძახიან.

რაც შეეხება არასანივთო ურთიერთობებს, რასაც ჩვენ რელატიურსაც ვუწოდებთ, აქ უფლებათა ერთსაფეხურიანი სისტემა გვაქვს. აქ ნივთი არ ხდება უფლების მატარებელი. ასეთია მხოლოდ ამ ნივთის (უფრო ზუსტად, სიკეთის) მფლობელი. უფლება მხოლოდ სუბიექტისაა. საკმარისია სუბიექტი გამოვიდეს ბრუნვის სივრციდან, რომ ახალ სუბიექტს ხელმეორედ მოუწევს მისი შეძენა. უფლება ქრება. მაგალითად, როცა განათხოვრებულ ნივთს ახალი მესაკუთრე უჩნდება, მასზე ავტომატურად

არ გადადის ძველი მესაკუთრის ვალდებულებები და უფლებები ნათხოვრობასთან დაკავშირებით. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ ტენდენციების შესახებ, რასაც ნივთზე მიდევნებული უფლებების ზრდის ტენდენცია ჰქვია. მოკლედ, მდგომარეობა ასეთია: უფლებები შორდებიან პირებს და ნივთებს ეკვრიან. ქირავნობა და იჯარა ამისი კარგი მაგალითია. ერთი შეხედვით, აბსურდულია ნივთი იყოს უფლების მატარებელი, მაგრამ, როგორც ვთქვით, ყოველთვის პირი იგულისხმება მის უკან. რა უნდა განაპირობებდეს ამ, მართლაც, უცნაურ მდგომარეობას? ალბათ ის, რომ ბრუნვის კონკრეტული მონაწილის ნება შებოჭილი იყოს ბრუნვის ყველა მონაწილის ნებით. ბრუნვის ფილოსოფია უნდა განსაზღვროს ყველამ და არა მისმა კონკრეტულმა მონაწილემ. ამიტომაცაა, რომ ნივთზე მიბმული უფლების უკან თითოეული ჩვენგანის აჩრდილია.

მგონი კარგად ვერ ავხსენი, მაგრამ უეჭველად ვგრძნობ, რასაც ასე დახლართულად გადმოვცემ. მხოლოდ იმიტომ გავაორე სანივთო უფლება, რომ მასში დამენახა მიდევნებითი უფლება. თუ ეს უფლება მთლიანად ჩემთან იქნებოდა დაკავშირებული, მიდევნება არ მოხერხდებოდა; როცა ნივთთანაა დაკავშირებული, მაშინ შესაძლებელია.

17.02.2012

უფლებისა და სუბიექტის კავშირურთიერთობა

არ არსებობს უფლება სუბიექტის გარეშე და სუბიექტი უფლების გარეშე. უფლება სუბიექტის თვისებაა, სუბიექტი კი – უფლების ქმნილება. სუბიექტად ქცევა არ საჭიროებს რეალურ უფლებებს. უფლების შეძენის შესაძლებლობა ქმნის სუბიექტს. შეუძლებელია, რომ სუბიექტი მატარებელი იყოს ყველა იმ უფლებისა, რომელიც მას შესაძლებლობაში აქვს მოცემული. შეიძლება კონკრეტულ პირობებში მე არ გამაჩნდეს ესა თუ ის უფლება, მაგრამ ეს საეჭვოს არ ხდის ჩემს სუბიექტობას, ვინაიდან სუბიექტობა სტატიკური მდგომარეობაა შესაძლო უფლებების ფორმაში, რომლის დინამიკა კონკრეტული უფლების შეძენაში ვლინდება. ამდენად, კონკრეტული უფლებრივი მდგომარეობა, – ეს მოქმედებაა, სუბიექტის მოძრაობაა. უძრაობა არ აუქმებს სუბიექტობას, ვინაიდან ის არ უარყოფს მოძრაობის შესაძლებლობას. ამიტომაც საეჭვოდ მიმაჩნია, როცა ცალკეული კერძო ურთიერთობის მიმართ ამბობენ, რომ პირი არ არის მისი სუბიექტი. ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ პირი, როგორც სუბიექტი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის უფლების მატარებელი. პირთა სუბიექტობის არსის განმსაზღვრელად თუ მივიჩნევთ მის უფლებრივ სისრულეს, მაშინ ვერასდროს შევძლებთ სუბიექტის დასრულებული სახის შექმნას. ამ გზით ჩვენ წავალთ სუბიექტისა და მისი უფლებების გაიგივებისაკენ. შეიძლება, ერთი და იგივე იყოს მცენარე და მისი ნაყოფი? სუბიექტი მცენარეა, ნაყოფი კი – უფლებები, მცენარე უცვლელია, ნაყოფის მოსავლიანობა კი – ცვალებადი. შეიძლება, ვაშლის ხე არ ჩავთვალოთ

ვაშლის ხედ, როცა ნაყოფი საერთოდ არ ასხია? მაგრამ, ხომ არსებობს ნაყოფის გამოღების, ნაყოფის მოსხმის შესაძლებლობა? თუკი ეს შესაძლებლობა ვერასოდეს ვერ იქცევა სინამდვილედ, მაშინ ის არც ვაშლის ხე იქნება.

სუბიექტი არ არსებობს ნების მომენტის გარეშე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ნება აუცილებლად კონკრეტული პირის თვისება უნდა იყოს. აბსოლუტურად ავტონომიური ნების სუბიექტი არ არსებობს. როგორი განვითარებულიც არ უნდა იყოს ადამიანი, მას აუცილებლად სჭირდება სხვათა ნებისმიერი ბიძგი, უფლებების რეალიზაცია რომ მოახდინოს. ქმედუუნაროებში ეს მომენტი გადამწყვეტია – მათ არ გააჩნიათ სამართლებრივად ანგარიშგასაწევი ნება, მაგრამ მათ აქვთ ადამიანური მოთხოვნილებანი, რაც სამართლის სუბიექტის უფლებებთანაა დაკავშირებული. მაშასადამე, მოთხოვნილება, ინტერესი შობს უფლებას და არა – ამ მოთხოვნილებათა სამართლებრივად გაცნობიერებული ნება. ჩვენ ყველანი გავდივართ ქმედუუნარობის ეტაპს, მაგრამ ყველანი ვართ სუბიექტები, იმიტომ, რომ ჩვენ გვერდით არიან ქმედუნარიანი პირები. ამ პოზიციიდან ამტკიცებდა გიორგი ნანეიშვილი, რომ სუბიექტის თვისებაა როგორც უფლებაუნარიანობა, ისე ქმედუნარიანობა. ცალკეული ცივილისტები ახლაც ამ აზრით ამტკიცებენ, რომ მცირეწლოვნის ქმედუუნარობის შევსება მეურვეების ქმედუნარიანობით ხდება.

15.08.2012

კვლავ რობინზონის „უფლებრივი მდგომარეობის“ შესახებ

ბევრჯერ დაუსვამთ ასეთი კითხვა: იყო თუ არა რობინზონი უფლების სუბიექტი, გააჩნდა კი მას საკუთრების უფლება იმ ქონებაზე, რომელიც ზღვამ გამორიყა ნაპირზე? რობინზონი ამ ნივთების მიმართ ფაქტობრივად მესაკუთრის ყველა იმ უფლებამოსილებას ახორციელებს, რასაც ჩვენ საკუთრების პოზიტიურ ნაწილს ვუწოდებთ. კერძოდ, იგი ფლობს და საკუთარი ძალაუფლებით იყენებს ნივთებს, შეუძლია გაანადგუროს ისინი საკუთარი სურვილისამებრ, თუმცა, რობინზონის მფლობელობა არც მფლობელობა და არც სარგებლობაა, სამართლებრივი გაგებით. კანტი ამტკიცებდა, რომ ჩემი მფლობელობა მაშინაა, როცა შესაძლებელია ნივთის სხვებთან ერთად თანამფლობელობა. სადაა ეს თანამფლობელობა? – არსად, ვინაიდან რობინზონს არ უპირისპირდება თანამფლობელობის სამართლებრივი უნარის მქონე სუბიექტი, ველური ასეთად ვერ ჩაითვლება. მაშასადამე, რობინზონი არც საკუთარი ძალაუფლებით ფლობს, ვინაიდან საკუთარი ძალაუფლება მაშინაა, როცა არსებობს სხვისი ძალაუფლება. ასეთად ველურის ძალაუფლება ვერ ჩაითვლება. არ არსებობს დაპირისპირების, მიმართების სუბიექტი. არც საკუთარი სურვილისამებრ ნივთით სარგებლობაა რაიმეს მთქმელი, ვინაიდან ეს ფაქტიც სხვებთან მიმართებით ლეგიტიმური ძალაუფლების დემონსტრაცია უნდა იყოს. ველურებთან მიმართებით ამას ადგილი ვერ ექნება. შეიძლება ვცდებით, ველურებთან მიმართებით რომ ვაკეთებთ აქცენტს, მაგრამ, სამაგალითოდ ეს

ფაქტები მხოლოდ იმიტომ მომყავს, რომ რობინზონი ველურების გარემოცვაში ცხოვრობდა. სამართლებრივი აზრით, ასეთი ცხოვრება არაფრით არ განსხვავდება იმ ადამიანებთან „თანაცხოვრებისგან", რომელთაც რობინზონი დაშორდა კუნძულზე გამორიყვის გამო. იგივე შეუძლია გააკეთოს ნებისმიერმა ცხოველმაც, იმ განსხვავებით, რომ რობინზონი ამას შეგნებული, ცნობიერი მოქმედებით აკეთებს. კიდევ, სხვა რა უნდა აკლდეს მის მოქმედებას, უფლებრივ მოქმედებად რომ ჩაითვალოს? ასეთია ნივთის გასხვისება, რასაც მოკლებულია რობინზონი. იგი მოკლებულია ამას იმიტომ, რომ მის მეტი კუნძულზე არავინაა, რომლებთან მიმართებითაც განახორციელებდა ამას.

ესე იგი, არ არის საზოგადოება, რომელიც, თუნდაც, რამდენიმე ადამიანის სახით იქნებოდა წარმოდგენილი. ამიტომაც, ასეთ შემთხვევაში საკუთრების მთელი პოზიტიური შინაარსი და არამარტო გასხვისება, რობინზონის ხელში არარსებულია, მაშასადამე, რობინზონს არ გააჩნია უფლება. მაინც, რატომ? იმიტომ, რომ უფლება ის არის, რაც სხვებთან მიმართებით ცნობიერდება და სხვების აღიარებითაა ლეგიტიმური. მე იმიტომ ვარ მესაკუთრე, რომ ამას თქვენ აღიარებთ. ის, რომ შეიძლება დამირღვიოთ ეს უფლება, ესეც მისი აღიარების ერთი მხარეა. ამრიგად, საკუთრების დარღვევის შესაძლებლობა მისი აღიარების გამოხატულებაცაა. რობინზონს საფრთხე ემუქრებოდა მხოლოდ ველურებისაგან. ეს საფრთხე ვერ იქნება ვერც აღიარება და ვერც – უარყოფა, ვინაიდან ველურები ვერ ჩაითვლებიან ისეთ არსებებად, რომლებთან მიმართებითაც ჩნდება უფლება. აუცილებელია, შენც უფლების სუბიექტი იყო, ჩემი უფლების აღიარება რომ მოხდეს.

მაგრამ, შეიცვალა კი მდგომარეობა პარასკევას გამოჩენის შემდგომ? ვფიქრობ, რომ მან გარკვეული მეტამორფოზა განიცადა, მაგრამ მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ რობინზონმა ასწავლა პარასკევას ზოგიერთი ისეთი ქცევა, რომელიც უფლებისათვისაა დამახასიათებლი. მაგალითად, ის, რომ იგი არ უნდა დაუფლებოდა რობინზონის ნივთებს. უხეში შედარებაა, მაგრამ კარგად გაწვრთნილ ცხოველშიც შეიძლება ამის შთანერგვა. პარასკევა ვერ გამოდგება იმ საპირწონედ, რაც რობინზონის ქცევას უფლებრივ ქცევად

აქცევს. როცა ვამბობთ, რომ უფლება მიმართებებით ყალიბდება, აუცილებელია, მიმართების სუბიექტი სრულფასოვნად აცნობიერებდეს ამას. რობინზონს თავიდანვე ჰქონდა ამის უნარი. პარასკევა, მართალია, იძენს მას, მაგრამ ჯერ არ არის ის პირი, რომელსაც შეგნებული აქვს ამ ურთიერთობის აუცილებლობა და შინაარსი. რობინზონი და პარასკევა სამართლებრივი ურთიერთობისათვის სრულიად გაუცხოებული მხარეებია. შეიძლება, ვამტკიცოთ და ვასაბუთოთ ჩვენი უფლებრივი არსობა ქმედუუნარო პირებთან მიმართებით? ცხადია, არა. ნებისმიერ შემთხვევაში მიმართების სუბიექტი უნდა იყოს ამ მიმართების უნარის მქონე. ურთიერთობის მხარეს ამ ურთიერთობაში შესვლა უნდა შეეძლოს და აწონასწორებდეს მას. პარასკევა გაწონასწორებული იქნებოდა კარიბელებთან, თავისი ტომის წევრებთან მიმართებით, სადაც სამართალი მხოლოდ პრიმიტიულ დონეზე იყო. პარასკევა ამ შემთხვევაში ურთიერთობის ობიექტი უფროა, ვიდრე სუბიექტი. მონა არ ითვლებოდა სუბიექტად და, მით უფრო, პარასკევა ვერ იქნებოდა ასეთი, თუმცა პარასკევას ქცევაში ჩანს უფლებისაკენ სწრაფვის ანარეკლი, რაც შეიძლება ერთ დროს ქცეულიყო უფლებად. რობინზონი ცდილობს, შექმნას სუბიექტი, თვითონაც სუბიექტად რომ იგრძნოს თავი.

18.08.2012

პოზიტიური სამართლის მოქმედების ფარგლების ანუ მოწესრიგებული ადამიანისა და მიმტევებელი სახელმწიფოს შესახებ[1]

1. სამართლის მოქმედების ფარგლების უსაზღვროდ გაფართოება ისევე საშიშია, როგორც მისი მოქმედების უზომოდ შევიწროება. არც სამართლის უქონლობა ვარგა და არც ყველაფრის „გასამართლება". როცა ადგილი აქვს სამართლის ნაკლებობას, შესაბამისად, ურთიერთობანიც მოუწესრიგებელია. უწესრიგო სამოქალაქო ცხოვრება შობს უწესრიგო ადამიანს. უწესრიგო ადამიანი კი თავისუფლებადაკარგული ადამიანია. მისი ნება არ არის სამართლებრივი დაცვის ობიექტი. ეს ნება, პირდაპირი გაგებით, არცაა ნება. ის ბუნებრივი თავნებობის გამოვლინებაა. თავნებობის საფუძველი კი სამართლის უქონლობაა. თავისუფალი ნება იქაა, სადაც სამართალია. ნების თავნებობის პირობებში კი თავად პიროვნულ უნარიანობაზეა დამოკიდებული ამ ნების წარმატება. როგორც ნება, ისე ამ ნების დაცვის მექანიზმი პიროვნების ხელშია. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ფუნქციურად უცხოვდება, ეთიშება სამოქალაქო ცხოვრებას, როგორც ძალაუფლების სუბიექტი, რასაც შედეგად მოსდევს ანარქია. სამართლის ნაკლებობის დროს არ არსებობს სამართლისადმი სანდოობა. ადამიანი თავის თავს ავლენს ისეთი ბუნებრივი თავისუფლებით, რაც მისთვის თავისუფლების შეზღ-

---

[1] პირველად გამოქვეყნდა: თსუ იურიდიული ფაკ-ის სამართლის ჟურნალი, №2, თბ., 2011, 273-283. წინამდებარე გამოცემაში შეტანილია მცირე რედაქციული ცვლილებები.

უდვაა. თავისუფლება იქ კი არაა, სადაც ადამიანების ნებათა დაპირისპირებაა, არამედ იქაა, სადაც მათ შორის მშვიდობა და სოლიდარობაა. ნაკლები სამართალი აუცილებლად წარმოშობს ამ პრობლემას. სხვა სოციალურმა ნორმებმა შეუძლებელია შეასრულონ ის ფუნქცია, რასაც ასრულებს სამართალი. შეუძლებელია მათ დაიკავონ ის ადგილი, სადაც მხოლოდ საკანონმდებლო ნება უნდა ბატონობდეს.

ახლა, რაც შეეხება მომეტებულ სამართალს. ეს ისეთი სინამდვილეა, როცა ყველგან და ყველაფერში ბატონობს სამართალი. მისი შედეგია მოწესრიგებული, სამართლებრივი წესრიგით განსაზღვრული სამოქალაქო ცხოვრება. ის შეიძლება იმდენად დაშორდეს ბუნებრივი წესრიგით განპირობებულ ცხოვრებას, რომ აბსოლუტურად შეიცვალოს თავად ცხოვრების არსი. ადამიანი ექცევა სამართლით დადგენილი ცხოვრების შუაგულში და ამ ცხოვრების წესებს ასრულებს ავტომატურად. აქ ცხოვრება იმდენად შეცვლილია, რომ თავად სამართალი ხდება ნების სუბიექტი და ადამიანებს აიძულებს, მოიქცნენ ამ ნების შესაბამისად. ადამიანთა „თავისუფალი ნებაც“ ესაა. ადამიანი ასეთ პირობებში ემსგავსება მანქანას და ტექნოკრატიული სამართლის მეშვეობით ამ საზოგადოების ერთ-ერთი ჭანჭიკი ხდება. იგი, როგორც საათის ცალკეული მექანიზმი, ისეა ჩართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში, რომ მისმა ერთმა ცდომილებამ შეიძლება მთელი ურთიერთობა გააჩეროს. რაც უფრო მაღალია მოწესრიგების ეს ფორმა, მით უფრო იშლება ზღვარი საზოგადოებრივ კანონებსა და ტექნიკურ კანონებს შორის და ადამიანი ჩაპლინის გმირს ემსგავსება. ამგვარ მოწესრიგებას მოსდევს მნიშვნელოვანი წარმატებები, ვინაიდან ყველაფერი გაწერილია და ადამიანები ყველაფერს ზუსტად ასრულებენ. იბადება კითხვა: არის კი ამ წესრიგის პირობებში ადამიანი მისი სუბიექტი? არა მგონია, ადამიანი ამ წესრიგის ელემენტია. თავად წესრიგია სიკეთე. ამიტომაც, ადამიანი აღარ არის თავისუფალი ნების სუბიექტი. მისთვის წესრიგი ბუნებრივ აუცილებლობად კი არ აღიქმება, არამედ თავსმოხვეულ ღირებულებად. იგი საქმეს აკეთებს იმიტომ, რომ ასეა საჭირო, ასე მოითხოვს სამართლის ნება.

ამიტომაც ვამტკიცებ, რომ მომეტებული სამართლის პირობებში ადამიანი არ არის თავისუფალი. ასეთი სამართალი

უარყოფაა ინდივიდუალური ცხოვრებისა და ის მთლიანად მორგებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებზე. კერძო ინტერესი შთანთქმულია საზოგადოებრივით. ადამიანები ცხოვრობენ საზოგადოებრივით განპირობებული კერძო ცხოვრებით და არა პირიქით – კერძოთი განპირობებული საზოგადოებრივი ცხოვრებით. ასეთი წესრიგი ამახინჯებს ადამიანის ადამიანურობას და მას აქცევს სამოქალაქო ცხოვრების ტყვედ, ცვლის მის ხასიათს და სახის გამომეტყველებასაც. ბუნებრივია, აქ ძნელია მსჯელობა მის თავისუფლებაზე. ასეთ პირობებში სამართალი თავად ქმნის ადამიანთა ყოფიერებას და აიძულებს მათ ამ ყოფიერებით იცხოვრონ და ცნობიერებაც შესაბამისი იქონიონ. ასეთი სამართალი ვერ შენარჩუნდება დიდხანს და ადამიანი აუცილებლად გაექცევა მას. საკმარისია იგი აღმოჩნდეს სხვა გარემოში, რომ შეეცდება მოიშოროს მომეტებული სამართლის ტვირთი და დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ ყოფიერებას. სამართლის მომეტებული დიქტატურა, მომეტებული სამართლებრივი წესრიგი, უწესრიგობის თავისებური გამოვლინებაა.

მაშ რაა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანი თავისუფალი იყოს და სამართლებრივი წესრიგის პირობებში ცხოვრობდეს? პირველ რიგში საჭიროა სწორად მოიხაზოს სამართლებრივი მოწესრიგების სივრცე. არ უნდა დავუშვათ სამართლის ინტერვენცია ცხოვრების იმ სფეროში, სადაც ადამიანი თავს ავლენს არა როგორც სამართლის სუბიექტი, არამედ როგორც ტრადიციულად მოაზროვნე მორალური სუბიექტი, სადაც ქცევათა მრავალფეროვნებას არ მოაქვს საზოგადოებისათვის უარყოფითი შედეგები. აქ აღარაა საჭირო სამართლით განპირობებული საერთო მასშტაბის აუცილებლობა. გარდა ამისა, არც იქაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან ნორმატიული ჩარევა, სადაც ასეთი ნორმატივიზმი ბუნებრივად არსებობს. უმჯობესია ადამიანს ჰქონდეს ვალდებულების შესრულების ბუნებრივი აუცილებლობის შეგრძნება, ვიდრე სახელმწიფო ახსენებდეს ამას. მოკლედ, სამართალი ცხოვრების საშუალება უნდა იყოს და არა მიზანი. ასეთი სამართლის დიქტატი დასაშვებია და აუცილებელიც. ასეთი სამართლის პირობებში ადამიანებს მიეცემათ შესაძლებლობა, რაც შეიძლება მეტად იგრძნონ თავი ადამიანებად და სამართლის ბატონ-პატრონებად. ასეთ პირობებში, მოწესრიგებული

ადამიანი ბუნებრივი ადამიანია და მოხსნილია მისი გაუცხოება სამართალთან.

სამართალი ვერ იცოცხლებს, თუკი ის აბსოლუტური, ტოტალური ბატონობის იდეით მოვა. ეს სამართლის ფეტიშიზმი და თვითუარყოფაა. სამართალი, ისევე როგორც ყველა სხვა ფიზიკური თუ გონითი ფასეულობა, აუცილებლად მოითხოვს დაპირისპირებულ გარემოში არსებობას. სამართალი, როგორც დადებითი, პოზიტიური ფასეულობა, აუცილებლად საჭიროებს ნეგატიურ, არაპოზიტიურ გარემოს. მაშინაც კი, როცა სამართლით მოწესრიგდება ადამიანთა ცხოვრება, უნდა დარჩეს მოწესრიგების სხვა საშუალებები, რომელთანაც სამართალს ექნება მშვიდობიანი თანაარსებობა. ესაა სოციალური ნორმების მოქმედების სფეროთა სწორი განსაზღვრა. ამით გამოირიცხება სამართლის მონოპოლიზმი და დამყარდება მშვიდობიანი ბალანსი აღნიშნულ ნორმებს შორის. ბევრია შემთხვევა, როცა მთელი რიგი ურთიერთობებიდან გამოდევნილია მორალი, რაც ქმნის არაბუნებრივი მოწესრიგების საფრთხეს და ურთიერთობის სუბიექტთა ერთმანეთისაგან გაუცხოებას. ნებისმიერი სამართლის პირობებში რჩება ისეთი სფერო, რომელიც მთლიანად ადამიანთა თავნებობის სამყაროა და აუცილებელია თავისუფალი ნების სუბიექტისა და, შესაბამისად, სამართლის არსებობისათვის. არც აქ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო, ის აუცილებლობითაა განპირობებული.

მოკლედ, ზღვარგადასული მოწესრიგების საშიშროება ისაა, რომ მას მოსდევს, ჯერ ერთი, არაბუნებრივი, ადამიანისგან გაუცხოებული ქცევების იძულება და, მეორეც, ადამიანის ისეთი ქცევების მართვა, რაც უკეთესად იმართება ნორმატიული ჩარევის გარეშე. გაუცხოებული ქცევის იძულება ინდივიდუალური თავისუფლების დარღვევა და ბუნების საწინააღმდეგო მოქმედებაა. მას არ მოსდევს დადებითი ეფექტი. ნებისმიერი მოწესრიგება ისე უნდა მოეწყოს, რომ ამან ხელი შეუწყოს ადამიანის იმ პოზიტიური, ბუნებრივი ქცევების განვითარებას, რითაც იგი რაც შეიძლება მეტად გამოავლენს თავს, როგორც თავისუფალი ნების სუბიექტი. ამას მოჰყვება ქცევის წახალისება და არა მისგან გაუცხოება. ქცევაში უნდა ვლინდებოდეს სამართლის გონივრული და ბუნებრივი სუბიექტი. ასეთი მოწესრიგე-

ბა არ წარმოშობს ადამიანთა კონფლიქტს ნორმატიული გარემოსადმი. პირიქით, ადამიანები ადვილად დარწმუნდებიან იმაში, რომ მხოლოდ ასეთ რეალობაში შეიძლება მათი მშვიდობიანი და თავისუფალი თანაარსებობა. სამართალი ადამიანების თვალში გარდაუვალ აუცილებლობად წარმოჩნდება და მას შეიყვარებენ, ხოლო, პირიქით, გაუცხოებული, ხელოვნურად მოგონილი, არაბუნებრივი ქცევების ლეგალიზაციის შემთხვევაში, ადამიანები და სამართალი გაუცხოვდებიან და რაც მეტი იძულება იქნება გამოყენებული ამ ქცევების დასამკვიდრებლად, მით უფრო გამოჩნდება მათი არაბუნებრიობა და გაუცხოება. ეს არ იქნება სამართალი.

გუსტავ რადბრუხის ფორმულიდან გამომდინარე, მომეტებული სამართალი კანონისმიერი უმართლობის ფარგლებში გადადის. მასში მოჭარბებულია იძულებითი და არაბუნებრივი ელემენტები. ასეთი სამართლის მიზანია მოწესრიგებული ადამიანის შექმნა, რომელიც საათის მექანიზმივით იქნება აწყობილი. ესაა, ყველა შემთხვევაში, ისეთი ადამიანის აღზრდა, სადაც ნაკლები იქნება იმპულსური, არაცნობიერი ქცევები. აქ სახეზეა ბუნებრივი გარემოს ტოტალური ბოჭვა და, შესაბამისად, ადამიანების გაუცხოება საკუთარი ყოფიერებისაგან.

ამდენად, საჭიროა, არც მეტი და არც ნაკლები სამართალი, მხოლოდ იმდენი, რამდენიც ადამიანთა ცხოვრების პრაქტიკული გონიერებითაა განპირობებული.

2. რა არის იმისათვის აუცილებელი, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს? სამართლებრივი ფუნდამენტალიზმის მიხედვით, ადამიანი ბედნიერია კანონით მოწესრიგებულ სამყაროში. ძნელია ამ დებულებაში ეჭვი შეგეპაროს, თუმცა, როგორც უკვე ვისაუბრეთ, თავისთავად წესრიგი კი არაა ფასეულობა, არამედ გონივრული წესრიგი. მომეტებული წესრიგი ისევე ბოჭავს ადამიანს, როგორც უზომოდ მოჭერილი არტახები აკვანში მწოლიარე ბავშვს. გონივრული წესრიგი კი, როგორც ითქვა, საშუალებაა და არა მიზანი. ასეთი საშუალება აუცილებელიცაა ბედნიერებისათვის და მას ადამიანები ადვილად ეჩვევიან. სამწუხაროდ, ადამიანები არაგონივრულ, მომეტებულ წესრიგსაც ეჩვევიან და მას მიიჩნევენ სიკეთედაც და გარდაუვალ ბოროტებადაც. ასეთი ადამიანი ყალბი ადამიანია და მისი ღიმილიანი, ესთეტიკურად

ლამაზი გამომეტყველება და კულტურული სიტყვა-პასუხი ერთობ არაბუნებრივია. საკმარისია მაღაზიის გამყიდველი, რესტორნის მოსამსახურე, თავიანთი სამსახურის კარს დაშორდნენ, რომ მაშინვე გაუქრებათ ხელოვნური სამართლებრივი ნიღაბი და შეეცდებიან, თავიანთი ნამდვილი სახე დაიბრუნონ. ე.ი. გამოდის, რომ სამართლებრივი იძულება არც ისე „სასიამოვნო“ იძულება ყოფილა. ცხადია, ვერ მოვითხოვთ, რომ ადამიანები ყველა გარემოში ერთნაირად იქცეოდნენ, მაგრამ ყველაზე რაციონალური სამართალი მაინც ის იქნება, სადაც სამართლის ნება ადამიანის ფსიქოლოგიური ნებით იქნება გაჯერებული. კანონმდებელი სამართალს ისე უნდა განიცდიდეს, როგორც ნებისმიერი მომაკვდავი ადამიანი. ეს კი მიიღწევა მაშინ, როცა კანონმდებლის ნება და ცალკეული ადამიანის ნება დაემთხვევა ერთმანეთს. აქ უკვე დგას სამართლებრივი კულტურის საკითხი. სამართლებრივი კულტურაც გონივრული სამართლის ნაყოფია. თუ სამართალი არ არის პრაქტიკულად გონივრული, ვერ ჩამოყალიბდება მისი შესატყვისი კულტურა და მათ შორის გაუცხოება იქნება. ამდენად, გონივრული მოწესრიგება სწორი კულტურის საფუძველია. თავად სამართალი უნდა იყოს კულტურული ღირებულება, რომ შევძლოთ ადეკვატური ბუნებრივი ქცევების ჩამოყალიბება. ამდენად, სამართალი მხოლოდ ერთი აუცილებელი ფაქტორია ადამიანთა ბედნიერებისა.

აქვე გაჩნდება კითხვა, როგორ გავიგოთ სამართალი: ჩვენ გარეთ არსებული ფასეულობა თუ ჩვენში მოცემული სიკეთე? მიმაჩნია, რომ სამართალი უნდა გავიგოთ ისეთ სიკეთედ, რომელსაც ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია საკუთარი თავის „უარყოფაც“. ეს უარყოფა არ უნდა წარმოვიდგინოთ ურეზულტატო თვითლიკვიდაციად. ამ უარყოფას ისევ სამართალი მოსდევს შედეგად, ოღონდ არაპოზიტიური და არა საყოველთაო. ეს არის კონკრეტული ვითარების შესატყვისი ეგზისტენციალური სამართალი. ნებისმიერ შემთხვევაში უარყოფას გონივრული გამართლება უნდა ჰქონდეს და არ უნდა გაჩნდეს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგისადმი საფრთხე. პრაქტიკულად, გონივრული უარყოფით დაიძლევა სამართლებრივი პედანტიზმი. მართალია კანონმდებელმა გამოთქმები „არ შეიძლება“ და „შეიძლება“ ზოგადი მოქმედებისათვის შექმნა, გამორიცხა მის-

გან გადახვევები, მაგრამ, ვინაიდან ზოგადი გამომდინარეობს კონკრეტულიდან და არ შეიძლება იყოს ყველა შემთხვევის შედეგი, თუნდაც იმიტომ, რომ კონკრეტული შემთხვევები ცვალებადია და ყოველთვის სრულად ვერ აისახება ზოგად დებულებებში, ეს გარემოება აუცილებლად გასათვალისწინებელია სამოსამართლეო სამართლის დროს. არ გამოვრიცხავ აღნიშნულის მიხედვით სუბიექტების მოქმედებას ცალკეულ შემთხვევებში. მთავარია, რომ ყველა შემთხვევაში ჩვენ დავრჩეთ პრაქტიკული გონიერებით გამართლებული სამართლის სივრცეში. მაშასადამე, გამოდის, რომ სამართალსაც უნდა შევხედოთ, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც თავად არის ქცევის იმიტირებული სუბიექტი. ძველი ქართული სამართლის ძეგლებში ხშირად გამოიყენებოდა გამოთქმა – „სამართალს ასე სურს“, მაგრამ სამართალი არ არის მარტო კანონმდებლის ნორმატიული ნების სურვილი. ადვილი შესაძლებელია, რომ სამართალს სხვაგვარადაც სურდეს და ეს სურვილი იყოს ყველაზე გამართლებული ცალკეულ სპეციფიკურ შემთხვევებში. აქ უკვე სამართლის ნამდვილი სურვილის ამოცნობის მონოპოლისტი სასამართლოა, აქ უკვე სასამართლო ნორმატიულ სურვილს ხსნის ნამდვილი სამართლის სურვილით. სამართლის საზოგადო სურვილში თავად კანონმდებლისა და სასამართლოს გარდა ვერავინ ჩაერევა. მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ ეგზისტენციალური გადახრების წყალობით შესაძლებელია, ამ საერთო სურვილის არსებობის პირობებში, კონკრეტული შემთხვევისადმი განსხვავებული მიდგომა, რაც სწორედ სამართლებრივი ნების გამოხატვა და სამართლის ქმედუნარიანობის აღიარება იქნება.

3. როგორც პლატონი ამბობდა, სახელმწიფო ადამიანის ორგანიზმივით უნდა მოეწყოს და ბევრი რამით ადამიანს უნდა ჩამოჰგავდეს. რაც უფრო მეტია ეს მსგავსება, მით უფრო ადამიანურია სახელმწიფო. მაინც რით უნდა ჩამოჰგავდეს ადამიანს სახელმწიფო? შეიძლება აქ ვიგულისხმოთ ქრისტიანული შემწყნარებლობა? ალბათ სწორი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ, ისევე, როგორც ცალკეული ადამიანი, სახელმწიფოც მიმტევებელი და შემწყნარებელი უნდა იყოს. გამოდის, რომ სახელმწიფოსაც უნდა სწამდეს ბიბლიური იმპერატივები და, მაშასადამე, ღმერთი. ასე თუ არ იქნება, სახელმწიფო ვერ დაემსგავსება ადამიანს

და, ამდენად, მასთან დაპირისპირებული იქნება. როგორ გავიგოთ, სახელმწიფოს მიმტევებლობაც ისეთია, როგორიც ცალკეული ადამიანისა? აქ უკვე ზღვარია გასავლები. სახელმწიფოს მიმტევებლობის საზომია საზოგადო ინტერესები, მაშინ როცა, ცალკეული ადამიანის მიმტევებლობას ზღვარი არა აქვს. დანაშაულის მსხვერპლმა შეიძლება მძიმე დანაშაული აპატიოს დამნაშავეს, მაგრამ სახელმწიფო უფლებამოსილია ეს გააკეთოს მხოლოდ საზოგადო უსაფრთხოების მხედველობაში მიღებით. ცალკეული ადამიანის მიმტევებლობა წესრიგს არ ემორჩილება, მაშინ როცა, სახელმწიფო შებოჭილია ამ წესრიგით. შესაბამისად, მიმტევებლობის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ესმის სახელმწიფოს ეს წესრიგი. დემოკრატიულ სახელმწიფოში წესრიგი სიკეთეა და სახელმწიფოს მიმტევებლობაც ადეკვატურია ამ სიკეთის ღირსების შენარჩუნებისა. როცა სახელმწიფო არათანაზომიერად მოქმედებს, ის მიმტევებლობის თვისებას კარგავს. მაშასადამე, სახელმწიფოს შემწყნარებლობა ყოველთვის გონივრული, აუცილებელი და სამართლიანი უნდა იყოს. სახელმწიფოს ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც არ გამომდინარეობს აუცილებლობიდან, იქნება უსაფუძვლო და უშედეგო. ამით სახელმწიფო რაც შეიძლება მეტად დაშორდება ცალკეულ ადამიანს. თანამედროვე ევროპული სამართალი სახელმწიფოსაგან სწორედ რომ აუცილებელი და გონივრული, მიზნის შესაფერისი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.

4. მიმტევებლობა და შურისძიება გამორიცხავენ ერთმანეთს. მიმტევებლობის შედეგი მშვიდობაა, ვინაიდან ის სიკეთის პროპაგანდაა. შურისძიებას შედეგად მოსდევს „ომი“, ვინაიდან ის სიკეთისგან გაუცხოებაა. როგორც ერთი, ისე მეორე იარაღია ადამიანის ხელში ბოროტების წინააღმდეგ. ერთი სპობს ბოროტებას საერთოდ, მეორე კი შეიძლება გახდეს ახალი ბოროტების წყარო. ასეთ თვისებას იძენს მიმტევებლობა და შურისძიება ადამიანთა ხელში. განსხვავებულია მათი მდგომარეობა სახელმწიფოს ხელში. სახელმწიფო, როგორც ითქვა, ვერ იმოქმედებს წმინდა მიმტევებლობით. მაშინ ის ეკლესიას დაემსგავსება, ეკლესიას, რომელიც თავად ჰგავს სახელმწიფოს თავის მრევლთან მიმართებით.

სახელმწიფოს მიმტევებლობა სანქციათა მოქმედების საზომია. რას უნდა ნიშნავდეს ეს? პირველ რიგში იმას, რომ სახელმწიფომ სწორად განსაზღვროს ადამიანის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის სანქციის შემოღება. იქნებ, სულაც არ არის საჭირო სანქცია და მისი შემოღებით სახელმწიფო ბოჭავს ადამიანის თავისუფლებას? თავისუფლებად კი არ შეიძლება გავიგოთ მხოლოდ პოზიტიურ ქმედებაზე აგებული სიკეთე. არის ადამიანთა მხრიდან ისეთი გადახვევები, რომლებიც განუყოფელია დადებითი ქმედებებისაგან. სახელმწიფომ სანქციის პოლიტიკით მოქმედების ასპარეზი უნდა შეუქმნას ადამიანს და არა ხელ-ფეხი შეუკრას. სახელმწიფო, რომელიც კარგად ჩასწვდება ადამიანის ამ ფილოსოფიას, აუცილებლად წარმატებები ექნება. რა შედეგი მოჰყვება ამ ბუნებრივი სინამდვილის გაუთვალისწინებლობას? ის, რომ ყველა ადამიანი რეალური სამართალდარღვევის წინაშე აღმოჩნდება, რაც იქნება მათი ნაბიჯების თანამდევი მოვლენა და ისინი პასუხს აგებენ იმისათვის, რომ არიან ადამიანები და არა იმიტომ, რომ არიან ცუდი ადამიანები. ამ პირობებში მყოფი ადამიანები მუდამ შიშისა და საფრთხის შემცველ გარემოში იქნებიან. ეს აიძულებს მათ პასიური ქმედებებისაკენ, რითაც ისინი გამოეთიშებიან სამოქალაქო ცხოვრების სივრცეს. სახელმწიფოს კი მუდამ მომწყვდეული ეყოლება ადამიანი, იმის მიუხედავად, თუ როგორია მისი ცხოვრების წესი. სახელმწიფოს მხრიდან მიმტევებლობა იქნება ის, რომ იგი ადამიანს არ დასჯის იმის გამო, რომ ის ადამიანია. მაშასადამე, სახელმწიფომ ანგარიში უნდა გაუწიოს იმას, რომ ადამიანი ცოდვილია და არის ცოდვები, რომლებსაც იგი ზოგჯერ მაშინაც ჩადის, როცა პოზიტიურ ქმედებებს ახორციელებს.

ამასთან, არის მეორე კატეგორია ადამიანთა ქმედებებისა, რომლებიც მკაცრად იმიჯნებიან პოზიტიური ქმედებებისაგან და კიდეც უპირისპირდებიან მათ. აქ უკვე სახელმწიფოს მიმტევებლობა სხვაგვარად ვლინდება. ეს ქმედებანიც შეიძლება თავის მხრივ ორ ჯგუფად დაიყოს. პირველში შედის ადამიანთა ისეთი ქმედებანი, რომელთა მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება მხოლოდ კანონის ცოდნის პრეზუმფციას ემყარება. ეს პრეზუმფცია საშუალო ადამიანისადმი წაყენებული მოთხოვნაა. გასათვალისწინებელია ის, რომ აღნიშნული პრეზუმფციის სა-

ფუძველი არ შეიძლება იყოს ერთნაირი ყველა მართლსაწინააღ-მდეგო ქმედებისათვის. აქაც შეგვხვდება ისეთი ქმედებანი, რომელთა „დასჯადობის“ ცოდნა ვერ დაემყარება პრეზუმფციას და საგანგებო ცოდნა სჭირდება ადამიანს, რომ ქმედების მისგან გაუცხოება შენიშნოს.

იქ, სადაც ეს ცოდნა ოფიციალურად მოითხოვება, პრეზუმ-ფცია კი არ გვაქვს, არამედ თავად ცოდნა. ამიტომაც, არცოდ-ნა ვერ იქნება საკუთარი ქმედების გამართლების საფუძველი. მაგალითად, მძღოლი ვერ იმართლებს თავს იმით, რომ მან არ იცოდა მოძრაობის წესები. სადაც პრეზუმფცია ფაქტობრივად უსაფრთხოების ინტერესებს ემყარება და ადამიანისგან მო-ითხოვს მომეტებულ ცოდნასა და სპეციალურ განათლებას, იქ სახელმწიფომ სანქციის დაწესებისას ანგარიში უნდა გაუწიოს შემდეგ რეალობას: „უნდა მცოდნოდა“ ნიშნავს კი ყოველთვის იმას, რომ შემეძლო მცოდნოდა? ,,უნდა ვიცოდე ის, რაც შემიძ-ლია ვიცოდე“, „რაც არ შემიძლია ვიცოდე, ის ვერც მეცოდინე-ბა“. იქ, სადაც ქმედების ცოდნა მარტო მისი ბუნებიდან არ გა-მომდინარეობს, სახელმწიფო ვალდებულია მომეტებულად თავ-შეკავებული იყოს.

რაც შეეხება ქმედებათა მეორე ჯგუფს, აქ თავად ქმედე-ბიდან ჩანს მისი ცოდნის პრეზუმფცია და მას არ სჭირდება და-მატებითი ცოდნა. აქ ქმედების ბოროტი ხასიათი ყველამ უნდა იცოდეს და, შესაბამისად, ყველას შეუძლია იცოდეს. რატომ არის ასე? იმიტომ, რომ თავად ქმედებაა იმდენად გაუცხოებუ-ლი და დაპირისპირებული ადამიანის ნორმალურ ყოფიერებას-თან, რომ მისი შეცნობაც ადვილია. არასრულწლოვანსაც კი აქვს იმისი ცნობიერება, რომ ადამიანის მკვლელობა დაუშვებელია და ცოდვაა. ბავშვმაც კი იცის, რომ არ შეიძლება სხვისი ნივთის ქურდობა. როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო ამ შემთხვევაში? ხმალი იშიშვლოს და თავები წააგდებინოს კანონდამრღვევებს? სახელმწიფო ამ შემთხვევაშიც უნდა ამოვიდეს იქიდან, რომ ცოდვებისათვის ადამიანი ისე უნდა დაისაჯოს, რომ არ მივიღოთ ახალი ცოდვა. აქაც მიმტევებლობის თვალით უნდა შეხედოს სა-ხელმწიფომ ადამიანს და არ უნდა გაბრუვდეს შურისძიებით.

5. ნებისმიერი სანქცია აუცილებლობით უნდა იყოს განპი-რობებული. სანქცია ნებისმიერ შემთხვევაში ბოლო სიტყვაა ამა

თუ იმ მიზნის მისაღწევად. თუკი სახელმწიფოს შეუძლია იგივე შედეგი მიიღოს უფრო უმტკივნეულო გზით, მან ჯერ ეს გზა უნდა მოსინჯოს. სამოქალაქო კოდექსებმა ეს ასე გამოხატეს: სამართლის მიზანია დარღვეული ვალდებულების გაჯანსაღება-გაცოცხლება (შესრულება) და არა დაუყოვნებლივ სანქციის გამოყენება. სანქცია მაშინ გამოიყენება, როცა მოსინჯულია კეთილსინდისიერი ბრუნვისათვის ჩვეული მეთოდები, მაგრამ უშედეგოდ. ცხადია, ნებისმიერ სანქციას ასე ვერ მივუდგებით. უმართლობის ბუნებაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოვიყენებთ ამა თუ იმ სანქციას.

და, მაინც, რას ვაღწევთ სანქციით? რაც ყველა სანქციისათვისაა დამახასიათებელი, ესაა კერძო და საერთო პრევენცია. სახელმწიფო პასუხისმგებლობის დაკისრებით სამართალდამრღვევს აფრთხილებს, რომ მომავალშიც დაისჯება მსგავსი ქმედების ჩადენისათვის. ეს მისთვის იმისი ჩვენებაა, რომ პასუხისმგებლობა აუცდენელია. ამ კონკრეტული პირის დასჯით სახელმწიფო იმავდროულად ყველას აფრთხილებს, რომ თავი შეიკავონ უმართლობისგან, თორემ ისინიც ისევე დაისჯებიან, როგორც კონკრეტული სამართალდამრღვევი დაისაჯა. ამით სახელმწიფო ადამიანებს შეახსენებს, რომ მხოლოდ გონივრული მართლწესრიგის პირობებშია შესაძლებელი მათი მშვიდობიანი თანაცხოვრება. ამდენად, მართლწესრიგი მშვიდობაა. ოღონდ არა ყველანაირი მართლწესრიგი, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც თავისი თვისებით სიკეთეს წარმოადგენს და, ამგვარად, ფასეულობასაც. მხოლოდ ასეთ მართლწესრიგს აქვს უფლება ხელი მიუწვდებოდეს სანქციაზე. სანქციის ეს მიზანი ძველთაგანვეა ცნობილი და მის განხორციელებას სხვადასხვაგვარად აღწევდნენ სხვადასხვა დროში. მაგალითად, მკვლელს ან მოედანზე მოკვეთდნენ თავს, ან ჩამოახრჩობდნენ, ან კიდევ გზაზე ჩამოკიდებდნენ სხვების დასაშინებლად. ეს დრო წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ის, რომ სანქციით ხდება მომავალი საფრთხეების გაუვნებელყოფა, ამას ყველა დროში ექნება ადგილი. ბუნებრივია, ნებისმიერი დამნაშავე დასვამს კითხვას: მე იმიტომ მსჯით, რომ ჩემი ქმედებით კონკრეტული ზიანი გამოვიწვიე, თუ იმიტომ, რომ სხვებმა ისწავლონ ჭკუა ჩემი დასჯით? ნებისმიერი

სახელმწიფო ასე გასცემს პასუხს ამ კითხვაზე: როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვის.

გამოდის, რომ სანქციის გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი მოტივაცია სუბიექტის დასჯაა. დიახ, ეს ასეა და როგორადაც არ უნდა შელამაზდეს ამ მოტივაციის საფუძვლები, დასჯას ვერ ავცდებით. სადაც უმართლობის შედეგთა კომპენსაცია შესაძლებელია დასჯით, აქ თვით დასჯის არსებობაც საეჭვო ხდება. მაგრამ, როცა შეუძლებელია კომპენსაცია, ვინაიდან არ ხდება შედეგის რეაბილიტაცია, მაშინ სანქცია მართლაც დასჯის თვისებით გვევლინება. ასეთი შემთხვევები ბევრია და ნაკლებად სარწმუნო ხდება სანქციის ჰუმანიტარულ მიზნებზე ხაზგასმა. ვინ დაიჯერებს იმას, რომ ადამიანს თავისუფლების აღკვეთას უფარდებენ მარტოოდენ იმისათვის, რომ მისი აღზრდა-გამოსწორება მოხდეს. ვინ ირწმუნებს იმას, რომ სანქციათა დახარისხება მხოლოდ იმის მიხედვით ხდება, თუ რამდენი დროა საჭირო დამნაშავის გამოსასწორებლად. რა თქმა უნდა, ეს მომენტებიცაა მოტივაციის საფუძველი, მაგრამ არაა არსებითი. ნებისმიერი სანქცია დგინდება ჩადენილი ქმედების სიმძიმის ადეკვატურად. თანაზომიერება, ადეკვატურობა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა ძველთაგანვე ცნობილ ეკვივალენტობას. ამდენად, საკუთრივ დასჯაც უნდა იყოს სანქციის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი. რახან ეს ასეა, სახელმწიფო აქაც გონივრულ მიმტევებლობას უნდა ავლენდეს და შურისძიების სურვილმა არ უნდა შეიპყროს. მთავარია, დამნაშავემ ცოდვები მოინანიოს და ეს ხდებოდეს მონანიების მტკიცე შეგნებით. ე.ი. დამნაშავისათვის ტკივილის მიყენების გზით ხდება იმ მიზნის მიღწევა, რასაც ჰქვია კერძო და საჯარო პრევენცია. დამნაშავე, რომელიც ფიზიკური და სულიერი ტანჯვის „საკვებს“ მიიღებს, ამით ჩადენილ ცოდვასაც მოინანიებს და ახალი ცოდვების ჩადენის მადაც დაეკარგება. რაც შეეხება ამის მაყურებელ საზოგადოებას, მათი თანამოქალაქის დასჯა ყველა დანარჩენისათვის მუხრუჭის ფუნქციას ასრულებს უმართლობის მიმართ. ამდენად, დამნაშავე ისჯება იმისათვის, რომ მან ჩაიდინა უმართლობა. როგორც კერძო, ისე საჯარო პრევენციები მასთან დაკავშირებული მოვლენებია და სასჯელს ის თავისთავად აუცილებლად მოჰყვება. მაშასადამე, სახელმწიფოს პასუხი დამნაშავის კითხ-

ვაზე ასეც გამოითქმება: „მე გსჯი იმიტომ, რომ ცოდვა ჩაიდინე და არა იმიტომ, უცოდველი გაგხადო“. ასეთი ხედვისას პრევენცია მომეტებულად ვეღარ დაამძიმებს სასჯელს. რა თქმა უნდა, არც სამაგიეროს მიზღვის იდეალიზაციაა საჭირო და არც პრევენციის დავიწყება.

6. არ სჭირდება შელამაზება იმ აზრს, რომ დაზარალებულს შურისძიება ამოძრავებს. დამნაშავის დასჯაში ხედავს იგი უფლებრივ სიმშვიდეს მაშინაც კი, როცა მისი აღდგენა შეუძლებელია. სასჯელი მისთვის მორალური კომპენსაციაა.

ის, რომ დამნაშავის დასჯის უფლება მთლიანად სახელმწიფოს ხელშია, არ ნიშნავს დაზარალებულთა ინტერესების უარყოფასა და ანგარიშის სივრციდან გაძევებას. დაზარალებული ინტერესის სუბიექტი რჩება მთელი პროცესის განმავლობაში. ამ ინტერესის დაკმაყოფილების იარაღი სახელმწიფოს მხრიდან სამართლიანი განაჩენის გამოტანაა. თუ ეს არ მოხდება, დამკვიდრდება მართლმსაჯულებისადმი უნდობლობა. სასამართლო, როგორც სამოქალაქო წესრიგის გარანტი, ნიჰილიზმის ობიექტი გახდება. შედეგად მივიღებთ იმას, რომ სახელმწიფო გაუცხოვდება ადამიანებისგან და ფეხს მოიკიდებს თვითგასწორების პატრიარქალური წესი. ამიტომაც, სამართლიანი განაჩენები სამოქალაქო მშვიდობის გარანტიაა. სახელმწიფოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ამ მშვიდობას საფრთხეს შეუქმნის, მიუღებელია. მშვიდობას კი სამართლიანობის აღდგენა იწვევს. სამართლიანობა კი სასჯელის აუცილებელი თვისებაა. ამდენად, ნებისმიერ შემთხვევაში დამნაშავის ინტერესი დაზარალებულის ინტერესთან ერთად უნდა განვიხილოთ. მცდარი იქნება ის აზრი, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ გვაქვს მხოლოდ დამნაშავის ინტერესი. სასჯელი დაზარალებულის უფლებრივ სფეროსაც შეეხება. სასჯელს სახელმწიფო უფარდებს და ამ აზრითაა მისი უფლება. დაზარალებული, ბრალდებულის მსგავსად, უფლებამოსილია იმაზე, რომ სამართლიანი სასჯელი დადგინდეს. ეს კი სახელმწიფოს ავალდებულებს.

სახელმწიფო მიმტევებელია, როცა ის სანქციის შემოღებისას ეფუძნება ჰუმანურ იდეებს. ჰუმანიზმი კაცთმოყვარეობაა. სახელმწიფოს უნდა უყვარდეს ნებისმიერი მოქალაქე, რისი მოქმედიც არ უნდა იყოს იგი. დამნაშავესაც მან კაცთმოყვარე-

ობის გრძნობით უნდა შეხედოს და ჰუმანური სასჯელი უნდა შეუფარდოს. ხანგრძლივი ვადით პატიმრობა, თუკი ის ცივილური ფორმით ხდება, შეიძლება კიდეც აჩვევდეს ადამიანს არაადამიანური ცხოვრების წესს, ისევე როგორც ამას შეეჩვია კუნძულზე განმარტოებული რობინზონი. სანქცია მაშინ იქნება ეფექტიანი, როცა ამ კუთხითაც გონივრული იქნება. სანქციამ თავისუფლების ინტერესი არ უნდა ჩაუკლას ადამიანს. ვისთვისაც თავისუფლება გაუფასურებულია, ის გაცილებით საშიში ხდება, ვიდრე ის, ვისაც შერჩენილი აქვს მისი წყურვილი. ამდენად, არც მომეტებულად მკაცრი სანქციებია საჭირო და, შესაბამისად, არც მომეტებულად ჰუმანური. სახელმწიფომ ზომიერება უნდა დაიცვას სანქციის განსაზღვრისას.

სახელმწიფოს ნებას გამოხატავს სასამართლო და სხვა დაწესებულებანი. როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო? ის უნდა მოიქცეს ისევე, როგორც სახელმწიფო სანქციების შემოღებისას. ე.ი. სასამართლოც ჰუმანურ პოზიციებზე უნდა დადგეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის მდგომარეობა და რაც შეიძლება ჰუმანური სასჯელი შეუფარდოს მას. მოსამართლე, რომელიც თავიდანვე მკაცრ სასჯელებზეა ორიენტირებული, ვერ გამოდგება მოსამართლედ. ის ვერ აცდება უსამართლო გადაწყვეტილებებს. ამ პირობებში სასამართლო ვეღარ შეასრულებს მართლმსაჯულების ფუნქციას და არა მარტო დამნაშავეს, არამედ მთელ საზოგადოებას დააპირისპირებს სახელმწიფოს. არ შეიძლება სიმკაცრე ჩაითვალოს ობიექტურობის ნიშნად.

7. არის სანქციები, რომლებიც ეკონომიკურ ეფექტს იძლევიან სახელმწიფოსათვის. ასეთია უმეტესწილად ადმინისტრაციული სანქციები. ასეთი სანქციების დაწესებისას განსაკუთრებული გონიერებაა საჭირო, რათა მაქსიმალურად იქნეს დაძლეული სახელმწიფოს ცდუნება, შემოსავლის წყაროდ გაიხადოს ის. საკმარისია სახელმწიფომ ბიუჯეტის ორიენტაცია ამ სანქციებზე ააგოს, ის დაკარგავს სანქციის იმანენტურ თვისებას და გახდება თავისი მოქალაქეების უფლებათა დარღვევის იარაღი. სახელმწიფომ ამ შემთხვევაში ეკვივალენტობის, თანაზომიერების პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს. თუმცა, ეკვივალენტობასა და თანაზომიერებას შორის განსხვავებაცაა. ეკვივალენ-

ტობა სიკეთის კომპენსაციის თანაწონადი ფორმაა, მაშინ როცა, თანაზომიერება არა უბრალოდ თანაწონადი, არამედ ყველაზე შესაფერისი ფორმაა სანქციით უზრუნველყოფილი მიზნისა. ამ თვალსაზრისით ადმინისტრაციული სანქციებია ყველაზე მნიშვნელოვანი. როცა სანქცია ადგენს, რომ ადმინისტრაციულ შენობაში სიგარეტის განმეორებით მოწევა ისჯება, ვთქვათ, ხუთმაგი ოდენობით, რას უნდა ემსახურებოდეს ამგვარი სანქციები, დასჯას, პრევენციას? ალბათ, არც ერთს. ხუთმაგი და მეტი ოდენობის სანქცია სულაც არაა უმართლობის ადეკვატური. გაუგებარია სიგარეტის მეორედ მოწევამ როგორ შეიძლება პიროვნების ქმედების ასეთი ჰიპერტრანსფორმაცია გამოიწვიოს. სანქცია ქმედების ისეთ შეფასებას იძლევა, რომელიც არსებითად ცვლის თავად ქმედების ბუნებას. ისეთი სურათი იქმნება, თითქოს განმეორების შემთხვევაში ადმინისტრაციული გადაცდომა კი არ ჩაუდენია ადამიანს, არამედ „დანაშაული". თუ ეს კეთდება პრევენციის მიზნით, მაშინ რა საჭიროა საამისოდ სანქციების ასე მომეტებულად გაზრდა? განა პრევენციას სანქციის გონივრული ზრდა არ იწვევს? ნებისმიერი პრევენცია თავისუფლების ფარგლებში უნდა განხორციელდეს. არ შეიძლება განმეორებითმა და დამატებითმა სანქციებმა საფრთხე შეუქმნან ამ თავისუფლებას. ამდენად, ასეთი მიდგომით სახელმწიფო სინამდვილეში სამართალდარღვევათა კვალიფიკაციას ცვლის. გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებულია ანგარიშს უწევდეს იმ რეალობას, თუ პასუხისმგებლობის რა ტვირთის მატარებელი შეიძლება იყოს სანქციის სუბიექტი. რა თქმა უნდა, ეს პასუხისმგებლობა მოიაზრება მისი ქონებრივი შესაძლებლობების ფარგლებში. როცა სანქცია ბევრად აღემატება პიროვნების ქონებრივ მდგომარეობას, ამას პიროვნების თავისუფლების სრულ კრახამდე მივყავართ, ვინაიდან ხშირად იგი იძულებულია ყველაფერი გაყიდოს და დიდი ვალი აიღოს, რათა პასუხისმგებლობა მოიხსნას. ასეთი სანქციები მოქალაქეებს უსუსტებს სახელმწიფოებრივ აზროვნებას და სახელმწიფოში ისინი ხედავენ მათთან დაპირისპირებულ სუბიექტს, ვიდრე მათი ინტერესების დამცველ დაწესებულებას.

8. რაც ჩვენ აღვნიშნეთ სახელმწიფოს შესახებ, იგივე ეხება ცალკეულ ადამიანს. თუკი ვაღიარებთ, რომ უფლებები ბუნე-

ბითი სიკეთეებია, მაშინ ვალდებულნიც ვართ ვაღიაროთ მათი კავშირი უზენაეს ნებასთან. რელიგია ხომ მარტო რიტუალების სამყარო არაა. რელიგია უზენაესი სიკეთე და, შესაბამისად, უფლებათა შინაარსის განმსაზღვრელია. შეიძლება ამის ოფიციალური აღიარება არ მოხდეს იმ სახელმწიფოში, სადაც ეკლესია ნაკლებად ერევა საერო ცხოვრებაში, მაგრამ, ფაქტობრივად, მას ყოველთვის ექნება ადგილი. ან, კიდევ, ვინ დაუშლის ადამიანს თავის უფლებათა გამოყენებისას ქცევები ააგოს რელიგიურ იმპერატივებზე. როცა ვსაუბრობთ სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერებაზე, განა ამ კეთილსინდისიერების წყარო რელიგიაც არაა? შეცდომა იქნება კეთილსინდისიერებაში მარტოოდენ წმინდა მერკანტილური, ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილების საშუალება დაგვენახა. ცდება ის, ვინც ამბობს, რომ მხოლოდ იმიტომ არ ტყუიან, რომ ზარალი არ ნახონ. კეთილსინდისიერი ქცევა თავადაა ფასეულობა ყოველგვარი ქონებრივი დატვირთვების გარეშე. ამიტომაც ვამტკიცებ, რომ რელიგიით გაშუალებული კეთილსინდისიერება უმაღლესი ფასეულობა და სამოქალაქო ბრუნვის სისხლხორცეული ნაწილია. ის ადამიანი, რომელიც რელიგიისაგან თავისუფალია და არა აქვს ცოდვის განცდა, ცხადია, ნაკლებად საიმედო იქნება აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის. მთავარია, ადამიანს ჰქონდეს ცოდვის განცდა, იმისი განცდა, რომ დანაშაულის ჩადენა ცოდვაა და ამ ცოდვებისათვის იგი განისჯება უფლისაგან.

სახელმწიფო ადამიანისათვის ყოველთვის არაა სანიმუშო ავტორიტეტი მისი გამოსწორებისათვის. დამნაშავემ სასჯელი უნდა მიიღოს. ეს კი შეუძლია იმ ადამიანს, რომელსაც აქვს ცოდვის განცდა. მაშასადამე, საჭირო ყოფილა სახელმწიფომ ეკლესია გამოიყენოს ამ მიზნებისათვის. ეს არ ნიშნავს სახელმწიფოს გაეკლესიურებას. მაგრამ, შეუძლებელია ქვეყანაში სახელმწიფოს გვერდით არსებობდეს ეკლესია და ვამტკიცებდეთ, რომ მათ სრულიად განსხვავებული მიზნები აქვთ. ორივეს მიზანი ერთია – ადამიანი. განსხვავება ამ მიზნის მიღწევის გზებშია. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გამოიყენოს რელიგია იმ დონემდე, რაც მას არ დაუკარგავს საერო ხასიათს. რადგანაც რელიგია უმაღლესი ღირებულებაა, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა ითანამშრომლოს ეკლესიასთან. არ ყოფილა ფაქტი, როცა ეკლესიიდან

წასულ ადამიანს სახელმწიფოსათვის შეეფარებინოს თავი, პირიქით, ეკლესია ყოველთვის იყო სახელმწიფოსგან გაძევებული ადამიანების თავშესაფარი. მაშინაც კი, როცა ადამიანები ვერ ღებულობენ სახელმწიფოსგან საკმარის მფარველობას, ისინი ეკლესიაში ხედავენ მფარველს. რაც უფრო უძლურია სახელმწიფო, მით უფრო მატულობს ეკლესიის მრევლი. ადამიანმა სადღაც აუცილებლად უნდა ნახოს თავშესაფარი. სადაც უკეთესად გრძნობს თავს, იგი იქ მიდის. როცა სახელმწიფო ძლიერია, მაშინაც არ უნდა მოაკლდეს მრევლი ეკლესიას. ამ საქმეში ეკლესიამ უნდა შეასრულოს თავისი როლი. ეკლესიაში მარტო გაჭირვებული ადამიანი კი არ უნდა მიდიოდეს, არამედ ისინიც, ვისაც არ უჭირს. მოტივაცია ორივე შემთხვევაში სიკეთის სამსახური და იმისი შეგნებაა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და მდიდრებს მეტად ევალებათ ხელგაშლილები და მიმტევებელნი იყვნენ. ყველაზე დიდი სიმდიდრე საერთო ბედნიერებაა. ყველა ადამიანმა უნდა იწამოს, რომ ის ვერ იქნება ბედნიერი, თუკი ამ სიკეთეს მოკლებულ გარემოში იცხოვრებს. ბედნიერება ბედნიერ გარემოს გულისხმობს. ასეთი გარემოა მთელი სახლი და არა მარტო იზოლირებული ბინა.

გამომცემლობის რედაქტორი	მარინე ვარამაშვილი
გარეკანის დიზაინი	ნინო ებრალიძე
დაკაბადონება	ნათია დვალი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.ge